ასტრიდ ლინდგრენი

ჩვენც სალტკროკელები ვართ

ივნისის ერთ დღეს

ჩაირბინე ზაფხულის დილას სტოკჰოლმში სანაპირო ქუჩაზე და გახედე, დგას თუ არა ნავმისადგომთან თეთრი მომცრო სარეისო გემი «სალტრკროკა I».[1] თუ დგას, სწორედ ის გემია, შხერებში[2] რომ დადის, და თამამად ადი გემბანზე. ზუსტად ათ საათზე უკანასკნელად გასძახებს მისი საყვირი და გემი ნელა მოშორდება ნაპირს, წავა შორეული შხერებისაკენ, იქით, სადაც თავდება ყურე და იწყება ზღვა. დაუღლელი და ნაჯაფარი გემია «სალტკროკა I». აგერ ოცდაათი წელია, კვირაში სამჯერ დაცურავს სანაპირო წყლებში და ალბათ, არც იცის, რომ კვალს ავლებს ისეთ ფარვატერს,[3] რომლის მსგავსიც ქვეყანაზე არსადაა. ასე მიიწევს წინ ხან ფართო სრუტეებში, ხან ვიწრო ფიორდებში,[4] ხანაც უამრავი მწვანე კუნძულისა და ნაცრისფერი კლდეების გაყოლებით. შორი გზა აქვს გასავლელი გემს _ მზე სულ ეშვება ჰორიზონტს იქით, როცა «სალტკროკა I» თავის უკანასკნელ მისადგომში _ კუნძულ სალტკროკასთან ჩაუშვებს ღუზას. სწორედ ამ კუნძულის პატივსაცემად დაარქვეს მას თავისი სახელი. უფრო იქით წასვლა გემს აღარ ევალება. სალტკროკას მერე ღია ზღვაა, რომლის ტალღებიდანაც ამოჩრილა შიშველი კლდეები და შხერები. იქ სუსხურის, თოლიისა და ზღვის სხვა ფრინველების გარდა არავინ ცხოვრობს.

კუნძულ სალკტროკაზე კი ადამიანები ცხოვრობენ, თუმცა ძალიან ცოტა, ბევრი-ბევრი ოციოდე კაცი, ეს ზამთრობით. ზაფხულობით კი სალტკროკას მოაგარაკეები ესტუმრებიან ხოლმე.

რამდენიმე წლის წინათ, ივნისის ერთ მშვენიერ დღეს «სალტკროკა I»-ით შხერებისაკენ სწორედ ასეთი მოაგარაკეები მიემგზავრებოდნენ. მამა და ოთხი შვილი, გვარად მელკერსონები, ქალაქ სტოკჰოლმის მკვიდრნი. მელკერსონები პირველად

[1] სალტკროკა _ მივარდნილი, მიყრუებული ადგილი.
[2] შხერი _ პატარა კლდოვანი კუნძული.
[3] ფარვატერი _ სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე.
[4] ფიორდი _ ზღვის ვიწრო ყურე, რომელიც ხმელეთში ღრმად არის შეჭრილი.

მიდიოდნენ კუნძულზე და მოუთმენლად ელოდნენ მის ნახვას. ყველაზე მეტად უფროსი მელკერსონი ღელავდა.

_ სალტკროკა, _ თქვა მან ფიქრიანად, _ მომეწონა ეს სახლი და ამიტომ ვიქირავე იქ აგარაკი.

ცხრამეტი წლის ქალიშვილმა _ მალინმა მამას შეხედა და თავი გააქნია. რა გულუბრყვილო მამა ჰყავთ! მალე ორმოცდაათი შეუსრულდება, ბავშვივით მიამიტი კია, თავის ბიჭებზე უდარდელი და უზრუნველი. აი, ახლაც დგას გემბანზე სიხარულით აცმუკებული და, როგორც პატარა ბიჭი შობა ღამეს, ისე ელოდება როდის გაახარებს და გააბედნიერებს სალტკროკაზე მისი აღმოჩენილი აგარაკი ყველას.

_ სწორედ შენებური მოიფიქრე, სხვა არავინ იქირავებდა აგარაკს უნახავად, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელი მოეწონა.

_ მე კი მეგონა, ყველა ასე იქცევა-მეთქი, _ თავი იმართლა მელკერმა. მაგრამ მაშინვე ჩაჩუმდა და ჩაფიქრდა. იქნებ მართლა მწერალი უნდა იყო და ცოტა ჭკუაზეც მწყრალად, რომ აგარაკი მარტო სახელისთვის იქირავო?.. _ სალტკროკა... ხა-ხა-ხა! იქნებ სხვები ჯერ მიდიან და ნახულობენ.

_ სხვები, რა თქმა უნდა, მაგრამ შენ არა!

_ რა ვუყოთ მერე, ახლა ხომ მივდივარ, _ უდარდელად უპასუხა მელკერმა. _ მივალ და ვნახავ!

მან მიავლო-მოავლო იქაურობას თავისი მხიარული ცისფერი თვალები. ყველაფერი, რასაც ხედავდა, ერთნაირად უხარებდა გულს: წყლის ზედაპირი, პატარ-პატარა კუნძულები და კლდეები, ნაცრისფერი შხერები _ ძველთაძველი შვედური მთების ნამსხვრევები, ზღვის სანაპირო თავისი ხის სახლებით, ნავმისადგომებით, მეთევზეთა ფარდულებით... და აღტაცებულს ძლეირ მოუნდა, ყველაფერს მისწვდენოდა და მეგობრულად მიალერსებოდა, მგარამ ამის ნაცვლად იუხანს და ნიკლასს მოხვია ხელი.

_ ხედავთ, ბიჭებო, რა ლამაზია აქაურობა? გრძნობთ, რა ბედნიერები ხართ, მთელი ზაფხული რომ აქ იცხოვრებთ?

იუხანმა და ნიკლასმა დაამშვიდეს, ყველაფერს ვგრძნობთო. პელეც აჰყვა ძმებს.

_ მაშ, რატომ არ გიხარიათ? კეთილ ინებეთ და აღფრთოვანედით!

_ როგორ? _ გაუკვირდა პელეს. ის მხოლოდ შვიდი წლისა იყო და არ ესმოდა, ასე საგანგებოდ როგორ უნდა აღფრთოვანებულიყო.

_ აბღავლდით, _ უთხრა მელკერსონმა სიცილი და... თვითონ აბღავლდა. ბავშვები ახარხარდნენ.

_ მართლა ძროხასავით ბღავი, _ ითხრა იუხანმა, მაგრამ წინდახედულმა მალინმა შეაწყვეტინა:

_ ცოტა ხანს თავი შევიკავოთ, ჯერ ვნახოთ, როგორი სახლი იქირავა.

მელკერს არ ესიამოვნა.

_ აგენტი მარწმუნებდა, მშვენიერი სახლიაო. ხომ უნდა ენდო ადამიანის სიტყვას. ნამდვილი აგარაკია, მყუდრო ძველი სახლიო, _ ასე ამბობდა ის კაცი.

_ როდის მივალთ ბოლოს და ბოლოს? _ ვერ ითმენდა პელე, _ მეჩქარება აგარაკის ნახვა.

მელკერმა საათს დახედა.

_ ერთ საათში, შვილო. მანამდე კარგადაც მოგვშივდება. აბა, გამოიცანით, როცა მივალთ, რას ვიზამთ?

_ ვისადილებთ, _ უპასუხა ნიკლასმა.

_ სწორია, დავსხდებით მზით გაჩახჩახებულ მდელოზე და მივირთმევთ მალინის გამზადებულ გემრიელ ბუტერბროდებს. მწვანე ბალახზე დავსხდებით, გესმით? მწვანე ბალახზე და გვექნება ზაფხული.

_ უჰ, რა კარგია, _ წამოიძახა პელემ. _ ეტყობა, მალე ავბღავლდები.

მაგრამ მერე გადაწყვიტა, სხვა საქმე გაეჩინა. მამამ თქვა, ერთი საათის გზა კიდევაა. ასე რომ, იშოვის გასართობს, მართლაც, რა აღარ მოასწრო. აძვრა ყველა ტრაპზე, შეიხედა ყველა კუთხე-კუნჭულსა და სამალავში. ერთი პირობა შტურმანის ჯიხურშიც შეჰყო ცხვირი, მაგრამ გამოაბრძანეს. წუთით კაიუტკომპანიაში შეირბინა, არც იქ გააჩერეს. კაპიტნის ბოგურაზეც აპირებდა ასვლას და გამოაპანღურეს. დიდხანს იდგა სამანქანო განყოფილებაში და თვალებდაჭყეტილი მიშტერებოდა მანქანის მოგუგუნე დგუშებს. მერე გადაეკიდა ხომალდის ბორტს და აწიტებდა გემის ნაკვალევზე აშიშინებულ თეთრ ქაფში. წინა ერდოზე დალია ლიმონათი, შეჭამა ფუნთუშები, რაც დარჩა, მშიერ თოლიებს გადაუყარა. გამოელაპარაკა თითქმის ყველა მგზავრს. შეამოწმა, რამდენ ხანში გაირბენდა გემის ცხვირიდან კიჩომდე. ფეხებში ედებოდა მატროსებს ყოველთვის, როცა ნავმისადომს მიადგებოდნენ და ნაპირზე გადაჰქონდათ ტვირთი და მგზავრების ჩემოდნები. ერთი სიტყვით, გააკეთა ყველაფერი, რაც შეიძლება მოიმოქმედოს შხერებში მიმავალ გემზე შვიდი წლის ბიჭმა. ახლა პელე აქეთ-იქით იყურებოდა, რა გავაკეთოო, რომ უცებ... ორი

მგზავრი შეამჩნია. მანამდე ისინი არ დაუნახავს. წინაერდოზე მოხუცი და პატარა გოგო ისხდნენ. გოგონას გვერდით გალია ედგა, შიგ ყორანი იჯდა. ცოცხალი, ნამდვილი ყორანი. პელე გამოცოცხლდა. უყვარდა ყველაფერი, რაც ცხოვრობს, მოძრაობს, ფრინავს ცაში ან დაძვრება დედამიწაზე, უყვარდა ჩიტებიც, თევზებიც და ცხოველებიც. «ჩემი პატარა მხეცები», _ ასე ეძახდა ალერსიანად: გომბეშო იქნებოდა თუ ბზიკი, კუტკალია თუ მაისის ღრაჭა...

აქ კი უცბად ყორანი ნახა. ცოცხალი, ნამდვილი ყორანი.

პელე გალიასთან მივიდა. გოგონამ თავაზიანად გაუღიმა და თავისი უკბილო პირი გამოაჩინა.

_ შენია? _ ჰკითხა ბიჭმა და საჩვენებელი თითი გალიაში შეყო ყორნის მოსაფერებლად. სწორედ ეს არ უნდა ექნა, ყორანმა თითზე ჩაუნისკარტა. პელემ სწრაფად გამოსწია ხელი უკან.

_ ერიდე კალეს, _ უთხრა გოგონამ. _ ყორანი ჩემია, არა, ბაბუ?

ბაბუამ თავი დაუქნია.

_ აბა რა, სტინასია, ყოველ შემთხვევაში, სანამ ჩემთან ცხოვრობს სალტკროკაზე.

_ თქვენ სალტკროკაზე ცხოვრობთ? _ გაუხარდა პელეს. _ მეც იქ ვიცხოვრებ ამ ზაფხულს. ჰო, მამა და ჩვენ, ყველანი.

მოხუცმა ყურადღებით შეხედა.

_ აა, ეს თქვენ იქირავეთ ძველი დურგლისეული სახლი?

პელე თავის ქნევას მოჰყვა.

_ ჩვენ! კარგია იქ?

მოხუცმა თავი გვერდზე გადახარა, თითქოს რაღაცის გახსენებას ცდილობსო. მერე ჩაიხითხითა.

_ კარგია, კარგი, აბა! გააჩნია, ვის რა მოსწონს.

_ ეგ როგორ? _ ჩაეკითხა პელე.

მოხუცი ისევ ახითხითდა.

_ ზოგიერთს მოსწონთ, ჭერიდან თავზე რომ აწვიმთ, არიან ისეთებიც, რომ არ მოსწონთ.

პელე ჩაფიქრდა. ეს ამბავი მამას უნდა უთხრას! მაგრა ახლა არა. ჯერ ყორანი უნდა დაათვალიეროს, ასეა საჭირო. ეტყობა, სტინაც ვერ ითმენდა, ისე უნდოდა ყორნის ჩვენება. ალბათ, ძალიან სასიამოვნოა, როცა გყავს ყორანი და ყველანი მას შესცქერიან,

განსაკუთრებით პელესავით დიდი ბიჭები და, თუმცა სტინა პატარა გოგოა, დიდი-დიდი ხუთი წლისა იქნეს, პელე მზადაა, ამ ყორნის გულისთვის დაუმეგობრდეს და მთელი ზაფხული ეთამაშოს. მთელი ზაფხული თუ არა, იქამდე მაინც, სანამ უკეთეს ამხანაგს იშოვის.

_ თუ გინდა, შემოვივლი შენთან, _ შესთავაზა მოწყალედ. _ რომელ სახლში ცხოვრობ?

_ წითელ სახლში, _ მიუგო სტინამ.

რა გაეწყობა, ესეც მინიშნებაა, თუმცა არც ისე საიმედო.

_ უმჯობესია, იკითხო, სად ცხოვრობს ბაბუა სიოდერმანი, _ ურჩია მოხუცმა, _ მე ყველა მიცნობს.

უეცრად ყორანი გაიფხორა და ხრინწიანად აჩხავლდა. თურმე პელემ ისევ შეყო თითი გალიაში და შეაშფოთა. ყორანმა ისევ ჩაუნისკარტა.

_ ცუდი არაფერი იფიქრო, იცი, რა ჭკვიანია! _ უთხრა სტინამ. _ ამქვეყნად ყველაზე ჭკვიანია, _ ასე ამბობს ბაბუაჩემი.

«ტრაბახობს», _ გაიფიქრა პელემ. აბა სტინას და ბაბუამისს საიდან უნდა სცოდნოდათ, ამქვეყნად რომელი ფრინველი იყო ყველაზე ჭკვიანი.

_ ბებიაჩემს კი თუთიყუში ჰყავს, ასე ამბობს, «მოშორდი აქედანო», _ თავი მოიწონა პელემ.

_ დიდი საქმე, _ არ ჩამორჩა სტინა, _ მაგას ბებიაჩემიც ამბობს.

პელეს გაეცინა:

_ ბებიაჩემი კი არა, მისი თუთიყუში ამბობს.

სტინას ეწყინა, დამცინისო, და გაიბუსა.

_ მაშინ გასაგებად თქვი, _ ჩაიბურტყუნა მოღუშულმა. მერე ზურგი იბრუნა და წყალს ჩააჩერდა, აღარ მოინდომა სულელ ბიჭთან ლაპარაკი.

_ კარგად იყავი, _ უთხრა პელემ და თავისიანების საძებრად გასწია. იუხანი და ნიკლასი ზედა გემბანზე იპოვა, მაგრამ, დაინახა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რაღაც მოხდა _ ორივეს კოპები შეეკრა. პელეს შეეშინდა კიდეც, ისეთი ხომ არაფერი ჩავიდინე, მომხვდესო.

_ რა მოხდა? _ იკითხა შემკრთალმა.

_ შეხედე! _ ნიკლასმა ზურგს უკან ანიშნა თითით. პელემაც გაიხედა. ცოტა მოშორებით გემის მოაჯირს ჩამოყრდნობოდა მალინი, გვერდით კი პოლოს

სპორტულხალათიანი აყლაყუდა ედგა. ორივენი იცინოდნენ და ის ბიჭი ისე უყურებდა მალინს, მათ მალინს, თითქოს თვითნაბადი ოქრო იპოვა იქ, სადაც ამას ყველაზე ნაკლებად მოელოდა.

_ მორჩა. ისევ ძველებურადაა ყველაფერი, _ წუხდა ნიკლასი, _ მე კი მეგონა, ქალაქიდან თუ წამოვიდოდით, რაღაც შეიცვლებოდა.

იუხანმა თავი გააქნია.

_ ეგ რამ გაფიქრებინა. მალინი ბალტიის ზღვის შუაგულში დაუსახლებელ კუნძულზედაც რომ გადასვა ხუთ წუთში იქაც მიცურდება ვინმე ჯეილი და იტყვის, სწორედ ამ კუნძულზე მაქვს გადაუდებელი საქმეო.

ნიკლასმა ალმაცერად გახედა პოლოსხალათიანს:

_ ესაა ცხოვრება?! საკუთარ დას არ მოგისვენებენ! ლამისაა, გვერდით განცხადება გავუკრა: «აქ ღუზის ჩაშვება სასტიკად აკრძალულია!». მან იუხანს შეხედა და ორივეს სიცილი აუტყდა. სიმართლე თუ გინდათ, დასთან უცხო ვაჟის გაცნობის დიად წინააღმდეგნი არც იყვნენ. იუხანისთვის რომ გეკითხათ, მალინს ყოველ თხუთმეტ წუთში ეცნობოდა ვინმე. მათ კი, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზულად არა, მაგრამ გულში ცოტა ეშინოდათ, ერთ მშვენიერ დღეს მალინი ისე ძლიერ შეიყვარებს რომელიმეს, ყველაფერი ნიშნობით, ანდა სულაც ქორწილით დამთავრდებაო.

_ რა გვეშველება უმალინოდ? _ ხშირად კითხულობდა პელე იმას, რაზედაც ყოველი მათგანი შიშით ფიქრობდა. მალინი ხომ ოჯახის ბურჯი ყიო იმ დროიდან, რაც დედა მოუკვდათ, დედა კი პელეს დაბადებას გადაჰყვა, მალინმა შეცვალა ოჯახში დედა. ეს სუსტი, კაფანდარა გოგონა-დედა თავდაპირველად უმწეო და საცოდავი იყო. მერე კი თანდათან ისწავლა ბიჭები ცხვირის მოხოცვაც, სარეცხის რეცხვაც, ჩხუბიც და ფუნთუშების ცხობაც, ყველაფერი, რაც, როგორც თავის დღიურში წერდა, მას ოჯახში ევალებოდა.

_ შენ ტყუილად არასოდეს ჩხუბობ, _ არწმუნებდა პელე. _ საერთოდ, დედა კურდღელივით კეთილი, ნაზი და მოსყვარულე ხარ.

ადრე პელეს არ ესმოდა, რატომ უყურებდნენ იუანი და ნილასი ამზრეზით მალინის თაყვამისმცემლებს. ის მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მალინი სამუდამოდ მელკერსონების ოჯახს ეკუთვნოდა და რამდენ სპორტულხალათიან ბიჭსაც არ უნდა ეტრიალა მის გარშემო, მაინც არაფერი შეიცვლებოდა. მოულოდნელად თვითონ მალინმა შეურყია რწმენა. ერთ საღამოს პელე ლოგინში იწვა და დაძინებას ლამობდა, მაგრამ

არაფერი გამოსდიოდა, იმიტომ, რომ მალინი მთელი ხმით მღეროდა სააბაზანოში. ეს სიმღერა პელეს არასოდეს გაეგონა. მისი სიტყვები მეხივით დაეცა თავზე. «სტუდენტმა გოგომ არ დაიცადა, ვიღაცას გაჰყვა და დედა გახდა», _ მღეროდა მალინი და ვერცა ხვდებოდა, რასა სჩადიოდა. «სტუდენტმა გოგომ არ დაიცადაო», _ მათი მალინიც ხომ უკვე სტუდენტია, მერე კი, მერე ყველაფერი მოსალოდნელი... პელეს ცივმა ოფლმა დაასხა. მიხვდა, რაც ელოდა! ან აქამდე როგორ ვერ მოისაზრა! მალინი გათხოვდება და სახლიდან წავა, ისინი კი დეიდა ნილსონის ანაბარა დარჩებიან. იმ დეიდა ნილსონისა, რომელიც დღეში ოთხი საათით მოდიოდა მათთან და მერე ისევ შინ ბრუნდებოდა.

ეს მართლაც აუტანელი რამ იყო. სასოწარკვეთილი პელე მამასთან გაიქცა.

_ მამა, მამა, როდის გათხოვდება მალინი და როდის ეყოლება შვილი? _ ჰკითხა ხმის კანკალით.

მელკერმა გაოცებით შეხედა. მისთვის არავის უთქვამს, მალინი გათხოვებას აპირებსო და ვერ წარმოიდგინა, თუ პელესთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო.

_ მითხარი, როდის გათხოვდება? _ არ ეშვებოდა პელე.

_ დღე და საათი არ ვიცით, _ უპასუხა მელკერმა, _ მაგაზე ნუ იფიქრებ, ჩემო ბეკეკო!

მაგრამ პელეს არ შეეძლო, არ ეფიქრა, თუმცა, ცხადია, ყოველდღე და ყოველ წუთს არ ფიქრობდა. ფიქრობდა მხოლოდ მაშინ, როცა ამის საბაბი ეძლეოდა, აი, როგორც ახლა. პელე იდგა და თვალდაჭყეტილი შეჰყურებდა მალინსა და პოლოსხალათიან ბიჭს. საბედნიეროდ, ისინი უკვე ეთხოვებოდნენ ერთმანეთს. ალბათ, ბიჭი შემდეგ ნავმისადგომში ჩადიოდა.

_ ნახვამდის, კრისტერ, _ უთხრა გამოთხოვებისას მალინმა. იმან კი, პოლოსხალათიანმა, ტრაპიდან დაუყვირა:

_ როგორმე შემოვივლი მოტორიანი ნავით, ვნახოთ, მოგნახავთ თუ არა!

_ ერთი სცადე! _ ბრაზით ჩაიბურდღუნა პელემ.

მან მტკიცედ გადაწყვიტა, მამისთვის ეთხოვა და, ნიკლასის თქმისა არ იყოს, განცხადება გაეკრათ, აქ «ღუზის ჩაშვება სასტიკად აკრძალულია!». განცხადებას დურგლისეული კარ-მიდამოს ნავმისადგომთან გააკრავენ. ამაზე თვითონ პელე იზრუნებს.

რა თქმა უნდა, მალინს ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდნენ, ასეთი სანდომიანი რომ არ ყოფილიყო. ეს პელესაც ესმოდა. იმიტომ I არა, რომ თვალს არ აშორებდა, არა, ისე

იცოდა. ყველა ამას ამბობდა და იმიტომ. ლამაზი იქნები აბა რა, თუ მალინივით ქერა თმა და მწვანე თვალები გაქვს. ის პოლოსხალათიანი ბიჭიც ასე ფიქრობდა.

_ ვინაა ის თავხედი? _ ჰკითხა იუხანმა მალინს.

მალინს გაეცინა.

_ თავხედი სულაც არაა. ბოსესთან ვნახე სტუდენტურ საღამოზე. კარგი ბიჭია.

_ ნამდვილი თავხედია, _ თავისას იმეორებდა იუხანი, _ ფრთხილად იყავი! ეს შენს დღიურშიც ჩაიწერე.

მალინი მწერლის შვილი იყო. ამიტომ ცოტ-ცოტას თვითონაც წერდა მაგრამ მხოლოდ თავისი საიდუმლო დღიურის ფურცლებზე. მხოლოდ თავის დღიურს ანდობდა იდუმალ ფიქრებსა და ოცნებებს. დღიურს ანდობდა ბიჭებისა და თვით უფროსი მელკერსონის «წარმატებებსაც». მალინი ხშირად ემუქრებოდა მათ თავისი დღიურით.

_ მაცალეთ, გამოვაქვეყნებ ჩემს საიდუმლო დღიურს და ყველას გამოგააშკარავებთ.

_ ხა-ხა-ხა-ხა! ყველაზე მეტად შენს თავს გამოააშკარავებ, _ იცინოდა იუხანი. _ შენ ხომ რიგრიგობით ყველა შენს შეიხ-თაყვანისმცემელს წერ მაგ დღიურში.

_ სია შეადგინე, სიჩქარისაგან არავინ გამოგრჩეს, _ ურჩევდა ნიკლასი. _ პერ მეთოთხმეტე ულოფი, კარლ მეოთხე კარლსონი, ლენარტ მეჩვიდმეტე და ოკე მეთვრამეტე. ეგრევე გააგრძელე, გვარიანი სია გამოგივა.

იმ წუთში იუხანსა და ნიკლასს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ პოლოსხალათიანი ბიჭი კრისტერ მეცხრამეტე გახდებდოა.

_ ნეტა, როგორ შეამკობს თავის დღიურში იმ ბიჭს? _ დაინტერესდა ნიკლასი.

_ წარმოუდგენელი თავხედია, თმაგადასლექილი და თვითკმაყოფილი, უტიფარი და საძაგელი, _ უპასუხა იუხანმა.

_ იქნებ მალინს ეგეთები მოსწონს, _ თქვა ნიკლასმა.

მაგრამ მალინს კრისტერ მეცხრამეტე თავის დღიურში სულაც არ უხსენებია. ის ჩავიდა გემიდან თავის ნავმისადგომში და მორჩა, კვალიც არ დაუტოვებია მის სულში. თხუთმეტიოდე წუთში კი მალინს ისეთი ამაღელვებელი შეხვედრა ჰქონდა, რომ ყველაფერი დაავიწყდა _ გემი ნაპირს მიადგა და მალინმა სალტკროკა დაინახა. აი, რა ჩაწერა თავის დღიურში ამ შეხვედრაზე.

«მალინ, მალინ, სად იყავი აქამდე? კუნძული სულ გელოდა _ წყნარად და მშვიდად იწვა ზღვის პირას თავისი ფარდულებით, დაძველებული ნავსაბმელებით, მეთევზეთა ნავებით და ერთადერთი, ძველი ქუჩით, ერთი სიტყვით, მთელი თავისი ამაღლევებელი

სილამაზით. შენ კი არც იცოდი, რომ ასეთი კუნძული არსებობდა. განა ეს საშინელება არაა? ნეტა, რას ფიქრობდა ღმერთი, როცა ამ კუნძულს ქმნიდა?! _ «დაე, აქ ყველაფერი ერთმანეთში აირიოს: იყოს უდაბურება და შიშველი ნაპრალოვანი კლდეები, მის გვერდით კი მწვანედ ხასხასებდეს გაფოთლილი მუხები, არყის ხეები, ყვავილოვანი მდელოები, ხშირი ბუჩქნარი, კუნძული ჩაძირული ყოს ასკილის ალისფერ ვარდებსა და ჟასმინის თეთრ გირლანდებში, როცა მილიონი წლის შემდეგ ივნისის ერთ მშვენიერ დღეს აქ ჩამოვა მალინ მელკერსონიო». ჰო, ჩემო კარგო იუხან და ნიკლას, ვიცი, რასაც ფიქრობტ, როცა მალულად კითხულობთ ჩემს დღიურს: «მეოცნებეც ამას ჰქვიაო». არა, მე მეოცნებე არა ვარ. უბრალოდ, მიხარია, რომ ღმერთმა სალტკროკა სხვაგვარი კი არა, სწორედ ასეთი შექმნა და მიხვდა, ეს მარგალიტი ზღვის ნაპირას დაეგდო, სადაც იგი მშვიდად, პირველქმნილი სიმშვენიერით ელოდა ჩემ სტუმრობას».

მელკერმა თქვა:

_ აი, ნახავთ, სალტკროკელები ნავმისადგომებზე გამოვლენ ჩვენ სანახავად. ფურორს მოვახდენთ, ფურორს!

მაგრამ საქმე სხვაგვარად შეტრიალდა. როცა გემი ნაპირს მიადგა, კოკისპირულად წვიმდა. ნავმისადგომზე ერთადერთი ტანდაბალი კაცუნა ჩანდა, გვერდით ძაღლი ედგა, კაცუნა შვიდიოდე წლის გოგონა გამოდგა. არც კი ირხეოდა, თითქოს ნავმისადგომიდან ამოზრდილაო, თუმცა წვიმა თავზე დასდიოდა. გეგონებოდა, თვითონ ღმერთმა შექმნა ამ კურძულთან ერთად და მის მცველად და მეუფედ დატოვა სამარადისოდო.

«ცხოვრებაში თავი ისე პატარა არასოდეს მგონებია, როგორც მაშინ, როცა ხელებდატვირთულ წვიმაში ტრაპიდან ჩამოვდიოდი და ეს გოგონა მიყურებდა, _ წერდა მალინი თავის დღიურში. _ თითქოს იგი ყველაფერს ხედავდა, ყველაფერი იცოდა. მე ვიფიქრე, ესა სალტკროკის განსახიერება და თუ ამან არ გაგვიხსნა გული, კუნძულიც არასოდეს მიგვიღებს-მეთქი. ამიტომ ვკითხე ისეთი ლაციცით, როგორც დიდებმა იციან ხოლმე ბავშვებთან საუბრისას:

_ რა გქვია?

_ ჩორვენი, _ მიპასუხა გოგონამ.

ერთი უყურე! ნუთუ შეიძლება გერქვას ჩორვენა[5] და იყო ასე დიდებული?!

[5] ჩორვენი (შვედ.) _ კუპატი.

_ შენი ძაღლია?

მან პირდაპირ თვალებში შემომხედა და მშვიდად მკითხა:

_ შენ იმის გაგება გინდა, ჩემია თუ არა ეს ძაღლი, თუ მისი სახელისა?

_ ორივესი, ორივესი, _ ვუპასუხე სწრაფად.

_ ჩემი ძაღლია და ბოცმანი ჰქვია, _ მითხრა მოწყალედ იმ დედოფალივით, თავის ოთხფეხ მეგობარს რომ აცნობს ვინმეს. მერე როგორ ოთხფეხ მეგობარს! ეს ყიო სენბერნარი, მაგრამ ისეთი უზარმაზარი ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მინახავს. ძაღლიც პატრონივით დიდებულ იყო და მე ვიფიქრე, ალბათ, ამ კუნძულის ყველა მცხოვრები ამათ ჰგავს, ერთი თავით მაღლები არიან ჩვენზე, საწყალ ქალაქელებზე-მეთქი.

ამ დროს ერთმა ჩვეულებრივმა კაცმა მოირბინა ქოშინით. მერე გავიგეთ, მედუქნე ყოფილა.

_ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სალტკროკაზე! _ მოგვესალმა გულღიად. სახელის კითხვაც ვერ მოვასწარით, რომ თავად გაგვეცნო.

_ ნისე გრანკვისტი გახლავართ.

მაგრამ მერე უზომოდ გაგვაოცა:

_ ჩორგენ, წადი შინ, _ უბრძანა მან დიდებულ ბავშვს. წარმოგიდგენიათ, როგორ ელაპარაკება?! წარმოგიდგენიათ, ისაა ასეთი ბავშვის მამა! მაგრამ ყური ვინ უგდო.

_ ვინ ბრძანა? _ მკაცრად ჰკითხა გოგონამ. _ დედამ?

_ არა, მე! _ მიუგო მამამ.

_ მაშ არ წავალ. გემს ვხვდები, _ თქვა ჩორვენმა.

მედუქნეს სასწრაფოდ უნდა მიეღო ქალაქიდან ჩამოტანილი საქონელი და არ ეცალა, დაეყოლებინა თავისი თავნება გოგო. სანამ ჩვენ ერთად ვალაგებდით ბარგს, ისიც იდგა წვიმაში და გვიყურებდა. ძალიან საცოდავი შესახედავები ვიყავით და ეს გოგონას არ გამოპარვია. მის მზერას ვგრძნობდით ზურგს უკან, როცა დურგლისეული კარ-მიდამოსაკენ მივჩანჩალებდით.

მარტო ჩორვენს არ გამოუყოლებია ჩვენთვის თვალი. ძველი ქუჩის გაყოლეიბთ მდგარი სახლებიდან ჩვენს გალუმპულ პროცესიას ფარდებს უკან მიმალულების ყურადღებიანი თვალები მიაცილებდა. მამას თქმისა არ იყოს, მართლაც, ფურორი მოვახდინეთ. მაგრამ მამა, მგონი, ცოტათი უკვე ჩაფიქრდა. სანამ ქუჩაში მივჩანჩალებდით, თავზე მთელი ჩანჩქერი დაგვეშვა. უცბად პელემ თქვა:

_ მამა, იცი, დურგლისეულ სახლში წყალი ჩამოდის.

მამა შუა გუბეში გაშეშდა.

_ ვინ გითხრა?

_ ბაბუა სიოდერმანმა, _ ისე უპასუხა პელემ, თითქოს ძველ ნაცნობზე ელაპარაკებოდა.

მამა შეეცადა ყველაფერი ხუმრობაში გაეტარებინა.

_ უყურე! ბაბუა სიოდერმანმაო. რა ყვავივით დაგვჩხავის. გამოდის, რომ იმან ყველაფერი იცის, აგენტს კი არაფერი უთქვამს.

_ ნუთუ? _ ვკითხე გაკვირვებით. _ ნუთუ არ უთქვამს, რომ ესაა მშვენიერი აგარაკი, რომელიც წვიმის დროს საცურაო აუზად იქცევა ხოლმე?

მამამ თვალი თვალში გამიყარა, მაგრამ არაფერი უპასუხია.

ამასობაში სახლთან მივედით.

_ გამარჯობა, დურგლისეულო სახლო, _ მიესალმა მამა. _ ნება მიბოძე, წარმოგიდგინო მელკერსონების ოჯახი: მელკერსონ-უფროსი და მისი საწყალი შვილები.

ეს იყო წითელი ორსართულიანი სახლი. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ სახურავში წყალი ჩადიოდა, მაგრამ სახლი მაინც დანახვისთანავე მომეწონა. მამას კი შეეშინდა, სახეზე შეეტყო. მე არავის ვიცნობ, მამასავით წარამარა ეცვლებოდეს გუნება.

იგი უხმოდ იდგა და ნაღვლიანად უყურებდა შვილებისათვის დაქირავებულ აგარაკს.

_ რას უცდი? სახლი ხომარ გამოიცვლება?

მამა, როგორც იქნა, გაბედა და ყველამ ზღურბლს გადავაბიჯეთ».

დურგლისეული კარ-მიდამო

მელკერსონების ოჯახში არავის დაავიწყდება დურგლისეულ კარ-მიდამოში გატარებული პირველი ღამე.

_ ღამეც რომ გამაღვიძო და მკითხო, მაინც ზუსტად გიამბობ იმღამინდელ ამბავს, _ ამბობდა მერე მელკერსონი: _ ჩახუთული ჰაერი, გაყინული ზეწრები, მოღუშული, შეწუხებული მალინი, რომელსაც ეგონა, რომ ვერ ვამჩნევდი მის შუბლზე გაწოლილ ნაოჭს, და გული მევსებოდა შიშით _ სისულელე ხომ არ ჩავიდინე? მაგრამ ჩემი ყაჩაღები გულს არ იტეხდნენ, ციყვებივით დახტოდნენ. ეს კარგად მახსოვს... კიდევ მახსოვს ჩეიმ ფანჯრის

პირდაპირ მდგარ კუნძულზე შმომჯდარი შავი შაშვის რაკრაკი, კიდევ ტალღების ნელი ხმაური ნავმისადგომთან და სიჩუმე... უცებ თავში გამიელვა ფიქრმა: «არა, მელკერ, ამჯერად სისულელე არ ჩაგიდენია, პირიქით, კეთილი საქმე გააკეთე, მშვენიერი, არაჩვეულებრივი საქმე. თუმცა... ჰაერი ჩახუთული იყო!..»

_ შენ ღუმელს ანთებდი, გახსოვს, მამა? _ მოაგონა მალინმა.

ეს კი არ ახსოვდა მელკერს. ასეც თქვა.

_ ღუმელი უვარგისი ჩანს. არა მგონია, ზედ საჭმლის მომზადება მოვახერხოთ, _ თქვა მალინმა და ჩანთები სამზარეულოს იატაკზე დაალაგა.

მალინმა სამზარეულოში შესვლისთანავე სწორედ ეს ღუმელი დაინახა, დაჟანგული ღუმელი, რომელიც უკანასკნელად ალბათ გასული საუკუნის ბოლოს გაახურეს. მაგრამ მელკერი იმედს არ კარგავდა.

_ ასეთი ძველებური ღუმელებია რაც არის. ოღონდ უნდა შეეჩვიოს კაცი. ცოტა მაცალეთ, ჯერ აგარაკი დავათვალიეროთ.

გასული საუკუნე მთელ კარ-მიდამოში იგრძნობოდა, თუმცა ნირშეცვლილი და ფერგადასული. მოურიდებელმა მოაგარაკეებმა შეუწყვეს ხელი, რომ ოდესღაც აყვავებული და მოვლილი კარ-მიდამო ასე გამოცვლილიყო. მაგრამ ასე გავერანებულიც კი ინარჩუნებდა თავისებურ სიმყუდროვეს, რაც ყველამ მაშინვე იგრძნო.

_ ნახეთ, როგორ ვიცხოვრებთ ამ დაქცეულ სახლში, _ თქვა პელემ, ერთი მოეხვია მალინს და მერე ძმებს დაედევნა, რომლებიც სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულის მოსაჩხრეკად მიდიოდნენ.

_ დურგლისეული სახლი... _ თქვა დაფიქრებულმა მალინმა. _ როგორი დურგალი ცხოვრობდა, არ იცი, მამა?

_ ახალგაზრდა, მხიარული დურგალი. ათას ცხრაას რვა წელს მშვენიერი ახალგაზრდა ცოლი შეირთო და აქ გადმოსახლდა. მისი გემოვნებით მორთო აქაურობა. გააკეთა კარადა, მაგიდა, სკამები, დივანი და თავის ცოლს ჰკოცნიდა, ოთახებში სულ ზრიალ-წკრიალი იდგა. ერთხელ უთხრა: «ჩვენს სახლს დურგლის კარ-მიდამო დავარქვათო...»

მალინი თვალს არ აშორებდა მამას.

_ ეს ყველაფერი ნამდვილად იყო, თუ გვატყუებ.

მელკერმა უხერხულად გაიღიმა.

_ ჰო, რა თქმა უნდა, რაღაცებს კიდევაც ვიტყუები, მაგრამ უკეთესი იყო გეთქვა, «გიონებო».

_ კარგი, ეგრე იყოს, _ დაეთანხმა მალინი. _ მაგრამ, რაც არ უნდა თქვა, აქ ოდესღაც ვიღაც ცხოვრობდა ,ახარებდა ეს ავეჯი, მტვერს აცლიდა და აპრიალებდა ყოველ პარასკევს. მართლაც ახლა ვინაა სახლის მეპატრონე?

მელკერმა სცადა, გვარი გაეხსენებინა.

_ ფრუ შიობერგი, ფრუ შიობლუმი თუ ვიღაც ასეთი. ხანშიშესული ქალია.

_ შეიძლება სწორედ ისაა შენი დურგლის ცოლი? _ გაეცინა მალინს.

_ არ ვიცი. ის ახლა ნორტელიეში ცხოვრობს. ერთი საქმოსანი კი, გვარად მატსონი, მის მაგიერ აქირავებს აგარაკს. და მერე, როგორც წესი, ზაფხულობით შიგ ცხვორობენ თავგასულ იავაზაკები თავიანთი აუტანელი შვილებით, რომლებიც აფუჭებენ ყვეალფერს, რაც ხელთ მოხვდებათ.

მელკერმა მიიხედ-მოიხედა ოთახში, რომელიც დურგალს ალბათ სასტუმროდ ჰქონდა და, თუმცა იგი ძველებურად აღარ იყო მორთული, მაინც მოეწონა.

_ ეს ჩვენი საერთო ოთახი იქნება, _ თქვა და ხელი მოუთათუნა შეთეთრებულ ღუმელს. _ საღამოობით შემოვუსხდებით გარშემო, ვუყურებთ ალმოდებულ მუგუზლებს და ვუსმენთ ზღვის ხმაურს.

_ ყურებში კი ქარი გვიზუზუნებს, ალბათ, _ გატეხილი სარკმელი დაანახვა მალინმა.

მალინს არ შორდებდა შუბლზე ნაოჭი, მაგრამ მელკერმა უკვე შეიყვარა იქაურობა და აღარ აპირებდა ასეთი წვრილმანისათვის ვიშვიშს.

_ დამშვიდდი, შვილო. შენი ყოჩაღი მამა ხვალვე ჩასვამს მინას, ოღონდ შენ დამშვიდდი.

მაგრამ მალინს რა დაამშვიდებდა, _ იცოდა მამის ხასიათი და ახლა სინაზითა და სინანულით ფიქრობდა: «სჯერა, რასაც ამბობს, ნამდვილად სჯერა. მერე, მუშაობისას ავიწყდება დაპირება. თუ ვინიცობაა, გაახსენდა და ჩასვა, სამ მთელ მინას მაინც ჩაამსხვრევს. უნდა ვკითხო ნისეს, აქ არავინაა ისეთი, რომ მომეხმაროს?»

ხმამაღლა კი მხოლოდ ესა თქვა:

_ ახლა დავიკაპიწოთ მკლავები. შენ, მამა, მგონი, ღუმელის ანთებას აპირებდი.

მელკერს საქმე სწყუროდა და ხელებს იფშვნეტდა.

_ აბა რა! ასეთ საქმეს ქალებსა და ბავშვებს ვერ ანდობ.

_ ჰოდა, ძალიან კარგი, _ უთხრა მალინმა. _ ქალი და ბავშვები ჭის საძებნელად წავლენ, იმედია, სადმე იქნება.

მალინს ბავშვების ფეხის ხმა მოესმა სხვენიდან და ასძახა:

_ ბიჭებო, წყალზე წავიდეთ!

წვიმა შეწყდა. ყოველ შემთხვევაში, იმ წუთას არ მოდიოდა. ბებერ კუნელზე შემომჯდარი შაშვის ჭახჭახით გახალისებულ იმზე რამდენჯერმე გაკადნიერდა და სცადა ღრუბლებში გამოეჭყიტა, მაგრამ ამაოდ. შაშვმა სველ ბალახზე ვედროებით მომავალი მელკერსონები რომ დაინახა, მიყუჩდა.

_ რა კარგია, რომ ეზოში საკუთარი ასწლიანი ხე გვიდგას, არა, ბავშვებო? _ ბებერი კუნელი სხორკლიან ღეროს მიეალერსა მალინი.

_ რა საჭიროა მერე ეგ ასწლიანი ხე? _ დაინტერესდა პელე.

_ თვალის გასახარად, _ უპასუხა მალინმა.

_ ზედ ასაძვრომადაც, ეგ აღარ იცი? _ დაუმატა იუხანმა.

_ ჰოდა, ხვალვე დილაადრიან ავძვრეთ, _ დაამშვიდა ნიკლასმა. _ როგორ გგონიათ, მამამ ზედმეტი გადაიხადა იმისთვის, რომ ეზოში დგას ხე, რომელზედაც ბავშვებს აძვრომა შეუძლიათ?

ამ ხუმრობაზე მალინს გაეცინა, ბიჭებმა კი ჩამოთვლა დაიწყეს, კიდევ რაში გადაახდევინებდნენ მელკერს ზედმეტ ფულს. პირველი, ნავსაბმელსა და მასზე ჯაჭვით მიბმულ პატარა ნავში; მეორე, ზღვის სანაპიროზე გაფანტულ წითელ ფარდულებში, რომელთაც, როგორც კი დროს ვიპოვით, მაშინვე უნდა გავეცნოთ, და მესამე _ სხვენში, სადაც ყველაფერი გადავაქოთეთ და ათასი საინტერესო რამე ვნახეთ.

_ ჭაში, თუ შიგ გემრიელი წყალია, _ დაამატა მალინმა.

იუხანისა და ნიკლასისთვის რომ გეკითხათ, ჭისთვის ზედმეტი არ უნდა გადაეხდევინებინათ.

_ ოჰ, ოწინარი ყოფილიყო, რა კარგი იქნებოდა! _ თქვა იუხანმა და ღრმა ჭიდან ხვნეშით ამოსწია წყლით სავსე ვედრო.

_ შეხედეთ, შეხედეთ, ბაყაყია ვედროში! _ სიხარულისაგან აჭყლოპინდა პელე.

მალინმა საცოდავად წამოიკივლა, პელემ გაკვირვებით შეხედა.

_ რა მოგივიდა, არ გიყვარს ბაყაყები?

_ მიყვარს, მაგრამ სასმელ წყალში კი არა.

პელე შეკუნტრუშდა.

_ ჩემი ყოს რა ეგ ბაყაყი!

მერე იუხანს მიუბრუნდა:

_ როგორ გგონია, ჭაში რომ ბაყაყებია, იმისთვისაც ზედმეტი გადაახდევინეს მამას?

_ გააჩნია რამდენია, თუ ბევრზე ბევრია, თითქმის მუქთად ჩაუგდია ხელში, _ მიუგო იუხანმა და მალინს შეხედა, ნეტა რამდენ ბაყაყს გაუძლებსო. მალინს კი აღარც ესმოდა, რაზე ლაპარაკობდნენ ბიჭები.

მალინის ფიქრები შორს დაქროდა. იდგა და ფიქრობდა მხიარულ დურგალზე და მის ცოლზე. ნეტა ბედნიერად თუ ცხოვრობდნენ თავიანთ კარ-მიდამოში? თუ ჰყავდათ შვილები, რომლებიც დაძვრებოდნენ ბებერ კუნელზე, ანდა ზოგჯერ მოულოდნელად ბოგადან ზღვაში ცვიოდნენ? ჰყვაოდა თუ არა ამდენი ასკილი გაზაფხულზე და აევე თეთრად თუ ელავდა ვაშლის ყავილით მოფენილი ჭისკენ მიმავალი ბილიკი?

მერე გაახსენდა, რომ მხიარული დურგალი და მისი ცოლი მელკერმა მოიგონა. მაგრამ გადაწყვიტა, ერწმუნა ეს ამბავი. ისიც გადაწყვიტა: თუნდაც ჭა ბაყაყებით ყოფილიყო სავსე, ფანჯრის მინები მთლად დამსხვრეულ, დუგლის სახლი კი ძველზე ძველი, მაინც ყოფილიყო მხიარული და ბედნიერი სწორედ აქ და სწორედ ახლა. ახლა ხომ ზაფხულია. ნეტა სულ ივნისის საღამო იყოს, დღევანდელივით ფიქრიანი და ჩუმი. ნავსაბმელის ზემოთ ისევ იტრიალონ თოლიებმა. აი, ერთმა თოლიამ გულისგამგმირავად დაიწივლა და კვლავ ჩამოწვა ისეთი მდუმარება, ყურში რომ გიზუზუნებს. წვიმის ფარდა დაეშვა ზღვაზე... გულისტკენამდე ლამაზი იყო ყველაფერი. ბუჩქებიდან და ხეებიდან ცვიოდა წვეთები, იგრძნობოდა მოახლოებული წვიმის სიგრილე, მიწის, მლაშე წყლისა და სველი ბალახის სუნი.

«დავსხდებით მზით გაჩახჩახებულ მდელოზე, მივირთმევთ ბუტერბროდებს და გვექნება ზაფხული», _ ასე წარმოედგინა მელკერს პირველი საღამო დურგლისეულ კარ-მიდამოში. ყველაფერი სხვაგვარად გამოვიდა. მაგრამ მაინც იდგა ზაფხული და მალინიც შეჰხაროდა. უეცრად იგრძნო შიმშილი და გაიფიქრა: «ნეტავ თუ აანთო მელკერმა ღუმელი?».

საქმეს ცუდი პირი უჩნდა.

_ მალინ, სადა ხარ? _ ყვიროდა მელკერი, როგორც ყოველთვის, როცა საქმე არ გამოსდიოდა. მაგრამ მალინი ახლო-მახლო არა ჩანდა. თავისდა სამწუხაროდ, იგი მიხვდა, რომ მარტო დარჩა და თვითონვე უნდა ეშველა თავისთვის.

_ მარტოდმარტო ვარ ღვთისა და კარგა ხნის გადასაგდები რკინის ღუმელის ანაბარა, _ ჩაბურტყუნა გაჯავრებულმა, მაგრამ კვამლმა ხველა აუტეხა და წუწუნი ვეღარ გააგრძელა. იგი მიაჩერდა ღუმელს, რომელიც კვამლით ბურავდა, თუმცა მისთვის არაფერი დაუშავებია, მხოლოდ აანთო, ფრთხილად და სათუთად. მელკერმა შეშას შეუჩუჩხურა ცეცხლის საჩხრეკით. კვამლი ბოლქვა-ბოლქვად ავარდა. სულშეხუთული მელკერსონი ხველებით მივარდა ფანაჯრას და გამოაღო. უცებ ოთახში ვიღაც შემოვიდა. მელკერმა მოიხედა და ხელთ ის დიდებული ბავშვი შერჩა, ნავმისადგომზე რომ ნახა ახლახან. მოიცა, რა ერქვა? კორვენი, ჩორვენი თუ რაღაც ასეთი. «მართლაც, სასიამოვნოდ ჩარმგვალებული გემრიელ კუპატსა ჰგავს». ოთახში კვამლი ტრიალებდა, მაგრამ ზუიდვესტერიდან[6] მაინც მოჩანდა საოცრად სუფთა და ლამაზი სახე, ბავშვური ფართო და კეთილი სახე. ის შესცქეროდა ცნობისმოყვარე და ჭკვიანი თვალებით. გოგონამ თან თავის ძაღლი მოიყვანა, რომელიც ოთახში მთლად გოლიათი გამოჩნდა _ ლამის მთელი სამზარეულო დაიკავა.

ჩორვენი ზრდილობისათვის ზღურბლზე შეჩერდა.

_ ღუმელი ბოლავს! _ თქვა მშვდიად.

_ ნუთუ? _ მწარედ ჩაიღიმა მელკერმა. _ ვერც შევამჩნიე.

_ ბოლავს, _ დაუდასტურა ჩორვენმა. _ იცი, რა? შეიძლება მილში მკვდარი ბუ გდია, ერთხელ ჩვენც მოგვივიდა ასე. _ მერ ყურადღებით შეხედა მელკერს და ეშმაკურად გაიღიმა: _ სულ გამურულხარ, კანიბალივით გაგშავებია სახე.

მელკერი ხველებით იხრჩობოდა.

_ რანაირი კანიბალი ვარ! კანიბალი კი არა, სალაკა ვარ, ახლად შებოლილი სალაკა. საერთოდ კი, არ მომწონს «შენს» რომ მეუბნები, ძია მელკერი დამიძახე.

_ შენ ასე გქვია?

მელკერმა პასუხი ვერ მოასწრო, საბედნიეროდ, მალინი და ბიჭები დაბრუნდნენ.

_ მამა, ჭაში ბაყაყი ვიპოვეთ, _ ყველას დაასწრო პელემ, მაგრამ მაშინვე დაავიწყდა მთელი ქვეყნის ბაყაყები _ ნავმისადგომზე ნანახი უზარმაზარი ძაღლი მათთან, სამზარეულოში იდგა. მელკერს სულ თავგზა დაებნა.

_ ბაყაყი ნახეთ ჭაში?.. ნუთუ მართლა? _ «ძალიან მყუდრო აგარაკიაო», _ მარწმუენბდა აგენტი. იმაზე კი არ გამაფრთხილა, რომ აქ მთელი სამხეცე დამხვდებოდა.

[6] ზუიდვესტერი _ ულტობი ქსოვილი ქუდი.

ბუები საკვამლე მილში, ბაყაყები _ ჭაში და უზარმაზარი ძაღლები სამზარეულოში. იუხან, წადი ერთი ნახე, საწოლ ოთახში დომბა ხომ არაა დამწყვდეული?

ბავშვები ახარხარდნენ. მამასაც ეს უნდოდა, თორემ მისი თავმოყვარეობა შელახული იყო.

_ ფუჰ, რა კვამლი დგას, _ მალინმა ხელით გაფანტა კვამლი.

_ თვითონვე მიკვირს, _ გამოტყდა მელკერი და ღუმელზე მიუთითა. _ ეს სამრაცხვინო ლაქაა «ანკარსრუმის» ფირმისათვის. საჩივარს გავუგზავნი... ათას ცხრაას რვა წლის აპრილში ამა და ამ სახლში ღუმელი რა ეშმაკად დადგით, თუ არ აინთებოდა-მეთქი.

მაგრამ მელკერს მალინის გარდა აღარავინ უსმენდა. ბიჭები ჩორვენსა და ბოცმანს შემოხვეოდნენ და გოგოს კითხვებს აყრიდნენ.

ისიც სიამოვნებით პასუხობდა: ვცხოვრობ დურგლის კარ-მიდამოს გვერდით, სახლში მამას დუქანიცა აქვს გახსნილი, მაგრამ სახლი დიდია და ადგილი ყველას გვყოფნისო.

_ მეც, ბოცმანსაც, დედასაც, მამასაც და ფრედისა და ტედისაც.

_ რამდენი წლისანი არიან ტედი და ფრედი?

_ ტედი ცამეტი წლისაა, ფრედი _ თორმეტის, მე _ ექვსის, ბოცმანი კი მხოლოდ ორი წლისა. დედა და მამა რამდენი წლისანი არიან, არ მახსოვს, თუ გინდათ, გავიქცევი და ვკითხავ, _ არ დაიზარა ჩორვენმა.

იუხანმა დაარწმუნა, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვსო. ბიჭებმა კმაყოფილი სახით გადახედეს ერთმანეთს... დაუჯერებელია, ორი მათი ტოლა ბიჭი დახვდათ, ისიც მეზობელ სახლში!

_ რას გაგიმზადებთ, თუ ღუმელი ვერ ავანთეთ? _ მხრეიბ აიჩეჩა მალინმა.

მელკერმა კეფა მოიქექა.

_ ეტყობა, სახურავზე აძვრომა მომიწევს, უნდა ვნახო, მართლა ბუ ხომ არაა ჩამკვდარი მილში, როგორც ეს გოგონა ვარაუდობს.

_ ვაიმე, _ ავიშვიშდა მალინი, _ ფრთხილად იყავი. არ დაგავიწყდეს, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი მამა გვყავს.

მაგრამ მელკერი უკვე კარს უკან გაუჩინარდა. მანამდეც შეემჩნია სახლის გვერდით აყუდებული კიბე. მამაკაცისათვის კი, ყოჩაღიც რომ არ იყოს, დიდი არაფერია კიბით სახურავზე ასვლა. იუხანი და ნიკლასი მამას მიჰყვნენ. მათ არც პელე ჩამორჩა. მსოფლიოში ყველაზე დიდი ძაღლიც ვერ გააჩერებდა მას სამზარეულოში, როცა მამა

მილიდან მკვდარი ბუების ამოსათვრევად იდიოდა. ჩორვენიც, რომელმაც პელე თავის მეგობრად ჩათვალა, თუმცა პელემ ეს არ იცოდა, ეზოში გამოვიდა დინჯად, იქნებ რამე სამხიარულო მოხდესო.

ამბის დასაწყისი სასაცილო ეჩვენა. ბუს მილიდან ამოსათრევად ძია მელკერი ცეცხლის საჩხრეკით შეიარაღდა და კიბეზე ასვლისას კბილებით ეჭირა. «ისე მიაქვს, როგორც ბოცმანს დიდი ძვალი», _ გაიფიქრა ჩორვენმა და გამხიარულდა. იდგა გოგო ვაშლის ხის ქვეშ და გულიანად იცინოდა. მაგრამ უცებ კიბემ ვეღარ გაუძლო მელკერის სიმძიმეს და საფეხური ჩატყდა. მელკერი ცოტაზე მუცლით ჩამოხოხდა. შეშინებულმა პელემ შეჰყვირა, ჩორვენმა კი კვლავ წყნარად გაიცინა. მაგრამ მერე აღარ ეცინებოდა _ ძია მელკერი სახურავამდე აფოფხდა და ეს, ეტყობა, უფრო საშიში ყო.

მელკერიც ამასვე ფიქრობდა.

_ ცუდი სახლი არაა, მაგრამ მაღალია, _ ბურტყუნებდა თავისთვის. მერე ეჭვიც შეეპარა, ძალიან მაღალი ხომ არაა გამოუცდელი ეკვილიბრისტისათვის, რომელიც, სადაცაა ორმოცდაათისა გახდებაო.

_ თუ მივაღწიე ორმოცდაათ წლამდე, _ ლაპარაკობდა და წონასწორობის დასაცავად ხელებგაშლილი მიდიოდა სახურავის კიცურის გაყოლებით, თან თვალს არ აშორებდა სახურავში ამოჩრილ საკვამლე მილს. უცებ ქვევით ჩაიხედა და კინაღამ გადავარდა, ისე დაბლა მოეჩვენა შვილების შეშინებული სახეები.

_ რამეს ჩაეჭიდე, მამა! _ დაუყვირა იუხანმა.

მელკერი ცოტა არ იყოს გაბრაზდა და წაიბარბაცა, კაცი ჰაერში იყო გამოკიდებული და რას უნდა ჩასჭიდებოდა?! უცებ ჩორვენის გამყივანი ხმა მოესმა:

_ იცი რა? ცეცხლის საჩხრეკს ჩაეჭიდე! მაგრად ჩაეჭიდე, ძია მელკერ!

საბედნიეროდ, მელკერი სამშვიდობოს იყო გასული. მივიდა მილთან და შიგ ჩაიხედა, მაგრამ შავი სიცარიელის მეტი ვერაფერი დაინახა.

_ მისმინე, ჩორვენ, აკი მკვდარი ბუ იქნებაო?! _ დაუძახა წყენით. _ აქ ბუ არაა.

_ იქნებ ჭოტია? _ ასძახა ნიკლასმა.

მელკერი გაჯავრდა:

_ გეუბნები, არც ბუა და არც ჭოტი!

უცებ ისევ ჩორვენის გამყინავი ხმა მოესმა:

_ ბუ გინდა? მე ვიცი, სადაც იქნება, მაგრამ ცოცხალი.

გულდამძიმებულები დაბრუნდნენ სამზარეულოში.

_ მშრალ საუზმეს უნდა შევექცეთ, _ ამოიხრა მალინმა.

ყველანი ნაღვლიანად მიაჩერდნენ ღუმელს, რომელსაც არაფრით არ უნდოდა იმის გაკეთება, რაც ევალებოდა. არადა სული მისდიოდათ ცხელ საჭმელზე.

_ ესაა ცხოვრება? _ ამოიოხრა პელემ ზუსტად ისე, როგორც მამამ იცოდა.

ამ დროს ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. სამზარეულოში წითელმოსასხამიანი უცნობი ქალი შემოვიდა, ღუმელზე დადგა მომინანქრებული ქვაბი და მელკერსონებს გულითადად გაუღიმა.

_ საღამო მშვიდობისა! აი, თურმე სადა ხარ, ჩორვენ! იასეც ვიცოდი! უი, რა კვამლია! _ და პასუხისათვის არ მოუცდია, ისე განაგრძო: _ რაც კი გაგეცანით... მერტა გრანკვისტი გახლავართ, თქვენი მეზობელი. კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა!

ქალი ლაპარაკობდა და იღიმებოდა. მელკერსონებმა სიტყვის თქმა ვერ მოასწრეს, რომ ღუმელთან მივიდა და შიგ ჩაიხედა.

_ საჰაერო გაგეხსნათ, მეტი წევა ექნებოდა!

მალინი ახარხარდა, მელკერმა კი იწყინა:

_ უპირველეს ყოვლისა, სწორედ საჰაერო გავხსენი!

_ ამ წუთას დახურულია. აი, ახლა კი გავხსენი, _ თქვა მერტა გრანკვისტმა და საჰაერო ნახევარად გამოსწია. _ ეტყობა, თქვენს მოსვლამდე ღია იყო, ბატონმა მელკერსონმა კი შეცდომით დაკეტა.

_ მეტისმეტი გულმოდგინებისგან მოუვიდა, _ გაკენწლა მალინმა.

ყველას გაეცინა, თვით მელკერსაც. მაგრამ ყველაზე მეტს ჩორვენი კისკისებდა.

_ მე ვიცი, ეს მშვენიერი ღუმელია! _ დაამშვიდა მელკერსონები მერტამ.

მალინი მადლიერებით შეყურებდა სტუმარს. როგორც კი ეს უცნაური ქალი სამზარეულოში შემოვიდა, ყველას გულზე მოეშვა. ის ისეთი მხიარული იყო, მის ქცევაში იმდენი გულითადობა, ენერგია და სიმტკიცე გამოსჭვიოდა, რომ მალინმა სიხარულით გაიფიქრა; «რა ბედნიერებაა, რომ ასეთი მეზობელი გვყავს».

_ ხორცი მოგიხრაკეთ, არ იუკადრისოთ, _ ქვაბზე ანიშნა მერტამ.

მელკერს თვალებზე ცრემლი მოადგა. ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა ადამიანები კეთილად ექცეოდნენ მას და მის შვილებს.

_ ქვეყანაზე კეთილი ადამიანებიც არიან, _ ჩაიბუტბუტა გულაჩუყებულმა მელკერმა.

_ ასეთები ვართ ჩვენ, სალტკროკელები, _ გაიცინა მერტა გრანკვისტმა და ჩორვენს მიუბრუნდა, შინ წავიდეთო.

შინ მიმავალი მერტა კარებში შემობრუნდა:

_ თუ კიდევ გჭირდებათ რამე, მითხარით.

_ ოთახში მინაა გატეხილი, _ დარცხვენით უთხრა მალინმა, _ მაგრამ გვეუხერხულება ყოველ წვრილმანზე თქვენი შეწუხება.

_ ჭამას რომ მოათავებთ, ნისეს გამოგიგზავნით, _ დაპირდა მერტა.

_ ისა სვამს სალტკროკაში მინებს, _ განმარტა ჩორვენმა, _ მე და სტინა კი ვამსხვრევთ.

_ ეგ კიდევ რაღაა? _ მკაცრად ჰკითხა დედამ.

_ ძალად კი არ ვაკეთებთ, ასე გამოდის, _ მაშინვე თავი იმართლა ჩორვენმა.

_ სტინას მე ვიცნობ, _ დაიტრაბახა პელემ.

_ ჰოო? _ ჩორვენის ხმას უკმაყოფილება დაეტყო. პელე საოცრად დიდხანს დუმდა. ანდა რა უნდა ეთქვა, როცა გვერდით ბოცმანისთანა ძაღლი ედგა. პელე კისერზე ეხვეოდა და ყურში ჩასჩურჩულებდა:

_ რა კარგი ძაღლი ხარ, რა კარგი!

ბოცმანი არ უშლიდა პელეს ალერსს. ბიჭს კეთილმოსურნე, ფიქრებში ჩაძირული, ოდნავ ნაღვლიანი თვალებით უყურებდა. ყველა, ვისაც შეუძლია ჩასწვდეს ძაღლის თვალების გამომეტყველებას, იქ სამუდამო ერთგულებას წაიკითხავდა. ჩორვენი შინ უნდა წასულიყო. ჩორვენს კი, რა თქმა უნდა, ბოცმანი არ მოშორდებოდა.

_ ბოცმან, წავედით! _ უბრძანა ძაღლს და ორივენი წავიდნენ.

სამზარეულოს ფანჯარა ღია და იყო და მელკერსონებს ქვემოდან ჩორვენის ხმა მოესმათ.

_ დედა, იცი, როცა ძია მელკერი სახურავზე დადიოდა, ცეცხლის საჩხრეკზე იყო ჩაჭიდებული.

მერე მერტას პასუხიც გაიგონეს.

_ ნუ გიკვირს, ჩორვენ, ისინი ქალაქელები არიან და არ იციან, როგორ უნდა მოიხმარონ ცეცხლის საჩხრეკი.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

_ ვეცოდებით, _ თქვა იუხანმა, _ რა გვჭირს შესაცოდი!

რაც შეეხება ღუმელს, მერტა არ შემცდარა. ღუმელმა თავი არ შეირცხვინა, შეშას ტკატკუცი გაჰქონდა. მალე გაწითლდა და სამზარეულოში საოცარი სითბო დატრიალდა.

_ წმინდაა ოჯახის კერია! _ თქვა მელკერმა. _ ადამიანს არ ჰქონდა სახლი, სანამ კერია არ გააჩაღა.

_ და სანამ ის ქალი არ მოვიდა შემწვარ-მოხრაკულით... _ დაუმატა ნიკლასმა და პირი ხორცით ისე გამოიტენა, რომ მეტი ვეღარაფერი თქვა.

ისინი ისხდნენ სამზარეულოს მაგიდასთან, საჭმელს შეექცეოდნენ და ტკბებოდნენ სითბოთი და ოჯახური სიმყუდროვით. ღუმელი გუგუნებდა, გარეთ კი წვიმა შხაპუნებდა.

ბიჭებმა რომ დაძინება დააპირებს, კოკისპირულად დაასხა. მათ უხალისოდ დატოვეს თბილი სამზარეულო და ავიდნენ სხვენზე, სადაც სიცივე და ნესტი იყო, თუმცა ღუმელში ცეცხლი ისევ ენთო. პელე მალინის შალის ბლუზაში ჩაფუთნულიყო, თავზე შალის ქუდი ჩამოეფხატა და ეძინა. სიცივისაგან აკანკალებულ იუხანს ცხვირი ფანჯარაზე მიეჭყლიტა და გრანკვისტების სახლის დანახვას ლამობდა. წვიმა ეშხეფებოდა მინებს და ყველაფერს წვიმის წვეთების სქელი ფარდის მიღმა ხედავდა. «სავაჭრო დუქანი» _ წაიკითხა აბრა. შენობა დურგლისეული სახლივით წითელი იყო. ეზო ყურესაკენ ეშვებოდა, სადაც გრანკვისტებს მათნაირი ნავსაბმელი ჰქონდათ.

_ შეიძლება ხვალვე გავიცნოთ ის ბიჭები... _ წამოიწყო იუხანმა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა. მეზობელ ეზოში რაღაც უცნაური ამბავი ხდებოდა. სახლის კარი გაიღო და ეზოში ვიღაც გამოვარდა. გოგონა იყო. საბანაო კოსტიუმის ამარა, ქერა თმების ფრიალით გაიქცა ნავსაბმელისაკენ.

_ აქეთ მოდი, ნიკლას, აქ შენთვის საინტე... _ მთლად გაშტერებულ იუხანს ისევ ჩაუწყდა ხმა. ისევ გაიღო მეზობელი სახლის კარი და წვიმაში მეორე გოგო გამოვარდა, ისიც საბანაო კოსტიუმის ამარა. ისიც ნავმისაბმელისაკენ გარბოდა და მასაც უფრიალებდა გრძელი თმები. პირველმა უკვე ნაპირთან მიირბინა. ისკუპა ბოგადან და ჩაიყურყუმელავა. როგორც კი ცხვირი გამოუჩნდა წყლის ზედაპირზე, აყვირდა:

_ ფრედი, საპონი წამოიღე?

იუხანმა და ნიკლასმა ჩუმად გადახედეს ერთმანეთს.

_ ეგენია ის შენი ბიჭები, ვისი გაცნობაც ხვალ გინდოდა? _ თქვა ბოლოს ნიკლასმა.

_ ესაა საქმე! _ ძლივს ამოილუღლუღა იუხანმა.

ბიჭებს იმ ღამეს დიდხანს არ დაუძინიათ.

_ ვერ დაიძინებ, ფეხი თუ არ შეგითბა, _ ირწმუნებოდა ნიკლასი.

იუხანი დაეთანხმა. ორივენი გაჩუმდნენ.

_ მგონი, წვიმამ გადაიღო, _ წამოიწყო იუხანმა.

_ რას ამბობ, _ გაეპასუხა ნიკლასი, _ ჩემი საწოლის თავზე, პირიქით, ახლა წამოვიდა.

«ზოგიერთებს მოსწონთ, ჭერიდან თავზე რომ აწვიმთ, არიან ისეთებიც, რომ არ მოსწონთ...»

თუმცა ნიკლასს არ მოსწონდა, თავზე რომ აწვიმდა, მაგრამ არც ძალიან აწუხებდა. ის მხოლოდ თორმეტი წლისა ყო და ჯერ გულის გატეხვა არა სჩვეოდა. სამაგიეროდ, ორივე ძმამ კარგად იცოდა, მალინს იმ ღამეს აღარ დაეძინებოდა, თუ ამ ახალ უბედურებას გაიგებდა. ჰოდა, რადგან თავიანთი და ძალიან უყვარდათ და არიდებდნენ ყოველგვარ უსიამოვნებას, ნიკლასის საწოლი ფრთხილად მოაშორეს კედელს, მოწკაპუნე წვიმის წვეთებს კი ვედრო შეუდგეს.

_ წვეთების წკაპაწკუპში თვალები თავისით გეხუჭება, _ წაიდუდუნა იუხანმა, ისევ თავის საწოლში რომ ჩაწვა.

«წკაპ, წკაპ, წკაპ!».

მალინი კი იჯდა თბილ სამზარეულოში, არაფერი იცოდა ამ «წკაპ-წკაპისა», და გულმოდდგინედ წერდა თავის დღიურს. მას უნდოდა თავიდან ბოლომდე გაეხსენებინა სალტკროკაზე გატარებული პირველი დღე.

«ვზივარ აქ მარტო, _ წერდა დასასრულს, _ და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვიღაც მიყურებს: ადამიანი კი არა! სახლი... დურგლისეული კარ-მიდამო! დურგლისეულო სახლო, ძვირფასო, სიკეთე ჰქენი და შეგვიყვარე! შენ მხოლოდ მოიგებ ამ სიყვარულით. გინდა, არ გინდა, მაინც ხომ უნდა ვიცხოვროთ აქ. შენ ამბობ, ჯერ არ ვიცი, ვინა ხართო. შემიძლია გითხრა: ის მაღალი, მოუხეშავი კაცი, სამზარეულოს გვერდით, პატარა ოთახში რომ წევს და თავის თავს ძილის წინ ლექსებს უკითხავს, მელკერია... მისი უნდა გეშინოდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელში ჩაქუჩს, ხერხს ან სხვა ხელსაწყოს დაუნახავ. ისე კი კეთილი და უწყინარია. სხვენზე სამ ონავარს სძინავს. მათზე შემიძლია მხოლოდ ის გითხრა... იმედია, შენ გიყვარს ბავშვები? მაშინ არ გაჯავრდები. იქნებ მეტის თქმა არცაა საჭირო? მე მგონი, შენც მიჩვეული ხარ ამას, ალბათ, არც დურგლის ბავშვები იყვნენ ყოველთვის დამჯერენი? მხოლოდ ის, ვინც გაგიწმენდს ფანჯრებს და გაგიხეხავს იატაკს, ის, ვისაც ხელები თანდათან გაუუხეშდება შენს მოვლაში, მე ვიქნები, მალინი.

თუმცა, დარწმუნებული იყავი, ყველას დავიხმარებ. აბა როგორ! ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ აქაურობა კრიალებდეს. ნახვამდის, დურგლისეულო სახლო, ახლა, ალბათ, ძილის დროა. სხვენზე პატარა ცივი ოთახი მელოდება... მაგრამ მე ვცდილობ, რაც შეიძლება, დიდხანს გავჩერდე აქ, დაბლა, შენს სოფლურ სამზარეულოში, შენს გახურებულ ღუმელთან, იმიტომ, რომ აქ თავი შენს თბილ, ათრთოლებულ გულთან მგონია».

წერდა მალინი და უეცრად შეამჩნია... ღამე გასულიყო. ახალი, ნათელი დღე დგებოდა. ფანჯარასთან მიირბინა და გაირინდა _ განთიადის მზერით ტკბებოდა.

_ ამ ქვეყანაზე არც ერთი სამზარეულოს ფანჯრიდან... _ წაიჩურჩულა მალინმა, როცა მიხვდა, არასოდეს ეხილა ისეთი საოცარი სანახაობა, როგორიც ამ ფანჯრიდან მოჩანდა: მიწყნარებულ განთიადისწინა ზღვა, ნავსაბმელი, ნაცრისფერი ქვები ნაპირზე... ყველაფერი, ყველაფერი...

ფანჯარა რომ გამოაღო, ჩიტების გალაღებული სიმღერა შემოეგება. გალობდნენ უამრავი ჩიტუნები. ყველაზე მეტად კი კუნელზე შეფრთხიალებული, ახალგაღვიძებული, აღტაცებული შაშვის ჭახჭახი ისმოდა. საწყალი მელკერი კი ისევ წრიალებდა საწოლში და მალინს ესმოდა, მთქნარება-მთქნარებით როგორ ამბობდა აკვიატებულ ლექსს:

მზის აღმოხდომის დროა,
ნათობს ცისკარი ცაზე,
ზღვას დაფენილი შუქი
ზღვა ნეტარებით გვავსებს.

«მართლაც ასეა», _ გაიფიქრა მალინმა.

მივცურავთ, მივცურავთ თევზის შხერისაკენ

«ასე მგონია, ყოველთვის სალტკროკაზე ვცხოვრობდით, _ წერდა მალინი ერთი კვირის შემდეგ. _ მე ვიცნობ კუნძულის მცხოვრებლებს და თითქმის ვიცი, ვის რა უჭირს და ულხინს. ვიცი, რომ ნისე და მერტა ყველაზე კეთილი ადამიანებია ამ ქვეყანაზე,

განსაკუთრებით, ნისე, და ყველაზე მარჯვე, განსაკუთრებით, მერტა. მერტა ეხმარბა ნისეს, თან მუშაობს ტელეფონის კომუტატორზე და ფოსტაში, უვლის ბავშვებს, ძაღლს, უძღვება ოჯახს და კუნძულზე პირველი ეხმარება ყველას, ვისაც დახმარება სჭირდება. ჰოდა, არც გასაკვირი იყო, ჩვენთან საჭმლით სავსე ქვაბით იმან რომ მოირბინა პირველად, «ძალიან დაბნეული სახეები გქონდათ და იმიტომ მოვედიო», _ გვითხრა მერე.

კიდევ რა ვიცი? ბაბუა სიოდერმანს მუცელი «უსინდისოდ უღმუის», ასე მითხრა თვითონ, ამიტომ ყოველდღე უნდა იაროს ნორტელიეში ექიმთან.

ისიც გავიგე, რომ ვესტერმანს არ სურს, მთელი ძალ-ღონით იმუშაოს თავის მიწაზე.

_ სულ ნადირობა და თევზაობა უნდა, მთლად გამოტვინდა, _ საიდუმლოდ შემომჩივლა მისმა ცოლმა.

მერტას და ნისეს, მოხუც სიოდერმანს, ვესტერმანებს, კიდევ ვის ვიცნობ? რა თქმა უნდა, იანსონებს, რომელთაც თავიანთი მეურნეობა აქვთ. რძეს მათ ვართმევთ. საღამოობით საძოვრის გავლით რძეზე წასვლა აგარაკზე ყოფნისას ნადვილი გასართობია. კუნძულზე მასწავლებელიცაა, ახალგაზრდა ყმაწვილი ბიორნ შიობლუმი. შიობლუმი გავიცანი ხუთშაბათ საღამოს, რძეზე რომ მივდიოდი მაშინ, და, მომეჩვენა, რომ იგი _ თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს! _ სულაც არაა «წარმოუდგენლად თავხედი», როგორც იუხანი იტყოდა. პირიქით, თავაზიანი და ზრდილი ყმაწვილია. ალალი ბიჭი ჩანს.

ბავშვები კი აქ, მართლაც, გულის გასახარებლები არიან. პელე მთელი დღეები თამაშობს სტინასთან და ჩორვენთან, უმეტესად ჩორვენთან. მე მგონია, გოგოები ცოტა მეტოქეობენ კიდეც და ეჯიბრებიან ერთმანეთს: «გამეცალე, პელე ჩემიაო», _ დაობენ. მაგრამ ჩორვენი ჯობნის. განა შეიძლება სხვაგვარად იყოს? ის ხომ არაჩვეულებრივი ბავშვია, ისეთი, ყველას რომ მაშინვე მოსწონს, თუმცა არავინ იცის, რატომ. როგორც კი მისი საყვარელი სახე გამოჩნდება, გეგონება, მზემ გამოანათაო. მამა ამბობს, ამ გოგოს აქვს რაღაც პირველქმნილი ბავშვური გულწრფელობა, სიკეთე და სამართლიანობის რწმენაო. სწორედ ასეთი უნდა ყოს ყველა ბავშვი, თუმცა ცხოვრებაში ყოველთვის ასე არაა. ჩორვენი მთელ კუნძულს უყვარს. დაეხტება, სადაც მოეპრიანება, შედის, რომელ სახლშიც მოესურვება და ყველგან უხარიათ მისი სტუმრობა.

«შეხედეთ, ვინ მოვიდა!» _ ისე იტყვიან, თითქოს მისი ისვლა დიდი დღესასწაული ყოს. მაგრამ თუ ჩორვენი გაჯავრდა, _ ასეთი რამ კი მასაც ემართება, მართლა ანგელოზი ხომ არაა, _ ისეთი ქარაშოტი დატრიალდება, მტერს: ინგრევა ყველაფერი. ოღონდ გაჯავრება მალე გადაუვლის ხოლმე.

სტინა უფრო მხიარული და თვინიერია. საოცრად მომხიბლავი უკბილო ღიმილი აქვს. არ ვიცი, როგორ მოახერხა ყველა ზედა კბილის ერთად მოცვლა. ასე კია და ახლა, როცა იცინის, მისი სახე ოდნავ უხეშ, თანაც საოცრად სასაცილო გამომეტყველებას იღებს.

სტინა ყველაზე კარგი მეზღაპრეა კუნძულეზ, თავგადაკლული და უზომოდ გატაცებული. მამაც კი, რომელიც აღმართებს ბავშვებს და ძალიან უყვარს მარტო თავის შვილებთან კი არა, სხვა ბავშვებთან საუბარიც, ფრთხილად იქცევა სტინასთან. შეხვედრისას ახლა იმასაც ცდილობს, როგორმეგვერდი აუაროს. თუმცა არა ტყდება.

_ პირიქით, _ მითხრა ამას წინათ, _ არაფერი სჯობს, როცა სტინა მოდის და მიყვება თავის ზღაპრებს... და წარმოუდგენელ ნეტარებას ვგრძნობ, როცა ის, ბოლოს და ბოლოს, მიდის...

იუხანი და ნიკლასი ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრობენ. დანავარდობენ ტედისთან და ფრედისთან, ამ ორ მშვენიერ ამორძალთან ერთად. ამიტომ არც ისე ხშრიად ვხედავ ბიჭებს. განსაკუთრებით, როცა ჭურჭელია გასარეცხი. ისინი მირბიან და თან მეუბნებიან:

_ სათევზაოდ მივდივართ, უნდა ვიცურაოთ, ქოხი უნდა ავიშენოთ, ტივი უნდა შევკრათ, შხერებში მივცურავთ ბადის ჩასადგმელად.

იმ საღამოსაც სწორედ ბადე ჩადგეს, უთენია კი წავლენ ფიორდიდან მის ამოსაღებად. ხუთ საათზე ფიქრობენ წასვლას, რა თქმა უნდა, ასე ადრე თუ გაეღვიძათ».

ბიჭებს ადრე გაეღვიძათ, ზუსტად ხუთ საათზე ადგნენ, სწრაფად ჩაიცვეს და გრანკვისტების ნავსაბმელისაკენ მოკურცხლეს. იქ უკვე ტედი და ფრედი ელოდნენ ნავით. ბოცმანსაც გაღვიძებოდა, იდგა ბოგაზე და საყვედურით შესცქეროდა გოგონებს: ნუთუ ზღვაში უჩემოდ გადიხართო?

_ კარგი, ჩამოხტი, _ ნება დართო ფრედიმ. _ სად უნდა იყოს ბოცმანი, ნავში თუ არა. თუმცა თვითონ იცი, ჩორვენი ისე აბობოქრდება, კედლებს ზანზარს დააწყებინებს.

ჩორვენის სახელი რომ გაიგონა, ბოცმანი თითქოს შეყოყმანდა, მაგრამ წამით, მეორე წუთას მსუბუქად ჩახტა ნავში და აატორტმანა.

ფრედიმ ზურგზე მოუთათუნა ხელი.

_ თუ იმედი გაქვს, ჩორვენის გაღვიძებამდე დავბრუნდებიო, ტყუილად ფიქრობ, ძვირფასო ბოცმან.

ფრედი ჩაჯდა ნავში და ნიჩბებს დააწვა.

_ ძაღლებს განსჯა სად შეუძლიათ, _ თქვა იუხანმა. _ ბოცმანი არაფერსაც არ ფიქრობს. ნავში იმიტომ ჩამოხტა, რომ შენ და ტედი დაგინახათ.

მაგრამ ტედი და ფრედი ირწმუნებოდნენ, ბოცმანი ადამიანივით ფიქრობს და გრძნობს ყველაფერსო.

_ უფრო უკეთესადაც, _ თქვა ტედიმ. _ თუ გინდა დავნაძლევდეთ, რომ ამ ძაღლის გოგრაში არასოდეს არც ერთ ბოროტ აზრს არ გაუჭაჭანია, _ დაუმატა და ბოცმანს მიეალერსა.

_ შენ თვითონ რა გიდევს გოგრაში? _ ჰკითხა იუხანმა ტედის და ქერა თავში დიდივით ჩაუფაჩუნა.

_ ზოგჯერ ავი ფიქრები მიტრიალებს, _ აღიარა ტედიმ. _ აი, ფრედი უფრო კეთილია. სულ ბოცმანივითაა.

შხერამდე ერთი საათის გზა კიდევ რჩებოდა და დროის მოსაკლავად, გოგრაში ვის რა ფიქრი უტრიალებდა, იმას ირკვევდნენ.

_ ნიკლას, შენ, მაგალითად, რას ფიქრობ, როცა ასეთ რამეს ხედავ? _ ჰკითხა ტედიმ და ხელით მოხაზა მთელი სიმშვენიერე: განთიადი, ცაზე აცურებული ზაფხულის თეთრი ღრუბლები და მზის ათინათები წყალზე.

_ ჭამაზე ვფიქრობი, _ უპასუხა ნიკლასმა.

ტედი და ფრედი გაოცებულები მიაშტერდნენ.

_ ჭამაზე? რატომ მერე?

_ ყველაზე ხშირად ჭამაზე ვფიქრობ, _ ჩაიცინა ნიკლასმა.

_ ჰო, ამის გოგრაში თითო-ოროლა აზრი თუ იქნება, _ დაემოწმა იუხანი და წკიპურტი ჰკრა შუბლში.

_ აი, იუხანის გოგრაში კი იმდენი აზრია, რამდენიც კასრში ქაშაყი. ამიტომ შიგ ვეღარ ეტევიან და ნაპირებს გადმოლახავენ ხოლმე. ეს იმიტომ, რომ ძალიან ბევრს კითხულობს.

_ მეც ბევრს ვკითხულობ, _ თქვა ფრედიმ. _ ვინ იცის, იქნებ ჩემმა აზრებმაც გადმოლახონ ნაპირები. ნეტა მაშინ რას ვიგრძნობ?

_ მე კი, თუ თეოდორა ვარ, სხვაგვარი ფიქრი მიტრიალებს თავში და, თუ ტედი, სხვანაირი.

იუხანმა გაკვირვებით შეხედა.

_ თეოდორა თუ ხარ?

_ არ იცოდი? წარმოიდგინე, მე თეოდორა მქვია, ფრედის _ ფრედერიკა.

_ მამას ახირებაა, _ გაანდო ფრედიმ. _ დედამ კი ერთს ფრედი დაგვარქვა და მეორეს _ ტედი.

_ როცა თეოდორა ვარ, ოცნებასავით მშვენიერი აზრები მომდის თავში, _ თქვა ტედიმ. _ მაშინ ლექსებსაც ვწერ, აფრიკაშიც მივდივარ კეთროვნების სამკურნალოდ, კოსმონავტობაზეც ვფიქრობ _ მთვარეს პირველი მინდა ვეწვიო და რა ვიცი, კიდევ რა!

ნიკლასმა ნიჩბებთან მჯდარ ფრედის შეხედა:

_ შენ რაღა ფიქრები გიტრიალებს თავში, როცა ფრედერიკა ხარ?

_ ეგეთი რამეები არა მჩვევია, _ უპასუხა ფრედიმ, _ მე ყოველთვის ფრედი ვარ, მაგრამ ჩემი, ფრედის, ფიქრები მუდამ ეშმაკურია. გინდათ, ჩემი ბოლო ფიქრი გაიგოთ?

იუხანი და ნიკლასი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. ძალიან მოუნდათ ფრედის ბოლო ფიქრის გაგება.

_ ამ წუთას მე ვფიქრობ... ნუთუ ამ დოყლაპია ბიჭებს არ შეუძლიათ ნიჩბის მოსმა-მეთქი?

იუხანი მაშინვე ნიჩბებს მიუჯდა. თუმცა ცოტა ეშინოდა, არაფერი გამომივაო. საღამოობით ისა და ნიკლასი ჩადიოდნენ დურგლის დაჩხარულ ორჩხომელში და ნიჩბების მოსმას სწავლობდნენ. ჩუმ-ჩუმად ვარჯიშობდნენ იანსონების ყურეში, რომ სასაცილონი არ გამხდარიყვნენ, როცა ტედისთან და ფრედისთან ერთად ნავში ჩასხდებოდნენ.

_ ჩვენც გვესმის რაღაც ნავისა, თუმცა შხერებში არ ვცხოვრობთ, _ არწმუნებდა იუხანი გოგონებს პირველად შეხვედრისას. ფრედიმ დამცინავად შენიშნა.

_ ალბათ, ბავშვობაში ხის ქერქისაგან ჭრიდით ნავებს.

ტედი და ფრედი სალტკროკაზე გაიზარდნენ. სულით ხორცამდე შხერების შვილები იყვნენ, იცოდნენ ავან-ჩავანი ნავისა, ესმოდათ ზღვის, ამინდისა და ქარისა, თევზაობდნენ ბადით, სატყუარათიც და საშრობითაც. ემარჯვებოდათ სალაკასა და ქორჭილას გამოშიგვნა, ქსოვდნენ გემსართავებს და კრავდნენ მაგარ მეზღვაურულ კვანძებს. ნავს კი ერთი ნიჩბით ისე ყოჩაღად მართავდნენ, როგორც ორით. მათ იცოდნენ, სად იყო ლელიანში ქორჭილების მარჩხობები და ყურეები, სადაც, თუ ბედი გაუჭრიდათ, ქარიყლაპიებსაც იჭერდნენ. ისინი ანსხვავებდნენ ზღვის ფრინველებსი ხმას, ისიც იცოდნენ, რომელი მათგანი როგორ კვერცხს დებდა. სალტკროკაზე გარშემორტყმული

დაუსახლებელი კუნძულების, შხერებისა და სრუტეების ლაბირინთებში თავს უფრო თავისუფლად გრძნობდნენ, ვიდრე დედასთან სამზარეულოში.

ისინი არ ტრაბახობდნენ თავიანთი სიყოჩაღითა და მოხერხეუბლობით. რომ გეკითხათ, შხრებში ყველა გოგონა მათსავით მარდი იყო. ხომ არავის უკვირს, სუსხურები თათებზე საცურავი აპკით რომ იბადებიან, ხოლო ქორჭილები _ ლაყუჩებით.

_ არ გეშინიათ, რომ ლაყუჩები ამოგივიდეთ? _ ეკითხებოდა მათ დედა და ზღვიდან ამოყრიდა ხოლმე, როცა ან კომუტატორზე სჭირდებოდა დახმარება ან დუქანში. ყოველნაირ ამინდში ზღვაში ნახულობდა ის გოგოებს, რომლებიც ისევე თავისუფლად ცურავდნენ, როგორც დახტოდნენ ნავმისადგომებზე და ნავებში, ანდა დაცოცავდნენ იანსონის ყურეში დამარგილებული ადამისდროინდელი ტრალერის ანძებზე.

როდესაც მოგზაურებმა შხერს მიაღწიეს, იუხანს ხელისგულებზე ბებერები დააჯდა, კანი წიწკნიდა, მაგრამ თავი გმირად მიაჩნდა _ განა ის არ უსვამდა ნიჩბებს მთელი გზა, თანაც რა ოსტატურად! ამ ფიქრმა ბიჭი შეაგულიანა და ჩვეულებრივზე მეტად გაათამამა.

_ საწყალი ბიჭი სულ მამასა ჰგავს, _ ამბობდა ხოლმე მელკერი. _ წარამარა ეცვლება გუნება.

ახლა სწორედ მშვენიერ გუნებაზე იყო, თუმცა სხვებიც გულით მხიარულობდნენ. რაც შეეხება ბოცმანს, შესაძლოა, არც ის იყო მოწყენილი, მაგრამ მარჯვედ მალავდა ამას და ძველებურად ნაღვლიანად იყურებოდა. იქნებ თავისი ძაღლური სულის სიღრმეში მანაც იგრზნო კმაყოფილება, როცა კლდის შვერილზე გაწვა და ვესტერმანის ნავების ძველი ფარდულის მზით გაფიცხებულ კედელს მიეყრდნო ზურგით.

ის ისვენებდა, თან ბავშვებს უთვალთვალებდა, რომლებსაც ფიორდიდან ბადე ამოჰქონდათ. ისინი ისე ხმაურობდნენ და ყაყანებდნენ, რომ ბოცმანი შეშინდა, რომელიმე ხომ არ იხრჩობა და მიშველება ხომ არ უნდაო. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ამ ყიჟინით ისინი თავიანთ იღბლიან თევზაობას ზეიმობდნენ.

_ ვირთევზა! თანაც რვა ცალი, _ ყვიროდა ნიკლასი. _ მალინს გული გაუსკდება. კი ამბობდა, სადილად მოხარშული, მაიონეზმოსხმული ვირთევზა მიყვარსო, მაგრამ მთელი კვირა თევზის ჭამა ღმერთმა დაგიფაროს.

იუხანი სულ გადაირია:

_ ვირთევზაზე გემრიელი არაფერია! თქვას, ვინც არ მეთანხმება.

_ ალბათ, თვითონ ვირთევზა, _ მშვიდად უთხრა ფრედიმ.

იუხანს წუთით შეეცოდა ვირთევზა და გაახსენდა თავისი უმცროსი ძმა, რომელიც მათთან რომ ყოფილიყო, მართლა იდარდებდა.

_ ჩვენი ბედი, რომ პელე არ წამოვიყვანეთ, _ თქვა იუხანმა. _ არ მოგვიწონებდა ამ ამბავს.

ბოცმანმა თავისი ბორცვიდან უკანასკნელად მოავლო ყურადღებიანი მზერა ნავში მსხდომ ბავშვებს და, როცა დარწმუნდა, ჩემი დახმარება არ სჭირდებათო, დაამთქნარა და თათებს შუა ჩამოდო თავი. ახლა კი შეიძლება ცოტა წათვლიმოს.

და თუ მართალი იყო, რასაც ამტკიცებდნენ ტედი და ფრედი ბოცმანი ადამიანივით ფიქრობს და განიცდის ყველაფერსო, მაშინ მისი ძილისწინა ფიქრი ის იქნებოდა, ნეტავ ჩორვენმა თუ გაიღვიძა და რას აკეთებსო.

ჩორვენმა უკვე გაიღვიძა. ძილი მაშინვე გაუფრთხა, როგორც კი ბოცმანი ჩვეულ ადგილზე, თავისი საწოლის გვერდით, ვერ დაინახა. ცოტა რომ ჩაფიქრდა, ყველაფერს მიხვდა და, ზუსტად ისე, როგორც ფრედიმ იწინასწარმეტყველა, საშინლად განრისხდა.

წარბშეკრული ჩორვენი ლოგინიდან გამოძვრა. ბოცმანი მისი საკუთარი ძაღლი იყო და არავის ჰქონდა უფლება, ზღვაში გაეყვანა. ტედი და ფრედი კი სულ ასე იქცევიან, თანაც უკითხავად. ამას ბოლო უნდა მოეღოს! ჩორვენი პირდაპი რმშობლების საწოლი ოთახისაკენ გაეშურა საჩივლელად. მათ ისევ ეძინათ, მაგრამ არ შემკრთალა. მივიდა მამასთან და მოურიდებლად დაუწყო ნჯღრევა.

_ მამა, გამოიხედე, _ ეუბნებოდა გაჯავრებული. _ ტედიმ და ფრედიმ თევზის შხერში ბოცმანიც წაიყვანეს.

ნისემ გაჭირვებით გაახილა თვალი და მაღვიძარას შეხედა.

_ მერე ეს ამბავი აუცილებლად დილის ექვს საათზე უნდა მამცნო?

_ უფრო ადრე არ შემეძო, _ თავი იმართლა ჩორვენმა, _ მეც ახლა შევამჩნიე.

მეორე საწოლში მერტა აწრიალდა და ნახევრადმძინარემ ჩაიბუტბუტა:

_ ჩუმად, ჩორვენ, ნუ ხმაურობ.

მერტა მალე უნდა ამდგარიყო და ჩვეულებრივი სამუშაო დღე დაეწყო. ბოლო ნახევარი საათი, მაღვიძარას აწკრიალებამდე, ოქროდ უღირდა, მაგრამ ჩორვენს ეს არ ესმოდა.

_ მე არ ვხმაურობ, უბრალოდ ვჯავრობ, _ უპასუხა ჩორვენმა.

იმ ოთახში, სადაც ჩორვენი ჯავრობდა, ძილი ყრუს თუ შეეძლო. მერტამ იგრძნო, რომ გაბრაზებამ საბოლოოდ გამოაფხიზლა და მოუთმენლად ჰკითხა:

_ აბა, რა გაყვირებს? ბოცმანსაც ხომ უნდა ხანდახან გართობა?

ჩორვენმა თავი ვეღარ შეიკავა.

_ მე რა ვქნა, რა, _ ყვიროდა განრისხებული, _ მე აღარ მინდა გართობა? უჰ! ეს პატიოსნობაა და მეტი არაფერი!

ნისე აკვნესდა და ბალიშში ჩარგო თავი.

_ წადი, ჩორვენ! სადაც გინდა, იქ წადი, რადგან ასეთი ბრაზიანი ხარ, ოღონდ შენს ყვირილს ნუღარ გამაგონებ.

პრიდაღებული ჩორვენი ადგილზე გაქვავდა. რამდენიმე წამს ხმა არ ამოუღია. მშობლები დაიმედდნენ, საწოლ ოთახში ბოლოს და ბოლოს, ნეტარი სიჩუმე ჩამოვარდებაო. ვერ ხვდებოდნენ, რომ ჩორვენი, უბრალოდ, ძალებს იკრებდა.

_ კარგით, ეგრე იყოს! _ აყვირდა ისევ. _ წავალ აქედან! წავალ და აღარ დავბრუნდები! მერე აღარ იტიროთ, ჩორვენი აღარ გვყავსო.

მერტა მიხვდა, რომ საქმე სერიოზულ ხასიათს იღებდა და შემარიგებლად გაუწოდა ხელი.

_ ხომ არ მიგვატოვებ, პატარა ბზიკო?

_ მიგატოვებთ და უკეთესად იქნებით! _ ჩაიბურტყუნა ჩორვენმა. _ რამდენსაც გინდათ, იმდენს იძინებთ.

მერტამ უთხრა, ამ ქვეყანაზე არაფრის გულისათვის არ გვინდა მოვშორდეთ ჩვენს საყვარელ ჩორვენს, თუმცა ექვს საათზე საწოლ ოთახში შემოსვლა, სადაც დედას და მამას სძინავს, სავალდებულო არაა. მაგრამ ჩორვენი აღარ უსმენდა. მან კარი გაიჯახუნა და პერანგისამარა გავარდა ბაღში.

_ ეგენი მარტო აძინე, მეტი არაფერი უნდათ, _ ბუზღუნებდა და ვერაფერს ხედავდა მწარე ცრემლებით თვალებავსებული. მაგრამ მერე მიხვდა, რომ ძალიან ადრე ადგა: ის-ის იყო გათნდა. ჰაერს ღამის სიგრილე გამოჰყოლოდა. ბალახიც ისევ ცვრიანი იყო და შიშველ ფეხებზე შესცივდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ თოლიებს უკვე გაეღვიძათ და, ჩვეულებრივსამებრ, გამკივანი ხმით ყვიროდნენ. ერთი თოლია ფლაგშოტკზე შემომჯდარიყო და აქეთ-იქით ისეთი სახით იყურებოდა, თითქოს მთელი სალტკროკის ბატონ-პატრონი ყოფილიყოს.

ჩორვენს კი აღარ ეტყობოდა მედიდურობა. ჩაფიქრებული წყვეტდა ფეხის თითებით ბალახის ღეროებს. გული უწუხდა, უკვე ნანობდა, რომ ასე ბავშვურად მოიქცა. სახლიდან წავალო, ასე მხოლოდ პატარა ბავშვები იმუქრებიან. ეს დედამ და მამამ ჩორვენზე

ნაკლებად არ იცოდნენ. მაგრამ ახლა უკან დაბრუნება დამამცირებელი იყო. ასე იოლად ჩორვენი ამას ვერ იზამდა. გამოსავალი უნდა ენახა. ჩორვენი დიდხანს ფიქრობდა და ბევრ ბალახს წააწყვიტა თავი, სანამ უცებ არ გაუნათდა გონება. მივიდა და ღია ფანჯარაში შეყო თავი, დედ-მამას საბოლოოდ გაღვიძებოდა და იცვამდნენ.

_ მე სიოდერმანთან წავალ და მოახლედ დავუდგები, _ გამოაცხადა ჩორვენმა, კმაყოფილმა თავისი მოფიქრებით. დაე, მიხვდნენ მისი მშობლები, რომ ის კი არ ჭირვებულობდა, სერიოზულად ამბობდა.

სიოდერმანი მარტო ცხოვრობდა ფიორდის ნაპირზე თავის სახლში და სულ ჩიოდა, ძალიან მიჭირს, შინ დამხმარე რომ არა მყავსო.

_ მოახლედ არ დამიდგებოდი? _ ჰკითხა ერთხელ ჩორვენს.

მაგრამ მაშინ ჩორვენს დრო არა ჰქონდა. რა კარგია, რომ ახლა გაახსენდა: სულაც არაა აუცილებელი, დიხანს იმუშაო, მერე შეიძლება ისევ დაბრუნდე დედ-მამასთან და იყო მათი საყვარელი შვილი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ნისემ ფანჯრიდან ხელი გამოჰყო და ჩორვენს ლოყაზე მოუთათუნა:

_ მაშ, აღარ გვებუტები, შე ბზიკო, შენა!

ჩორვენმა დარცხვენით გააქნია თავი.

_ არა-ა.

_ ყოჩაღ, _ შეაქო ნისემ. _ რატომ წყრები, არ გაგიგონია, გამწყრალს ლომსაც აღარ ეამხანეგებიანო?

ჩორვენს არაფერი უპასუხია.

_ ვითომ სიოდერმანი აგიყვანს მოახლედ? _ ჰკითხა მერტამ. _ იმას ხომ სტინა ჰყავს.

ეს კი აღარ გახსენებია ჩორვენს. სიოდერმანი დამხმარედ გასულ ზამთარს იწვევდა. მაშინ სტინა არა ჰყავდა, ის თავის დედასთან ცხოვრობდა ქალაქში. მაგრამ ჩორვენი არ დაიბნა:

_ მსახურები ღონივრები უნდა იყვნენ, მე კი სწორედ ასეთი ვარ.

ჩორვენი სიოდერმანთან გაიქცა, უნდოდა, მალე გაეგებინებინა, რა ბედნიერება ეწვია, მაგრამ მერტამ შეაჩერა:

_ მოახლეები სამუშაოზე ღამის პრანგით არ ცხადდებიან.

ამაზე კი ვერაფერი უპასუხა ჩორვენმა.

სიოდერმანი სახლის წინ მიწაყრილზე იჯდა და სალაკას ბადეს კემსავდა, როცა ჩორვენმა მიირბინა.

_ ღონივრები უნდა იყვნენ, ვარალე, მე კი სწორედ ასეთი ვარ, ვარალე, _ მღეროდა ჩორვენი.

სიოდერმანი რომ დაინახა, გაჩუმდა.

_ ბაბუ, აბა გამოიცანი, ვინ დაგირეცხავს დღეს ჭურჭელს?

სიოდერმანმა ვერც კი მოასწრო დაფიქრებოდა ნათქვამს, რომ ზურგს უკან, ფანჯრიდან სტინას გაჩეჩილი თავი გამოჩნდა.

_ მე, _ თქვა სტინამ.

_ როგორ არა, _ მოუჭრა ჩორვენმა. _ შენ არა ხარ ღონიერი.

კარგა ხანი დასჭირდა ჩორვენს, სანამ ამაში სტინასაც დაარწმუნებდა. მანაც, რაღას იზამდა, დათმო. ჩორვენს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მოახლეები საქმიანობაზე. კუნძულზე ხომ არასდროს არავის ჰყოლია. მისი წარმოდგენით, ისინი იყვნენ ძლიერნი, პირდაპირ სალი კლდესავით უდრეკი არსებები, რომელთაც არ იცოდნენ, რა იყო დაბრკოლება, ისევე, როგორც იმ ყინულმჭრელებმა, ზამთარში რომ გემებს გზას უკვალავდნენ ყინულოვან ფიორდში. სწორედ ისეთივე ძალით დაიწყო ჩორვენმა ჭურჭლის რეცხვა სიოდერმანის სამზარეულოში.

_ არაფერია, ცოტა ჭურჭელი რომ დაიმტვრეს კიდეც, _ დაამშვიდა სტინა, რომელიც ხმამაღლა ატირდა იატაკზე დაყრილი დამსხვრეული თეფშების დანახვაზე.

ჩორვენს ფხვნილი არ დაუშურებია და საპნის ქაფი თავ ადგა ტაშტს. ის გულმოდგინედ რეცხავდა ჭურჭელს და მთელი ხმით მღეროდა, ასე რომ, სიმღერა სიოდერმანსაც ესმოდა. სტინა კი ცხვირჩამოსვებული იჯდა სკამზე და უყურებდა მის მუშაობას. სტინას დიასახლისივით ეჭირა თავი. ისინი დიდად ღონივრები არ უნდა იყვნენო, _ ასე აუხსნა ჩორვენმა.

_ ყოველ შემთხვევაში, ძალიან ღონივრები, ვარალე! _ მღეროდა ჩორვენი.

უცებ ახალმა აზრმა გაუნათა გონება.

_ ბლინებსაც გამოვაცხობ, _ თქვა ამაყად.

_ მერე იცი, როგორ აცხობენ? _ ჰკითხა გაკვირვებულმა სტინამ.

_ ცომს უნდა ურიო, მერე კიდევ ურიო, კიდევ... _ ასწავლიდა ჩორვენი.

მან დარეცხა ჭურჭელი და ჭუჭყიანი წყალი ფანჯრიდან მარჯვედ გადაღვარა. თურმე ფანჯრის ქვეშ სიოდერმანის კატა, მატილდა, ეფიცხებოდა მზეს. კატა წამოხტა და საპნის ქაფით დაფარული, საზარელი ჩხავილით შევარდა სამზარეულოში.

_ კატებს წყალი არ უნდა გადაასხა, _ მკვახედ უთხრა სტინამ.

_ უბედური შემთხვევაა, _ თავს იმართლებდა ჩორვენი. _ მაგრამ, რადგან გავწუწეთ, უნდა გავამშრალოთ კიდეც.

ჩორვენმა ჭურჭლის ტილო აიღო და სტინასთან ერთად კატას გამშრალება და დამშვიდება დაუწყო. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ მატილდა აღშფოთებულ იყო მათი უსინდისო საქციელით. მან ჯერ გაჯავრებით დაიფრუტუნა, მერე კი ძილი მოერია.

_ ფქვილი სადა გაქვს? _ იკითხა ჩორვენმა, როცა ბოლოს და ბოლოს ბლინებისათვის მოიცალა. _ აბა, მოიტა!

სტინამ დაუჯერა და სკამზე ავიდა. თითისწვერებზე შემდგარი ძლივს შესწვდა ზედა თაროზე შემოდებულ ფქვილის ქილას. ქილა მისთვის ძალზე მძიმე აღმოჩნდა. ეტყობა, ჩორვენმა მართალი თქვა _ სტინა არ იყო ღონიერი.

_ ვაიმე, ვერ ვიჭერ! _ წამოიყვირა სტინამ, ქილა სუსტ ხელებში შეუთამაშდა და ფქვილი იატაკზე დაიბნა. დაიბნა და ისევ მატილდას დაეყარა, რომელსაც სამზარეულოს კარადასთან მოკალათებულს ჩასძინებოდა.

_ შეხედე, სულ სხვა კატაა! _ წამოიყვირა გაოცებულმა ჩორვენმა.

მატილდა მთელი სიცოცხლე შავი იყო, ის ცხოველი კი, რომელიც ჩხავილით გავარდა სამზარეულოდან, საზარელ თვალებგადმოკარკლულ თეთრ მოჩვენებას უფრო ჰგავდა.

_ ასე მთელი სალტკროკის კატებს დააფეთებს, _ თქვა ჩორვენმა, _ საწყალი მატილდა, დღეს ბედი არა სწყალობს.

ყორანი კალე აყრანტალდა გალიაში, თითქოს მატილდას გასაჭირს დასცინისო. სტინამ გამოაღო კარი და გამოუშვა ყორანი.

_ ლაპარაკს ვასწავლი, _ წაეტრაბახა ჩორვენს, _ მალე «მომშორდი აქედანო!» იტყვის.

_ რატომ უნდა თქვას? _ ჰკითხა ჩორვენმა.

_ ასე ამბობს პელეს ბებიაც და მისი თუთიყუშიც, _ აუხსნა სტინამ.

კარებში ცნაცნობი ფიგურა გამოჩნდა. ეს პელე გახლდათ.

_ აქ რას აკეთებთ? _ იკითხა ბიჭმა.

_ ბლინებს ვაცხობთ, _ უპასუხა ჩორვენმა. _ მაგრამ ნახევარი ფქვილი მატილდას დავაყარეთ, ამით კი, მეეჭვება, რამე გამოვიდეს.

პელე სამზარეულოში შევიდა. სხვა ბავშვებივით პელესაც უყვარდა სიოდერმანთან სტუმრობა, თუმცა მთელ სალტკროკაზე არ იყო ამაზე პატარა სახლი _ ერთი ოთახი და სამზარეულო. სამაგიეროდ, აქ იმდენი უცნაური რამ იყო, აღარ იცოდი, რისთვის შეგეხედა.

ყორან კალეს გარდა, რაც პელესთვის მთავარი იყო, ბაბუა სიოდერმანს ჰქონდა კიდევ სუსხურის ფიტული, ძველი იუმორისტული გაზეთები, აკინძული დასტა-დასტად, აგრეთვე საიდუმლოებით მოცული სურათი _ შაოსან ადამიანებს ყინულზე მარხილებით მიჰქონდათ მიცვალებულები. ნახატის ქვეშ ეწერა: «ჟამიანობა». სიოდერმანს ჰქონდა აგრეთვე ბოთლი, რომელშიც პატარა იალქნიანი გემი იყო მოთავსებული. პელეს შეეძლო საათობით ეცქირა ამ ბოთლისათვის, სტინას კი არ ბეზრდებოდა მისი ჩვენება.

_ ნეტა, როგორ მოახერხეს იალქნიანი გემის შიგ ჩადება? _ უკვირდა პელეს.

_ მოახერხეს და... _ ამაყობდა სტინა, _ ამას ბებიაშენიც ვერ იზამს.

_ როგორ იზამს, ამაზე ძნელი ქვეყანაზე არაფერია, _ კვერი დაუკრა ჩორვენმა, _ ერთი შემხედეთ!

ბავშვებს გემიც დაავიწყდათ და ბოთლიც, ჩორვენს რომ შეხედეს. ის იდგა შუა ოთახში, თავზე ყორანი ეჯდა. ეს იყო ზღაპრული, წარმოუდგენელი სანახაობა და ბავშვებმა ერთხანს ხმა ვერ ამოიღეს.

ჩორვენი გრძნობდა, როგორ ჩაასო ყორანმა კლანჭები ხუჭუჭ თმაში, მაგრამ მაინც ნეტარებით იღიმებოდა.

_ ოჰ, ნეტა თმაში კვერცხი დამიდოს!

მაგრამ პელემ იმედი გაუცრუა.

_ კალეს სად შეუძლია?! მაგისი ცოლი რომ იყოს, სხვა საქმეა! ეგ არ იცი?

_ მერე რა მოხდა. თუ იმის თქმას მოახერხებს: «მომშორდი აქედანო», კვერცხის დადებასაც ისწავლის.

პელემ ოცნებით შეხედა ყორანს და ამოიოხრა:

_ მეც მინდა რამე მხეცი მყავდეს. მარტო ბზიკები რას მეყოფა!

_ სადა გყავს? _ ჰკითხა სტინამ.

_ დურგლისეული სახლის სახურავის ქვეშ მიუკრავთ ბუდე. მამა ერთხელ უკვე დაკბინეს.

კმაყოფილმა სტინამ თავისი უკბილო ღიმილით გაიღიმა.

_ მე კი ბევრი ცხოველი მყავს: ყორანი, კატა, ორი ბატკანი.

_ რას ტრაბახობ! ისინი შენი კი არა, ბაბუა სიოდერმანისაა, _ დაუტია ჩორვენმა.

_ მაინც ჩემია. სანამ ბაბუასთან ვცხოვრობ, ჩემია! _ არ დაუთმო სტინამ. _ მიიღე?

ჩორვენმა წყენით შეიკრა შუბლი:

_ მე კი ძაღლი მყავს, თუ ის საძაგლები როდისმე დააბრუნებენ შინ.

მისი ძაღლი, მისი ბოცმანი სწორედ იმ წუთას მხიარულად დასეირნობდა მარტოდმარტო კუძულზე. ის ეგრეთ წოდებული საძაგლები კი ვერც ამჩნევდნენ მის არყოფნას.

დილა მშვენივრად გაატარეს, პირდაპირ შესანიშნავად. «ჯერ ვიბანაოთ», _ შესთავაზა ბავშვებს ტედიმ, და მათაც იბანავეს. წყალი ისეთი იყო, როგორიც ივნისს შეეფერება. მხოლოდ თორმეტი-ცამეტი წლის გადარეული ყმაწვილები თუ ჩავლენ ნებაყოფლობით ასე გაყინულ წყალში. ისინი სწორედ ასეთი გადარეულები იყვნენ და არც სიცივით სიკვდილისა ეშინოდათ. პირიქით, ცხოვრობდნენ და ხარობდნენ. ყიჟინით ცვიოდნენ კლდიდან ზღვაში, ყვინთავდნენ. ცურავდნენ, თამაშობდნენ, ჭყუმპალაობდნენ, სანამ მთლად არ გალურჯდნენ სიცივისაგან. ძალიან რომ შესცივდათ, კლდეზე უქარო მხარეს კოცონი გააჩაღეს, ცეცხლს გარს შემოუსხდნენ და იგრძნეს, რომ მათ ძარღვებშ ჩქეფდა ყველა ინდიელის, ყველა მონადირის, ყველა პირველაღმომჩენის, ქვის ხანის ყველა ადამიანისა და სხვა დანარჩენი წინაპრების სისხლი, რომლებიც აი, ასევე თბებოდნენ კოცონთან იმ დროიდან, რაც დედამიწაზე ადამიანი გაჩნდა. ისინი თავადაც იყვნენ მეთევზეები, მონადირეები, მოგზაურები და ცხოვრობდნენ ადგილობრივ მკვიდრთა თავისუფალი ცხოვრებით დაბურულ ტყეში. თავიანთ ნადავლს ნაკვერცხლებზე წვავდნენ. თავს კი დასტრიალებდათ მერცხლები, თოლიები და ჩვამები, რომლებიც შემზარავად ყიოდნენ: კუნძულზე შემწვარი ვირთევზა ჩვენია, მხოლოდ ჩვენიო. მაგრამ დამპყრობლები მშვიდად ისხდნენ კოცონის გარშემო, გემრიელად ჭამდნენ შემწვარ ვირთევზას და წარმოუდგენელი ყიჟინით აყრუებდნენ მთელ კუნძულს. «ყვა, ყვა, ყვა!» _ ყვიროდნენ ისინი ყვავების აფორიაქებული გუნდივით და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს-ეს არის შექმნეს საიდუმლო კლუბი საიდუმლო სახელით: «ოთხი სალტკროკელი». ახლა კი ისხდნენ და იფიცებოდნენ, ამ ამბავს მარად საიდუმლოდ შევინახავთო. მაგრამ ისეთი საბრძოლო ყიჟინა ედგათ, მათი ამბავი საიდუმლოდ არ შეინახებოდა: მერცხლები, თოლიები და ჩვამები ყურს უგდებდნენ მათ ჟრიამულს და აშკარად არ მოსწონდათ.

«ყვა, ყვა, ყვა», _ ისმოდა კუნძულების, შხერებისა და ფიორდების თავზე. მეტის გარჩევა კი აღარ შეიძლებოდა, დანარჩენი იყო საიდუმლო, სრულიად საიდუმლო, ზესაიდუმლო.

კოცონი უკვე ჩაქრა და დაინაცრა, ისინი კი ისევ იწვნენ მზით გახურებულ კლდეზე და ქაქანებდნენ თავიანთ საიდუმლოებაზე, რა წამსაც მოვიცლით, მაშინვე ავასრულოთო, ამბობდნენ. დრო გადიოდა. ივნისის მზე უხვად უგზავნიდან ნორჩ მოგზაურებს თავის

სითბოს და ისინიც ნეტარებდნენ მთელი არსებით. ზაფხული მათთვის იყო მშვენიერი, ენით აუწერელი ბედნიერება.

ამ განცხრომაში იყვნენ ბავშვები, სანამ ფრედიმ ფიორდში მოდრეიფე ნავი არ შენიშნა. ნავი ნაპირიდან შორს ირწეოდა ზღვაში და ძლივსღა მოჩანდა, მაგრამ მაინც გაარჩიეს, რომ შიგ არავინ იჯდა.

_ საოცარია რანაირად მიაბამს ხოლმე ზოგი ნავს, _ გაუკვირდა იუხანს. ტედი ისე წამოხტა, თითქოს საშინელმა აზრმა გაუელვა თავშიო.

_ ჰო, მართლაც გასაოცარია, _ თქვა, როცა ირგვლივ მიმოიხედა. კლდის ნაპრალი, სადაც მათ ნავი შეათრიეს, ცარიელი იყო.

ტედიმ მკაცრად შეხედა იუხანს.

_ მიკვირს, როგორ მოახერხე ნავის ასე მიბმა.

როცა ისინი კუნძულთან მიცურდნენ, იუხანმა თქვა, მე მივაბამ ნავს, ვიცი, როგორც უნდაო.

_ საოცარია, აბა რა, როცა შვილი გაჭრილი ვაშლივითა ჰგავს მამას, _ ამბობდა ხოლმე მალინი იუხანზე. _ საოცარია, მაგრამ ფაქტია.

შორს, ზღვაში მზის სხივებზე ბრწყინავდა მათი ნავი. ფრედი კლდის ქიმზე აძვრა და ნავს ხელი დაუქნია.

_ ნახვამდის, ნახვამდის, ნავო! მოკითხვა გადაეცი ფინეთს!

კიბორჩხალასავით გაწითლებული იუხანი შეწუხებული შეჰყურებდა ამხანაგებს.

_ მე ვარ ყველაფერში დამანშავე, _ ამოღერღა შემცბარმა. _ ძალიან ხართ ჩემზე გაბრაზებული, არა?

_ არა უშავს, _ დაამშვიდა ტედიმ, _ ეგეთი რამე ვის არ მოსვლია.

_ მერე აქედან რითი წავალთ? _ იკითხა დაბნეულმა ნიკლასმა, რომელიც ძალიან ცდილობდა, შიში როგორმე დაემალა.

ტედიმ მხრები აიჩეჩა.

_ უნდა დავიცადოთ, სანამ ვინმე არ ჩაგვივლის ნავით, თუმცა, შეიძლება რამდენიმე კვირა მოგვიხდეს ლოდინი. ტედის ძალიან უნდოდა, შეეშინებინა ბიჭები.

_ თუ მაგდენ ხანს დავრჩით, ბოცმანი შიმშილით მოგვკვდომია და ეგაა, _ თქQვა იუხანმა. მას არაერთხელ ენახა ამ ძაღლის მგლური მადა.

ახლაღა გაახსენდათ ბოცმანი. ნეტა, საით წავიდა? დიდი ხანია, თვალი აღარ მოუკრავთ.

ფრედიმ დაუძახა:

_ ბოცმან!

ძაღლი არ გამოჩნდა. ახლა ყველა აღრიალდა. დამფრთხალი თოლიები ფრთების შრიალით გაიფანტნენ. ბოცმანი კი არა და არ ეხმიანებოდათ.

_ აღარც ძაღლი, აღარც ნავი, _ თქვა ტედიმ. _ აბა, კიდევ რა გვაკლია?

_ საჭმელი, _ მიამატა ნიკლასმა.

ფრედიმ ამაყად მიუთითა ზურგჩანთაზე, რომელიც კლდის ნაპრალში ჰქნდა დამალული.

_ აი, ეს მესმის! მთელი ზურგჩანთა ბუტერბროდები და კიდევ ვირთევზა! ისიც შვიდი ცალი!

_ რვა, _ შეუსწორა იუხანმა.

_ გეშლება, ერთი უკვე შევჭამეთ, _ გაახსენა ფრედიმ.

_ მაინც რვაა, _ დაიჟინა იუხანმა, _ მეც მიმათვალეთ, ჩემზე მსხვილი ვირთევზა ჩრდილოეთის შხერებში არ შეგხვდებათ.

ბავშვები დაბნეულები იდგნენ. დღეს დაეკარგა თავისი ელვარება. ყველას სახლში მოუნდა წასვლა.

_ მგონი... წამოიწყო ტედიმ და სახე კიდევ უფრო მოეღრუბლა. _ მგონი, ზღვაზე ბურუსი წვება.

იმავ წამს ბავშვებს ფიორდიდან ძრავის გუგუნი მოესმათ. ჯერ სუსტი, მერე კი თანდათან უფრო გასაგონი.

_ ვაშა, ეს ბიორნის მოტორიანი ნავია, ვაშა! _ აყვირდა ფრედი და ტედისთან ერთად სიხარულისაგან ველურივით ხტრუნვა-ყვირილი დაიწყო. _ შეხედეთ, ბიორნს ჩვენი ნავი ბუქსირით მოჰყავს!

_ ბიორნი ვინაა? _ იკითხა ნიკლასმა. ბავშვები თვალებგაფართოებული უყურებდნენ მოახლოებულ მოტორიან ნავს.

ტედიმ ხელი დაუქნია მენავეს. ეს იყო მზეზე გარუჯული სასიამოვნო გარეგნობის ჭაბუკი. მისი სახე თითქოს ჩრდილოეთის მკაცრი ბუნების მტკიცე საჭრისით იყო გამოკვეთილი. გარეგნულად მეთევზეს ჰგავდა და ნავიც ნამდვილი მეთევზეების შესაფერისი ჰქონდა.

_ გამარჯობა, ბიორნ, _ დაუძახა ტედიმ. _ დაბარებულივით მოხვედი. ჩვენი მასწავლებელია, _ მიუბრუნდა ახლა ნიკლასს.

_ მერე... სახელი დაუძახე _ იკითხა გაკვირვებულმა ნიკლასმა.

_ ყველა ასე ეძახის, _ უთხრა ტედიმ, _ თანაც ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ.

მოტორიანმა ნავმა სვლა შეანელა და მიცურდა კლდესთან, სადაც ბავშვები იდგნენ.

_ აჰა, თქვენი ნავი, _ ბიორნმა ტედის ბაგირის ბოლო ესროლა, რომლითაც მათი ნავი მოტორიან ნავზე იყო მიბმული. _ ასე მარჯვედ აბამთ ნავს?

ტედის გაეცინა.

_ როგორც მოგვხვდება, ისე ვაბამთ.

_ გეტყობათ, მაგრამ, გირჩევთ, მაგას გადაეჩვიოთ. საეჭვოა, მეორედაც მოვიდე თქვენი დანჯღრეული ნავის დასაჭერად.

მერე დაარიგა ბავშვები.

_ ახლავე წადით შინ! ბურუსი გვიახლოვდება. თუ გინდათ, შინ მიასწროთ, იჩქარეთ!

_ შენ საით? _ ჰკითხა ფრედიმ.

_ მე კურდღლის შხერში უნდა შევიარო, _ უპასუხა ბიორნმა. _ თორემ ბუქსირით წაგიყვანდით.

ბიორნი ისევ ზღვაში გავიდა. ძრავას გუგუნი თანდათან იკარგებოდა.

ბოცმანი რომ მათთან ყოფილიყო, მაშინვე შინისაკენ გაემგზავრებოდნენ და მელკერს აღარ მოუწევდა იმ საღამოს დამამშვიდებელი აბების ყლაპვავ. მაგრამ რას იზამ, ცხოვრება უამრავი წვრილი და მსხვილი ფათერაკისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთში ბარდასავითაა ჩახლართული. ჩვეულებრივ, ქარიყლაპიას შეუძლია მოგაყენოს დიდი უსიამოვნება და აიძულოს მელკერ-უფროსისნაირი მამაკაცები ყლაპონ დამამშვიდებელი აბები.

ეს ჩვეულებრივი ქარიყლაპია კი არც ისე პატარა იყო. კარგა მოზრდილი მტაცებელი თევზი ორი კილოგრამი მაინც იქნებოდა. ბოცმანმა შხერში სერინობისას გაიცნო. თუმცა ნაცნობობა მხოლოდ იმით ამოიწურა, რომ ბოცმანი ნაპირზე, გრანიტის ლოდზე გაშეშდა, ქარიყლაპია კი ფიროდის მარჩხობზე და მთელი საათის განმავლობაში ერთმანეთისთვის თვალი არ მოუშორებიათ. აქამდე ძაღლს არასოდეს უგრძვნია ქარიყლაპიას უაზრო თვალების ცივი მზერა, თავის სიცოცხლეში არასოდეს უნახავს ასეთი უცნაური ცხოველი და ამიტომ ადგილიდან ვერ იძროდა. ქარიყლაპია კი ისე უყურებდა, თითქოს ფიქრობდა: «მიყურე, შე ფიტულო, რამდენიც გინდა, მიყურე, ვერ შემაშინებ. მანამ დავრჩები აქ, სანამ არ მომწყინდება».

აი, სწორედ ამ ქარიყლაპიას გულისთვის დაიკარგა იმდენი ძვირფასი დრო და კარგა ხანი გავიდა, ვიდრე ბავშვები ძაღლთან ერთად ნავში ჩასხდებოდნენ, სადაც წინასწარ ჰქონდათ ჩალაგებული შვიდი ცალი ვირთევზა, ბადე, ზურგჩანთა და საბანაო კოსტიუმები. ამასობაში ნისლი კიდევ უფრო დაბლა ჩამოწვა. უზარმაზარი უფრომო ღრუბლები ირეო და ზღვის ზემოთ. ბავშვები შხერს არ იყვნენ გაცილებულები, რომ თვალგაუვალ ნაცრისფერ ბურუსში გაეხვივნენ, რომელმაც ისინი თავის ნესტიან გულში ჩაიკრა.

_ ასეთი რამ მხოლოდ სიზმარში ხდება, _ უკვირდა იუხანს.

_ ყოველ შემთხვევაში, ასეთი სიზმარი საჩემო საქმე არაა, _ თავისი თქვა ნიკლასმა.

სადღაც შორიდან ისმოდა სასიგნალო სირენის მოგუდული ხმა, ირგვლივ კი მდუმარება და სიჩუმე მეფობდა. მოსწონდა ეს თუ არა ნიკლასს, მათ გარშემო მაინც უდაბურებასა და შიშს ზარს დაესადგურებინა, სწორედ ისე, როგორც კოშმარულ სიზმარებშია ხოლმე.

ნისლში გზა დაებნათ

სალტკროკაში კი ისევ მზე ანათებდა და მლკერი ბაღში მერხებსა და მაგიდებს ღებავდა. რა ხანია მღებავობა აღარ დასჭირვებია! _ სწორედ ბავშვობის მერე, საღებავიტ სასტუმრო ოთახის შპალერზე ციცქნა ავი გნომი რომ დავხატეო, _ შესჩიოდა მალინს.

ჰოდა, უნდა აენაზღაურებინა ყველაფერი.

_ ახლა მღებავობა ადვილია, _ ეუბნებოდა მელკერი შვილს. _ ხელის პულვერიზატორიც კმარა. სწრაფადაც ღებავს და ლამაზადაც.

_ დარწმუნებული ხარ? _ ჰკითხა ქალიშვილმა.

მალინმა თავიდანვე გააფრთხილა ნისე გრანკვისტი, რომ არაფრით არ მიეყიდა თავისი დუქნიდან მელკერისთვის ის ნივთები, რომლებთან მისი ახლო მიშვებაც კი არ შეიძლებოდა.

_ არც ცელი მიჰყიდოთ, არც ნაჯახი და არც შამფური, _ სთხოვა ნისეს.

_ არც შამფური? _ გაუკვირდა ნისეს. _ შამფურმა რა უნდა დაუშავოს?

_ გეცხოვრათ მასთან ერთჭერქვეშ ცხრამეტი წელი და ეგრე არ ილაპარაკებდით, _ უპასუხა მალინმა. _ თუმცა შამფური შეიძლება მიჰყიდოთ, მაგრამ წინასწარ იზრუნეთ,

რომ დუქნის თაროებზე ბლომად ეწყოს პირველი დახმარების პაკეტები და სისხლის დენის შემაჩერებელი საშუალებანი. მალინს დაავიწყდა გაფრთხილება, არც სამღებრო პულვერიზატორი მიჰყიდოთო, და ახლა ბავშვივით ბედნიერი მელკერი იმიტომ რწყავდა საღებავით ბაღის მერხს, რომელიც, ალბათ, მას მერე არ შეუღებავთ, რაც მხიარულმა დურგმალმა გააკეთა.

ჩორვენმა ორი გრძელი საათის ერთგული და უმწიკვლო სამსახურის შემდეგ უარი თქვა მოახლის ადგილზე. ახლა სამივენი _ ჩორვენი, პელე და სტინა უკან დასდევდნენ ძია მელკერს. რა კარგია მღებავობა! ისინი წარამარა სთავაზობდნენ დახმარებას.

_ ნუ გადამეკიდეთ, _ ეუბნებოდა მათ მელკერი. _ ეს ჩემი სათამაშოა, ჩემი თამაშის დროც დადგა.

_ ძია მელკერ, შენ მღებავი ხარ? _ ჰკითხა ჩორვენმა.

მელკერმა საღებავი მიათქრიალა სკამს.

_ არა, რატომ, მაგრამ, ხომ იცი, ნამდვილ მამაკაცს ყველაფრის კეთება უნდა შეეძლოს.

_ მერე შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ? _ დაინტერესდა ჩორვენი.

_ რა საკითხავია! _ მამას გამოექომაგა პელე.

_ ნამდვილად! _ დაეთანხმა კმაყოფილი მელკერი. _ რაც მართალია მართალია, ნამდვილზე ნამდვილი მამაკაცი ვარ.

იმავე წამს ზუზუნით მოფრინდა ბზიკი, ერთი იმათთაგანი, პელეს რომ თავისად მიაჩნდა. ერთხელ უკვე დანესტრილი მელკერი უცებ ჩადგა მოფარიკავის პოზაში და მოზუზუნე მწერს პულვერიზატორი მიუშვირა. მერე რა მოხდა, ძნელი გასაგებია. საერთოდ, მის ფათერაკებს ვერასოდეს გაუგებდი თავსა და ბოლოს.

მალინმა მამის ყვირილი გაიგონა და ფანჯარასთან მიირბინა. მელკერი ბაღში იდგა თვალდახუწული, სახე საღებავის სქელი ფენით ჰქონდა დაფარული. «ნამდვილმა მამაკაცმა» მოახერხა ისე შენიღბულიყო, რომ კარგად მორთულ ტორტს დამსგავსებოდა. «ტორტს თუ მატილდას», _ გაიფიქრა ჩორვენმა და ჩუმად გაიცინა. პელე ატირდა. მაგრამ მელკერს საფრთხე არ ელოდა. დროზე მოიფიქრა თვალების დახუჭვა და ახლა თვალებდახუჭული ფრთხილად მიაბიჯებდა სამზარეულოსაკენ, მალინი მიშველისო. ის მიდიოდა ხელებგაფარჩხული, თავაწეული, რომ საღებავი ხალათის საყელოში არ ჩასვლოდა და მალინიც მალე მიხვედრილიყო, რა შეემთხვა მამამისს ამჯერად.

ორიოდე ნაბიჯიც არ გაევლო, ხეს დაეჯახა.

ეს იყო მხიარული დურგლის დარგული და მოვლილ-ნალოლიავები ვაშლის ხე. მელკერსაც შეუყვარდა ეს ხე, მაგრამ ახლა ისე გაშმაგებულმა იყვირა, რომ მალინმაც კი, მიჩვეულმა მისი გრძნობების ბობოქარ გამოვლენას, ვაიო, დაიძახა.

პელე კიდევ უფრო მწარედ ატირდა, სტინაც ასლუკუნდა. ჩორვენი კი კინაღამ დაიხრჩო სიცილისაგან. მან დაინახა, რომ მელკერის თეთრად შეღებილ სახეს ისე მიეკრა ხავსი და ფუთქური, როგორც მწვანე ნუშის ნაფხვენები ნაღების ტორტს. მაგრამ თავისი სიცილით ძია მელკერისათვის ზედმეტი ტანჯვა რომ არ მიეყენებინა, ამჯობინა, სახლს მოფარებოდა და იქ ეჯერებინა გული.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა მალინმა პირი მობანა და თვალები ბორის მჟავათი ამოწმინდა, მელკერმა ვაშლის ხის მოჭრა გადაწყვიტა.

_ ხეებითაა აქაურობა სავსე! _ ყვიროდა გამწარებული. _ წავალ ნისესთან და ნაჯახს ვიყიდი.

_ დიდი მადლობა, _ შეაჩერა მალინმა, _ მეყოფა, წუთით მაინც დამასვენე.

რა იცოდა, რომ იმ დღეს მთლად დაკარგავდნენ მოსვენებას. უსიამოვნება იმით დაიწყო, რომ მელკერმა იუხანი და ნიკლასი მოისაკლისა.

_ ბიჭები სად არიან? _ ჰკითხა მალინს.

_ შხერებში, არ იცი?! _ უპასუხა მალინმა. _ ოღონდ კარგა ხანია უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ეს საუბარი რომ გაიგონა, ჩორვენმა ტუჩები გაბუსხა.

_ მეც ასე ვფიქრობ. ტედი და ფრედი, ის სულელები, ბოცმანთან ერთად აქამდე უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ახლა ეტყობა, ნისლი შეუშლით ხელს.

მელკერმა გადაწყვიტა, რამდენიმე დღით გადაედო მერხების შეღებვა. იჯდა პარმაღზე და თვალებს ახამხამებდა. თუმცა ბორის მჟავათი ამოწმინდეს თვალები, მაინც ისე ეწვოდა, თითქოს შიგ ქვიშა ჩაუცვივდაო.

_ რა ნისლზე ლაპარაკობ? _ ჰკითხა ჩორვენს. _ ისეთი კაშკაშა მზეა, თვალის გახელა ჭირს.

_ აქ კი, _ უპასუხა ჩორვენმა, _ მაგრამ იფნის კუნძულის იქით, ფაფასავით სქელი ნისლია ჩამოწოლილი.

_ მართალია, ბაბუამაც ასე თქვა, _ დაუდასტურა სტინამ. _ მე და ბაბუამ ყველაფერი ვიცით, რადიოს ვუსმენთ ხოლმე.

დაახლოებით ორი საათის შემდეგ მელკერს დააწყებინა ძლიერი ციებ-ცხელება, ასე ეძახდა მალინი მის ნერვიულ შეტევას. ასეთი რამ არაერთხელ მოსვლია და ახლაც გაუმეორდა, როგორც მალინი ელოდა.

მალინი მამას ვაჟკაცად თვლიდა. მალინსავით არავის შეეძო ელაპარაკა მისი სულის სიმხნევეზე, რადგან ბევრჯერ ენახა ცხოვრების გადამწყვეტ მომენტებში. ზოგიერთს, შეიძლება, მელკერი სუსტი და ბავშვური, ზოგჯერ კი სასაცილოც ეჩვენებოდა გარეგნულად. სინამდვილეში იგი სულ სხვაგვარი ადამიანი იყო, ძლიერი და უდრეკი ყველაფერში, რაც თავად მას ეხებოდა. მაგრამ როცა რაიმე საფრთხე ემუქრება შვილებს, ადამიანი გონებას კარგავს.

ახლაც ის ტიროდა იუხანსა და ნიკლასზე. თუმცა, სანამ სულ დაკარგავდა ჭკუას, სამჯერ წავიდა ნისესთან და მერტასთან.

_ არა, კი არ მეშინია... _ მორიდებული ღიმილით ბოდიშობდა პირველი მისვლისას.

_ თქვენი შვილები მიჩვეულნი არიან ზღვას, ასე რომ, მათზე არ ვშიშობ, _ არწმუნებდა ცოლ-ქმარს, როცა მეორედ მივიდა, _ მაგრამ რომ წარმოვიდგენ, იუხანი და ნიკლასი როგორ ფართხალებენ იმ ფაფაში... _ მელკერმა ხელი გაიშვირა ნისლისკენ, რომელმაც უკვე სალტკროკამდე მიაღწია და დააფეთა მელკერი.

_ ჩემი გოგონებიც ხომ მათთან ერთად ფართხალებენ იმ ფაფაში, _ მის დამშვიდებას შეეცადა ნისე.

როცა გულამოვარდნილი მელკერი მესამედ შევარდა დუქანში, ნისემ სიცილით ჰკითხა:

_ რითი შემიძლია დღეს გემსახურო? მაქვს მშვენიერი შამფურები. ერთიც რომ გაგივარდეს ხელიდან, ფეხებს მოგამტვრევს და მაშინ სხვა საზრუნავი გაგიჩნდება.

_ გმადლობთ, არ მინდა შამფურები, _ უპასუხა მელკერმა უხერხული ღიმილით. _ როგორც გეუბნებოდი... კი არ მეშინია, მაგრამ დრო არაა, განგაში ავტეხოთ და მაშველი რაზმი გამოვიძახოთ?

_ ეგ რაღაზე? _ დაინტერესდა ნისე.

_ იმიტომ, რომ მეშინია, _ უპასუხა მელკერმა.

_ ნახა რა, მიზეზი! _ თქვა ნისემ. _ ან მაშველი რაზმი რას დაინახავს ამ წყვდიადში? ან, საერთოდ, რა დაემართება ბავშვებს? ნისლი მალე გაიფანტება. ზღვაც საოცრად წყნარია.

_ ჰო, ზღვა წყნარია, _ დაეთანხმა მელკერი, _ მეც რომ ეგრე ვიყო...

მთლად განერვიულებული მელკერი ნავსაბმელისაკენ წაჩანჩალდა, მაგრამ იქ ნისლის ნაცრისფერი, უფრომო ბოლქვები დაინახა, ზღვიდან ტალღებივით რომ მოგორავდა მისკენ და შეძრწუნებული მთელი ძალით აყვირდა:

_ იუხან! ნიკლას! სადა ხართ? ჩქარა შინ დაბრუნდით!

მისემ, რომელიც უკან მისდევდა, მეგობრულად დაარტყა მხარზე ხელი.

_ ძვირფასო მელკერ! თუ ასე გაიხეთქე გული, შხერებში ვერ იცხოვრებ. აქ რომ დგახარ და გაჰყვირი, როგორც სირენა უამინდობაში, მაგითი რა შეიცვლება? უმჯობესია, მერტასთან წავიდეთ, თითო ფინჯანი ყავა დავლიოთ და ფუნთუშები დავაყოლოთ.

მაგრამ მელკერს არავითარი ყავისა და ფუნთუშების გაგონება არ უნდოდა. ნისეს სასოწარკვეთილი თვალებით მისჩერებოდა.

_ იქნებ, ნისლის გადაწმენდამდე თევზის შხერზე მოიცადონ? როგორ ფიქრობ? ან იქნებ, ვესტერმანის ფარდულში სხედან, იქ თბილად და მყუდროდ არიან. თქვი, თქვი, რას ფიქრობ, _ ევედრებოდა ნისეს. ნისე დაემოწმა, ჰო, მეც ასე ვფიქრობო. მაგრამ ამ დროს ნისლიდან რახრახით ამოყურყუმელავდა ბიორნის მოტორიანი ნავი და ბოგას მიებჯინა. კურდღლის შხერიდან დაბრუნებულმა ბიორნმა მთლად დაამსხვრია მათი იმედები; თევზის შხერზე ბავშვები არ არიან, ახლა ვიყავი და ყველგან ვეძებეო.

მელკერი დუდუნით წალასლასდა სახლისაკენ. მეტის გამოკითხვა ვეღარ გაბედა, შეეშინდა, მისი აკანკალებული ხმა არ შეემჩნიათ. სახლშიც არაფერი უთქვამს მალინისათვის. პელე და მალინი ოთახში ისხდნენ. პელე ხატავდა, მალინი ქსოვდა. კედელზე თანაბრად წიკწიკებდა ძველებური ამერიკული საათი. ღუმელში წითლად ღუოდა ნაკვერჩხალი, ოთახში საოცარი სიწყნარე იყო.

რა მშვენიერი, რა უშფოთველი იქნებოდა ცხოვრება, ბავშვებს რომ ზღვაზე მარცხი არ მოსვლოდათ.

მელკერი დივანზე დაეშვა და გაიტრუნა. მხოლოდ დროდადრო ოხრავდა. მალინი გამომცდელად შეხედავდა ხოლმე. კარგად გრძნობდა, რა ცეცხლი ტრიალებდა მამის გულში და ელოდა ძლიერი ციებ-ცხელების ახალ შემოტევას. აი, მაშინ იქნებოდა საჭირო მის დახმარება. ჯერჯერობით კი შეეძლო, წყნარად მჯდარიყო და ექსოვა.

მელკერი ვეღარავის ამჩნევდა, ვერც მალინს, ვერც პელეს _ მათთან არაფერი ესაქმებოდა. ახლა ის ფიქრობდა, მხოლოდ ვაჟიშვილებზე, რომლებიც სიცოცხლისათვის ებრძოდნენ ზღვას. მელკერი მათ უფრო გარკვევით ხედავდა, ვიდრე მალინსა და პელეს. ისინი სულ სხვადასხვანაირად იქცეოდნენ. ხან ნავის ფსკერზე იწვნენ ცოცხალ-მკვდრები

შიმშილისა და სიცივისაგან, ხან სუსტი ხმით ეძახდნენ მამას. ხან ტალღებს ერკინებოდნენ და მთელი ძალ-ღონით ცდილობდნენ, როგორმე კლდოვან კუნძულზე გასულიყვნენ. ბიჭები ფრთხილად ებღაუჭებოდნენ გრანიტის შვერილებს და სასოწარკვეთილები ევედრებოდნენ მამას, გვიშველეო. მაგრამ, აი, დაეტაკებოდათ აქაფებული ტალღა _ ან საიდან მოდიოდა, როცა ზღვა ასე წყნარი იყო! _ და ბიჭებს ისევ ზღვის სიღრმეში მიათრევდა. ისინი იხრჩობოდნენ, მათი თმები წყალმცენარეებივით იკლაკნებოდა წყლის ზედაპირზე. ღმერთო! რატომ არ რჩებიან ბავშვები სულ პატარებად, რატომ არ შეიძლება სულ სილაში ითამაშონ ნიჩბითა და ვედროთი. მაშინ ხომ მშობლებს ამდენი დარდი არ შეხვდებოდათ!

მელკერი ასე გულსაკლავად ოხრავდა, სანამ ბოლოს და ბოლოს მალინი და პელე არ გაახსენდა. მერე კი თავის შეკავებას შეეცადა.

მან პელეს ნახატს შეხედა. ცხენი ეხატა, რომლის დრუნჩიც საოცრად წააგავა მოხუცი სიოდერმანის სახეს. სხვა დროს მელკერს აუცილებლად გაეცინებოდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ეს თქვა:

_ ხატავ, ბიჭი? შენ, მალინ, ქსოვ, არა?

_ ჰო, ნიკლასს სვიტერს ვუქსოვ, _ უპასუხა მალინმა.

_ რა თქმა უნდა, გაუხარდება, _ უპასუხა სულშეგუბებულმა მელკერმა. თუმცა იცოდა, რომ ნიკლასი ზღვის ფსკერზე განისვენებდა და აღარასოდეს დასჭირდებოდა სვიტერი. ნიკლასი, ნიკლასი, მისი კარგი ბიჭი. წარმოგიდგენიათ, ორი წლისა რომ იყო, ფანჯრიდან გადმოვარდა და მაინც ცოცხალი გადარჩა. მელკერი მაშინვე მიხვდა, რომ ასეთ ბედნიერებს საამქვეყნო პირი არა აქვთ. «აქ კი ეს პელე თვალში მეჩხირება», _ გაახსენდა უცებ უმცროსი შვილი და უკმაყოფილოდ შეხედა, თითქოს ის იყო დამნაშავე ზღვის ტალღებმა უფროს ძმებთან ერთად რომ არ ჩაყლაპეს.

მაგრამ პელე საოცრად ჭკვიანი ბიჭი იყო და გაცილებით მეტი ესმოდა, ვიდრე მელკერს და მალინს წარმოედგინათ. უსმინა, უსმინა მამას მძიმე ოხვრას და სახატავი გვერდზე გადადო. იცოდა პელემ, რომ ზოგჯერ უფროსებსაც სჭირდებათ ალერსი და დამშვიდება. ამიტომ უჩუმრად მივიდა მელკერთან და კისერზე შემოხვია ხელები.

ატირდა მელკერი, პელე გულში ჩაიკრა და მწარედ, ჩუმად ატირდა, თავმიბრუნებული, რომ პელეს ცრემლები არ დაენახა.

_ ყველაფერი კარგად იქნება, _ ამშვიდებდა პელე მამას. _ ახლავე წავალ და ვნახავ. გაიფანტა თუ არა ბურუსი.

ბურუსი, პირიქით, კიდევ უფრო ჩამოსქელებულიყო კუნძულის თავზე. პელემ ნაპირზე კენჭი იპოვა _ პატარა ყავისფერი კენჭი, მთლად მრგვალი და პრიალა, და ჩორვენს აჩვენა.

იმ ნისლში ჩორვენიც ზღვის ნაპირზე დახეტიალობდა. მოსწონდა ასეთი ამინდი, სავსე მოულოდნელი ფათერაკებით. თუმცა ამჯერად თავს ობლად გრძნობდა _ მასთან არ იყო ბოცმანი, რომელიც სადღაც ჩაიკარგა ნაცრისფერ ბურუსში.

_ შეიძლება ეს ჯადოსნური ქვაა, _ თქვა პელემ. _ მუჭაში ჩაიმალავ, სურვილს ჩაუთქვამ და აუცილებლად შეგისრულდება.

_ ძალიან ბევრი სურვილი შემიძლია ჩავუთქვა. ოღონდ ჯერ შენ ჩაუთქვი ორი კილო კანფეტი. ვნახოთ, შეგისრულდება თუ არა.

პელემ ჩაიფრუტუნა:

_ ნახა რა, ჩასათქმელი! რამე მართლა სანატრელი უნდა ჩაუთქვა და მაშინ შესრულდება!

მერე მომუშტული ხელი გაჭიმა და საზეიმოდ ჩაუთვა თავისი ყველაზე სანუკვარი სურვილი.

_ მინდა, ჩემი ძმები მალე დაბრუნდნენ ამ ვერაგი ზღვიდან.

_ და ბოცმანიც დაბრუნდეს, _ დაუმატა ჩორვენმა. _ ჰო, კარგი, ტედი და ფრედიც დაბრუნდნენ. ისინი ერთ ნავში სხედან, ამიტომ ერთი სურვილი ეყოფა ყველას.

მოსაღამოვდა, მაგრამ ივნისის საღამოსავით ნათელი და მოწმენდილი როდი იყო, არამედ მქრქალი და დაბინდული. ნისლით მოიბურა ფიორდები, შხერები და კუნძულები. ბურუსში გაეხვია ყველაფერი: ფარვატერი და გემები, რომლებიც ნელა მისრიალებდნენ ზღვაზე და საგანგაშო საყვირით აფრთხილებდნენ ყველა შემხვედრს. ბურუსის ტყვე იყო აგრეთვე გრანკვისტების პატარა კარჭაპი, თუმცა კარგა ხანია, სახლის გვერდით ნავსაბმელთან უნდა ექანავა ტალღებზე.

ცეცხლო, ცეცხლო გუზგუზავ.
აელვარე ალი,
აგვიდუღე ჩაი.
ზღვის ტალღებზე გედივით
ჩანს სანდალი სამი...

_ მღეროდა ფრედი.

_ ეჰ, მე ერთსაც ვერა ვხედავ, _ ტედიმ წუთით შეწყვიტა ნიჩბების მოსმა. _ ეტყობა, ძალიან პატარებია. ნეტავ დიდი ხანია, რაც მივცურავთ, როგორ გგონიათ?

_ თითქმის ერთი კვირაა, _ უპასუხა იუხანმა, _ ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება.

_ ეჰ, რა იქნებოდა, რუსეთში რომ მივცურებულიყავით, _ თქვა ნიკლასმა, _ თუმცა, ალბათ, აღარც ბევრი გვიკლია.

_ ნამდვილად, _ დაეთანხმა ტედი. _ ვუსვამთ და ვუსვამთ ნიჩბებს. სწორი კურსით რომ მივცურავდეთ, დღის ორ საათზე ნაღდად ჩავუვლიდით ჩვენს ნავსაბმელს და იანსონის საძოვართან ვიქნებოდით თავთხელში.

ოთხივეს გაეცინა. ბოლო ხუთი საათი წარამარა იცინოდნენ. რა თქმა უნდა, შეციებულები ისევ და ისევ უსვამდნენ ნიჩბებს, ცოტა კინკლაობდნენ კიდეც. ჭამდნენ ბუტერბროდებს, მღეროდნენ, უხმობდნენ მშველელს და ისევ მიცურავდნენ, ლანძღავდნენ ბურუსს, ოცნებობდნენ სახლში დაბრუნებაზე და მაინც იცინოდნენ და იცინოდნენ. ამიტომ იყო, რომ დაღუპვის მთელ საშინელებას ისინი კი არ განიცდიდნენ, არამედ მელკერი.

მაგრამ მოსაღამოვდა და სიცილის ხალისიც თანდათან გაუქრათ. სულ უფრო მეტად სციოდათ, უფრო მოშივდათ, საშველი კი არსად ჩანდა. ზღვას კვლავ ბურუსის საფარველი ეხურა, თუმცა ივნისში ჯანღმა მალე იცის ხოლმე გაფანტვა. ეს ნისლი კი, თითქოს ჯიბრზე, მათ თავისი დაბინდული კლანჭებიდან არ უშვებდა, თითქოს ენანება განშორებაო. სულ რომ არ გაყინულიყვნენ, ბავშვები მონაცვლეობით უსვამდნენ ნიჩბებს, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით თბებოდნენ. არც ნიჩნბების მოსმაა მაინცდამაინც სახალისო, როცა არ იცი, საით მიცურავ. შესაძლოა, მკლავის ყოველი მოქნევა ღია ზღვაში მიაქანებდათ. ამის გაფიქრებაც კი ზარავდათ. ზღვა წყნარი იყო. მაგრამ უცებ ეს საძულველი ბურუსი, რომელიც, მზად იყვნენ, ნაფლეთებად ექციათ, რომ გაფანტულიყო და მის მაგიერ ქარს დაებერა? ისიც ძლიერ ქარს და ისინი პატარა კარჭაპით გაშლილ ზღვაში აღმოჩენილიყვნენ, აი, მაშინ ნახავდნენ თავიანთ სეირს.

_ შხერი აქ იმდენივეა, რამდენიც კასრში ქაშაყი. მაგრამ არა მგონია, რომელიმეს დავეჯახოთ, _ თქვა ფრედიმ.

ოი, როგორ ენატრებოდათ მიწაზე ფეხის დადგმა. მაგრამ ახლა ამაზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა. პაწაწინა კუნძული _ მეტი არაფერი უნდოდათ. სულ არაა საჭირო,

ლამაზი ან რამით ღირსშესანიშნავი იყოსო, _ ირწმუნებოდა ტედი, _ დაე, იყოს სულ უბრალო კუნძული, დაფარული ღვიის ბუჩქებითა და ნაძვებით. მათ მაინც შეეძლებოდათ ნაპირზე გადასვლა, კოცონის ანთება, მერე კი იმასაც გაიგებდნენ, სად მიიყვანა დინებამ, მონახავდნენ რამენაირ თავშესაფარს, შეხვდებოდნენ ადამიანებს, თანაც ძალიან კეთილებს, რომლებიც გამოუტანდნენ ცხელ კაკაოსა და თბილ ბლინებს.

_ ბოდავს! _ შეაწყვეტინა ოცნება იუხანმა.

მაგრამ გემრიელ საჭმელზე ბოდვა ყველას მოეწონა. ერთმანეთს აღარ აცლიდნენ ლაპარაკს. მათი აგზნებული წარმოსახვა ხელიდავდა გუფთით, ტოლმით, ბიფშტექსით, შნიცელითა და სოსისით სავსე ოთხთვალებს.

_ არც სოკოიანი ომლეტი იქნება ურიგო, _ თქვა ფრედიმ.

ყველამ მოიწონა ომლეტი. ამაში ბოცმანიც დაეთანხმათ, იმიტომ, რომ მოწონებით წამოიღრინა, მანამდე კი მთელი გზა დუმდა _ როგორც ნამდვილად ჭკვიანი ძაღლი, ბოცმანი არ იწონებდა ამ ბავშვურ წამოწყებას. მაგრამ რას იზამ, როცა ამ უთავბოლო ხალხს მოწონს ასეთი უაზრო გართობა!

ამიტომ ბოცმანი ჭკვიანი ძაღლის მოთმინებითა და ღირსებით წყნარად იწვა ნავის ფსკერზე.

_ საწყალი ბოცმანი, _ შეეცოდა ფრედის, _ ჩვენზე მეტად შია, ამას ხომ ჩვენზე დიდი მუცელი აქვს.

ბავშვები ძაღლს უნაწილებნდენ ბუტერბროდებს. როცა ისიც გაუთავდათ, ვირთევზა შესთავაზეს, რაზეც მან ზრდილობიანად თქვა უარი.

_ გასაგებია, _ თქვა იუხანმა. _ შიმშილით რომ ვკვდებოდე, ვერც მე შევჭამ უმ თევზს.

_ ნუთუ ზურგჩანთაში სულ აღარაფერი დარჩა? _ იკითხა ტედიმ.

_ ერთი ბოთლი წყალი, _ უპასუხა ფრედიმ.

ერთი ბოთლი წყალი! ცხელ კაკაოზე, ბიფშტექსზე და ბლინებზე ოცნების შემდეგ. ერთი ბოთლი წყლის ამარა დარჩენილებს თავი მათხოვრები ეგონათ.

დიდხანს ისხდნენ ასე გულჩაკლულები. ნიკლასი ფიქრობდა, რა იყო ადამიანისათვის უარესი: სიცივით სიკვდილი თუ შიმშილით. ახლა მას ყველაზე მეტად სიცივე აწუხებდა. არ შველოდა სქელი ქურთუკი. ბიჭი ძვლებამდე გაიყინა. უცბად გაახსენდა თავიანთი კოცონი თევზის შხერზე. თითქოს ის სულ სხვა ცხოვრებიდან იყო, ისე წარმოუდგენელი ეჩვენებოდა ახლა. მას ჯიბეში შენახული ასანთის კოლოფი

გაახსენდა, ამოიღო და გაფიჩხული თითებით აანთო. ღერი სუფთა, დაბალი ალით იწვოდა. ნიკლასმა ზედ ხელი გადააფარა, რომ წამით მაინც ეგრძნო მისი სითბო.

_ ასანთის გამყიდველი გოგონასავით[7] თბები? _ ჰკითხა ფრედიმ.

_ როგორ მიხვდი? _ გაუკვირდა ნიკლასს. მაგრამ იმავ წამს რაღაც დაინახა.

_ რა დევს მანდ, კიჩოზე? შემთხვევით სპირტის პრიმუსი ხომ არა?

_ უი, მართლა, _ წამოიძახა ტედიმ. _ ნეტა ვის დაავიწყდა?

_ ალბათ, მამას, _ გაახსენდა ფრედის. _ გუშინწინ დედა და მამა ბადეს დგამდნენ ზღვაში. დედა იმით დაიყოლია, რომ ნავში ყავის მოდუღებას შეპირდა. გახსოვს, ტედი?

_ რა იქნება, ჩვენც რომ... _ წამოიწყო ნიკლასმა.

_ ყავა არა გვაქვს, _ უპაუსხა ტედიმ. _ მარტ ოწყალი რას გვიშველის.

ნიკლასი ჩაფიქრდა. ცხელი წყალი ხომ ათბობს. მათ კი ახლა ყველაზე მეტად გათბობა სჭირდებათ. ისევ მიიხედ-მოიხედა. რა იქნა სახაპავი, რომლითაც წყალს იღებდნენ ნავიდან? ეს იყო ჩვეულბრივი სპილენძის ჩამჩა, მაგრამ ქვაბის მაგივრობას თავისუფლად გასწევდა. ნიკლასმა მეგობრებს გეგმა გააცნო და ისინიც თვალს არ აშორებდნენ, სანამ პრიმუსი არ გააჩაღა და სახაპავში ბოთლიდან წყალი არ ჩაასხა.

«ცეცხლო, ცეცხლო გუზგუზავ, აელვარე ალი...» _ წამოიმღერა ფრედიმ.

უცბად იუხანს გონება გაუნათდა.

_ მოდით, სახაპავში თევზი მოვხარშოთ!

ტედიმ აღტაცებით შეხედა.

_ ნამდვილი გენიოსი ხარ!

ნავში მუშაობა გაჩაღდა. თავბრუდამხვევი სისწრაფით გაწმინდეს და გარეცხეს თევზები, დაჭრეს ნაჭრებად და მთელი საათი, სანამ უხა იხარშებოდა, თავს ბედნიერად გრძნობდნენ. უხას მომზადებას დიდი ხანი მოუნდა, იმიტომ, რომ სახაპავში თითო მოხარშვაზე მხოლოდ ოთხი ნაჭერი ეტეოდა.

ბოლოს ბავშვებმა თევზი სულ მოხარშეს და დიდი სიამოვნებით შეყლაპეს. თუმცა ყველაზე მეტი ბოცმანს აჭამეს, თვითონაც საკმარისი ერგოთ.

_ წარმოგიდგენიათ, _ უკვირდა ფრედის, _ თურმე შეიძლება ერთ იჯრაზე შეჭამო უმარილო ვირთევზას ოთხი ნაჭერი და გეგონოს, ამაზე გემრიელი არაფერი მიჭამიაო.

---

[7] დანიელი მწერლის, ჰ. ქ. ანდერსენის ზღაპრის _ «პატარა გოგონა და ასანთის» _ გმირი.

_ რატომაც არა, _ უთხრა იუხანმა. _ შეიძლება დალიო თევზის ბულიონი და, გემრიელიაო, თქვა, მაგრამ, ცხადია, ეს გაჭირვებისაა.

ბავშვები გამოცოცხლდნენ, როცა ეს ყუათიანი, ცხელი თევზის ნახარში დალიეს და მისი სითბო სხეულში ჩაეღვარათ. უკვე ადვილი გადასატანი იყო გაჭირვება. იმედიც დაუბრუნდათ: იქნებ რამე მოხდეს, გაიფანტოს ბურუსი ან კატარღა გამოჩნდეს და შინ წაგვიყვანოსო, ანდა ყველაფერი სულაც სიზმარი გამოდგეს, გამოგვეღვიძოს და შინ აღმოვჩნდეთო.

დრო გადიოდა, ნისლი კვლავ ბოლავდა ზღვაზე. კატარღა არსად ჩანდა. მათი მდგომარეობა ნაკლებად წააგავდა სიზმარს, იმიტომ, რომ სიზმარში ასე საშინლად არ იყინებიან. თევზის წვნიანის სითბო ცოტა ხანს ეყოთ, პრიმუსიც, კარგა ხანია, ჩაუქრათ. კვლავ შეეპარათ სიცივე და მასთან ერთად დაღლილობა და უიმედობა. უაზრობაა რაიმეს მოლოდინი. ისინი ბურუსის ტყვეები იქნებიან მთელი ღამე და იქნებ სამუდამოდაც.

უცებ ფრედიმ ყური ცქვიტა, შეფრთხიალდა და ფეხზე წამოხტა.

_ უსმინეთ, უსმინეთ! _ აყვირდა გახარებული.

სადღაც ნისლში მოტორი თუხთუხებდა. ყველანი სმენად იქცნენ, თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა. როცა გამოერკვნენ, აყვირდნენ. ეს შეიძლებოდა ბიორნის ან სხვა ვინმეს მოტორიანი ნავი ყოფილიყო, მაგრამ ვინც არ უნდა მჯდარიყო შიგ, როგორმე უნდა მოეხერხებინათ, შეუმჩნევლად არ ჩაევლო.

მოტორიანი ნავი უახლოვდებოდათ. აქვე იყო, გვერდით. ისინი ყვიროდნენ და ყვიროდნენ, სანამ ხმა არ ჩაეხრინწათ. ჯერ დიდი სიხარულისაგან, მერე კი... წყენისა და სასოწარკვეთისაგან. სიმწრისაგან სულშეგუბებულები ისხდნენ და უსმენდნენ თანდათან როგორ შორდებოდათ, ბოლოს კი როგორ მიწყდა მოტორიანი ნავის თუხთუხი. ზღვაზე ჩამიჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ ნისლი იწვა ირგვლივ. ბავშვებმა ფარ-ხმალი დაყარეს და ნავის ფსკერზე ბოცმანის გვერდით გაწვნენ, რომ ცოტათი მაინც ეგრძნოთ მისი სხეულის სითბო.

დედამიწაზე ვერსად ნახავ სალტკროკელ ნისე გრანკვისტის დუქანზე უფრო მშვიდ კუთხეს. იმიტომ კი არა, რომ არავინ დადის და სიწყნარეა, პირიქით, იქ იკრიბებიან სალტკროკისა და მეზობელი კუნძულების მცხოვრებნი. ისინი მოდიან საყიდლებისთვის, ახალ ამბებზე სალაპარაკოდ, ფოსტის წასაღებად და ნათესავ-მეგობრებთან დასარეკად. იქ ძგერს სალტკროკის გული. ხალხმა შეიყვარა მერტა და ნისე მათი მხიარული ხასიათის,

გულწრფელობისა და გულისხმიერებისათვის. ყველა კარგად გრძნობდა თავს ერთი ბეწო დუქანში, სადაც ყავის, ხმელი ხილის, ქაშაყის, საპნისა და სხვა საბაყლო საქონლის სასიამოვნო სუნი ტრიალებდა... დუქანში დაღამებამდე ირეოდა ხალხი, იდგა გუგუნი, დროდადრო კი ცხარე კამათი ატყდებოდა ხოლმე სალტკროკულ ამბებზე. ბოლოს და ბოლოს ყველა წყნარდებოდა და ყველაფერი კეთილად მთავრდებოდა, იმიტომ, რომ ნისეს დუქანი ყველაზე მშვიდი კუთხეა ამ ქვეყანაზე.

იმ საღამოს კი საქმე სხვაგვარად დატრიალდა. იმ საღამოს იქ დაისადგურა ცრემლმა, შიშმა და უიმედობამ. ვინაიდან მელკერს ძლიერი ციებ-ცხელება ჰქონდა და დუქანში ისე ხმაურობდა, როგორც არ უხმაურია კუნძულის ყველა მცხოვრებს ერთად.

_ დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები! _ ყვიროდა გამწარებული. _ სასწრაფოდ უნდა გამოვიძახოთ მთელი ჩრდილოეთის სადარაჯო კატარღები, სალოცმანო სადგურებისა და შუქურების მორიგეები, სასწრაფო დახმარების ვერტმფრენები და თვითმფრინავები. ახლავე! ამ წუთში!

მელკერი თვალმოუშორებლა დშესცქეროდა ნისეს, თითქოს ის იყო მოვალე, პირადად გაეყვანა ზღვაში მთელი ეს არმადა.

_ მამი, დაწყნარდი! _ შეევედრა მალინი.

_ რა დამაწყნარებს, როცა, სადაცაა, დავობლდები! _ თავს იკლავდა მელკერი. _ ესე იგი, მე მინდოდა მეთქვა... თვითონ იცით, რაც მინდოდა მეთქვა, თუმცა შეიძლება უკვე გვიანაა. არა მგონია, ახლა რომელიმე ცოცხალი იყოს.

მელკერის გვერდით იდგნენ და ჩუმად უსმენდნენ აღელვებული ნისე, მერტა, მალინი და ბიორნ შიობლუმი. ახლა ნისეს და მერტასაც არანაკლებ შეეშინდათ. ისინიც ხომ ჩვეულებრივი მშობლები იყვნენ! არაჩვეულებრივი იყო მხოლოდ სქელი ნისლი ივნისის თვეში. კუნძულზე არავის ახსოვდა ამის მსგავსი არაფერი.

_ ოჰ, რა ბრიყვი ვარ, _ ნანობდა ბიორნი, _ რატომ მაშინვე არ გამოვიყოლე ბავშვები, როცა ნავი მივუყვანე.

მას სინდისი ქენჯნიდა და უბედურ მშობლებთან ერთად სალტკროკაზე, დუქანში დარჩა, თუმცა კარგა ხანია შინ, ნორსუნდში უნდა დაბრუნებულიყო.

მაგრამ მარტო სინდისის ქენჯნა და უბედური მშობლების სიბრალული არ აჩერებდა სალტკროკაზე. თვალი არ უნდოდა მოეშორებინა მალინისათვის, რომელიც დღეს ძალიან სერიოზული იყო და სულ არა ჰგავდა რამდენიმე დღის წინ ნანახ მხიარულ, აღტაცებულ ქალიშვილს. ჩუმი და უმწეო მალინი იდგა დუქანში და მამის ვიშვიშს უსმენდა. ხელის

დაღლილი მოძრაობით გადაიყარა შუბლიდან ქერა თმა და ბიორმა დაინახა მისი მწუხარებისაგან ჩამუქებული თვალები. ძალიან შეეცოდა. რატომ არ შეუძლია მელკერს თავს მოერიოს, როცა ქალიშვილი ასე ყოჩაღობს.

ნისე დაუკავშირდა სადარაჯო კატარღას ფიჭვის სრუტეში და მომხდარი ამბავი აცნობა. ეს იმიტომ კი არ ქნა, რომ ბავშვების სიცოცხლეს საფრთხე ელოდა, არა, უბრალოდ არ იყო სასიამოვნო, მთელი ღამე ბავშვები ნისლში დარჩენილიყვნენ.

_ ერთი სადარაჯო კატარღა გვიშველის? _ ბრაზობდა მელკერი.

ის მოითხოვდა, რომ მთელი სკანდინავიის მაშველი რაზმები დაძრულიყვნენ ივნისის ამ ნისლიან საღამოს ახლომახლო შხერებისაკენ. ნერვიულობისა და ყვირილისაგან ქანცგაწყვეტილი, ფერმიხდილი და დატანჯული მელკერი კარტოფილის ტომარაზე ისე მოწყვეტით დაეშვა, მერტას გულწრფელად შეეცოდა.

_ აბი დაგალევინოთ? _ ჰკითხა თანაგრძნობით.

_ დიახ, გმადლობთ, თუნდაც მთელი კოლოფი.

მელკერს საერთოდ წამლებისა არა სჯეროდა, მაგრამ ახლა შხამსაც დალევდა, ოღონდ ცოტა დამშვიდებულიყო და სული მოეთქვა. მერტამ თეთრი აბი გაუწოდა. იგი ისევე მოიქცა, როგორც სხვა დროს: აბი ენაზე დაიდო და წყალი დააყოლა ჟრჟოლით. მერე? _ წყალი გადაყლაპა, აბი კი ისევ ენაზე დარჩა. ეს არც გაკვირვებია, იმიტომ, რომ აბის გადაყლაპვისას ყოველთვის ასე ემართებოდა. მან მეორედაც სცადა, მაგრამ ვერაგი აბი ისევ ენაზე დარჩა, საშინლად მწარე და საზიზღარი.

_ მეტი წყალი დააყოლე, _ უბრძანა მალინმა. მელკერმაც დააყოლა, მაგრამ დიდი ყლუპი მოუვიდა და წყალი, თითქოს ჯიბრზე, სასულეში გადასცდა. წყალს აბიც მიჰყვა.

საშინელი ხველა აუტყდა მელკერს. ამ დროს აბი პირიდან გამოუვარდა და ცხვირის წვერზე მიეკრა, საიდანაც აღარ მოშორებია. მელკერს კი დამშვიდება არა და არ ეტყობოდა.

მალინი მთელი საღამო თავს იკავებდა, მაგრამ უეცრად იგრძნო, რომ, სადაცაა, ატირდებოდა. იმიტომ კი არა, მამას ცხვირზე აბი რატომ მიეკრაო, არა, უბრალოდ, გამოსავალი არსად ჩანდა. არ უნდოდა მამას დაენახა მისი სისუსტე და ქუჩაში გავარდა. როგორც კი მის უკან კარი მიჯახუნდა, თვალებიდან ცრემლეიბ წასკდა. ახლა ტირილი შეიძლებოდა, უკვე ვეღარავინ ხედავდა. კედელს მიყრდნობილი მალინი ჩუმად ტიროდა.

აქ იპოვა იგი ბიორნმა.

_ შეიძლება რამეთი დაგეხმაროთ... _ უთხრა თანაგრძნობით.

_ თანაგრძნობას ნუ გამოიჩენთ, თორემ ცრემლად დავიღვრები და წყალდიდობა არ აგვცდება.

_ მეტს არაფერს გეტყვი, _ აღუთქვა ბიორნმა, _ მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა კარგი ხარ, მაშინაც კი, როცა ტირი.

ბოლოს ბიორნი ნორსუნდში წასასვლელად გაემზადა. იქაურ სკოლაში ახლომახლო კუნძულებიდან დადიოდნენ ბავშვები მისგან ჭკუის სასწავლებლად, ისიც იქვე, სახურავქვეშ, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. სალტკროკიდან თავის სახლამდე ბიორნი ათ წუთში მიდიოდა. მალინმა დაინახა, როგორ გაუჩინარდა იგი ქვევით, ნავსაბმელთან.

_ დილით მოვიფიქრებთ რამეს, _ დაუყვირა ბიორნმა, _ დამიჯერე!

მალე ფიორდიდნა მისი მოტორიანი ნავის თუხთუხი მოისმა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბავშვებმა ნავში სწორედ ეს ხმა გაიგონეს, მაგრამ მაშინვე ჩაინთქა ბურუსში.

_ არა, უკვე მოთმინებას ვკარგავ, _ თქვა იუხანმა და ნავის ფსკერიდან წამოდგა, სადაც ბოლო ნახევარ საათს ბოცმანთან ჩახუტებული იწვა.

_ შენ რა, ზღვაში გინდა გადავარდე? _ ძლივს ამოღერღა სიცივისაგან აკანკალებულმა ნიკლასმა.

_ არა, უახლოეს ნავსაბმელამდე უნდა მივაცურო ნავი და იქ გადმოგსვათ, _ ხმაში რიხი გაურია იუხანმა.

გალურჯებულმა ფრედიმ ახედა:

_ გმადლობთ, მაგრამ სადაა ეგ ნავსაბმელი?

იუხანი კბილს კბილზე აცემინებდა.

_ არ ვიცი, მაგრამ ან მივაღწევ, ან ნიჩბებს დავაკვდები. ვერ მოვითმენ, რომ ამ ქეციანმა ბურუსმა თავის ნებაზე გვატაროს და ზღვაში დაგვაბას.

იუხანი ნიჩბებთან გადაჯდა. ბურუსი ზედ ბამბის სქელ ფენასავით ეკვროდათ. ო, როგორ სძულდა იუხანს ეს ბურუსი იმის გამო, რომ თავის ჩრდილოეთის ზღვაში, თუ, საერთოდ, საიდანაც მოსულიყო, ისევ იქ არ ბრუნდებოდა.

_ მაცალე, გიჩვენებ სეირს, _ ბუტბუტებდა გაშმაგებული.

ისე ელაპარაკებოდა ბურუსს, თითქოს მისი პირადი მტერი ყოფილიყოს. აი, ხუთიოდეჯერ მთელი ძალით მოუსვა ნიჩბები და ნავი ქვებს მიაწყდა.

_ რახ-რახ-რახ! ნავსაბმელია! _ წამოიძახა ტედიმ.

მაგრამ ეს ნავსაბმელი კი არა, უბრალოდ ზღვის ნაპირი იყო. რამდენი საათი გაატარეს ფიორდში, ნაპირამდე კი თურმე ნიჩბის ხუთი მოსმაღა ყოფილა!

_ შეიძლება გაგიჟდეს ადამიანი, _ თქვა ტედიმ.

ბავშვები გიჟებივით გადმოცვივდნენ ნაპირზე. ყვიროდნენ, ხტოდნენ.

ბოცმანი ყეფდა. თითქოს ყველამ დაკარგა ჭკუა: წარმოგიდგენიათ, მათ ფეხქვეშ მყარი მიწა იყო!

მაგრამ რომელი მიწა? შეიძლება ის კუნძულია, სადაც მათ ცხელი ბლინებით გაუმასპინძლდებიან? ან იქნებ უკაცრიელი შხერია, სადაც ნაძვის ხის ქვეშ მოუწევთ ღამის თევა?

ტედი ახლახან ოცნებობდა ღვიითა და ნაძვის ხეებით დაფარულ უბრალო პატარა კუნძულზე. ოცნება შეუსრულდა. რამდენადაც ნისლიან ბინდბუნდში შეიძლებოდა გარჩევა, ირგვლივ მხოლოდ წიწვიანი ბუჩქნარი და კაჭარი ჩანდა. მაგრამ სანამ ღია ცისქვეშ ღამის გათევას გადაწყვეტდნენ, ჯერ თავშესაფარს დაუწყეს ძებნა. იუხანმა ნავი ნაპირთან მიაბა და დაიფიცა, შიგ აღარ ჩავჯდებიო. მერე ბავშვები თავიანთ მძიმე გზას გაუდგნენ. ისინი ჯიუტად მიჰყვებოდნენ ნაპირს, მიუხედავად გზაზე გადაღობილი ნაშალი ქვებისა და ღვიის ბუჩქებისა.

_ მებადურის ძველი ფარდული მაინც შეგვხვედროდა სადმე, _ ინატრა ტედიმ.

_ რუსეთში თუ არის ნეტავ? _ იკითხა იუხანმა. ბიჭი ისევ გაამაყდა და გადიდგულდა. განა მან არ გადმოსვა ყველანი ნაპირზე?

_ თქვენ ოღონდ მითხარით და მოგინახავთ ღამის გასათევ სახლს, _ ირწმუნებოდა სერიოზულად.

იუხანი წინ მიდიოდა და თავს მეთაურად თვლიდა. ეს იყო ლაშქარობა უცნობ, უვალ მხარეში, სადაც ყოველ მოსახვევთან გამოუცნობი ხიფათი ელოდათ. ასეთ დროს უმეთაურობა შეუძლებელია და ისიც სათავეში ჩაუდგა რაზმს.

მან პირველმა შემოუარა კონცხს და გაოცებული ადგილზე გაქვავდა. პირდაპირ მის წინ ხეთა კენწეროებიდან სახლის სახურავი მოჩანდა.

_ ესეც სახლი! _ წამოიძახა გახარებულმა.

ყველანი იუხანს მისცვივდნენ. მანამ პირველაღმომჩენის სიამაყით დაანახა მეგობრებს თავისი ნაპოვნი.

_ ინებეთ, აი, სახლი! შეიძლება სახურავამდე ცხელ-ცხელი ბლინებითაა სავსე.

უეცრად ტედი და ფრედი აკისკისდნენ თავშეუკავებლად, შვებით. გოგონების მხიარული სიცილით დამთავრდა ეს საშინელი თავგადასავალი ნისლში; ნიკლასი და

იუხანიც ახარხარდნენ გოგონებთან ერთად, თუმცა, თვითონაც არ იცოდნენ, რატომ იცინოდნენ.

_ ნეტა მაინც რა სახლია? _ იკითხა ნიკლასმა.

_ თვალები მოიფშვნიტე და დაინახავ, _ უთხრა ტედიმ. _ ეს ხომ ჩვენი სკოლაა!

გრანკვისტები და მელკერსონები შუაღამემდე აღარ დაწოლილან. ჩორვენმა და პელემ ჩვეულებრივად დაიძინეს, მაგრამ მალე წამოყარეს ლოგინებიდან _ გრანკვისტების სამზარეულოში ლხინი იყო გაჩაღებული ამ შფოთიანი დღის ბედნიერად დამთავრების აღსანიშნავად.

თუმცა ეს დღე ბოლომდე შფოთიანი დარჩა. როცა ბიორნის მოტორიანი ნავი გრანკვისტების ნავსაბმელს მოადგა და მელკერმა თავისი საღ-სალამათი შვილები დაინახა, თან თბილად გახვეულები, თვალებიდან ცრემლები წასკდა და ნავში ჩახტა მათ გულში ჩასაკრავად. ოღონდ ზედმეტი სურვილისაგან ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინა, კიჩოზე ფეხი ვეღარ მოიკიდა და ნავის მეორე მხარეს მოადინა ზღართანი. არც ცხვირზე მიკრულმა აბმა უშველა და არც არაფერმა.

_ ვაჰ, რა ზორბად ჩავყვინთე, _ წამოიძახა მელკერმა.

ზღვაში აფართხალებული მამა რომ დაინახა, მალინი ავიშვიშდა. მელკერი წყალზე ატყაპუნებდა ხელებს. მხოლოდ მას შეიძლებოდა შემთხვეოდა ამდენი უბედურება ერთ დღეს.

ჩორვენი ნაპირზე იდგა ძილ-მღვიძარე.

_ ჩაცმული რატომ ბანაობ, ძია მელკერ? _ ჩაიბუტბუტა გოგონა. მაგრამ ბოცმანი რომ დაიანხა, ყველაფერი დაავიწყდა._ მოდი, ბოცმან! მოდი! _ დაუძახა ძაღლს ალერსიანად. ისიც ნაპირზე გადმოხტა და მისკენ გაქანდა. ჩორვენმა ყელზე შემოხვია ხელი, თითქოს თავის სიცოცხლეში ერთი წუთითაც არასოდეს ეფიქროს მასთან დაშორება.

_ ხომ ხედავ, როგორ გვიშველა ჯადოსნურმა ქვამ, _ უთხრა პელემ.

ყველანი ისხდნენ გრანკვისტების უზარმაზარი გასაშლელი მაგიდის გარშემო. პელეს სახე გაბრწყინებოდა. რა არაჩვეულებრივი ღამეა! რა საოცარია სალტკროკაზე ცხოვრება. რანაირი ფიქრები არ მოსდის ხალხს თავში... ბავშვები შუაღამისას ლოგინიდან წამოყარეს, რომ კატლეტი ეჭმიათ! ნეტა ვის მოუვიდა თავში ასეთი შესანიშნავი აზრი?! იუხანი და ნიკლასი ისევ შინ არიან!

_ წარმოგიდგენიათ, ჭამისაგან თავბრუ დამეხვა, _ თქვა საჭმლით პირგამოტენილმა ტედიმ.

ფრედის კი ორივე ხელში თითო კატლეტი ეჭირა და ხან ერთს კბეჩდა, ხან _ მეორეს.

_ რა გემრიელია, _ ამბობდა კმაყოფილი, _ მეც მინდა თავბრუ დამეხვას ჭამისაგან.

_ ნამდვილი საჭმლის ჭამისაგან, _ დააზუსტა იუხანმა, _ ისეთისაგან კი არა, ზღვაზე რომ ვიგონებდით.

_ თუმცა ისიც საკმაოდ გემრიელი იყო, _ დაუმატა ნიკლასმა.

ისინი გემრიელად ილუკმებოდნენ და სულ უფრო და უფრო ეჩვენებოდათ, რომ მშვენივრად გაატარეს ის დღე.

_ მთავარია, არ დაკარგო სიმშვიდე, _ გამოაცხადა მელკერმა და ერთი კატლეტი კიდევ გადაიღო. მას სველი ტანსაცმელი გამოეცვალა და ახლა ბედნიერებისაგან იყო გაბრწინებული.

_ ვინ ვინ, მაგრამ შენ კი არ უნდა ამბობდე მაგას, _ გაეცინა მალინს.

მელკერმა თავი დაუქნია.

_ სხვანაირად შხერებში ვერ იცხოვრებ. მართალი გითხრათ, რაღაც მომენტში მეც ავფორიაქდი, მაგრამ შენი აბის მეოხებით, მერტა, ჭკუიდან არ გადავსულვარ.

_ ყოველ შემთხვევაში, ცხივრქვეშ სრული შტილი გქონდა, _ გაეხუმრა ნისე. _ ერთი სიტყვით...

_ ერთი სიტყვით, მე კმაყოფილი ვარ, _ მიუგო მელკერმა. მართლაც ასე იყო. მაგიდასთან ჟრიამული იდგა, ბავშვები გააბრუა გემრიელმა კერძებმა, სითბომ და სახლში ყოფნის სიხარულმა, იმან, რომ მოშორდნენ ყოველგვარ კოშმარსა და ბურუსს. მელკერს უხაროდა თავისი შვილების ხმა რომ ესმოდა. ისინი მის გვერდით ისხდნენ, წყალქვეშ არავინ ცურავდა ზღვის წყალმცენარეებივით დაკლაკნილი თმებით.

გული სიამით ფეთქავს,
ვართ სუყველანი ერთად...

კითხულობდა ლექსს წყნარად.

მალინმა გამოხედა მაგიდის ბოლოდან.

_ რას ბუტბუტებ, მამა?

_ არაფერს, _ უპასუხა მელკერმა.

როცა მალინი ისევ ბიორნს მიუბრუნდა, მან კვლავ წყნარად განაგრძო:

მუდამ დღისით თუ ღამით... _

და გაფრინდება ერთად

ყოფინს ეს ერთი წამიც.

დადგა დღე ზაფხულის ბუნიობისა...

შუა ზაფხულია, ზაფხულის ბუნიობის თვალისმომჭრელად ნათელი დღე. მაგრამ რა დაემართა მალინს? დილიდან შუადღემდე იჯდა იასამნის ბუჩქებს იქით ბალახზე და რაღაცას წერდა თავის დღიურში. იუხანი დამნაშავე სახით მიუახლოვდა. მალინს თავი არ აუწევია, ისე მოუჭრა გაჯავრებით:

_ წადი აქედან!

შეწუხებული იუხანი ისევ ძმებისკენ წაჩანჩალდა:

_ ისევ გაჯავრებულია ჩვენზე.

_ უჰ, მადლობას უნდა გვეუბნებოდეს, _ აბურტყუნდა ნიკლასი, _ საწერი გავუჩინეთ. ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, დღიურში ნეტა რას ჩაწერდა!

პელე კი გრძნობდა დანაშაულს.

_ ალბათ, მაშინ მხიარულ ამბებზე დაწერდა. ჰო, ისეთ რამეებზე, რასაც თვითონ მხიარულად თვლის.

მათ შეწუხებულებმა გაიხედეს მალინისაკენ.

_ დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა, ამჯერად არა ერთ საშინელ გვერდს დაწერს, _ ამოიოხრა იუხანმა.

«გუშინ ზაფხულის ბუნიობის დღესასწაული ყო, _ წერდა მალინი. _ მე ვერასოდეს დავივიწყებ ამ საზეიმო საღამოს! რომ არ დამავიწყდეს, რუნებს შევადგენ და, თუ ოდესმე გოგონა მეყოლა, ვაჩუქებ ზაფხულის ბუნიობის დღესასწაულზე, როცა შინ მოირბენს ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებული და მკითხავს:

_ დედა, შენც ასე გიხაროდა, როცა ახალგაზრდა იყავი?

მაშინ მე მოღრუბლული ვაჩვენებ ჩემი დღიურის გაყვითლებულ ფურცლებს და ვეტყვი: «წაიკითხე და გაიგებ, რა დღეში იყო მაშინ დედაშენი შენი პატარა ბიძებისაგან!».

მაგრამ, თუ სიმართლე გინდათ, მსოფლიოში ყველაზე საშინელი პატარა ძიებიც კი ვერას დააკლებენ სალტკროკაზე ზაფხულის დღის ბრწყინვასა და ციალს.

ვერავინ წაგვართმევს ჩვენს გარშემო გაფურჩქნილი ზაფხულის სილამაზესა და სიხარულს. დავსეირნობთ კუნძულზე და ვისუნთქავთ ქვატეხიას, გრაკლასა და სამყურას ტკბილ სურნელს. ყოველ თხრილთან ირწევა გვირილები, ბალახში ყვითლად მოჩანან ბაიები, ჩვენს ნაცრისფერ შიშველ კლდოვან შვერილებს ასკილის ვარდისფერი ყვავილის ჩქერი ფარავს, კლდოვან ნაპრალებში კი ლურჯად ანათებს იასამფერა. ყველაფერი საამო სურნელებას აფრქვევს, ყველაფერი ყვავის, ყველგან ზაფხულია; გუგუს იძახიან გუგულები, ჭიკჭიკებენ და გალობენ ჩიტები, ხარობს მიწა და მასთან ერთად მეც, მალინი. მე ახლა ვზივარ და ვწერ, მაღლა, ცაში კი დანავარდობენ ფრთამალი მერცხელები. მათ ბუდე დურგლის სახლის სახურავქვეშა აქვთ მიშენებული, პელეს ბზიკების გვერდით, თუმცა, არა მგონია, რომ მერცხელები და ბზიკები ერთმანეთს მეგობრობდნენ. მე მიყვარს მერცხლები, კელები და პეპლები. მიყვარს, ჩემს ირგვლივ რომ ფრენენ და ფარფატებენ. შენ კი, იუხან, დიდად მადლიერი ვიქნებოდი, სახლის კუთხიდან რომ არ ყოფდე ცხვირს. მე ჯერ ისევ ვბრაზობ თქვენზე და ცოტა ხანს ასე ვაპირებ ყოფნას, რასაკვირველია, თუ შევძელი. მანამდე მაინც, სანამ აქ, სალტკროკაზე, გატარებული პირველი საზეიმო საღამოს მოსაგონარ რუნებს არ დავამთავრებ.

დილით სიმღერამ გამომაღვიძა: ჰო, მამა უკვე ბაღშია და ხმამაღლა მღერის. ეტყობა, უთენია წამოდგა და ახლა უკანასკნელ საღებავს ადებს ბაღის მერხებსა და მაგიდას. ამჯერად პულვერიზატორის გარეშე მუშაობს, ჩვეულებრივი სამღებრო ფუნჯით. მუშაობს და თან მღერის «აყვავებულ კუნძულს», «რუსლაგენის მკლავებში» და სხვა გულისმომკვლელ სიმღერებს. მე წამოვხტი, სწრაფად ჩავიცვი, ბაღში გავვარდი და მხოლოდ მაშინ დავინახე, რა თვალისმომჭრელად ცისფერი იყო დღეს ფიორდი. აღარც ჩემს საყვარელ ძმებს ეძინათ, სამივენი უსაქმოდ დაეხეტებოდნენ სახლის გარშემო. მე ისინი თან წავიყვანე იანსონების საძოვარზე. შინ მინდვრის ყვავილების და მწვანე ტოტების უზარმაზარი კონებით დავბრუნდით. სულ მალე დურგლის კარ-მიდამო აყვავებულ ფანჩატურს დაემსგავსა, სადაც ყოველ კუთხეში სურნელებას აფრქვევდა ზაფხული.

როცა ფიორდში ცხვირიდან კიჩომდე ნორჩი არყის ხეებით მორთული «სალტკროკა I» შემოვიდა, ისიც აყვავებულ ფანჩატურს ჰგავდა. გემბანზე უკრავდნენ აკორდეონს და

საზაფხულოდ გამოწყობილი ხალხი მღეროდა «აყვავებულ კუნძულსა» და «რუსლაგენის მკლავებში» ისევე, როგორც მამა დილით, მაგრამ არა მასავით მელოდიურად.

წარმოიდგინეთ მთელი სალტკროკა ნავმისადგომზე გამოეფინა. ან რა შეიძლება იყოს კუნძულზე გემის დახვედრაზე საინტერესო. მერე უბრალოსი კი არა, სადღესასწაულო გემისა. ბიორნის გარდა ყველანი იქ ვიყავით.

ძალიან მიხდებოდა, საოცრად მიხდებოდა ჩემი ღია ცისფერი საცეკვაო კაბა. იუხანმა და ნიკლასმა რომ დამინახეს, ცოტა წაუსტვინეს კიდეც. მეტი რაღა გინდა! თუ ღვიძლი ძმებიც კი უსტვენენ, ცოტა არ იყოს, საამაყოა! ასე მოვდიოდი ბედნიერი, რაღაც არაჩვეულებრივის მომლოდინე.

პელე კი არა ჩანდა ასე კმაყოფილი.

_ ნეტა რა საჭიროა ამ მოუხერხებელი ტანსაცმლის ჩაცმა? _ ბუზღუნებდა ბიჭი. _ ნუთუ მხოლოდ იმიტომ უნდა ჩავიცვა, რომ დღეს ბუნიობის დღესასწაულია? ან ვინ მოიგონა ბავშვების წამება პიჯაკით, თეთრი პერანგითა და ჰალსტუხით? თუმცა ზოგჯერ ეს დახეული ჯინსებიც მოგწყინდება და სხვა რამის ჩაცმას მოისურვებ.

_ საჭიროა, შვილო, საჭირო, _ ამშვიდებდა მამა, _ და ეს სულაც არაა საშინელი. ოღონდ ეცადე, არ დაისვარო ან რამე არ გადაისხა: ამით მხოლოდ მოიგებ!

_ ისიც თქვი, საინტერესოს ახლოს არაფერს მიეკაროო, და მაშინ შენ და მალინი მოიგებთ, _ მიუგო პელემ.

უცებ პელემ ჩორვენი დაინახა, ის ჩორვენი, რომელსაც აქამდე ყველანი მხოლოდ უჯრულა შარვალსა და შინნაქსოვ ღუნღულა მოკლე სვიტერში ხედავდნენ. დღეს კი თეთრი მოქარგული კაბა ეცვა სხივებივით დაშვებული ნაკეცებით. მისი სახის გამომეტყველების გადმოცემა ხომ მთლად შეუძლებელია. ერთ ვერსზე ჩანდა, რასაც ფიქრობდა: «ეგეც თქვენ! პირი დააღეთ გაკვირვებისაგან?». მართლაც, ბოცმანი რომ ბოცმანია, ისიც მიჩუმდა თავის ახალუხლებში გამოწყობილი პატრონის გვერდით. პელეც კი ერიდებოდა ჩორვენს და დუმდა. მაშინ ჩორვენი დაეშვა თავისი დიდების მწვერვალიდან და უბრალოდ თქვა:

_ პელე, იცი რა, მოდი, ჯოხი გადავაგდოთ და ბოცმანს მოვატანინოთ, თორემ სხვა რა უნდა გავაკეთოთ ამ დღესასწაულზე ასე გამოპრანჭულებმა?

შეიძლება ჩორვენმა განგებ მოიგონა ეს თამაში, რომ პელე სტინასათვის როგორმე მოეშორებინა. სტინა და მოხუცი სიოდერმანიც ნავმისადგომზე იყვნენ. სიოდერმანმა უკვე

ყველას ახარა მუცლის ღმუილი შემიწყდაო. ამ ამბავმა სალტკროკელები ძალიან გაახარა, მათ ხომ გულთან ახლოს მიაქვთ მეზობლების სიხარულიცა და მწუხარებაც.

_ ეჰ-ჰე-ჰე-ჰე, მოაგარაკეებიც ჩამოვიდნენ, _ ამოიხვნეშა სიოდერმანმა, ხოლო როცა მელკერმა ჰკითხა, რატომ არ გიყვარს ეგ ხალხიო, მოხუცი კაცი შეცბა, ეტყობა, ამაზე არასოდეს დაფიქრებულა.

_ რაზე უნდა მიყვარდნენ რა, _ უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ, _ უმეტესობა სტოკჰოლმელია და არც დანარჩენია უკეთესი.

მამას გაეცინა, მაგრამ ერთი ბეწოთიც არა სწყენია, ის თავს უკვე ნამდვილ კუნძულელად თვლიდა. ასე იყო ყველგან, სადაც არ უნდა მოხვედრილიყო. მე მგონი, ამიტომ ჰყავდა ამდენი მეგობარი. თანაც გრძნობდნენ, რომ უმწეო მელკერი, ცოტა უცნაური და ბავშვურად აღტაცებული, განსაკუთრებულ სითბოსა და მზრუნველობას საჭიროებდა. როგორ ახერხებდა, არ ვიცი, მაგრამ ყველას უვყარდა.

ერთხელ უჩუმრად შევედი დუქანში და გავიგე, როგორ უმტკიცებდა ვიღაცას სიოდერმანი, მელკერსონი ცოტა ახირებულია, თორემ სხვა მხრივ კაცი არა სჯობიაო.

მაგრამ ეს საქმეს არ ეხება. ისევ ნავმისადგომთან დავბრუნდეთ. გრანკვისტის ამორძალებიც, ასე ეძახდა მამა ტედისა და ფრედის, ნავმისადგომზე იყვნენ. მათ ახალი ჯინსები და პოლოს წითელი პერანგები ეცვათ, იუხანთან და ნიკლასთან ერთად შემომსხდარიყვნენ ბენზინის ცარიელ კასრზე და რაღაცაზე ჩუმად ქაქანებდნენ.

ალბათ, რომელიმე საიდუმლო კლუბზე. აბა, ტყუილად ხომ არ დადიოდა ეს ოთხეული იდუმალი სახით და აგიჟებდა პატარებს, რომლებსაც თამაშში არ რევდნენ. პელე სამაგიეროდ იმით უხდიდა, რომ «საიდუმლოებით მოცულ იუხანსა» და «საიდუმლოებით მოცულ ნიკლასს» ეძახდა, თან დამცინავად იღიმებოდა. ჩორვენი კი ირწმუნებოდა, ოთხთა კლუბი სულელური კლუბიაო. მართალი გითხრათ, გუშინ საღამოს რომ მათ ვუყურე, ამაში მეც დავრწმუნდი.

სანამ ველოდით, როდის მიაბამდნენ გემს ნაპირზე, ჩემთან იუხანი და ნიკლასი მოცვივდნენ, აქეთ-იქიდან ამომიდგნენ და ხელი მტაცეს.

_ მალინ, ჩქარა წავიდეთ შინ! _ მითხრა იუხანმა.

მე, რა თქმა უნდა, ხელები გავითანსუფლე და გაოცებულმა ვკითხე, შინ რა უნდა გავაკეთოთ-მეთქი.

_ საინტერესო წიგნი წავიკითხოთ, ან სხვა რამე მოვიფიქროთ, _ შემომთავაზა ნიკლასმა.

_ შენ ხომ გიყვარს ხმამაღლა კითხვა, _ სასწრაფოდ დაუმატა იუხანმა.

_ სიამოვნებით, მაგრამ სხვა დროს, ვის გაუგია წიგნის კითხვა დღესასწაულზე, _ ვუპასუხე ბიჭებს.

ახსნა-განმარტებისთვის დიდხანს არ მიცდია. საბიჯელაზე მთელი თავისი ბრწყინვალებით ჩამოდიოდა კრისტერი, ის კრისტერი, სალტკროკისაკენ ერთად რომ ვიმგზავრეთ.

მე მივეჩვიე, რომ ჩემს ძმებს არ მოსწონთ არავინ, «ვინც მალინს ეწებება», _ ეს იმათი გამოთქმაა! ამ საწყალმა კრისტერმა კი თავიდანვე აიმხედრა ბიჭები. თუმცა, ჩემი აზრით, ჩვეულებრივი ბიჭია. მართალია, ზედმეტად თავდაჯერებულია, მაგრამ, თუ საჭიროა გახდა, ამას მალე მოვაშლევინებ. თან კრისტერი სიმპათიურია და, როგორც მამა ამბობს ხოლმე, ცოტა მოპეწენიკო. ჩამოვიდა თუ არა ნაპირზე, მაშინვე ჩემკენ გამოემართა გაღიმებული. ღიმილი ძალიან უხდება, მშვენიერი კბილები აქვს და იმიტომ. იუხანი და ნიკლასი კი ისე უცქეროდნენ, თითქოს კბილდაკრეჭილი მგელი იყო. არა, ისინი არ დაუშვებენ, რომ და შეუჭამოთ მგელმა. არა, არაფრის გულისათვის.

_ საწყალი მალინი, _ თქვა კრისტერმა. _ დგას მარტოდმარტო ასეთ დღესასწაულზე. წამოდი, ყირაზე დავაყენოთ ეს ბებერი სალტკროკა.

ვერ ვიტყვი, რომ ამ სიტყვებმა ფასი შემატესკრისტერს ბიჭების თვალში.

_ მალინი მარტო არაა, _ წაუღრინა იუხანმა, _ ის ჩვენთანაა.

კრისტერმა მხარზე მიუთათუნა ხელი.

_ ჰო, თქვენთანაა. ახლა აირეთ ვედროები და ნიჩბები და მოუსვით სილაში სათამაშოდ. მალინს მე მოვუვლი.

ახლა კი ნამდვილი ბრძოლა გამოუცხადეს ბიჭებმა კრისტერს. ვხედავდი, როგორი კბილების კრაჭუნით დაბრუნდნენ ტედისთან და ფრედისთან.

მალე გავიგონე მათი ჩხავილი, აფორიაქებული საიდუმლო კლუბის მკაცრი შურისძიების მაუწყებელი ჩხავილი.

_ მალინ, ამ საღამოს ვიცეკვებთ, ეს გადაწყვეტილია, _ გამომიცხადა კრისტერმა, მაგრამ, როცა მოვახსენე, ჩვევადა მაქვს, თვითონ ავირჩიო კავალერი-მეთქი, უკვე ყოყმანით მითხრა:

_ მაშინ მე ამომირჩიე და სადავო აღარაფერი გვექნება.

ბიორნი არსად ჩანდა და არც ის ვიცი, ცეკვავს თუ არა. მე კი ისე მინდოდა ამ დღესასწაულზე ჩემს ცისფერ კაბაში მეცეკვა, რომ, ვნახოთ-მეთქი, ვუპასუხე.

ზაფხულის ბუნიობის დღესასწაული წელიწადში ერთხელაა, მაგრამ, რას იზამ, ბედმა მარგუნა, დედის მაგივრობა გამეწია უმცროსი ძმებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ჩემი პატარა ძმა ჩორვენთან არ უნდა გამეშვა მაშინ, როცა საკვირაო ტანსაცმელში გამოვაწყობდი.

უცებ სიცილი მომესმა და კრისტერს მივუბრუნდი.

_ წამოდი, ვნახოთ, რა აცინებს იმ ხალხს!

მივედით და რა დავინახე?! ჩემი პელე, რომელიც მკაცრად მყავდა დარიგებული, ტანსაცმელი არ დაესვარა, წელამდე იდგა ზღვაში ჩორვენთან ერთად და წუწაობდა. ბავშვები თითქოს დაეთრო ზღვას. სხვა სტიყვას ვერ ვპოულობ. უცებ ჩორვენმა აზარტულად წამოიძახა: «ვიბანაოთ!» _ და გათავდა... ორივენი ზღვაში ჩაცვივდნენ, ყვინთავდნენ, ხელ-ფეხს ატყაპუნებდნენ, ერთმანეთს წყალს აშხეფებნენ და გულიანად იცინოდნენ. ისინი ისე იყვნენ ზღვით აღტაცებულნი, რომ ამ ქვეყანაზე აღარაფერი ახსოვდათ, მაგრა მე და მერტამ მივირბინეთ თუ არა, მაშინვე გამოფხიზლდნენ. დაინახეს, რომ მთლად სველები იყვნენ და არანაკლებ გაოცდნენ, ვიდრე ადამ და ევა მაშინ, როცა პირველად შეამჩნიეს თავიანთი სიშიშვლე. ოღონდ, სამწუხაროდ, ბავშვებს ეცვათ ლამაზი საკვირაო ტანსაცმელი. მათი სამოსიდან წყალი მოთქრიალებდა. არასოდეს მინახავს, რომ ისეთი მოქარგული და გახამებული კაბა, როგორიც ჩორვენს ეცვა, ასე დამსგავსებოდა ჩვეულებრივ სველ ჩვარს.

_ ჩვენი ბრალი არაა, თავისთავად მოხდა ყველაფერი, _ თავს იმართლებდა ჩორვენი და ცდილობდა, მერტასათვის აეხსნა, «თავისთავად» როგორ მოხდა ყველაფერი. რამდენადაც მახსოვს, ასე ჰყვებოდა:

_ მარტო ფეხის დასველება გვინდოდა, ჩვენ ნელა მივდიოდით, ლამაზად გვეცვა და იმიტომ. მაგრამ პელემ თქვა, მუხლამდე შეიძლება წყალში შესვლაო. ჰოდა, შევედით. მერე პელე უფრო იქით წავიდა, «აი, რა შორსა ვარ და არ მეშინიაო», _ მითხრა ნიშნის მოგებით.

_ მეც ავდექი, იმაზე იქით წავედი და ვუთხარი: «ხედავ, შენზე შორსა ვარ და არც მეშინია-მეთქი».

უცებ კაბის კალთა დამისველდა. პელემ გაბრაზება დამიწყო. «მე არ დავსველებუვარ, მე არ დავსველებულვარო». ავდექი და მუჭით წყალი მივაშხეფე, ცოტათი რომ დასველებულიყო. მერე იმან მომაშხეფა, მერე ვიწუწავეთ და ვიწუწავეთ. ბოლოს კიდევ ვიბანავეთ და ვერც გავიგეთ, რა მოხდა.

_ დღეს საკმარისად იბანავეთ, _ მკაცრად უთხრა მერტამ.

ორივენი სახლში წავედით ჩვენ-ჩვენი გაწუწული ბავშვით. დურგლისეული კარ-მიდამოს უკანა ეზოში ორი ვაშლის ხის შუა თეთრეულის თოკი მქონდა გაბმული. სწორედ იმაზე გადავკიდე პელეს ტანსაცმელი და ისიც მხიარულად აცეკვდა თავის ერთადერთ პარტნიორთან _ სამხრეთის ქართან. სხვა დროს, ზაფხულის ბუნიობის ჟამს, თუ ცოცხლები ვიქნებით, ვეცდები, სარეცხის თოკი ორჯერ გრძელი გავაბა. იმიტომ, რომ უიმისოდ იოლად ვერ გავალთ. მაგრამ ამაზე მერე!

მალე მერტა და მე ნოღა მდელოზე წავედით. ბავშვებიც თან გამოგვყვნენ, ოღონდ ახლა საშინაოდ ჩაცმულები.

_ დიდხანს ვერ ნახავ შენს მოქარგულ კაბას! _ უთხრა მერტამ თავის გოგონას.

_ ძალიან კარგი, _ გაუხარდა ჩორვენს.

თვითონ მერტა კი ძალიან სასიამოვნო და საინდომიანი იყო ეროვნულ ტანსაცმელში. მას ბლუზა და ბამბის ქსოვილის ნაკეცებიანი ქვედა კაბა ეცვა, მხრებზე კი ფოჩებიანი შალი ჰქონდა მოგდებული. ოჰ! ეს მერტა! განა ზრუნავს ყველაზე მეტს, რომ ზაფხულის ბუნიობის დღესასწაულზე აღიმართოს სადღესასწაულო სვეტი და მის გარშემო ცეკვა-თამაში გააჩაღონ? _ მერტა! ვინაა დიასახლისების კავშირის თავმჯდომარე? _ მერტა. ვინ ხელმძღვანელობს მომღერალთა გუნდს? _ მერტა! ვინ გაიყოლა მთელი სალტკროკა, ყველა ერთიანად, სადღესასწაულო სვეტის გარშემო საცეკვაოდ და ვინ წამოიწყო სიმღერა:

> რა სჯობია პაწაწინა ბაყაყების ცქერასა...

რა თქმა უნდა, მერტამ. აბა, სხვა ვინ იქნებოდა!

სიოდერმანის სახლს უკან მდელოზე სადღესასწაულო ყვავილებითა და ბაფთებით მორთული სვეტი იყო აღმართული. მაგრამ როცა მე და მერტა ბოძთან მივედით, წამოწვიმა. ახლა მერტაც ვეღარაფერს გვიშველიდა. მაგრამ მისმა მეგობრებმა დიასახლისების საზოგადოებიდან ქოლგები გაშალეს და მხიარულად ამღერდნენ:

> ვზივარ, ვქანაობ მაღალ ხის ტოტზე,
> ხარიულს ზემოთ მწვერვალზე რომ დგას...

მეც ამასვე ვგრძნობდი, ვირწეოდი მაღალი ხის ტოტზე და ვხედავდი თვალწარმტაც მიწასა და მშვენიერ ცას, თუმცა წვიმდა. მაგრამ, ღმერთო, ისმინე პაწია ჩიტუნას ვედრება და ისე ჰქენი, გამოიداროს, იმიტომ, რომ პატარა ჩიტუნას საშინლად უნდა ნავმისადგომზე ცეკვა.

ამისრულდა ოცნება. მაგრამ მანამდე მრავალი ამბავი მოხდა და ვაშლის ხეებს შორის გაჭიმულმა სარეცხის თოკმა სველი ტანსაცმლის სიმძიმისაგან დაბლა დაიწია. ახლა ზედ პელეს პიჯაკის, პერანგისა და შარვლის გარდა, შრებოდა კრისტერის პერანგი, მამას შარვალ-ხალათი, იუხანის პერანგი და შარვალი. ნიკლასის შარვალმა კი, ეტყობა, რაღაც დააშავა, არც ერთხელ არ მოხვედრილა წყალში, თუმცა დანარჩენებმა ბანაობით გული იჯერეს. რას იზამ, ცხოვრებაში ხშირად ხდება უსამართლობა.

თუმცა არც კრისტერის პერანგს უბანავია. ის მე თვითონ გავრეცხე. იმიტომ, რომ კრისტერი ხელში კვერცხით გარბენში მონაწილეობდა და იმ ადგილას დაებერტყა, სადაც მამას წუთის წინ კვერცხი დაუვარდა.

_ როგორ შეიძლება ბუნიობის დღესასწაულზე გულისპირზე თოხლოკვერცხგადასხმულმა იარო, _ თქვა მელკერმა და ეს კეთილი კაცი შინ წავიდა კრისტერისათვის თავისი პერანგის მისატანად.

_ გმადლობთ, მაშ, მანამდე ვიბანავებ, _ უთხრა კრისტერმა.

იუხანი, ნიკლასი და ამორძალი გრანკვისტები შორიახლო იდგნენ და იღიმებოდნენ. მართალი გითხრათ, ისინი დიდად არ შეუწუხებია კრისტერის მარცხს. როცა კრისტერმა იკითხა, სად შეიძლება ბანაობაო, ტედიმ ხელი გაიქნია, იქითო.

_ წყალმარჩხი ადგილია? _ შეეკითხა კრისტერი.

_ ჰო, შეგიძლია ფინეთამდე სულ ფსკერ-ფსკერ მიხვიდე. _ ჩაიცინა იუხანმა.

_ იქითამც გქონია გზა, _ დაუმატა ნიკლასმა, მაგრამ კრისტერი უკვე გაეცალათ და ეს სიტყვები არ გაუგონია.

ამ დროს ახალი ეჯიბრი იწყებოდა _ თავმოკრულ ტომრებში ჩამდგარი ბავშვები სირბილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მეც ჩემიანების გასამხნევებლად წავედი. უცებ მთლად გადაფითრებულმა იუხანმა მოირბინა და ხელი მტაცა.

_ მალინ, კრისტერმა იცის ცურვა? _ მკითხა მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულმა, _ ვაი, თუ არ იცის? იქ, ნაპირთან ხომ ზღვა ძალიან ღრმაა.

მე ვიცოდი, რომ ნაპირთან უცებ ღრმავდებოდა ზღვა, მაგრამ, იუახნისა არ იყოს, ვერ წარმომედგინა, ამ ქვეყანაზე ვინმეს თუ არ შეეძლო ცურვა, ანდა კრისტერი მათ რიცხვში შედიოდა თუ არა.

_ მომყევით! _ ვიყვირე და ყველანი ცხვირ-პირის მტვრევით გავქანდით _ უხანი, ნიკლასი, ტედი, ფრედი და მე.

როცა ნაპირთან მივცვივდით, კრისტერი უკვე წყალში შედიოდა.

_ მოიცადე! _ დაუყვირა იუხანმა.

მაგრამ კრისტერმა, ეტყობა, ვერ გაიგონა. ის სწრაფად მიდიოდა წინ, თითქოს მართლა ფინეთამდე აპირებდა მისვლას. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კი ფეხი დაუცურდა და წყალში გაუჩინარდა. ღმერთო, აღარ ჩანდა! მე შიშისაგან გავთავდი.

იუხანმა ფეხსაცმელები გაიძრო და ზღვაში შევარდა. მე კი ავყვირდი:

_ ხალხს დაუძახეთ, ხალხს!

ნიკლასი და ფრედი გაიქცნენ, მე და ტედი კი, შიშით აკანკალებულები, ნაპირზე დავრჩით. იუხანიც აღარ ჩანდა. ყოველი წამი საშინელი წამება იყო ჩვენთვის. ის იყო გადავწყვიტე, წყალში თვითონ შევალ-მეთქი, რომ იუხანმა ამოყვინთა და სასოწარკვეთით გაიქნია თავი.

_ კრისტერი არსადაა.

_ აგერ, იქ მონახე, _ თითით ანიშნა ტედიმ. _ იქ ჩაიმალა წყალში.

მაგრამ ამ დროს ჩემ უკან ვიღაცამ სულ სხვა მხარეს გაიშვირა თითი:

_ არაფერიც! ის, აგე, იქ გაუჩინარდა, იმ კაჭართან კი ნაპირზე გამოვიდა.

მივბრუნდი. ჩემ უკან მთლად სველი, მაგრამ თავისი სულელური იონით მეტად კმაყოფილი კრისტერი იდგა.

ტედი მაინც თავისას გაიძახოდა:

_ არა, არა, აგერ, იქ დაიხრჩო, ჩემი თვალით დავინახე!

_ მეც ჩემი თვალით დავინახე, _ არ უთმობდა კრისტერი. როგორც იქნა, ტედი მიხვდა, ვის ედავებოდა.

გაჯავრდა, მაგრამ რა გაჯავრდა!

_ იცი, რას გეტყვი, არაა ეს პატიოსანი საქციელი!

მეც დავეთანხმე.

_ ნამდვილად. მაგრამ არცვ ისაა პატიოსნება, მოატყუო კაცი და ღრმა წყალში ჩაუშვა, თან არცა ჰკითხო, იცის თუ არა ცურვა.

იუხანი ისევ ყვინთავდა ზღვაში და კრისტერს ეძებდა. როცა ამოყვინთა და კრისტერი დაიანხა, შეეტყო, როგორ შვებით ამოისუნთქა. მაგრამ მაშინვე მოიღუშა: რატომ უნდა იწვალო იმის გადასარჩენად, ვინც საღ-სალამათი დგას ნაპირზე. თავისი შეცდომა რომ ხუმრობაში გაეტარებინა, იუხანმა ნაცადი ხერხი იხმარა და თავისებურად წაიოინბაზა; ერთი საზარლად წამოიკივლა და ზურგით წყალს დაებერტყა, ვითომ კრისტერის დანახვაზე სიხარულისაგან გული წამივიდაო.

ეს კი არ უნდა გაეკეთებინა. სწორედ ამ დროს სალტკროკელები მელკერის მეთაურობით ნაპირთან მოცვივდნენ. მათ გაიგეს, რომ ვიღაც იხრჩობოდა, მამამაც იუხანს თვალი მანამ შეასწრო, სანამ ის წყალში ჩაიმალებოდა.

_ იუხან! _ იყვირა სასოწარკვეთილმა და ისე სწრაფად შევარდა ზღვაში, შეჩერება ვეღარ მოვახერხე. ყვეალს ეჩვენებოდა სათავგადასავლო ფილმს ვუყურებთო. ჯერ იუხანის თავი გამოჩნდა, მერე _ მამასი. ისინი უხმოდ მიაჩერდნენ ერთმანეთს.

_ რას შვრები? _ გაუკვირდა იუხანს.

_ ნაპირზე გავდივარ, _ ჩაიბურტყუნა გაავებულმა მამამ და ნაპირისაკენ გამოცურა.

_ ძია მელკერ, ჩაცმლული რატომ ბანაობ ხოლმე? _ ჰკითხა ჩორვენმა, რომელიც უკვე ნაპირზე იყო. მას ხომ ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებდა ვერსად, თუ სალტკროკაზე საინტერესო ამბავი ხდებოდა.

_ ასე გამოვიდა, _ უპასუხა მელკერმა და ჩორვენიც ჩაჩუმდა.

მერე მამა ფრედის ყურს წაეტანა.

_ შენ ყვიროდი, არა, ფიორდში ვიღაც იხრჩობაო?

ტედი დას მიეშველა:

_ გაუგებრობა მოხდა.

კრისტერმა მომხდარი ამბის მოყოლა დაიწყო, მაგრამ ვინ უსმენდა! ყველა გაცეცხლებული იყო მასზე. გავიგონე, როგორ უთხრა ნიკლასმა ფრედის:

_ ხომ ასეთი აყლაყუდაა, მაინც მაგარი დოყლაპიაა.

მგონი, ამასვე ფიქრობდა ბიორნი. იგი ყველაზე გვიან მოვიდა დღესასწაულზე და ახლა დაღვრემილი დადიოდა ნაპირზე, ჩემთან მოსვლას ვერა ბედავდა.

არა, მაინც რა მშვენიერი აღმოჩნდა ზაფხულის ბუნიობის დღესასწაული. ნავმისადგომზე ცეკვაც გაჩაღდა, სწორედ ისეთი, როგორზედაც ვოცნებობდი. მოხუცი სიოდერმანი აკორდეონზე უკრავდა, ყველანი ცეკვავდნენ და ცეკვავდნენ! მზე ნელა ჩადიოდა ფიორდში, ჰაერში მუმლი ირეოდა. მარტო ბიორნი არა ცეკვავდა, იქნებ არც

იცოდა. სამაგიეროდ, კრისტერმა იცოდა... უჰ! როგორ ცეკვავდა! ჰოდა, ფრიალებდა ჩემი ცისფერი კაბა, როცა თავდავიწყებით ვტრიალებდი. ო, რა მხიარული ვიყავი...

_ მალინ, _ მითხრა სიოდერმანმა შესვენებისას, თან კათხიდან ლუდსა წრუპავდა. _ რა იქნება, პირობა მომცე, რომ არასოდეს დაბერდები!

ეჰ, რომ იცოდეს, ზოგჯერ რა ბებერი მგონია თავი!

საიდუმლოებით მოცული იუხანი და მისი დამქაშები მესერზე გადმოკიდებულიყვნენ და თვალს არ მაშორებდნენ. როგორც კი მე და კრისტერი გვერდით ჩავუქროლებდით, იუხანი მიყვიროდა:

_ გაუფრთხილდი, მალინ!

ბოლოს და ბოლოს მომწყინდა მისი ყვირილი და შევუღრინე:

_ რას გავუფრთხილდე?

_ ტყავს, _ მიპასუხა და ოთხივემ გადაიხარხარა.

კრისტერი კი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, იცინონ, რამდენიც უნდათო. მართლაც, უტეხი ბიჭი იყო! ერთი ბეწოთი არც ეუხერხულა, არც მოერიდა, ეს პატარა ყაჩაღები მისმენენო, ერთ-ერთი შესვენების დროს, სანამ სიოდერმანი ლუდსა წრუპავდა, გამოთქმით წამიკითხა ლექსი:

> წითელი ვარდი ებნია თმაში,
> ძველშვედურ სელის კონას რომ ჰგავდა...

ეს იმიტომ, რომ თმაში ასკილის ყვავილი მიელავდა. ახლა ჩემი თავი წარმომედგინა ძველ საგაში ხოტბაშესხმულ ქერათმიან ქალიშვილად, სანამ იუხანმა არ გამომაფხიზლა:

_ როგორ არა, როგორ არა, სხვაგვარადაც არის ხოლმე. ზოგს, მაგალითად, ჯაგარი ძველი შვედური ტახივითა აქვს.

და ოთხი პატარა ყაჩაღი დიდხანს ხითხითებდა კრისტერის ჯაგარა ქოჩორს რომ უყურებდა. ნეტა ასე გამუდმებით რაზე იცინიან ხოლმე ეს ცამეტი წლის ბავშვები. მაგრამ მაშინვე მათზე გაბრაზება ვერ მოვასწარი. ეს მერე მოხდა, ზაფხულის იმავე ღამეს, როცა ოცნება არ მაცალეს. არადა, როგორც მინდოდა მეოცნება იანსონის მამულთან რომ ყურეა, იმის ნაპირზე, მეოცნება მარტოს, არც კრისტერი ყოფილიყო და, რა თქმა უნდა, არც ეს ყაჩაღები, მაგრამ გაგიგონიათ?!

ის ყურე საოცრად ლამაზი და უდაბური ადგილია. ცეკვების დამთავრებისთანავე სწორედ იქით წავედით მე და კრისტერი. აქ არაფერი მოგაგონებდათ ადამიანების არსებობას, თუ არა ნავების ფარდული, სადაც რამდენიმე ნავი იყო შეფარებული, და ნახევრადდანგრეული ნავმისადგომი. იდუმალებით მოცული იყო ყველაფერი: სილამაზეც და მდუმარებაც. ჩამუქებულ წყალზე წყნარად მისრიალებდა გედების გუნდი. დაუჯერებლად თეთრი, ზღაპრული ჩანდნენ გედები. იქნებ ასეც იყო. ირგვლივ ხომ ყველაფერი ჯადოსნური, წარმოუდგენელი, ზღაპრული და პირველქმნილი ჩანდა.

ყოველ წუთს შეიძლებოდა მათ ფრთები შეებერტყათ, ბუმბული მოეშორებინათ და წარმართულ ღმერთებად ქცეულიყვნენ, რომლებიც ცეკვავენ და უკრავენ ფლეიტაზე. ყურეს მეორე მხარეს, ციცაბო კლდოვანი ნაპირების ჩრდილქვეშ, შავად მოჩანდა წყალი, გაშლილი ზღვის სიახლოვეს კი ფიორდი ისევ ნათელი იყო. კაცმა რომ თქვას, ღამე არც იყო, კუნძულს მხოლოდ გამჭვირვალე მკრთალი ბინდი ეფინა.

მე და კრისტერი კლდის გამონაშვერზე ჩამოვსხედით. მინდოდა კრისტერი გაჩუმებულიყო, მაგრამ ეს მას არ ესმოდა. თვლიდა, რომ ყველაფერი ჩვეულებრივი სქემის მიხედვით უნდა განვითარებულიყო, ამიტომ თვალებში ჩამცქეროდა და მეკითხებოდა, როგორი თვალები გაქვს, მწვანე თუ ნაცრისფერიო.

უცებ კლდის იქით ვიღაც მხიარულად ახითხითდა:

_ არა, უფრო იისფერი აქვს.

ახლა კი სერიოზულად გავბრაზდი:

_ ახლავე მითხარი, აქ რას აკეთებთ!

_ სიამოვნებით, _ თავი გამოჰყო ნიკლასმა, _ ვსხედვართ და ვოცნებობთ ზოგ-ზოგებივით.

ტედი და ფრედი აფრუტუნდნენ. გავცეცხლდი, მაგრამ რა გავცეცხხლდი.

_ გაიგეთ, რომ დავიღალე და მომბეზრდა ყველაფერი.

_ მე თუ მკითხავ, სახლში წასვლა სჯობს. რატომ უნდა იჯდე და იოცნებოდ, თუ დაიღალე, _ მიპასუხა იუხანმა.

რა საძაგლები არიან! დღეს ხომ მამამ ნება დართო ესეირნათ, სანამ არ მოსწყინდებოდათ.

_ აქაურობა ძმებითაა სავსე, _ არ დამალა გულისნადები კრისტერმა. _ ნუთუ ვერ მოვძებნით ისეთ ადგილს, სადაც არ გამოგვედევნებიან?

_ შეიძლება სახლში არ გამოგვყვნენ, _ ვთქვი ყოყმანით, _ არა მგონია, ეგენი იქ შეიტყუოს ვინმემ.

ისევ დურგლისეული კარ-მიდამოსკენ წავედით. იქ, საერთო ოთახში, სადაც სროშანასა და არყის ფოთლების სურნელი იდგა, სუფრა გავშალე და კრისტერს ბუტერბროდები მივართვი.

მამას ეძინა, პელესაც. ირგვლივ სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა. ჩვენ ვისხედით დივანზე, ჩვენ უკან კი, ღია ფანჯრის მიღმა განთიადი მოიპარებოდა.

_ როგორ უთმენ ამ ბავშვებს ამდენს? _ მკითხა კრისტერმა.

მე ვუპასუხე, ადვილად იმიტომ ვუთმენ, რომ თავიანთი სულელური ცელქობის მიუხედავად, ძალიან მიყვარან-მეთქი და ეს სრული სიმართლე იყო.

_ ჰო, ახლა მეც ძალიან მიყვარან, აქ არ არიან და... _ მარწმუნებდა კრისტერი.

იმას ასე ეგონა! სხვათა შორის, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ უცებ ისევ გაისმა ხითხითი, ამჯერად ფანჯრების ქვემოდან.

ზაფხულის ბინდ-ბუნდში სახლის წინ ბავშვების მოხითხითე პროცესია მიემარებოდა. თავზე ყველას ადამისდროინდელი სასაცილო ქუდები ეხურა. რას არ ნახავდი ჩვენი სახლის სხვენზე! ყოველთვის, როცა ფანჯარას ჩაუვლიდნენ, ქუდებს ზრდილობიანად სწევდნენ მაღლა და ხუმრობდნენ, თან თავიანთ ხუმრობაზე ისე იცინოდნენ, მუცლები ხელით ეჭირათ.

_ საღამო მშვიდობისა! გაიგეთ, კარაქი გაძვირებულა რამდენიმე კილოთი! _ ხარხარებდნენ ბიჭები.

ან:

_ ბოდიში, ბალახი სრიგი საითაა, ვერ მეტყვით?

ანდა:

_ შემთხვევით ხომ არ დაგრჩათ ერთი მწიკვი თამბაქო ბაბუაჩემისათვის?

იუხანის ბოლო ხუმრობაზე ნიკლასი ისე ახარხარდა, რომ სულშეგუბებული მიწაზე დაეცა და იქ, ბალახში, მაისის ღრაჭასავით იწვა, ოღონდ დროდადრო თახთახებდა სიცილისაგან.

ამ დროს, საბედნიეროდ, ნისე გრანკვისტმა მოაკითხა თავის გოგონებს. თითქოს იუხანი და ნიკლასიც დაშოშმინდნენ, როგორც იქნა, დასაძინებლად წასვლა გადაწყვიტეს. მალე სხვენზე ასასვლელ კიბეზე მათი ფეხების ტყაპა-ტყუპი გავიგონე და შვებით ამოვისუნთქე.

კრისტერი ჯავრობდა. მე ეს არ გამკვირვებია, მაგრამ რა უნდა მექნა! ერთი ბუტერბროდი კიდევ შევთავაზე და ჩაი დავუმატე ჩემი უკუღმართი ძმების სულელური საქციელის გასაქარწყლებლად.

_ ჭკუიდან შემშლელი ბანდაა, _ ამოღერღა კრისტერმა. _იმ პატარას ძილის წამალი დაალევინე, ასე წყნარად რომ წყევს?

_ მადლობა ღმერთს! ის მაინც ოქრო ბიჭია და ღამღამობით კარგად სძინავს! _ ვუპასუხე. სწორედ ამ დროს გავიგონე პელეს ხმა:

_ შენ ასე გგონია?

მამამ ბიჭების ოთახიდან თოკი ჩამოუშვა, ვინიცობაა ცეცხლი გაჩნდა, ბიჭები თოკს ჩამოჰყვებიანო. ახლა იმ თოკზე, ზედ ფანჯრის წინ, «ოქროს ბიჭი» ქანაობდა, ბიჭი, რომელსაც ღამღამობით კარგად სძინავს. სხვენი კი ზანზარებდა გიჟური სიცილისაგან.

მე კინაღამ ავტირდი.

_ პელე, _ ვკითხე საცოდავად, _ აქ რატომ ხარ ჩამოკიდებული?

_ ვამოწმებ, შეიძლება თუ არა თოკით მიწაზე დაჭვება. იუხანმა მიბრძანა!

მეტი ვეღარ მოითმინა კრისტერმა და კარისაკენ გაემართა.

_ როცა ძმები ფანჯრის წინ თოკებზე ქანაობენ, საშველი აღაა, უნდა მოეშვა.

_ კარგად იყავი, მალინ! _ თქვა კრისტერმა და განთიადისწინა ბურუსში გაუჩინარდა.

ასე დამთავრდა სადღესასწაულო საღამო.

«ოჰ, ღმერთო! _ გავიფიქრე მე. _ რაც გინდა თქვი და, ზაფხულის ბუნიობის დღე ნამდვილი დღესასწაული აღმოჩდნდა».

_ ჰო იუხან, ვიცი, იასამნის ბუჩქების უკან იმალებით, _ მალინმა დღიური ბალახზე დადო, _ მოდით, გუშინდელ ამბავზე ვილაპარაკოთ. თუ მთელი დღე წყალსა და შეშას მიზიდავთ, იქნებ გაპატიოთ კიდეც დანაშაული.

დღე, რომელიც მთელ სიცოცხლეს უდრის

ზაფხულ ჩვეულებრივად მიდიოდა: მზე ანათებდა, მრავალფეროვნებისათვის ზოგჯერ წამოწვიმდა ხოლმე, ხანდახან ქარიშხალიც ამოვარდებოდა: ზღვა ატრიალდებოდა და ფიორდი თეთრი ქაფით იფარებოდა, სახლების ფანჯრები

ჭრიალებდა. ჩორვენი გემის შესახვედრად ნავსაბმელისაკენ წელში მოკაკული მიდიოდა. სტინა ხომ ლამის ზღვაში ჩაჰქონდა ქარს. ცუდ ამინდში სიოდერმანის კატა გარეთ არ გამოდიოდა, თვითონ სიოდერმანი კი სამ-სამი დღეობით არ იღებდა ბადეს ზღვიდან. დროდადრო ჭექა-ქუხილიც გადაუვლიდა კუნძულს. ერთხელ მელკერსონებმა მთელი ღამე გაათენეს თავიანთ სამზარეულოში და უყურებდნენ, შხუილით როგორ ეშვებოდა ელვა ზღვაში და როგორ დღესავით ნათდებოდა ფიორდი. საშინელი ჭექა-ქუხილი ისმოდა შორეულ კუნძულებზე, გეგონებდა, განკითხვის ჟამი დადგაო. აბა, ვინ დაიძინებდა ასეთ ღამეს?

_ მომბეზრდა ეს ღამეული ცხოვრება, _ აბუზღუნდა ბოლოს პელე.

აქ, სალტკროკაზე, ხშირად ვერ გაარჩევ დღე არის, თუ ღამე. კიდევ გასაგებია, არ დაიინო რაიმე დღეობის გამო ან ზაფხულის ბუნიობის დღესასწაულზე, მაგრამ ღამე გაათენო ჭექა-ქუხილის საყურებლად, აუტანელიაო, ფიქრობდა პელე. ნისე გრანკვისტი ცდილობდა დაერწმუნებინა, ყველა ამინდი თავისებურად კარგიაო. მართალია, პელეს ბრმად სჯეროა ძია ნისესი, მაგრამ მის სიტყვებში მაინც შეეჭვდა, რომელიც წვიმის წვეთებმა სახურავში ჩაატანა. თუმცა ამ უბედურებას მალე ეშველა: ერთ მშვენიერ დღეს მამა სახურავზე ავიდა და დაცურებული კრამიტები გაასწორა, ზოგან კი ტოლი დააფარა. სანამ მამა სახურავზე იყო, მალინმა დუმილის წუთი გამოაცხადა და ამან, წარმოიდგინეთ, უშველა _ მელკერმა ყოველგვარი ხიფათის გარეშე დაასრულა საქმე. სამაგიეროდ, მეორე დღეს, როცა კუნელზე საშოშიე უნდა დაედგა, არ გაუმართლა. ამვრა თუ არა ხეზე, იმ წუთში დაბლა ჩამოკოტრიალდა, საშოშიე ისევ ხელში ჰქონდა მაგრად ჩაბღუჯული. ბიჭები შეშინებული მისცვივდნენ, მაგრამ მელკერმა ღიმილით დააშოშმინა, არაფერი მომსვლია, არაფერი, უბრალოდ უეცრად გამახსენდა, რომ საშოშიეს დადგმა ცოტა ადრეაო.

_ მაშ ასე რატომ ჩქარობდი, ხიდან ჩამოვარდი და მუხლები გადაიტყავე, _ უთხრა მალინმა და ნაკაწრებზე სალბუნი დაადო.

საერთოდ, ზაფხულში კუნძულზე ცხოვრება უდიდესი სიამოვნება იყო და პელე უკვე შიშით ფიქრობდა იმ ნაღვლიან დღეზე, როცა ქალაქში დაბრუნება მოუწევდათ. მას ერთი სავარცხელი ჰქონდა. იმ სავარცხელზე იმდენი კბილი იყო, რამდენი დღეც დარჩენოდათ კუნძულზე გასატარებელი. პელე ყოველ დილით ამტვრევდა თითო კბილს და სინანულით უყურებდა შემოკლებულ რიგს.

ერთ დილას, საუზმისას, მელკერმა სავარცხელი დაინახა და ფანჯრიდან გადაუძახა. _ სისულელეა, _ უთხრა პელეს, _ ასე ძრწოდე მომავლის წინაშე. ყოველი დღის მოსვლა

სიხარულს უნდა განიჭებდეს. დღევანდელივით ნათელ დღეს ცხოვრება ცარიელი სიამოვნებაა, _ მსჯელობდა მელკერსონი. _ წარმოგიდგენიათ, შეიძლება პიჟამათი გახვიდე ბაღში, ფეხშიშველამ გაიარო ნამიან ბალახზე, წყალში ჩაყურყუმელავე ნავმისაბმელთან. ხოლო მერე ბაღში ჩამოჯდე შენი ხელით შეღებილ მაგიდასთან, წაიკითხო წიგნი ან გაზეთი, დალიო ყავა და უსმინო ბავშვების ჟრიამულს. სხვა რაღა გინდა! ამიტომ არაა საჭირო, ყოველდღე დაჰყურებდე სავარცხელს. _ მელკერმა პიწკად აიღო მიწიდან სავარცხელი და სანაგვე ვედროში ჩააგდო. პელეს ხმა არ ამოუღია. როცა სავარცხელი მოიცილა, მამა ისევ წიგნს მიუბრუნდა, იუხანი და ნიკლასი კი აკამათდნენ, ვისი ჯერი იყო ჭურჭლის გარეცხვა.

მათთვის რომ გეკითხა, ჭურჭლის რეცხვის ჯერი მალ-მალე დგებოდა. მალინი კი, პირიქით, დარწმუნებული იყო, როცა ჭურჭელია გასარეცხი, იუხანი და ნიკლასი ძალზე მოუხელთებლები არიანო. მოკლედ, მათი სამზარეულოში მორიგეობის იშვიათ დღეებში სალტკროკაზე დროშა უნდა ფრიალებდესო, ამბობდა მალინი.

_ ახლა კი არა ხარ მართალი, _ უთხრა ნიკლასმა. _ მაგალითად, გუშინ ვინ გარეცხა ჭურჭელი?

_ ვინ? ვინ და მალინმა!

ნიკლასმა ეს ვერაფრით დაიჯერა.

_ საოცარია. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ მე გავრეცხე.

_ განა არ შეგიმჩნევია, სანამ სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდი, რომ ეს შენ კი არა, მალინი იყავი? _ ჰკითხა პელემ და ფუნთუშაზე მურაბა წაუსვა.

ამ დროს ზუზუნით მოფრინდა პელეს ერთ-ერთი ბზიკი, ეტყობდა, იმასაც მოუნდა მურაბა. პელემ გულღიად გაუწოდა მურაბიანი პურის ნაჭერი. ხომ უნდა აჭამო შენს შინაურ ცხოველებს! პელეს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მისი ასეთი ქცევით ბზიკები ბოლოს და ბოლოს გაიგებდნენ, ვინ იყო მათი ნამდვილი პატრონი. მას უყვარდა სხვენის ფანჯარაზე ჯდომა და მათი სტვენით მოხმობა სალაპარაკოდ და გასართობად. პელე პირდებოდა, დურგლისეულ ეზოში რამდენ ხანსაც გინდათ, იმდენ ხანს გაცხოვრებთო.

პელე გატაცებით უთვალთვალებდა ბიზკს, რომელიც მაგიდაზე დარჩენილი შაქრით იტკბარუნებდა პირს და ცდილობდა წარმოედგინა, რაზე ფიქრობდა პატარა მწერი ან რანაირი იყო ბზიკობა. ნეტა მათაც თუ ეშინიათ, ან თუ ღელავენ პელეს ტოლა ბიჭებივით, ან, საერთოდ, რა იციან ბზიკებმა.

_ მამა, როგორ გგონია, ბზიკებმა იციან, რომ დღეს თვრამეტი ივლისია? _ ჰკითხა პელემ.

მამა ფიქრებში იყო წასული და არაფერი უპასუხია.

_ დღე, რომელიც მთელ სიცოცხლეს უდრის! _ წაიბუტბუტა მელკერმა. – ეს ხომ შესანიშნავია!

_ რაა შესანიშნავი? _ ჰკითხა იუხანმა.

_ აი, აქ, წიგნში წერია: «დღე, რომელიც მთელ სიცოცხლეს უდრის», _ ფიცხად წამოიძახა მელკერმა. _ აი, ამიტომ გადავაგდე სავარცხელი!

_ წიგნში წერია, პელეს სავარცხელი გადააგდეო? _ ჰკითხა გაკვირვებულმა პელემ.

_ აქ წერია: «დღე, რომელიც მთელ სიცოცხლეს უდრის!» _ ეს ნიშნავს, რომ ყოველდღე უნდა იცხოვრო ისე, თითქოს ის ერთადერთი დღე გაქვს ღვთისგან ბოძებული. უნდა ისარგებლო ყოველი წამით და გრძნობდე, რომ ნამდვილად ცხოვრობ ამ ქვეყანაზე.

_ შენ გგონია, რომ მე ჭურჭელი უნდა ვრეცხო! _ საყვედურით უთხრა დას ნიკლასმა.

_ რატომაც არა! _ გამოეპასუხა მელკერი. _ იმის შეგნება, რომ რაღაცას ქმნი, შენი ხელით აკეთებ, ამაღლებს სასიცოცხლო ტონუსს.

_ მაშინ იქნებ შენ გარეცხო? _ შესთავაზა ნიკლასმა.

მაგრამ მელკერმა უპასუხა, მე ჭურჭლის რეცხვის გარეშეც ბევრ საქმეს ვაკეთებ და ტონუსიც სათანადო სიმაღლეზე მაქვსო.

_ რა ტონუსზე ლაპარაკობთ? _ იკითხა პელემ. _ ეგ ტონუსი ხელებში გაქვთ?

მალინმა სიყვარულით შეხედა ძმას.

_ მე მგონი, შენ ფეხებში გაქვს. ხომ ამბობ, ფეხებს ტავისით დავყავარო, აი, ეგ არის სწორედ სასიცოცხლო ტონუსი.

_ მართლა? _ გაკვირდა პელე. _ რამდენი რამეა ქვეყანაზე, რომ არ იცი, თუმცა ადმაიანი ხარ და არა ბზიკი.

ბზიკებმა შეიძლება ის არ იცოდნენ, დღეს თვრამეტი ივლისიაო, მგარამ იმას კი ხვდებოდნენ, დურგლისეულ ეზოში, მაგიდაზე, მურაბიანი ვაზა დევსო, და ზუზუნით მიაფრინდნენ სასუსნავს. მალინმა გაჯავრებით აუქნია ხელი. ერთ-ერთმა ბზიკმა სამაგიეროს გადახდა დააპირა, მაგრამ იმის მაგივრად, მალინს დასხმოდა თავს, მეორე მხარეს გავარდა და ყოვლად უდანაშაულო მელკერი დანესტრა. მელკერი ღრიალით წამოიჭრა ფეხზე და ასევე სრულიად უდანაშაულო პატარა ბზიკის მოკვლა დააპირა,

წყნარად რომ დაბობღავდა მაგიდაზე და არავის არაფერს ერჩოდა. მაგრამ საქმეში პელე ჩაერია.

_ ხელი არ ახლო! _ აყვირდა გამწარებული, _ ხელი არ ახლო ცემს ბზიკებს. ამათაც ხომ უნდათ სიცოცხლე, შენ თვითონ არ ამბობდი?

_ რას ვამბობდი? _ ჰკითხა გაკვირვებულმა მელკერმა, რომელსაც სრულაიდ არ ახსოვდა როდის ლაპარაკობდნენ ბზიკებზე.

_ როგორ არა! «დღე, რომელიც მთელ სიცოცხლეს უდრისო», თუ როგორ იყო, _ მოაგონა პელემ.

მელკერმა დაბლა დასწია წიგნი, რომლითაც ბზკიის მიჭყლეტას აპირებდა.

_ ჰო, რა თქმა უნდა, თუმცა ეს დღე ჩემი დაკბენით არ უნდა დაეწყოთ.

მამამ ალერსიანად მოუთათუნა პელეს ლოყაზე ხელი.

_ შენ, ბიჭო, ყველაზე კარგი მეგობარი ხარ ცხოველებისა ამ ქვეყანაზე. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ შენი ცხოველები დიდად კეთილები არ არიან.

მელკერმა კისერზე მოისვა ხელი. ნაკბენი ტკიოდა, მაგრამ ბზიკს არ გააფუჭებინებს დილას. ის მტკიცედ წამოდგა ფეხზე. ეს დღე მთელ ცხოვრებას უდრიდა, მისთვის, მელკერისთვისაც, და მან იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა.

ამ დროს ნავსაბმელს ფრუტუნ-ფრუტუნით მიადგა მოტორიანი ნავი. იუხანმა და ნიკლასმა რომ დაინახეს, ვინ იჯდა საჭესთან, მოქუფრულებმა ერთმანეთს გადახცედეს.

_ უჰ, მეგონა, დღესასწაულზე მოვიშორეთ-მეთქი, _ ამოიოხრა იუხანმა.

მაგრამ, ეტყობა, კრისტერს დაავიწყდა ყველაფერი, გარდა იმისა, რომ ახლომახლო კუნძულებზე არ იყო მალინისნაირი გოგო. სადმე რომ უკეთესი აღმოჩენილიყო, აუცილებლად იქით მიაბრუნებდა თავის მოტორიან ნავს. მანამდე კი მელკერსონების ნავსაბმელი ყველაზე სანუკვარი ნავსაყუდელი იყო.

_ გამარჯობა, მალინ! წამოდი, ზღვაზე გავისეირნოთ, _ დაუყვირა ნავიდან.

ბიჭებმა სული განაბეს. ნუთუ მალინი გაუსხლტებათ მოტორიანი ნავით? მაშინ როგორღა უნდა დაიცვან?

მალინი გამოცოცხლდა, ეტყობოდა, არაფერი ჰქონდა ზღვაზე სეირნობის საწინააღმდეგო.

_ დიდხანს დარჩებით? _ გადმოსძახა კრისტერს.

_ მთელი დღე, _ ისევ ყვიროდა კრისტერი. _ საბანაო კოსტიუმის წამოღება არ დაგავიწყდეს. იქნებ კლდოვანი კუნძული მოვნახოთ და იქიდან ზღვაში ჩავყვინთოთ.

იუხანმა თავი გადაიქნია.

_ გონს მოდი, მალინ! ეს დღე მთელ სიცოცხლეს უდრის, ნუთუ მთელი სიცოცხლე მაგ ბიჭთან გინდა გაატარო?

მალინი ახარხარდა.

_ გასაგებია, უფრო სასიამოვნოა იჯდე სახლში, რეცხო ჭურჭელი და ამზადო სადილი, ამიტომ მწადია, ერთხელ თქვენც იგემოთ ეს სიამოვნება.

_ მშვენიერია! _ განაცხადა ნიკლასმა.

მალინმა კითხვის თვალით შეხედა მამას.

_ რას იზამთ, იოლად გახვალთ უჩემოდ?

_ აბა, რა! _ უპასუხა მელკერმა. _ შენი ყოჩაღი მამის იმედი გქონდეს. ოღონდ დღეს რა გვაქვს სადილად?

_ არაფერი, _ გამოტყდა მალინი, _ მაგრამ ხომ შეგიძლია იყიდო ფარში მერტას დუქანში და შეწვა გუფთები. ამით შენი სასიცოცხლო ტონუსი უცებ ავარდება მაღლა!

მელკერმა თავი დაუქნია. ზოგჯერ საოცარ დანაშაულს გრძნობდა მალინის წინაშე. მას ხომ იმაზე მეტი პასუხისმგებლობა და შრომა დააწვა, რაც შეეძლო აეტანა ცხრამეტი წლის ქალიშვილს. ამიტომ მელკერი სულთა და გულით უსურვებდა მალინს დროს მხიარულად გატარებას. თან დღეს მარტო დარჩენა უნდოდა და ხელს აძლევდა, მალინი შინ არ ყოფილიყო.

_ წადი, ჩემო გოგო! მშვიდად გადმოდე ჩემს მხრებზე შინაური საქმეები. ეს საინტერესოც კია.

მაგრამ მანამ, სანამ მალინი საგზაოდ მოემზადებოდა და პლაჟის ჩანთაში საჭირო ნივთიებს ჩაალაგებდა, პელე უკვე ნავმისადგომზე იდგა, წელზე მაშველი სარტყელი ეკეთა და მოღუსული უყურებდა კრისტერს.

_ გამარჯობა შენი, _ მიესალმა კრისტერი, _ ეგ სარტყელი რად შემოგიჭერია?

_ ზედმეტი არა, როცა ზღვაში გადიხარ, _ ცივად უაპსუხა პელემ.

_ ბიჭოს! ზღვაში გადიხარ? ვის მიყვები?

_ შენ და მალინს!

ამ დროს მალინიც მივიდა და კრისტერს ვედრებით შეხედა:

_ წამოვიდეს რა, ჩვენთან!

კრისტერს სახეზე შეეტყო, რომ პატარა ჩხრიალა გველს უფრო სიამოვნებით წაიყვანდა, მაგრამ მალინმა საყვედურით უთხრა:

_ დიდად არ გყვარებია ბავშვები!

კრისტერმა მაშინვე აიტაცა პელე და ნავში ჩასვა.

_ რას ამბობ, _ მიუბრუნდა მერე მალინს, _ ბავშვებს ვაღმერთებ, განსაკუთრებით ცხრამეტი წლის გოგონებს, აბა როგორ!

მან მალინს ხელი გაუწოდა და ნავში ჩასვლა უშველა.

_ თუმცა იმისი მადლობელიც ვარ, სამივე ძმა რომ არ წამოიყვანე.

ამ დროს შინ დატოვებული ბიჭები შემაღლებულზე იდგნენ და თვალით აცილებდნენ ნავს მანამ, სანამ ფიორდის წყნარ ზედაპირზე წერტილივით არ გამოჩნდა.

მერე კი საქმეს შეუდგნენ. ჯერ მაგიდა აალაგეს, დასარეცხი ჭურჭელი სამზარეულოში გაიტანეს, წყალი გააცხელეს, დარეცხეს და თაროებზე შემოაწყვეს. ბიჭებმა საქმე სწრაფად და ყოჩაღად გააკეთეს. ასე იყვნენ მიჩვეულები, როცა საჭირო იყო, თავისი მოვალეობა მარდად და კარგად უნდა შეესრულებინათ. თანაც ტედი და ფრედი მოუთმენლად ელოდნენ გრანკვისტების ნავმისადგომთან ჩაშვებულ ტივზე.

არანაკლებ მოუთმენლად ელოდა მათ წასვლას მელკერი. მას მარტო დარჩენა უნდოდა, მალე სურდა გამოეცადა თავისი გამოგონება _ საიდუმლო ღარი, რომელსაც იგი მონობისაგან უნდა დაეხსნა. ხომ არის საქმეები, თვითონ რომ უნდა აკეთო და რომლისგანაც სასიცოცხლო ტონუსი სრულიად არ იწევს მაღლა. მაგალითად, ჭიდან წყლის თრევა. ღმერთმა იცის, სად მიჰქონდა მალინს ის წყალი, ჭიდან რომ მთელი დღე ეზიდებოდნენ. იქნებ ჩუმად და დაუსრულებლად იღებდა ცივ შხაპს? ყოველ შემთხვევაში ვედროები სამზარეულოში მუდამ ცარიელი ეწყო და საყვედურით შესცქეროდა ყველა შემსვლელს. თავისთავად ცხადია, მალინს არ სჭირდებოდა წყალზე სიარული _ სახლში ოთხი მამაკაცი იყო. წყალი ნიკლასს და იუხანს მოჰქონდათ, ოღონდ საჭირო მომენტში ახლომახლო აღმოჩენილიყვნენ და ეთხოვათ. მაგრამ ხშირად მელკერის გარდა წყლის მომტანი არავინ ჩანდა.

ახლა ყველაფერი ეიცვლება. დღეიდან, თვრამეტი ივლისიდან, აღარ დასჭირდებათ მძიმე ვედროების თრევა, იმის წყალობით, რომ, როგორც კი მელკერ მელკერსონმა ძველი წყალსადინარი ღარი დაინახა, მაშინვე მიხვდა, რაში გამოადგებოდა. მელკერმა ღარი ფარდულში იპოვა, იმ შესანიშნავ ძველ ფარდულში, სადაც ათასგვარი ხარახურა ეყარა. ჩუმად გაწმინდა და ქვიშით გახეხა, ახლა მხოლოდ აწყობაღა აკლდა.

_ ადვილზე ადვილი საქმე, _ თავს ირწმუნებდა მელკერი და ცდილობდა წარმოდგინა, რა როგორ უნდა გაეკეთებინა.

1. ჭასთან ბიჯგებს ისეთი ანგარიშით დადგამ, რომ ღარი მათზე დახრილად გაიდოს. 2. ფოლადის მავთულით მაგრად მიაკრავ ბიჯგებს კუნელის ქვედა ტოტზე. 3. ასევე მკვიდრად ჩასვამ ღარს ბიჯგებში, ზედ ფოლადის მავთულით მიამაგრებ და სამზარეულოს ფანჯარაში გააყოფინებ ბოლოს. რასაკვირველია, მანამდე კარგად უნდა გაზომო და დარწმუნდე, ღარი იქამდე მისწვდება თუ არა. 4. სამზარეულოში ღარს დიდ, მკვიდრ კარსრს შეუდგამ. 5. და 6. წყალი მხიარული ლიკლიკით ჩაირბენს ღარიდან სამზარეულოში, თვითონ კი ამ დროს სახლის წინ მწვანე ბალახზე წამოწვები და ინებივრებ.

რასაკვირველია, ჭიდან წყლის ამოღება ისევ ხელით მოუწევთ, მაგრამ ჭოჭონაქის სახელურის ტრიალი და ჭიდან წყლის ვედროთი ამოღება ძნელი სულაც არაა. დილით შეიძლება თავისუფალი დრო იპოვო და ერთბაშად 15-20 ვედრო წყალი ამოიღო. მერე მთელი დღე მოსვენებით იქნები. მაშინ მალინმა, თუ უნდა, ყოველ ხუთ წუთში მიიღოს ცივი შხაპი.

მელკერმა მხნედ წამოიწყო საქმე. სამუშაო უფრო საკირკიტო აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდა. ამიტომ სანამ ღარს აყენებდა, საალერსო სიტყვებით იმხნევებდა თავს.

_ არის ორი მშვენიერი რამ, _ თქვა მან და ღარი თავის ადგილზე დააყენა, _ არა, ორი კი არა, სამი რამ, რომლებზე უკეთესსაც კაცი ვერაფერს მოიგონებს: ესაა უბრალო ხის ღარი, წყლის კალაპოტი სამზარეულოსაკენ და მელკერ მელკერსონის გზა სიბრძნიდან მწვერვალისაკენ.

ყველაფერი კარგად მიდიოდა, ზუსტად ისე, როგორც მელკერმა ჩაიფიქრა. მისი ნაგებობა კარგად იმუშავებდა, მან ეს დანამდვილებით იცოდა. რა თქმა უნდა, საწყენია, რომ დიდი კასრი ჯერ კიდევ ვერ იშოვა. ღარის გამოცდისას ახლა ვედრო უნდა იკმაროს. მაგრამ მაშინ სამზარეულოში ვინმე უნდა იყოს და ანიშნოს, ვედრო აივსოო.

ამ დროს, ბედად, ჩორვენი მოვიდა. მელკერს თვალები გაუბრწყინდა.

_ რა კარგ დროს მოხვედი, ჩორვენ!

_ მართლა?! _ წამოიძახა ნასიამოვნებმა ჩორვენმა. _ მოგენატრე?

მელკერსა და ჩორვენს შორის ის იშვიათი მეგობრობა დამყარდა, რაც ხანდახან გვხვდება ხოლემ ბავშვსა და მოზრდილს შორის. ეს იყო მეგობრობა ორი თანასწორუფლებიანი ადამიანისა, რომლებიც ერთმანეთს არაფერს უმალავენ და პირში ეუბნებიან სათქმელს. მელკერის ხასიათში ბევრი რამ იყო ბავშვური, ჩორვენს კი მომადლებული ჰქონდა რაღაც სხვა, დიდი ადამიანის მოწიფულობა კი არა, საგრძნობი

შინაგანი ძალა. აი, სწორედ ამის გამო იყვნენ ასე მეგობრულად ერთმანეთთან. ჩორვენი ყველაზე ხშირად უმასპინძლდებოდა მელკერს მწარე ჭეშმარიტებით, რომლის გაგონებაზეც მელკერს შეაჟრჟოლებდა ხოლმე და ხანდახან მის დატუქსვასაც მოინდომებდა, მაგრამ მალე მშვიდდებოდა, იცოდა, მაინც არაფერი გამოვიდოდა. ისე კი ჩორვენი საყვარელი და ერთგული გოგო იყო და ძალიან უყვარდა ძია მელკერი.

მელკერმა აუხსნა, რა ძვირფასი აღმოჩენა იყო ხის ღარი _ დღეიდან მალინს პირდაპირ სამზარეულოში მოუვა წყალი.

_ დედაჩემსაც იქ მისდის წყალი, _ უთხრა ჩორვენმა, _ პირდაპირ სამზარეულოში მიერთმევა ხოლმე.

_ ყოვლად შეუძლებელია, _ დაეჭვდა მელკერი.

_ ძალიანაც შესაძლებელია. მამას მოაქვს ხოლმე, _ მოუჭრა ჩორვენმა.

მელკერმა მოწყალედ გაიცინა.

_ ეგ სულ სხვა საქმეა, ჩემო გამოგონება კი აპტარა სასიამოვნო სიურპრიზი იქნება მალისნისათვის!

ჩორვენმა ყურადღებით შეხედა.

_ კიდევ იმიტომ აკეთებ, რომ ვედროები არ ათრიო, არა?

მელკერს ხმა არ ამოუღია.

_ მაშ, ასე, დადექი ვედროსთან, _ უბრძანა ჩორვენს, _ და როცა წყალი წამოვა, დამიძახე, გაიგე?

_ გავიგე, აბა! სულელი ხომ არა ვარ!

მელკერი ბავშვივით ხტუნვა-ხტუნვიტ გაიქცა ჭისაკენ, ვედროთი წყალი ამოიღო და ღარში ჩაასხა. მერე კი, როცა წყალი ღარში გაჩხრიალდა და სამზარეულოდან ჩორვენის ყვირილი გაისმა, აღტაცებისაგან სიცილი აუვარდა. უჰ, შენი ჭირიმე, მისი ნაგებობა ისე მუშაობდა, როგორც ეგონა.

და მაინც მთლად ისე არა... სამწუხაროდ, ისე არა, როგორც საჭირო იყ. მელკერს ეწყინა, როცა დაინახა, რამდენი წყალი გასდიოდა გამომშრალ და დაბზარულ ღარს. თუმცა ამისი შველა შეიძლებოდა. იცოდა, რომ დაბრეცილ ხის კასრებს, ჩვეულებრივ, წყალში დებენ ხოლმე გასაჟღენთად. ასევე შეიძლება გაიჟღინთოს ღარიც. ოღონდ ესაა, როგორ დაშალოს. მის გამაგრებაზე ხომ რამდენიმე კილომეტრი ეს დალოცვილი მავთულ იწავიდა და ასე იოლად რანაირად შემოხსნი, _ ფიქრობდა მელკერი. მაგრამ ნუთუ სასურველ

შედეგს ვერ მივიღებ, კასრში რომ ბევრი წყალი ჩავასხა? თანდათან მაინც გაიჟღინთება. აბა, რას იზამს!

მელკერი თავისი ჩვეული ენერგიითა და მონდომებით შეუდგა საქმეს. ღარში რომ ათიოდე ვედრო წყალი ჩაასხა, შეამჩნია, ღარი ცოტა გაიჟღინთაო. ან იქნებ მოეჩვენა? მელკერი დაფიქრებული იდგა, კეფას იქექავდა და უყურებდა, როგორ იღვრებოდა წყალი მიწაზე. უცებ სამზარეულოდან ჩორვენის ყვირილი და ხმაური გაიგონა. ეტყობოდა, კარგა ხანს ყვიროდა ასე. მას კი ყურადღება არ მიუქცევია. ამიტომ ხმამაღლა დაუყვირა:

_ რაო, გაივსო? ფანჯარაში ჩორვენის სახე გამოჩნდა. ამჯერად მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა.

_ არა-ა, _ უპასუხა მან. _ სამზარეულო ჯერ არ ავსებულა, მარტო ზღურბლამდეა წყალი მოსული, _ და მერე დაუმატა: _ ძია მელკერ, შენ ყრუ ხარ?

ღარი უთუოდ იმაზე უკეთ მუშაობდა, ვიდრე მელკერი მოელოდა. თუმცა წყლის უმეტესი ნაწილი მიწაზე დაიღვარა, ვედრო მაინც აივსო და იატაკი წყალმა დაფარა.

წუთიც არ გასულა, იუხანი და ნიკლასი ჩექმების ბრახუნით შეცვივდნენ სახლში და, იატაკზე ჩაცუცქული, ხელში ჩვარმომარჯვებული მამა რომ დაინახეს, გაკვირვებულებმა ჰკითხეს:

_ შენ რა, იატაკს რეცხავ?

_ არა-ა, _ მელკერის ნაცვლად უპასუხა ჩორვენმა, რომელიც შეშის ყუთზე მოკალათებულიყო და ყველაფერს თვალს ადევნებდა. _ ეს მშვენიერი სიურპრიზი მალინს მოუმზადა, ახლა იმას წყალი პირდაპირ სამზარეულოში მოუვა.

_ აქედან მომშორდი! _ უცებ აფეთქდა მელკერი, _ თვალით არ დამენახოთ.

შორს მყოფმა მალინმა არაფერი იცოდა მელკერის საოცარ სიურპრიზებზე და მხოლოდ ზაფხულის დღით ტკბებოდა. ის ნეტარებდა მთელი არსებით, თმის ღერიდნა ფეხის ფრჩხილებამდე. დღე, რომელიც მთელ სიცოცხლეს უდრის... ჰო, დღეს ეღირსა ცოტ-ცოტა ეგრძნო ყველაფერი, რაც აუცილებელია ამ ქვეყანაზე. მზე და წყალი, ზაფხულის ნაზიო სიო, იმ გახურებული კლდის სიმყარე, რომელზეც იწვა, მის უკან გაშლილი მწვანე მდელოდან მონაბერი ყვავილების სურნელი, რომელიც ზღვის ათასგვარ სუნს სერეოდა. ოჰ, მთელი ეს დალოცვილი მწვანე კუნძულები თავიანთი ნაცრისფერი კლდეებით, ყვავილებითა და ზღვის ფრინველებით! ვერსად გაატარებ მთელ სიცოცხლეს ან თუნდაც ერთ დღეს ისე, როგორც ამ კუნძულებზე. რა არის იმაზე სასიამოვნო, აი ასე იწვე მზეზე, უყურებდე ჩიტების ფრენას და უსმენდე ტალღების ძლივს გასაგონ ჩქაფუნს კლდეზე?

კრისტერის გარეშე, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, იმიტომ, რომ მისი ტყუილუბრალო ლაპარაკი ახშოვდა ტალღების მსუბუქ ტლაშუნს. ამ ლაქლაქმა თანდათან გააღიზიანა მალინი და მოუნდა ბოლოს და ბოლოს კრისტერი გაჩუმებულიყო. მაგრამ წინდაწინ იცოდა, კრისტერი ამას არ იზამდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა დღესასწაულის ღამეს იანსონის ყურის ნაპირზე ისხდნენ, მალინმა უთხრა, ძალიან მიყვარს სიჩუმეში მარტო ჯდომაო.

_ ოღონდ არც ყოველდღე მინდა და, მით უმეტეს, არც ახლა, _ დაამატა საჩქაროდ.

მაგრამ ზოგჯერ მაინც ვგრძნობ, რომ ჩემთვის აუცილებელია მარტო დარჩენაო, ასე თქვა მაშინ.

_ მეც შემიძლია მარტო დარჩენა, ესე იგი მარტო ყოფნა, _ არწმუნებდა კრისტერი, _ მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისთან... შენთან თუნდაც მთელი სიცოცხლე გავძლებდი.

საწყალმა კრისტერმა ვერც ახლ ამოახერხა მალინთან მარტო დარჩენა. რა თქმა უნდა, არც პელეს მოსწონდა მისი ლაქლაქი, მაგრამ ამინც ამ წყვილის გვერდით მიჩოჩდა, რომ არც ერთი სიტყვა არ გამოჰპარვოდა. ის აგროვებდა კენჭებს ნაპირზე, ზედ წყლის პირას, თვალს ადევნებდა ნაფოტა თევზებს და თან სმენად იყო გადაქცეული.

_ ერთი კვირით ალანდის კუნძულებზე ვაპირებ წასვლას მოტორიანი ნავით, _ თქვა კრისტერმა, _ წამოხვალ ჩემთან?

პელემ ახედა:

_ მე მეკითხები?

კრისტერი თუნდაც დაიფიცებდა, რომ პელე არ ჰყავდა მხედველობაში, მაგრამ ის, ვისაც ეს ნათქვამი ეკუთვნოდა, ხმას არ იღებდა, მშვიდად იღიმებოდა.

_ მალინ, უარს არ მეტყვი, არა? _ მხურვალედ ჰკითხა კრისტერმა. _ შენ ისეთი ჭკვიანი და გონიერი ჩანხარ, რატომ უნდა გაუშვა ხელიდან ბედნიერი შემთხვევა?

_ არა მე არ წამოგყვები ალანდის კუნძულებზე, _ უპასუხა მალინმა, _ მიტომ რომ ზუსტად ისეთი ჭკვიანი და გონიერი ვარ, როგორიც ვჩანვარ.

_ რა უქნა! _ გაიცინა პელემ და პატარა თეთრ კენჭს დასწვდა.

_ შენს ძმებთან რა მოაწყენს კაცს, ჩვენი ყურის გდების მეტს არაფერს აკეთებენ, _ წაიბუზღუნა კრისტერმა და პელეს ცოტა შორს გასეირნება შესთავაზა. იქ უფრო ლამაზი კენჭებიაო, არწმუნებდა, მაგრამ პელემ თავი გაიქნია.

_ არა, მაშინ ვერ გავიგებ, რას ეტყვი მალინს.

_ კი მაგრამ, რად გინდა მაგის გაგება? _ გაიკვირვა კრისტერმა, _ ჩემი ნათქვამი ძალიან საინტერესო გგონია?

პელემ ისევ გაიქნია თავი.

_ პირიქით, ძალიან სულელური მგონია.

კრისტერი მიეჩვია, რომ ყველა აქებდა, თუმცა არა, ბავშვები არასოდეს, მაგრამ ეს არც ედარდებოდა. ახლა კი გამწარდა, ეს პატარა ბიწი რომ არაფრად აგდებდა და მიზეზის გაგება მოუნდა.

_ აჰ, შენ მე სულელი გგონივარ, ხომ, _ ადრინდელზე ტკბილად დაელაპარაკა პელეს, _ ნუთუ მალინს ჩემზე უჭკუო კავალერები არა ჰყოლია?

პელემ ყურადღებით შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

_ იტყვი, არაო? _ დაიჟინა კრისტერმა.

_ ვიხსენებ, _ უპასუხა პელემ.

მალინს გაეცინა, მასთან ერთად კრისტერსაც, თუმცა არც მაინცდამაინც გულწრფელად.

პელე წუთით ჩაფიქრდა და... _ ერთი და ორი ნამდვილად იქნებოდა შენზე სულელიო, _ დაამშვიდა კრისტერი.

_ არა, სულ მაინც რამდენი მოგროვდება? _ არ მოეშვა კრისტერი. _ დათვლა შეიძლება?

_ წარმოიდგინე, შეიძლება, _ უპასუხა მალინმა. უცებ წამოხტა და კლდიდან ზღვაში გადაეშვა. _ არაფრად გჭირდება მაგისი გაგება! _ დაუძახა მერე, როცა წყლიდან ამოყო თავი.

მაგრამ პელემ იფიქრა, რატომ უნდა დავუმალოო და მოახსენა:

_ ორი დუჟინი მაინც იქნება, თუ მეტი არა, რეკავენ და რეკავენ, მთელი დღეები არ გვასვენებენ... რასაკვირველია, როცა ქალაქში ვართ. მამა კი ასე პასუხობს: «ტელეფონთან მელკერსონების ოჯახის ავტომატური რობოტია. მალინი შინ არაა».

მალინმა მუჭით წყალი ამოიღო და პელეს შეასხა.

_ ენა დამოიმოკლე!

მერე ზურგზე გაწვა და გაცურდა; ნელა ირხეოდა ტალღებზე, უყურებდა ცისფერ ცას და ცდილობდა გაეხსენებინა, მაინც ვინ იყო კრისტერზე სულელი, მაგრამ ვერავინ მოიგონა. და მაშინ უეცრად მიხვდა, რამდენად უკეთ გაატარებდა დღევანდელ დღეს

კრისტერის გარეშე. ამ დღესაც და სხვა დღეებსაც. მიხვდა და მტკიცედ გადაწყვიტა, კრისტერთან ერთად აღარსად წავალო.

მერე ბიორნი გაახსენდა და ამოიხვნეშა. ამ ბოლო დროს ძლიერ ხშირად ხვდებოდა. გრანკვისტები შვილივით იღებდნენ, ისიც მოდიოდა, როცა მოესურვებოდა. გრანკვისტების სახლიდან დურგლისეულ კარ-მიდამომდე კი ორი ნაბიჯია. ახლა მელკერსონებთან თითქმის ყოველდღე შეივლიდა ხოლმე. ხან რამეს მოიმიზეზებდა, ხან უმიზეზოდ მოდიოდა და მოჰქონდა ახლად დაჭერილი ქორჭილა თუ ახლახან მოკრეფილი სოკოები და ყველაფერს ჩუმად ალაგებდა სამზარეულოს ამგიდაზე. ეშველებოდა იუხანს და ნიკლასს ანკესის გამართვაში, დიდხანს იჯდა დურგლისეული სახლის კართანაზე და ესაუბრებოდა მელკერს. მაგრამ მალინმა კარგად იცოდა, ვისთვის ირჯებოდა ბიორნი. ალბათ, ამ საღამოსაც მოვა. მალინმა ისევ ამოიხვნეშა. კარგი ყმაწვილია ბიორნი, საოცრად სუფთა და, ცხადზე ცხადია, რომ მალინი უყვარს. მალინი შეეცადა, თავი შეემოწმებინა, იქნებ ერთი ბეწოთი მეც მიყვარსო, ეს ძალიან გაახარებდა, მაგრამ არა, ამსზე ფიქრისას გული ოდნავადაც არ აფართხალებია. ჰოდა, თუ ეს დღე მთელ სიცოცხლეს უდრის, მაშინ ამ სიცოცხლის სულ უსიყვარულოდ გატარება მოუწევს. რა საწყენია!

«ნამდვილად რაღაცა მჭირს», _ გაიფიქრა მალინმა, წყლიდან ფეხის წვერები ოდნავ ამოსწია და დააშტერდა. ნეტა რა აბრაზებთ მის ძმებს, მას შეიძლება ოდნავი გატაცება უგრძვნია, მაგრამ სიყვარული არასოდეს! ასე რომ, ასაღელვებელი არაფერია.

ისევ ამოიხვნეშა მალინმა და შეხედა მზეს. მიხვდა, რომ დღის ნახევარი, დღისა, რომელიც მთელ სიცოცხლეს უდრიდა, გასულიყო. მერე შეეცადა, წარმოედგინა, როგორ იყო გუფთების საქმე მელკერის ხელში.

მაგრამ მელკერს იმ დღეს არც უფიქრია სასიცოცხლო ტონუსი გუფთებით აეწია მაღლა.

_ არაფერი საჭირო არაა გუფთები, როცა საჭმელი ჩვენს ცხვირწინ დაცურავს, _ უთხრა იუხანსა და ნიკლასს, _ დაბრაწული ქორჭილა ნამდვილი დელიკატესია, იმას რა გუფთები შეედრება!

მელკერმა ბიჭები ჭიაყელების ამოსათხრელად წაიყვანა, მერე კი მთელი ორი საათი წანწალაზე იდგა და თევზაობდა, მაგრამ ერთი თაღლითაც ვერ დაიჭირა. სამაგიეროდ,

ბიჭებს ქორჭილა ქორჭილაზე ამოჰყავდათ და უხაროდათ, მამამ ეს რა კარგი რამე მოიფიქრაო.

მელკერს კი საბოლოოდ გაუფუჭდა გუნება. რატომ ტრაბახობდა, რატომ? _ თქვენ, ბიჭებო, _ ეუბნებოდა შვილებს, _ დიდად იღბლიანი თევზაობა არ გექნებათ, როცა თქვენს გვერდით მე ვისვრი ანკესს. საკმარისია, ერთი დავუსტვინო, თევზები თვითონ მოცურდებიან ჩემთან. მერე რა დიდი გამოცდილება და ცოდნა მაქვს თევზაობისა. _ თან ამშვიდებდა, _ რა ვუყოთ მერე, ნუ გეწყინებათ თუ თქვენზე მეტ თევზს დავიჭერო.

ახლა ბიჭებს ქორჭილა ქორჭილაზე ამოჰყავდათ მის ცხვირწინ, ის კი... მართალია, ეს მისი დამსახურება იყო, _ თევზაობა ხომ მან შესთავაზა ბიჭებს, მაგრამ თევზებს ისინი იჭერდნენ და... რა უსამართლობაა, რომ მის ანკესს ერთი თევზიც არ წამოეგო.

_ ჰოო, ასეთი დღე ნამდვილად არ უდრის მთელ სიცოცხლეს, _ ამოიოხრა მელკერმა და მოღუშული მიაჩერდა ტივტივას.

ყოველთვის, როცა მათ ანკესს თევზი წამოეგებოდა, იუხანი და ნიკლასი მამას დამნაშავეებივით უყურებდნენ. შვილები ძალიან ცდილობდნენ, მამას გული არ სტკენოდა. აბა, როგორ იქნებოდნენ მშვიად, როცა მისი მხიარული თვალები უეცრად დანაღვლიანდებოდა. ეს კი ხშირად უბრალო რამეზეც ემართებოდა ხოლმე. მამას გუნება ახლაც აშკარად უფუჭდებოდა. ასეთ შემთხვევაში ის ყოველთვის ნიკაპზე ისვამდა ხელს და ბავშვებმა გამოცდილებით იცოდნენ, ეს სასიკეთო ნიშანი არ იყო. ბოლოს და ბოლოს, გაჯავრებულმა მამამ მიაგდო ანკესი:

_ ახლა მაგ ქროჭილებმა თვითონ იზრუნონ თავიანთ თავზე, მეტი საქმე არა მაქვს, დავჯდები და ანკესით მივართმევ ჭიაყელებს.

მელკერი წანწალაზე გაწვა და თვალებზე ბერეტი ჩამოიფხატა.

_ თუ ქორჭილა მოცურდა და შეგეხვეწათ, ამომიყვანოსო, უთხარით, რომ ახლა მძინავს და სამი საათისთვის მოცურდეს.

მელკერმა მაშინვე დაიძინა. მისი ტივტივა მსუბუქად ირხეოდა ტალღაზე. თუმცა ბიჭებს სულითა და გულით უნდოდათ, ქორჭილები მიცურებულიყვნენ და ამოყვანა შეეთავაზებინათ, არაფერი გამოვიდა. მაშინ გადაწყვიტეს, თვითონ მოეგვარებინათ საქმე _ ერთ თევზას მაინც დააჭერინებენ მამას. მათ ამოიღეს წყლიდან ანკესის მკედი და ზედ თავიანთი დაჭერილი ყველაზე დიდი ქორჭილა წამოაცვეს. მერე მამა გააღვიძეს საშინელი ყვირილით:

_ მამა, ანკესს თევზი მოედო.

მელკერი წამოხტა და ანკესი ისე სწრაფად მოსწია, კინაღამ წყალში ჩავარდა. თევზი რომ წყლიდან ამოიყვანა, სიხარულით აღარ იყო.

_ არა, შეხედეთ, რა გონიათია! თქვენს თევზებს კი არა ჰგავს!

მაგრამ, ეტყობა, ისეთი ქორჭილა არ იყო, ნაპირს რომ ეხეთქება ხოლმე. ანკესზე წყნარად და მორჩილად ეკიდა. მელკერი უხმოდ, დაკვირვებით ათვალიერებდა, ბიჭები შეშფოთებულები ადევნებდნენ თვალს.

_ საწყალი, შოკი აქვს, _ თქვა ბოლოს. მან უკვე ორჯერ ჩამოისვა ხელი ნიკაპზე. მაგრამ უცებ გაიღიმა. ხოლო როცა ის იღიმებოდა, გეგონებდა, მზემ გამოიჭყიტა შვი ღრუბლებიდანო. მელკერმა სიყვარულით შეხედა შვილებს. წარმოგიდგენიატ, რა კეთილი და მზრუნველი ბიჭები ჰყავს! ეს კი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ბალტიის ზღვის მთელი ქორჭილები!

_ წავალ და ამ ქორჭილად ორიოდეს სხვა თევზთან ერთად შევბრაწავ, _ თქვა მელკერმა. _ ჩემი საკუთარი რეცეპტით დავამზადებ. ყველაფერი, ყველაფერი და კულინარიაში მაინც თქვენზე მეტი მესმის.

იუხანმა და ნიკლასმა აგრძნობინეს, მსოფლიოში ყველაზე კარგი მზარეული ხარო, და მელკერი სამზარეულოსაკენ გაემართა. მალინს გული გაუსკდებოდა, რომ დაენახა, როგორ წმენდდა მამამისი თევზებს.

მელკერი, უზარმაზარი დანა და პატარა სრიალა ქორჭილა _ სამივეს ერთად შეიძლებოდა საშინელი სისხლისღვრა მოეხდინა. მაგრამ რა საოცარიც არ უნდა გეჩვენოთ, მელკერი ხშირად გამოდიოდა უვნებელი ყველაზე სახიფათო მდგომარეობიდან, როცა მარცხი და დანის ჭრილობები, ანდა სულაც სასწრაფოთი გაქანება ელოდა.

იგი მშვენიერ ხასიათზე იყო. ლამაზად ჩააწყო თევზი ემალის ქვაბში, თან თავისი რეცეპტი ოპერის არიასავით წაიმღერა.

_ მელკერის რეცეპტით შებრაწული ქორჭილაა, _ მღეროდა იგი. _ ხუთი მშვენიერი თევზი... კარაქიც... კარაქიც ბლომად... _ მღეროდა და ქვაბში კარაქის ნაჭრებს ყრიდა. _ მერე ოხრახუში... კამა... და სხვა საკაზმიც... მწიკვი ფქვილი... და სულ ცოტა წყალი... უბრალო მტკნარი წყალი... მარილი გემოვნებით... გე-მო-ვნე-ბით... გე-მო-ვნე-ბით!

ის ისე მომხიბლავად მღეროდა, რომ უეცრად ჩაფიქრდა, კაცმა რომ თქვას, რატომ ოპერის მომღერალი არ გავხდიო?

ან არადა... გზებისა და არხების მშენებელი? ის წამდაუწუმ გახედავდა ხოლმე ღარს, სამზარეულოს ფანჯარაში რომ გამოჩრილიყო და სიხარულით იღიმებოდა. უჰ, რა სურპრიზი ელის მალინს, შინ რომ დაბრუნდება!

ამ დროს მელკერმ აგაიგონა მოტორიანი ნავის ხმა და ჭისკენ გავარდა, უნდოდა დაუყოვნელივ ეჩვენებინა თავისი გამოგონება.

თან მალინსაც ისეთი სახე ჰქონდა, ურიგო არ იქნებოდა მისი გახარება. იგი დაფიქრებულ იფენდა თოკზე თავის საბანაო კოსტიუმს, მაგრამ როცა მამის მზერა იგრძნო, გაიღიმა და უეცრად წყალსადინარი ღარი შეამჩნია.

_ ეს რაა? _ იკითხა მალინმა და მელკერმა მას, კრისტერსა და პელეს აუხსნა, რა უბრალო და გენიალური გამოგონება იყო ღარი და მისი მეოხებით რა იოლი და სასიამოვნო იქნებოდა ამიერიდან დურგლისეულ კარ-მიდამოში ცხოვრება.

_ უკვე შეამოწმე? _ ჰკითხა მალინმა.

_ ჰმ... თქვენ როგორ გაატარეთ დრო? _ მელკერი შეეცადა, სხვა რამეზე გადაეტანა საუბარი, მაგრამ უცბად შორიახლო მდგარი იუხანი და ნიკლასი დაინახა: მათ კი რაღაც-რაღაცები უკვე იცოდნენ. ამიტომ იძულებული გახდა, სიმართლე ეთქვა.

_ როგორ არა, შევამოწმე... წყლის ნაწილი ჭასთან დაიღვარა, ნაწილი სამზარეულოს იტაკზე, რა ვუყოთ მერე, კასრს ვიშოვი და ყველაფერი კარგად იქნება.

მელკერს სახე გაბრწყინებოდა, შეყვარებული იყო თავის ღარზე და მისით ისე ამაყობდა, ხელის მოთათუნებაც მოუნდა. მოუნდა და მოუთათუნა კიდეც. მაგრამ ზუსტად იმ ადგილას პელეს ერთ-ერთი ბზიკი იჯდა. ბზიკსაც არ დაუხანებია, შეურჭო ხელისგულში ნესტარი. მელკერი გააფთრდა. ეღეში ორჯერ დანესტრეს _ ეს უკვე მეტისმეტია! იგი ისეთი ხმით აღრიალდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, მომაკვდინებელ იარაღს ეძებდა. ბალახში ბიჭების კროკერის სათამაშო კვერი ეგდო. მელკერმა ხელი სტაცა. თავისი ოინით კმაყოფილი ბზიკი ისევ ღარზე იჯდა. მელკერმა ხელი ასწია და კროკეტის კვერი მთელი ძალით მოიქნია.

მერე კი ლამის გაქვავდა თავის ნამოქმედარს რომ შეხედა. ბზიკს კროკეტის კვერი ააცდინა, იგი ახლა, ალბათ, ბუდეში იჯდა და მეგობრებს სიცილ-ხარხარით უამბობდა, როგორ გააცურა მელკერი. სამაგიეროდ ღარი, მისი მშვენიერი წყალსადინარი ღარი, შუაზე გადასკდა და მხოლოდ მისი ნაგლეჯებიღა ეკიდა მავთულზე. როგორც ჩანდა, ის მარტო დაჩხარული კი არა, გულგამომპალიც იყო.

როგორც იქნა, მელკერი გონს მოეგო და ავად ჩაიჩურჩულა:

_ გამოიცანთ, რას ვიზამ ახლა.

_ შეიგინები. _ ვარაუდი გამოთქვა პელემ.

_ არა, მაგას არ ვაპირებ. ჯერ ერტი ეგ უკულტურობაა, მეორეც, ულამაზოა. მაგრამ ამ ეზოში ორიდან ერთი დარჩება: ან ეს დაწყევლილი ბზიკების ბუდე ან მე, _ თქვა მელკერმა და კროკეტის კვერი გამეტებით მოიქნია. პელე ყვირილით ჩამოეკიდა მკლავზე:

_ არა, მამა, ხელი არ ახლო ჩემს ბზიკებს!

გაცეცხლებულმა მელკერმა კროკეტის კვერი მოისროლა, ქუსლებზე შემოტრიალდა და ნავსაბმელისაკენ წავიდა. მეტი რა გზაა! პელეს ურჩევნია, ბზიკებმა თავიდან ფეხებამდე დაუკბინონ მშობელი მამა, ვიდრე დასახოცად გაიმეტოს ეს უმსგავსოები. პელე მამას გაეკიდა და არ დაუნახავს კრისტერის ვერაგული საქციელი. ბზიკების ბუდე ძალიან მაღლა იყო მიკრული და იქამდე კროკეტის კვერის მიწვდენა ძნელი ჩანდა. მაგრამ ცოტა მეტად რომ ცდილიყო, კრისტერი კი გასართობად მზად იყო, ცოტა მოენდომებინა, უთუოდ მიასრესდა ბუდეს. მან აიღო კროკეტის კვერი და მთელი ძალით დაარტყა ბუდეს, კვერი ბუდეს ასცდა და ზედ ბუდის გვერდზე მოხვდა კედელს. ასეთი გრუხუნი ბზიკებს თავის სიცოცხლეში არ გაეგონათ და, ეტყობა, არ მოეწონათ. ბზიკების მთელი გუნდი გამოფრინდა ბუდიდან შეურაცხმყოფელისათვის სამაგიეროს გადასახდელად _ მთელი ღრუბელი პატარა ავი ბზიკებისა, რომელთაც უნდოდათ ენახათ, ვინ გაბედა ასეტი გრუხუნ-გრიალის ატეხვა. პირველი, ვინც მათ დაინახეს, ისევ მელკერი იყო.

ბზიკები მედგრად ეცნენ მელკერს. მელკერმა მათი ბზუილი მაშინ გაიგონა, როცა უკვე დაესივნენ.

_ არა, ახლა ნამდვილად... _ დაიწყო მელკერმა, მაგრამ სათქმელი აღარ დაუმთავრებია, გაიქცა. კურდღელივით გზას ხლართავდა და სიბრაზიწსაგან ბდღვინავდა.

_ გაიქეცი, მამა, გაიქეცი! _ ყვიროდა პელე.

_ მე მგნი, მივრბივარ, _ შეუღრინა მელკერმა და ცხვირ-პირის მტვრევით გავარდა ნავსაბმელისაკენ. კრისტერი, მალინი და ბიჭები ფეხდაფეხ მიჰყვნენ. კრისტერი ისე იცინოდა, სიიცლისაგან სულს ვეღარ იბრუნებდა და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მალინს ამის გამო მთელი არსებით შესძაგდა.

მელკერი გააფთრებულ იქნევდა ხელებს და ირიდებდა თავის მტანჯველებს, მაგრამ მათ რამდენჯერმე მაინც დაკბინეს. მელკერს ხსნის ერთადერთი გზა დარჩა _ ისიც გადაეშვა ზღვაში. გაისმა ძლიერი ტყლაშუნი და ბავშვებმა დაინახეს, როგორ გაუჩინარდა

იგი წყალქვეშ. ეტყობოდა, იქ დიდხანს აპირებდა დარჩენას. გაოგნებული ბზიკები ზუზუნებდნენ ზღვაზე, ეძებდნენ, სად გაგვექცაო მტერი. მიიხედ-მოიხედეს და უცებ კრისტერი დაინახეს. ის წანწალაზე იდგა და სიცილით იხრჩობოდა, მაგრამ საოცარია, როგორ ხელად დასერიოზულდა, როცა ბზიკების გუნდი ზუუზნით მისკენ შებრუნდა.

_ მომშორდით, _ აყვირდა გულგახეთქილი, _ თავი გამანებეთ, არ მომეკაროთ!

ბზიკები არა და არ ეშვებოდნენ. უამრავი ბზიკი მოფრინდა. კრისტერი ისე გულის შემზარავად აღრიალდა, გეგონებოდა, გემი იღუპებაო, და თავით გადაეშვა ზღვაში. როცა ამოყვინთა, ბზიკებზე მეტად იყო გაავებული. მელკერი, რომელიც ცოტა მოშორებით იდგა წყალში, მეგობრულად მიესალმა.

_ საღამო მშვიდობისა! შენც გამოსულხარ სასეირნოდ.

_ კი, მაგრამ შინ მივდივარ. ეგრე იცოდე, _ თავხედურად უპასუხა კრისტერმა.

ხელის რამდენიმე მოსმა და თავის მოტორიან ნავთან მიცურდა.

_ კარგად იყავი, მალინ! მივდივარ. ეს კუნძული სიცოცხლისათვის სახიფათოა. ოდესმე შეიძლება შევხვდეთ ერთმანეთს.

_ არა მგონია, _ ჩაიბურტყუნა მალინმა. მისი ნათქვამი კრისტერს აღარ გაუგონია.

ჩორვენმა მელკერი მაშინ ნახა, როცა ის სველი ტანსაცმლის თხლაპათხლუპით დურგლისეული კარ-მიდამოსაკენ მოდიოდა. ჩორვენმა მხიარულად გაუცინა.

_ ისევ ტანსაცმლიტ იბანავე? ეგრე რატომ შვრები? შენ რა, საბანაო ტრუსები არა გაქვს?

_ როგორ არა მაქვს, _ უპასუხა მელკერმა.

_ ოღონდ ტრუსებ იასე მაგრად არ თხლაპუნობს, არა?

_ აბა, საიდან, სველ ტანსაცმელს უკეთესი ხმა აქვს, _ დაეთანხმა მელკერი.

და დადგა სანატრელი წამი _ მელკერი შვილებს თავისი საკუთარი რეცეპტით შეზავებული შებრაწული ქორჭილათი უნდა გამასპინძლებოდა. მალინი ღუმელთან მივიდა, ქვაბს სახურავი ახადა და საოცარი სურნელი ჩაისუნთქა. ოჰ, რა მადის აღმძვრელი სუნი ტრიალებდა და თვითონაც რა მაგრად იყო მოშივებული!

_ მამა, შენ გენიოსი ხარ!

მელკერმა უკვე გამოიცვალა ტანსაცმელი და ბზიკების ნაკბენზე მალამო წაისვა. ახლა ის იჯდა სამზარეულოს მაგიდის თავში და ყველაფერი ისევ მომხიბლავი ეჩვენებოდა. მაინც მშვენიერია ცხოვრება! მან დარცხვენით გაიღიმა მალინის შექებაზე.

_ აბა, ტყუილად ხომ არ ამბობენ, თუ მამაკაცი სერიოზულად მოეკიდა კულინარულ საქმიანობას, ვერც ერთი ქალი ვეღარ შეედრებაო... მართალია, მე... მე... ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ... მაგრამ, ვნახოთ, დროა გემო გავუსინჯოთ.

მან რიგრიგობით ყველას დაუდო თევზი და სთხოვა, სანამ ყველას თავის ულუფას არ გადავუღებ, არ ჭამოთო. საბოლოოდ თავისი თეფში გაავსო და მშიერი თვალებით მიაჩერდა კარაქში აცურებულ კამა და ოხრახუშმოყრილ თეთრ თევზს. პირველი ნაჭერი რომ მიიტანა პირთან, ისევ ნეტარებით იღებოდა, მერე კი ყელში რაღაც აუყაპყაპდა.

მალინმა და ბიჭებმაც მოასწრეს თევზის გასინჯვა და ახლა დამბლადაცემულებივით ისხდნენ.

_ რამდენი მარილი უქენი? _ როგორც იქნა ჰკითხა მალინმა.

მელკერმა შეხედა და ამოიოხრა.

_ გემოვნებით, _ უპასუხა დამწუხრებულმა.

მერე, ბავშვების სამწუხაროდ, წამოდგა და გარეთ გავიდა.

ფანჯრიდან დაინახეს, როგორ დაჯდა ბაღში მაგიდასთან, სადაც დილით ასე მადიანად შეხვდა დღევანდელ დღეს. მათ სიბრალულით შეეკუმშათ გულ და სიტყვის უთქმელად გაქანდნენ მისკენ.

_ კარგი, მამა, განა ღირს მაგისთვის წუხილი?! _ მეფერა მალინი სახეზე ხელებაფარებულ მელკერს.

_ მე ისეთი უვარგისი ვარ, _ ცრემლიანი თვალები შვილებს მიაპყრო მელკერმა. _ დღე, რომელიც მთელ სიცოცხლეს უდრის... მე კი რა ვქენი? უხეირო ვარ, უხეირო. წიგნებსაც უხეიროს ვწერ. ნუ შემედავებით, ვითონ ვიცი. ჩემო საწყალო შვილებო, ძალიან ცუდი მამა გყავთ!

შვილები გარს შემოერტყნენ მელკერს, მოეხვივნენ და ერთად დაუწყეს მტკიცება, ჩვენნაირი კეთილი, მარჯვე და კარგი მამა არავის არა ჰყავს. ჩვენ ვაღმერთებთ და უსაზღვროდ გვიყვარს იმიტომ, რომ სწორედ ასეთი კეთილი, მარჯვე და კარგიაო...

_ ჰმ... _ შვებით ამოისუნთქა მელკერმა, ცრემლები ხელისგულით მოიწმინდა და გაიღიმა. განა მე ლამაზი და ღონიერი არა ვარ? რატომ ამას არავინ ამბობს!

_ რა თქმა უნდა, შენ ღონიერიც ხარ და ლამაზიც, _ დაუმატა მალინმა, _ ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ ცოტა დაამლაშე.

იუხანმა და ნიკლასმა თავიანთი დაჭერილი თევზი, რაც მორჩათ, მეზობლებს მისცეს და ახლა სახლში ერთი ბეწო აღარაფერი იყო. დუქანი უკვე დაიკეტა, მათ კი საშინლად შიოდათ.

_ ხმელი პური მაინც არა გაქვს? _ იკითხა ნიკლასმა. მაგრამ სანამ ვინმე უპასუხებდა, ჩორვენი მოვიდა ბოცმანის თანხლებით და გამოაცხადა:

_ მამა საშაშხეში გეპატიჟებათ შებოლილ სალაკაზე. ვის უნდა?

«ასეთი არის ხოლმე დღეები, რომლებიც მთელ სიცოცხლეს უდრის: მოულოდნელად იფუშება გეგმები, არის ტირილი და გულისწყრომა», _ ფიქრობდა მელკერი. მაგრამ აი, დადგა საღამო, წყნარი და ნათელი, და ყველა მარცხი აპატია თავს. ცხოვრება მართლა საოცარია თავის განუწყვეტელ ტრიალში: ხან ტირილი და გულისწყრომაა, ხან უშფოთველი სიხარული და ყოველგვარი სიამოვნება, როგორიცაა, მაგალითად, ახლად შებოლილი სალაკა და მოხარშული ახალი კარტოფილი.

ისინი სანაპიროზე ქვეზე ისხდნენ ნისეს საშაშხის გვერდით. ზაფხულის ხვატით ლოყებაწითლებული მზე ფიორდში ჩადიოდა.

ნისე მანამ უმასპინძლდებოდა მათ მოყავისფრო-მოოქროსფერო სალაკით, სანამ ყველა არ დანაყრდა. მერტა კი მოხარშულ კარტოფილს, კარაქსა და შინგამომცხვარ პურს სთავაზობდა სტუმრებს. მელკერმა თავი ვეღარ შეიკავა და სადღეგრძელო თქვა. ის ადიდებდა მეგობრობას და სალაკას და გული სავსე ჰქონდა მადლიერებით. რა თქმა უნდა, სიცოცხლე მშვენიერია. აბა, წარმოიდგინეთ, რამდენგვარი რამ შეიძლება შეემთხვეს ადამიანს ერთ, ერთადერთ დღეში1

_ ასეა, ჩემო მეგობრებო, _ სიტყვა დაამთავრა მელკერმა, _ ზუსტად ისეა, როგორც ვამბობდი: ასეთი დღე მთელ სიცოცხლეს უდრის!

_ თანაც როგორ სიცოცხლეს, _ დაუმატა აღტაცებულმა პელემ.

პელე ბოცვერს ყიდულობს

მელკერს თადავიწყებით უყვარდა თავისი შვილები და ხშირად ფიქრობდა მათ მომავალზე. მაგრამ მწერალი იყო და, როცა ეკითხებოდნენ, რა არის შენთვის ყველაზე მთავარიო, უპასუხებდა: «მელკერისთვის მთავარია მელკერი!» ეს მართალი იყო, ოღონდ

სანახევროდ. ზოგჯერ, როცა განსაკუთრებით სერიოზულად ჩაფიქრდებოდა შვილებზე, წარმოუდგენელი ეჩვენებოდა, რანაირად გამეზარდა ოთხი ასეთი მშვენიერი ბავშვიო. თანაც ასეთი განსხვავებულები. განა მარტო იმით, რომ მალინი და იუხანი ქერათმიანები იყვნენ, ხოლო ნიკლასი და პელე შავგვრემნები. არა, ისინი აბსოლუტურად არაფრით ჰგავდნენ ერთმანეთს. მალინი, მისი ნუგეში და სიხარული, თავისი სილამაზის პატრონი როგორ დადგა ასეთი ჭკვიანი გოგო?

საერთოდ, ლამაზი გოგონები თავიანთ გარეგნობას იმდენ ყურადღებას აქცევენ, რომ ჭკუის სასწავლად დრო აღარა რჩებათ. მალინი სხვა იყო. მელკერმა, რასაკვირველია, არ იცოდა, რა ფიქრები იმალებოდა მისი გადატკეცილი შუბლის მიღმა, ის კი არ ეეჭვებოდა, რომ მალინს არ აკლდა ჭკუა, გულწრფელობა და გონიერება. თანაც ძალზე მშვენიერი იყო და, ეტყობოდა, ყვავილივით ვერც ის გრძნობდა თავის მომხიბვლელობას.

ყველაზე მერყევი ხასიათის იუხანი იყო, თანაც იშვიათი ფანტაზიორი და დიდი დაუდეგარი ვინმე. გაუჭირდება ცხოვრებაში, სულ მამასა ჰგავს, საწყალი ბიჭი! ნილკლასი, პირიქით, მშვიდი, თავდაჯერებული და ყველაზე მხიარულია მელკერსონების ოჯახში იმ დღიდან მოყოლებული, რაც ქვეყანაზე გაჩნდა. მელკერს ეჭვიც არ ეპარებოდა, ნიკლასი იოლად გაივლიდა ცხოვრებას.

და, ბოლოს, პელე. ნეტა როგორ იცხოვრებს? რა ხვდება წილად იმას, ვისაც შეუძლია ატირდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაც უცხო კაცი ტრამვაიში მოწყენილი იჯდა, ანდა გზაზე შემოხვდა კატა, რომელიც უპატრონოსა ჰგავდა. პელე ვერ ისვენებდა თუ ვიღაც კაცი, რომელიღაც კატა ან ძაღლი ანდა სულაც ერთი ციცქნა ბზიკი ბედნიერები არ იყვნენ. როგორ იცხოვრებს ასეთი განცდებით? ან რამდენი უაზრობა ეტევა თავში! რატომ ზუზუნებენ ტელეფონის მავთულები ისე, რომ თუ უსმინე, ტირილი მოგინდება? რატომ შრიალებენ ფოთლები ხეებზე, თითქოს რაღაცას ნაღვლობენო? რადა ღმუის ზღვა ასე გამწარებით, დაღუპულ მეზღვაურებს ხომ არ დასტირის? _ თვალცრემლიანი კითხულობდა პელე. მან სიხარულიც თავისებური იცოდა. დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მეთევზის ფარდულში მარტოდმარტო ჯდომა და სახურავზე ახმაურებული წვიმის ჩქაფუნი, ან ქარიშხალში ბინდბუდში სხვენის კუთხეში მიმჯდარს ყურის გდება, როგორ აჭრიალებდა ქარი ძველ სახლს. ნიკლასი ცდილობდა გაეგო, რატომ მოსწონდა ასეთი უცნაური რამეები, მაგრამ პელე ეუბნებობდა:

_ თუ არ გესმის, ახსნა არა ღირს, მაინც ვერ გაიგებ.

ყველაფერთან ერთად, პელე ბუნებით მკვლევარი იყო, საქმეში მუდამ ყელამდე ჩაფლული. ხან მუცელზე იწვა ბალახში და უთვალთვალებდა, როგორ ფუსფუსებდნენ პატარა მუმლები; ხან კი წანწალაზე გაწოლილი ათვალიერებდა თვალწარმტაც ზურმუხტოვან სამყაროს, სადაც ერთი ციცქნა თაღლითა თევზები თავიანთი თევზური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. აგვისტოს ბნელ საღამოს კი კართანაზე ჩამომჯდარი შეჰყურებდა ცაზე ვარსკვლავების ამობრწყინებას. უნდოდა ეპოვა კასიოპე, დიდი დათვის თანავარსკვლავედი და ორიოდი. ბუნება მისთვის წარმოადგენდა საოცრებათა განუწყვეტელ ცვალებადობას, ამიტომ ცდილობდა, ჩასწვდომოდა მის საიდუმლოებას, ცდილობდა აღტაცებითა და გულმოდგინებით, როგორც ნამდვილ მკვლევარს შეჰფერის. პელეს რომ უკვირდებოდა, ზოგჯერ მელკერი შენატროდა ხოლმე. რატომ არ შეიძლება მთელ სიცოცხლეს შეინარჩუნო, აი, ეს საკვირველი უნარი _ საოცრებად მიგაჩნდეს მიწა და ბალახი, წვიმის ხმაური და ვარსკვლავეთი?

ახლა პელეს ცხოველებისადმი უსაზღვრო სიყვარულს არ იტყვით? უბრალოდ უსამართლობაა, რომ ბიჭს არასოდეს ჰყოლია ძაღლი. თუმცა სულ ძაღლს ნატრობდა მას შემდეგ, რაც სიარული და «აუ-აუს» თქმა ისწავლა. პელეს ოქროს თევზებიც ჰყავდა, კუც, თეთრი თაგვებიც, მაგრამ ძაღლი არასოდეს ჰყოლია.

და აი, სალტკროკაზე უცბად ბოცმანისთანა ძაღლი ნახა. პელეს ჩორვენზე ბედნიერი აღარავინ ეგულებოდა ამ ქვეყანაზე.

_ მე ყოველგვარი ნადირის ყოლა მიხარია, _ უხსნიდა ჩორვენს, _ მე ბზიკებიც მყავს, მაგრამ ისეთი ცხოველი მინდა, თავს რომ მოგაფერებინებს.

ჩორვენს ძალიან შეეცოდა პელე და დიდსულოვნად შესთავაზა:

_ გინდა, მოგცე ბოცმანის ერთი ნაჭერი? აიღე, თუ გინდა, რამდენიმე კილო!

_ ჰმ, უკანა ფეხი, არა? _ თქვა პელემ და მამასთან წავიდა ბედზე საჩივლელად.

_ რამდენიმე ბზიკი და ძაღლის ფეხი ეყოფა ადამიანს? _ შესწუწუნა პელემ მამას.

მელკერი იჯდა სამზარეულოზე მიდგმულ პაწაწინა ოთახში და წერდა, ახლა არც ბავშვების დარდი ჰქონდა და არც მათი ჩივილისა.

_ მაგაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, _ ჩაიბურტყუნა და პელე თავიდან მოიშორა.

დაღონებული პელე გარეთ გამოვიდა. დურგლისეული სახლის კედელთან მისი ანკესი იყო მიყუდებული, მამამ აჩუქა წინა კვირას დღეობაზე. ხომ შეიძლება ანკესიც სასწაულად ჩათვალო. მით უმეტეს, რომ უბრალო კი არაა, პირველია მის ცხოვრებაში და ამიტომ ყველაზე უკეთესი. პელემ ანკესი აიღო. ლერწამი სწორი იყო და პრიალა, ბიჭს

სიხარულის ტალღამ გადაუარა გულზე. ნავმისადგომზე სათევზაოდ წასვლა გადაწყვიტა. მაინც რა კეთილია მამა, რომ ანკესი აჩუქა. ისეთივე ანკესი ჩორვენსაც მიართვა დღეობაზე. პელეს კი ეგონა, ჩორვენს ჩორვენი ერქვა და მეტი არაფერი! შერცხვა ბიჭი.

_ მე კარინ-მარია-ელეონორა-ჟოზეფინა მქვია, _ უთხრა ჩორვენმა. _ თუმცა უფრო ჩორვენს ვგავარ, კუპატს, _ ასე მეძახის დედა ალერსით.

მერე დაკვირვებით შეხედა პელეს.

_ შენ რა გქვია?

_ პერი, _ ამოიოხრა პელემ.

ზუსტად ჩორვენისებური იყო _ წელიწადში ოთხჯერ გადაეხადა დღეობა. ბედნიერი _ ოთხჯერ იღებდა საჩუქრებს, თვითონ კი მხოლოდ ერთხელ.

_ მალე, ალბათ, მაგ ზედმეტ სახესაც ჩაწერენ კალენდარში და მეხუთე დღეობა მოგემატება, _ უთხრა პელემ.

არა, პელე არ იყო შურიანი, უბრალოდ, არ შეიძლება, ცოტათი მაინც არ შეხარბებოდა ჩორვენისა _ მას ხომ ბოცმანი ჰყავდა!

პელემ ანკესი აიღო და ნავმისადგომისაკენ გაემართა. იქ იპოვა სტინამ და გვერდით მიუჯდა. სტინას ძალზე იშვიათად უწევდა პელესთან მარტო თამაში. ყველაფერში ჩორვენი მეთავეობდა და მისი ნება იყო, ვინ ვისთან ითამაშებდა. ამას როგორ ახერხებდა, ძნელი სათქმელია. პირდაპირ არაფერს იტყოდა, მაგრამ ბოლოს მაინც ისე გამოდიოდა, როგორც უნდოდა. თავად ჩორვენი, სალტკროკის ნებიერა, ვისთანაც მოისურვებდა, იმასთან გაერთობოდა, ხან სტინასთან, ხან _ პელესთან. ოღონდ იმას არ მოითმენდა, პელეს და სტინას უიმისოდ ემხიარულათ.

აგვისტოს ამ თბილ დილას ჩორვენი ჩვეულებრივად დურგლისეული სახლისკენ მიდიოდა ისე, რომ არავითარ ხრიკს არ ელოდა. უცებ წანწალაზე ჩამომჯდარი წყვილი დაინახა და გაკვირვებისაგან გაქვავდა. იდგა გახევებული ყინტორასა და ლომისფეხას შორის და უსიტყვოდ მისჩერებოდა იმ ორს, ისინი კი, საუბრით გატაცებულნი, ვერცა გრძნობდნენ ამას. სტინა იცინის და აზარტულად იქნევს ხელებს. რა ამბავშია! მოიცა, ჩორვენი მოგივლის!

_ ეი, სტინა, _ დაუძახა გაბრაზებულმა ჩორვენმა, _ შენთვის არ შეიძლება ნავმისადგომზე ყოფნა. გესმის, პატარებისათვის არ შეიძლება, საშიშია წყალში არ ჩაცვივდნენ.

სტინა შეკრთა, მაგრამ არ განძრეულა. თავი უნდა მოიკატუნოს, ვითომ არ ესმის. თუ არ უპასუხებს, ესე იგი, არავითარი ჩორვენი არ მოსულა. შეიძლება იყო და წავიდა, რატომ უნდა დაკარგოს იმედი.

სტინა უფრო ახლოს მიუჩოჩდა პელეს და წყნარად ჩასჩურჩულა:

_ მალე მოედება თევზი ანკესს!

მაგრამ პელემ პასუხი ვერ მოასწრო, ჩორვენი ისევ აყვირდა:

_ პატარების ნავმისადგომზე ყოფნა არ შეიძლება-მეთქი, შენ რა, ყრუ ხარ?

სტინა მიხვდა, ჩხუბი გარდუვალია, უსიამოვნება არ ამცდებაო და, რაკი ასეა, იქით თავდასხმა სჯობსო.

_ მაშ, არც შენთვის შეიძლება, _ უპასუხა უკვე მის ზურგს უკან ატუზულ ჩორვენს.

ჩორვენმა ჩაიფრუტუნა:

_ ჰმ, შენ შენ ხარ, მე _ მე! ჩემთვის შეიძლება!

_ ჰო, შენთვის ყველაფერი შეიძლება, _ გაცხარდა სტინა.

გვერდით პელე უზის და შეუძლია თქვას ყველაფერი, რის თქმასაც წინათ ვერაფრით გაბედავდა.

მაგრამ პელე თავს ისე აჩვენებს, აქ ყოფნას, ცხრა მთას იქით ყოფნა მირჩევნიაო.

ჩორვენი განაგრძობს თავისას:

_ სულ ერთია, პელე შენთან კი არა, ჩემთან მეგობრობს.

_ ჩემთან მეგობრობს, ჩემთან... _ გაჯავრდა სტინა.

პელემ ვეღარ მოითმინა:

_ ჩუმად, იქნებ მეც მათქმევინოთ: მე ჩემს თავთან ვმეგობრობ. _ ძალიან უნდოდა, ორივე თავიდან მოშორებოდა, მაგრამ ჩორვენი მეორე მხრიდან მოუჯდა და სამივე უსიტყვოდ მიაშტერდა ტივტივას.

ცოტა ხანი და სტინამ ისევ წამოიწყო:

_ მალე მოედება თევზი ანკესს!

ეს საკმარისი აღმოჩნდა ჩორვენის გასაცეცხლებლად:

_ არავინ გეკითხება, სულ ერთია, პელე შენი არაა!

სტინა დაიხარა და ჩორვენს თვალებში ჩახედა.

_ არც შენია! მიიღე?!

_ არავისიც არა ვარ, თავი დამანებეთ! ეგეც თქვენ! _ ცივი წყალი გადაასხათ პელემ.

სტინამ და ჩორვენმა ხმა გაკმინდეს. პელე თავისთვის იყო და ამით ამაყობდა. არც ერთ მათგანს არ შეხვდებოდა მისი თუნდაც ცალი ფეხი, ისევე, როგორც მას _ ბოცმანისა.

მაგრამ ჩორვენმა ხომ იცოდა, ვის ჭკუაზე დადიოდა პელე, ამიტო მოისურვა დელიკატურად მოეგონებინა ეს და ლაქუცით, ზუსტად სტინასავით უთხრა:

_ პელე, მალე მოედება თევზი ანკესს!

ძალზე უადგილო გამოვიდა მისი სიტყვები.

_ მოედება, არა! _ მოუთმენლად უპასუხა პელემ. _ კმარა ამდენი ჭრიჭინი! როგორ მოედება, როცა ნემსკავზე ჭიაყელა არა წამოგებული.

ჩორვენი უნდობლად მიაჩერდა. ის შხერებში გაიზარდა მეთევზეთა შორის. მაგრამ ასეთი სისულელე არასოდეს გაუგონია.

_ ჭიაყელა არაა წამოგებული? _ ჩაეკითხა პელეს.

პელემაც აუხსნა, ბევრს ვეცადე, ჭიაყელით მეთევზავა, მაგრამ ვერ შევძელი, ძალიან შემეცოდა, ისე საშინლად იკლაკნებოდაო. იმის გახსენებაც კი ძრწოლას ჰგვრიდა პელეს. თანაც თევზიც ცოდო იყო, ნემსკავი რომ გადაეყლაპა, ჰოდა, ამიტომ...

_ მაშ, აქ რაღას ზიხარ და თევზაობ? _ გაუკვირდა ჩორვენს...

პელემ მოუთმენლად დაუწყო ახსნა. ასე თუ ისე, ანკესი აჩუქეს, არა? აჩუქეს, განა მარტო ისა ზის ასე და ვერ იჭერს თევზს? მას უნახავს, როგორ სხედან მეთევზეები დილიდან საღამომდე ნაპირთან, თუმცა მათ ანკესს ერთი თევზიც არ წამოდებია. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ისინი ტყუილუბრალოდ სტანჯავენ ჭიაყელებს. ის კი ამას არ შვრება, თუმცა, შეიძლება სხვაზე ნაკლები მეთევზე არცაა. მიხვდი, ბოლოს და ბოლოს?

ჩორვენმა უპასუხა, მივხვდიო. სტინამაც კვერი დაუკრა, მეცაო. მერე დიდხანს ისხდნენ წყნარად და თვალს არ აშორებდნენ ტივტივას. ჩორვენი სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ იცრუა: ვერაფერსაც ვერ მიხვდა. მაგრამ ანათებდა მზე, ნავმისადგომზე სიმყუდროვე სუფევდა და სტინასაც თუ მოიშორებდა, მთლად შესანიშნავი იქნებოდა.

_ სტინა როცა გაიზრდება, მებუფეტე იქნება, _ თქვა პელემ.

სტინამ ახლახან გაანდო მას თავისი გეგმები.

_ მე არაფრის გულისთვის არ ვიქნები მებუფეტე, _ დარწმუნებით თქვა ჩორვენმა.

მან, მართალია, არ იცოდა რა იყო «მებუფეტე», მაგრამ თავად სიტყვა რაღაც უსიამოვნოდ და უცხოდ ჟღერდა, მით უმეტეს, რომ მებუფეტეობა სტინას უნდოდა. სტინას დედაც მებუფეტე ყო. სტოკჰოლმში ცხოვრობდა და ხანდახან ჩამოდიოდა

სალტკროკაზე. ყველაზე ლამაზი მათ შორის, ვინც ჩორვენს ენახა, სტინას დედა იყო, რასაკვირველია, მალინის გარდა. მაგრამ, სულ ერთია, მებუფეტეები სულ მზეთუნახავებიც რომ იყვნენ, რადგან სტინა აპირებს, ჩორვენი არაფრით არ გახდება.

_ აბა, რა გამოხვალ, როცა გაიზრდები? _ ჰკითხა პელემ.

_ გავსქელდები და ძია მელკერივით წიგნებს დავწერ.

პელემ წარბი შეკრა:

_ მამა რომ სქელი არაა?!

_ მერე მე ვთქვი, სქელია-მეთქი?

_ დიახ, თქვი! _ არ შეეპუა სტინა.

_ ყრუ ხომ არა ხარ? _ ჰკითხა ჩორვენმა. _ მე ვთქვი, ძია მელკერივით დავწერ წიგნებს და თან გავსქელდები-მეთქი. ეს იყო და ეს.

სტინა თანდათან გათამამდა. რატომღაც ეგონა, პელე ჩემს მხარეზეაო, და ჩორვენს ერთბაშად მიახალა, სულელი ხარო. დასჭყივლა ჩორვენმა, თვითონ შენა ხარ სულელი და იანსონის გოჭზე ტუტუციო.

_ ვუთხრა ბაბუას, რაებს ლაყბობ! _ აყვირდა სტინა, მაგრამ ამ დროს ჩორვენი ხმამაღლა ამღერდა, ისე, რომ სტინას ხმა გადაფარა:

_ ჭორიკანა, ჭორიკანა, ტყუილები მოიტანა.

პელე წყენისაგან აქშუტუნდა.

_ მოდით, თავი დამანებეთ, _ წაიბუტბუტა გაჯავრებით, _ თქვენ ოღონდ იჩხუბოთ და მეტი არაფერი გინდათ!

ჩორვენმა და სტინამ იმ წამსვე ხმა გაკმიდეს. ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. ბოლოს ისევ ჩორვენმა ვეღარ მოითმინა:

_ შენ რა გამოხვალ, როცა გაიზრდები? _ ჰკითხა პელეს საუბრის გასაბმელად.

_ არაფერიც არ გამოვალ, _ უპასუხა პელემ. _ მე მხოლოდ ბევრი მხეცი მეყოლება.

ჩორვენმა გაოცებით შეხედა.

_ რამე ხომ მაინც უნდა გამოხვიდე?

_ არაფერი მინდა...

_ არ გინდა და არ გამოხვალ, _ მიელაქუცა სტინა. და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო.

_ შენ აქ ნუ უფროსობ! _ აფეთქდა ჩორვენი.

_ ისეთი რა ვთქვი? _ გაუკვირდა სტინას.

_ ნავმისადგომზე პატარების ყოფნა არ შეიძლება და სახლში წადიო, ვის უთხრეს?

_ შენ თვითონ ნუ უფროსობ, _ მოუჭრა სტინამ.

პელე წამოხტა და ტანი ისე შეიბერტყა, თითქოს ჭიანჭველების ბუდიდან გამოძვრაო.

_ მეყოფა, წავედი, _ თქვა გაჯავრებულმა. _ აქ გაჩერება აღარ შეიძლება.

სამზარეულოზე მიდგმულ პატარა ოთახში კვლავ იჯდა მელკერი და წერდა. ფანჯარა ფართოდ გამოეღო და ბაღიდან ენდრონიკას სუნი შედიოდა. დროდადრო, როცა საბეჭდ მანქანას თვალს მოაშორებდა, ხედავდა ფიორდის ცისფერ ნაგლეჯს და ძალიან სიამოვნებდა. ოღონდ ესაა, თავისუფალი წუთი არც ისე ხშირადა ჰქონდა _ ხელნაწერიდან თავს ვერა სწევდა; ახლაც მუშაობაში იყო ჩაფლული, ასეთ დროს კი სჯობდა, არ მოგეცდინა.

მაგრამ ღია ფანჯრიდან მის პოეტურ სამყაროში მაინც იჭრებოდა გარეშე ხმები და ხმაური. ესმოდა, როგორ ედავებოდა მალინი იუხანსა და ნიკლასს _ რძეზე რატომ არ მიდიხართო. ისინი კი ეხვეწებოდნენ, ჩვენ სასეირნოდ გაგვიშვი, რძეზე პელე გაგზავნეო. თვითონ თურმე ტედისთან და ფრედისთან ერთად კაჭკაჭების კონცხთან დამსხვრეული გემის მოსინჯვა უნდოდათ, იქნებ რამე საუნჯე ვიპოვოთო.

ეტყობა, მოახერხეს მალინის დაყოლიება. მელკერმა გაიგონა, როგორ მიწყდა ბიჭების მხიარული ჟრიამული და გაახარა მათი წასვლის შემდეგ გამეფებულმა დალოცვილმა სიწყნარემ.

სამწუხაროდ, ნეტარება დიდხანს არ გაგრძელებულა. უცბად გამოჩნდა ჩორვენი და ცხვირი ფანჯარაში შეჰყო. ის სულ ახლახან გაშორდა სტინას ნავმისადგომთან. როცა პელე თვალს მიეფარა, ჩორვენიც აჩქარდა. წამოსვლამდე კი სტინას მიახალა, არასოდეს აღარ გეთამაშებიო. არც სტინა ჩამორჩა, ასეთი კარგი ამბავი, კარგა ხანია, არ გამიგონიაო, უთხრა მწყრალად.

ჩორვენი დურგლისეული სახლისაკენ წავიდა, რომ პელე მოენახა და გულახდილად მოსაუბრებოდა, მაგრამ პელე არსად ჩანდა. სამაგიეროდ, პატარა ოთახის ფანჯრიდან თავისი მეგობარი მელკერი დაიანახა.

_ შენ სულ წერ და წერ, არა? _ ჰკითხა ჩორვენმა. _ მაინც რაზე წერ?

მელკერს ხელები საბეჭდი მანქანის კლავიშებიდან ჩამოუცურდა.

_ აბა, როგორ გითხრა, მაინც ვერაფერს გაიგებ!

_ ვითომ რატომ ვერ გავიგებ? მე ყველაფერი მესმის... ყოველი სიტყვა, _ დარწმუნებით უთხრა ჩორვენმა.

_ მხოლოდ ეს არა, _ თავისას იმეორებდა მელკერი.

_ შენ თვითონ მაინც თუ გესმის, რას წერ? _ ჰკითხა ჩორვენმა.

იგი ჩამოეყრდნო ფანჯრის რაფას, თითქოს მთელი დღე იქ აპირებდა დგომას. მელკერმა ამოიკვნესა.

_ ცუდადა ხარ? _ გაუკვირდა ჩორვენს.

_ ცუდად არა ვარ, მაგრამ უკეთესად ვიქნები, თუ თვალით აღარ დამენახვები, _ უთხრა მელკერმა.

ჩორვენი წავიდა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარა, შემობრუნდა:

_ ძია მელკერ, იცი, რას გეტყვი? რადგან ისე ვერ წერ, მე რომ გავიგო, საერთოდ გაანებე წერას თავი.

მელკერმა ისევ ამოიკვნესა. ერთხელ, მეორედ, მესამედ. დაინახა, რომ ჩორვენი კაჭარზე ჩამოჯდა და აღარ აპირებდა წასვლას, თან აიმედებდა, აქედან აღარ შეგიშლიო!

_ ბალახის ფეხის თითებით მოწყვეტა თქვენს ბაღჩაშიაც შეგეძლო. _ უთხრა გოგონას. _ მე თუ მკითხავ, იქ უფრო ხშირი ბალახია.

«გაზაფხულის მშვენიერი პეიზაჟი კია, _ გაიფიქრა მელკერმა, _ ბუთხუზა გოგო ენდრონიკასა და ურცებს შუა...» მაგრამ მან იცოდა, რომ სტრიქონსაც ვეღარ დაწერდა, სანამ ჩორვენს ხედავდა.

უცბად გაიგონა, რომ პელე რძის ბიდონს მიარახრახებდა და გაშმაგებული აყვირდა:

_ პელე! აქ მოდი... აი, შენ კრონი! წაყვანე ჩორვენი, წადით, და ნაყინი იყიდე! არ იცქაროთ, სასწრაფო არაფერია!

პელეს ძალიან უნდოდა მშვიდად, წყნარად ესეირნა, ყოველგვარი გოგოების გარეშე. მის ყურებს დასვენება სჭირდებოდა წანწალაზე ატეხილი აურზაურის მერე. მაგრამ ნაყინი ნაყინია და მისი გულისთვის მზად იყო, აეტანა ჩორვენი. ახლა ჩორვენი წყნარი და თვინიერი გოგო იყო, როგორც ყოველთვის, როცა სტინა ახლომახლო არ ტრიალებდა.

მელკერი სიამოვნებით გასცქეროდა იანსონის კარ-მიდამოსაკენ გაკვალულ ბილიკზე მიმავალ ბავშვებს და მათ უკან აძუნძულებულ ბოცმანს.

მერე შეეცადა, აზრები მოეკრიბა, თითქმის მოახერხა კიდეც, რომ უეცრად სტინას წიწინა ხმა გაისმა და თუნუქის რაფის ზემოთ მისი ცხვირი გამოჩნდა.

_ ზღაპრებს წერ? _ ჰკითხა მელკერს. _ ერთი მეც დამიწერე, რა!

_ მე ზღაპრებს არ ვწერ, _ ისე დაიღრიალა მელკერმა, _ რომ გრანკვისტების დუქნისაკენ მიმავალი მალინიც შეკრთა, თუმცა კარგად იყო გაცილებული სახლს.

სტინას კი ნირიც არ შესცვლია, მხოლოდ თვალები აახამხამა. ძია მელკერის ტონზე მიხვდა, ხასიათზე არ იყო. საწყალს ზღაპრები არ ეცოდინება და იმიტომო.

_ თუ გინდა, მე გიამბობ ზღაპარს და ჩაიწერე, _ უთხრა თანაგრძნობით.

_ მალინ! _ იყვირა მელკერმა, _ მალინ, მიშველე!

სტინა ყურადღებით ათვალიერებდა საბეჭდ მანქანას.

_ ეტყობა, ძნელია წიგნების წერა. ყდებისა უფრო მეტად, არა? ყდებს, ალბათ, მალინი გიწერს!

_ მა-ა-ლინ!.. _ აღრიალდა მელკერი.

«არ იჩქაროთო», _ უთხრა ბავშვებს მალკერმა.

რატომ თქვა ეს მამამ! თითქოს ბავშვების ამბავი არ იცის, ან არასოდეს უნახავს იანსონის საძოვარი. რძისთვის ყოველთვის იქით არ დადიან?! აი, ახლაც ჩორვენი, პელე და ბოცმანი მიცუხცუხებდნენ არყის ხეებს შუა დაკლაკნილ ვიწრო ბილიკზე. საძოვარზე ძროხები არ ჩანდა და გული დასწყდა პელეს. სამაგიეროდ, ღუოდა მარწყვი და მოცვი, ფარფატებდნენ პეპლები, თავიანთ ჭიანჭველურ გზაწვრილებზე დაფუსფუსებდნენ ჭიანჭველები, იქვე ეყარა ხავსმოდებული უზარმაზარი ლოდები, რომლებზე აცოცებაც შეიძლებოდა. ერთ-ერთ არყის ხეზე, ეს ჩორვენმა დანამდვილებით იცოდა, ჩიტს ბუდე მოეწნა. აბა, ბავშვებს რა დიდი ხვეწნა-მუდარა სჭირდებობდათ, საძოვარზე რამდენიმე საათი გაატარეთო. ყველაფერთან ერთად მელიის სოროც იყო. ჩორვენი ამბობდა, მელია შიგ ცხოვრობს თავისი ლეკვებითო. ერთხელ მამასთან ერთად ყოფილიყო და ენახა, როგორ თამაშობდნენ მელაკუდები სოროს წინ.

მაგრამ როცა სორო პელესთვის უნდოდა ეჩვენებინა, ვერა და ვეღარ იპოვა. ბოცმანმა კი ხელად მიაგნო. ჯერ ეგონა, პელე და ჩორვენი თავიანთ საიდუმლო ქოხში მიდიანო, მერე მიხვდა, რასაც ეძებდა ჩორვენი, მიხვდა და ისე შეხედა თითქოს ეუბნებოდა: «ოჰ, შე ეშმაკო, რატომ მაშინვე არ მითხარიო?» _ და პირდაპირ სოროსაკენ წაიყვანა.

სორო საძოვრის განაპირას იყო, კლდის ნაპრალში და ისე საიმედოდ მიმალული, უკეთესს მელა ვერ ინატრებდა. პელე მთლად კანკალებდა მღელვარებისაგან _ ხუმრობაა, მიწაში გათხრილ სოროში იმალებოდა მელია. მერე რა, რომ პელე ვერ ხედავდა, ხომ

იცოდა, ცეცხლისფერქურქიანი კუდაგრძელი და თვალებბრიალა მელა ზისო. მისთვის ესეც საკმარისი იყო.

ბავშვები არსად იჩქროდნენ და გზიდან გადაუხვიეს თავიანთ საიდუმლო ქოხში მისასვლელად, რომელიც შეთქმულთა ოთხეულის _ ტედის, ფრედის, იუხანისა და ნიკლასის _ ჯიბრით ააგეს. იმათაც ჰქონდათ სადღაც თავიანთი ქოხი და ამბობდნენ, ამ ქვეყანაზე საიდუმლო კლუბების წევრების მეტი ვერავინ გაიგებს მის ადგილსამყოფელსო.

ჩორვენმა და პელემ მაშინვე სთხოვეს, ჩაგვწერეთ მაგ საიდუმლო კლუბშიო, მაგრამ გაგიგონიათ!

_ ძალიან პატარები ხართ, _ ძველებურად განუცხადა ტედიმ. _ საიდუმლო ქოხი შორს, ძალიან შორსაა, უკაცრიელ, დაუსახლებელ კუნძულზე, სადაც ბავშვებს თორმეტ წლამდე არ უშვებენ. _ ასე წერია ჩვენს წესდებაში.

რამდენიმე კვირის განმავლობაში შეთქმულთა ოთხეული ყოველ დილას ჯდებოდა ნავში და ისე გულმოდგინედ უსვამდა ნიჩბებს, რომ ნავი ქარივით მიქროდა. მოღუშული ჩორვენი, პელე და სტინა ნავმისადგომზე რჩებოდნენ თავიანთ მწარე ფიქრებთან ერთად, რატომ ვართ ასე პატარებიო.

_ არც ეგრეა საქმე, ავდგეთ და ჩვენც ავიშენოთ ქოხი, _ თქვა ჩორვენმა.

და მართლაც ააშენეს იანსონის საძოვარზე პატარა ქოხი და ამ თამაშში სტინაც კი ჩარიეს.

მაგრამ ორი დღის მერე, როცა იდუმალი სახეებით ისხდნენ საიდუმლო ქოხში, მიირბინა ნიკლასმა და ქოხში თავი შეყო.

_ ქოხია და რა ქოხი, თანაც საიდუმლო... ოღონდ ყველა ხედავს, ვინც რძეზე მიდის, _ თქვა სიცილით.

მართალია, ნიკლასმა ცოტათი დასცინათ, ისე რომ მათი წყენინება არ უფიქრია, მაგრმა იმის შემდეგ ორი ფანერით აფიცრული და ძველი შალით გადახურული ქოხი ბავშვებს უბადრუკი ეჩვენათ და აღარც იქ ყოფნა აინტერესებდათ.

დღეს კი დასასრული არ ჰქონდა საოცარ თავგადასავალს. როცა პელემ და ჩორვენმა, ბოლოს და ბოლოს, ხუტორს მიაღწიეს, ვერც დაიჯერეს როგორ გაუღიმათ ბედმა. ძია იანსონი სწორედ მაშინ აპირებდა თავისი ძროხების გადაყვანას დიდ კუნძულზე, სადაც კიდევ ერთი საძოვარი ჰქონდა.

ძროხები რომ დაიანხა, პელე მთლად გადაირია სიხარულისაგან და არც დაფიქრებულა, ისე მიაგდო ბიდონი ბოსლის კედელთან.

_ ძია იანსონ, შენი ჭირიმე, ჩვენც წაგვიყვანე, რა! _ შეევედრა პელე. მანამდე პელეს არც ძროხების გადასაყვანი ბორანი ენახა და არც ძროხების ზღვაზე ბორნით მგზავრობა. ასეთ რამეს ვერსად შეხვდებით სალტკროკის გარდა. ჩორვენისათვის რომ გეკიტხათ, ასე თუ ისე თვითონ იყო კუნძულის ბატონ-პატრონი და მის დამსახურებად უნდა ჩაეთვალათ იქაური მელიის სოროებიც და ძროხების ბორანიც. ჩორვენი ახლა სერიოზულად ეთათბირებოდა ძია იანსონს, კარგი იქნებოდა, ძროხებთან ერთად გაესეირნათ და პელე გაეხარებინათ! ძია იანსონი ჩაფიქრდა: ბოცმანს იმდენივე ადგილი სჭირდება, რამდენიც ნახევარ ძროხასო. მაგრამ ჩორვენმა დაამშვიდა, ძაღლი მოიკუნტება, ძალიან, ძალიან მოიბღუნძებაო, და პელე ზეიმით აიყვანა ბორანზე.

ბორანზე სივიწრო იყო. პელეს სახეზე მიეკრა ძროხის დრუნჩი, იმასაც ეს უნდოდა, ნაზად მიეალერსა სველ დრუნჩს, ძროხამ კი ხორკლიანი ენით თითები აულოკა. პელეს სიხარულისაგან სიცილი აუტყდა.

_ ნეტავი ეს ძროხა ჩემი იყოს, _ ინატრა პელემ, _ როგორ ერთგულად მიყურებს თვალებში.

ჩორვენმა მხრები აიჩეჩა.

_ დიდი ამბავი! ყველა ძროხა ასე იყურება.

არც იმ დღეს, არც მეორე დღეს პელესთვის ძროხა არავის მიუცია. მაგრამ ისეთი რამ შეემთხვა, მარტო ზღაპრებში რომ ხდება. ყველაფერი დიდ კუნძულზე მეთევზის ქოხის უკან დადგმული საბოცვრიდან დაიწყო. გალიასთან იდგა კნუტე ესტერმანი, ცამეტი წლის წითელთმიანი ყმაწვილი, ჩორვენის ძველი მეგობარი და სამი თეთრი ბოცვერის მფლობელი, რომელთა მარტო დანახვამაც კი ისე გააოგნა პელე, ხმა ვეღარ ამოიღო.

_ ერთ საათში ბორანი სალტკროკაზე ბრუნდება, _ უთხრა ძია იანსონმა პელეს და ჩორვენს, სანამ კუნძულზე გადმოსვამდა, _ თუ დროზე არ მოხვედით, სახლში ცურვით მოგიწევთ დაბრუნება.

_ ჯავრი ნუ გაქვს, _ უთხრა ჩორვენმა, მერე პელეს დაუძახა და კნუტესთან, ბოცვერების ბედნიერ მფლობელთან, წაიყვანა.

_ ეჰ, რამდენი ბედნიერია ქვეყანაზე, _ ამოიოხრა პელემ.

_ შენც იყიდე მერე! _ ურჩია კნუტემ, როცა დაინახა, პელე ისე გაახარა ბოცვრების დანახვამ, გალიას ვერ შორდებაო, _ იფნის კუნძულზე რულე რომ ცხოვრობს, იმას ჰყავს ბევრი და ყიდის ხოლმე.

კნუტე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ეს ჩვეულებრივი საქმე იყო და, თუ გინდოდა, ყოველდღე იყიდიდი. პელე აქშუტუნდა კიდეც. ნუთუ მართლა შეიძლება ბოცვრის ყიდვა? თანაც ასე იოლად. ვინ წარმოიდგენდა! ნეტა მამა რას იტყვის, ანდა მალინი, ან ბოცვერი სად უნდა იყოლიოს? ამ კითხვებმა თავგზა აუბნიეს, მაგრამ უცბად რაღაც გაახსენდა და თვალები ისევე უეცრად ჩაუქრა, როგორც აენთო.

_ ფული რომ არა მაქვს?

_ როგორ თუ არა გაქვს, _ შეედავა ჩორვენი, _ მთელი კრონი გაქვს და, თუ მე იფნის კუნძულელ რულეს ვეტყვი, გეყოფა-მეთქი, იმყოფინებს.

_ ჰო, მაგრამ... _ წაიბურტყუნა პელემ.

_ ჩასხედით ჩვენს კარჭაპში, იფნის კუნძულამდე ხუთ წუთში მიცურდებით, _ ურჩიათ კნუტემ.

სწორედ ეს არ უნდა ექნათ. არც ჩორვენს და არც პელეს არა ჰქონდათ უფლება, ნავში უფროსების გარეშე ჩამსხდარიყვნენ.

_ მხოლოდ ხუთი წუთი უნდა, _ დაამშვიდა ჩორვენმა. _ ხუთი წუთი არც ითვლება.

მან ყველაფერი თვითონ გადაწყვიტა, პელე დაიბნა და წინააღმდეგობა არ გაუწევია. ჩორვენმა წაათრია კარჭაპისაკენ. ჰოდა, სანამ პელე გონს მოვიდოდა, ყურეც გადაცურეს და იფნის კუნძულელ რულეს პირისპირ იდგნენ. ჩორვენმა რულეს პელე გააცნო, ნარდად უნდა ბოცვერი იყიდოსო.

მართლაც რომ ბევრი ბოცვერი ჰყავდა რულეს. მისი შეშის ფარდულის უკან ბოცვერების გალიების გრძელი რიგები იყო გაჭიმული. ამ გალიებში სხვადასხვა ასაკის და ფერის _ შავი, თეთრი, ნაცრისფერი, ამლაკი _ ბოცვერები ისხდნენ. პელე ლოყით მიეყრდნო რკინის ცხაურს და ღრმად ჩაისუნთქა ბოცვერების, თივისა და ბაბუწვერას დამჭკნარი ფოთლების დამათრობელი სურნელი. ის დიდხანს იდგა ყოველ გალიასთან და თვალებში ჩასჩერებოდა თითოეულ ბოცვერს. ერთ გალიაში გატიკნილი თეთრხალებიანი ბოცვერი იჯდა და ისე გულმოდგინედ ახრამუნებდა ფოთლებს, ცხვირის წვერი უტრთოდა.

_ ეს მინდა, _ თქვა პელემ. მეტი ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, უყურებდა ბოცვერს და გულის ფანცქალიტ ელოდა, როდის აიყვანდა ხელში.

_ ეგ ყველაზე ულამაზოა, _ ცხვირი აიბზუა ჩორვენმა.

პელემ ალერსიანად შეხედა ბოცვერს.

_ ნუთუ? მე კი მგონია, ძალიან ერთგულად მიყურებს თვალებში.

იფნის კუნძულელი რულე ბერბიჭა იყო. მარტოდმარტო ცხოვრობდა კუნძულზე, თევზაობდა და ბოცვერებით ვაჭრობდა. კვირაში ერთხელ გრანკვისტების დუქანში მიდიოდა თამბაქოს, ყავისა და სხვა სურსათ-სანოვაგის საყიდლად, ამიტომ არ შეიძლებოდა იქ ჩორვენს არ შეხვედროდა, მეზობელი შხერების მცხოვრებთა დარად, რომლებშიც სალტკროკის დუქანში დადიოდნენ სავაჭროდ.

ახლა ჩორვენი მის წინ იდგა და ხელში პელეს კრონი ჩაებღუჯა.

_ ამ ბოცვერში კრონს გაძლევ, კარგი? _ უთხრა და ამლაკ ბოცვერზე მიუთითა.

_ ჰოო? _ უპასუხა ასეთი უსინდისო წინადადებიტ გაოცებულმა რულემ.

მაგრამ ჩორვენმა სწრფად ჩაუდო ფული ხელში.

_ გმადლობ, ვიცოდი, რომ დაგვთანხმდებოდი.

მერე სწრაფადვე გამოაღო გალია, გამოათრია ბოცვერი და პელეს მიაჩეჩა.

_ აჰა, შენია!

რულე კმაყოფილი სახით იფშვნეტდა ხელებს.

_ რაც მართალია, მართალია, გვარიანად იცი საქმეების გაჩარხვა! მაგრამ, მაცალე, მოვალ დუქანში თამბაქოსათვის!

სიამოვნებისაგან თვალმილულული პელე ეფერებოდა ბოცვერს, ნაზ და ფაფუკ ბეწვზე უსვამდა ხელს. მერე უხრხულადაც კი იგრძნო თავი _ უცბად მიხვდა, რა არნახული ბედნიერება ეწვია.

_ ცოტა აცალე, წამოიზრდება და კარგი იქნება შესაწვავად.

პელეს ცხვირის წვერი გაუთეთრდა მღელვარებისაგან.

_ ამას არასოდეს შევწვავ, არასოდეს! _ თქვა ცხარედ.

_ მაშ რად გინდა? _ გაუკვირდა რულეს.

პელემ გულში ჩაიკრა ბოცვერი.

_ ჩემია! ძალიან მჭირდება!

რულე უგულო კაცი არ იყო და დათანხმდა, ბოცვერის ყოლა ისეც შეიძლება, თავისთვისო, თუმცა ასეთი აზრი ადრე არასოდეს მოსვლია თავში. ხოლო როცა დაინახა, რანაირად გაახარა ბიჭი ამ უშნო და ნამცეცა ბოცვერმა, სულ გამოცოცხლდა. ადგა, ბოცვერისთვის ხის ყუთი მოუტანა პელეს და ღიმილით გააცილა ნავმისადგომამდე. ჩორვენი უკვე ნიჩბებს მისჯდომოდა.

_ დღეს მშვენიერი დარია, _ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა რულემ, _ ბედი გაქვს, ჩორვენ, შორს არა ხარ წასასვლელი.

ჩორვენმა მცოდნესავით ახედა ღრუბლებს, კუნძულის იქით რომ მოდებოდნენ ცას, და მოღუშულმა თქვა:

_ გაავდრდება!

რა თქმა უნდა, კარგია, შორს რომ არ არიან გასაცური. ის გულადი იყო ნამდვილი წინამძღოლივით, მაგრამ ერთი პატარა სისუსტე სჭირდა _ ჭექა-ქუხილის ეშინოდა, თუმცა არა ტყდებოდა.

ჩორვენმა ნიჩბებს ხელი რომ მოჰკიდა, უკვე გაისმა შორეული გრიალი.

პელეს ქუხილი არც გაუგონია. იჯდა კარჭაპის კიჩოზე, მუხლებზე ყუთი ედგა და ჭუჭრუტანიდან უყურებდა ბოცვერს, საკუთარ ბოცვერს. რაღაც საჭინელი ჭექა-ქუხილი უნდა ამტყდარიყო, პელე ამ საქმისაგან რომ მოეცდინა.

ამ დროს გაისმა საზარელი გრუხუნი, პელემ თავი ასწია და სატირლად მომზადებული ჩორვენი დაინახა. გაოცებულმა პელემ ჰკითხა:

_ შენ რა, ელჭექისა გეშინია?

ჩორვენი აწრიალდა.

_ არა, არ მეშინია... მხოლოდ ხანდახან... როცა ქუხს.

_ იჰ, ქუხილი რა საშიშია, _ ამშვიდებდა პელე და თვითონვე გრძნობდა დიდ სიამაყეს _ ერთხელ მაინც გამოდგა ჩორვენზე გაბედული. რასაკვირველია, დიდად სასიამოვნო არაა, იჯდე მთელი ღამე სამზარეულოში და უსმინო მეხის გრიალს, მაგრამ ქუხილის ერთი ბეწოთიც არ ეშინოდა, თუმცა დიდ გულადობას ვერ დაიკვეხნიდა.

_ ტედიც ამბობს, საშიში არააო, _ თქვა ჩორვენმა. _ მაგრამ, როცა ჭექა-ქუხილი მძვინვარებს, თითქოს მეუბნებ: «არა, საშიში ვარ, საშიში!» _ და მაშინ მისი უფრო მჯერა, ვიდრე ტედისა.

ამისი თქმა და ისევ დაიგრგვინა. ჩორვენმა წამოიყვირა და შეშინებულმა სახეზე აიფარა ხელები.

_ ვაიმე, ნიჩბები, _ შეჰყვირა პელე, _ ნიჩბები წაიღო!

ჩორვენი გონს მოეგო და ნიჩბებს შეხედა. ისინი წყნარად მიტივტივებდნენ ტალღებზე კარჭაპიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით.

ბევრჯერ ჩავარდნია ჩორვენს წყალში ნიჩბები, მაგრამ არასოდეს შეშინებია. ახლა კი, ამ მეხის გრიალში, არ უნდოდა კარჭაპში დარჩენა, ხოლო უნიჩბოდ ნაპირს ვერ მიადგებოდნენ. ამიტომ საშველად ორივემ რულეს დაუწყო ძახილი. ისინი ხედავდნენ, რულე უკანმოუხედავად როგორ ადიოდა სერზე თავის ბოცვრებთან.

_ ეი, ყრუ ხარ? _ დაუყვირა ბოლოს ჩორვენმა.

როგორც ჩანდა, ჩორვენი არა სცდებოდა. რულე მალე თვალს მიეფარა.

კარჭაპი წყნარად მისრიალებდა ტალღებზე.

პელემ შიშით იკითხა, ნუთუ ამას ჰქვია გემის დაღუპვა და ნუთუ მაშინ უნდა მოვკვდე, როცა საკუთარი ბოცვერი მყავსო?

_ არაფერი მოგივა, იჯდები ნავში, სანამ ბუტბუტა კუნძულთან არ გაგვრიყავს, _ დაამშვიდა ჩორვენმა.

დიდი კუნძულისა და იფნის კუნძულის გარშემო წყლიდან ისე ამოშვერილიყვნენ კლდოვანი, დაუსახლებელი კუნძულები, ფუნთუშიდან ქიშმიშმა რომ იცის ამოჩრა. ერთ-ერთი მათგანი იყო ბუტბუტა კუნძული. ახლა ნათელი ყიო, რომ არ იღუპებოდნენ, ტალღები კარჭაპს პირდაპირ იმ კუნძულისაკენ მიაქანებდა. პატარა მოხერხებულ ყურეში, საითაც ჩორვენი სახაპავის ტალღაზე ტყაპუნით აძლევდა გეზს. მალე კარჭაპი ნაპირზე აათრიეს. სწორედ დროზე მოასწრეს! დიდი კუნძულის მხრიდან საავდრო ღრუბელი მოიწევდა. ტყვიისფერ ზღვაზე წამოწვა წვიმის სქელი ფარდა. რამდენიმე წამში ისეთ კოკისპირულ წვიმას დაუშვებდა, მსოფლიო წარღვნა მოგონილი იქნებოდა.

_ გავიქცეთ! _ დაუყვირა ჩორვენმა და რიყის ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით მოკურცხლა მოშორებით მდგარი ხეების ქვეშ თავის შესაფარებლად. პელეც უკან მისდევდა და თან ყუთს მიარბენინებდა. ბოცმანი კი ფეხებში ცხვირსა ჰკრავდა, მიშველებას ლამობდა.

უცებ ჩორვენი მხიარული ყიჟინა გაისმა:

_ ქოხი! ქოხი ვიპოვეთ!

მართლაც იპოვეს ქოხი. ის საოცნებო ქოხი, რომელზედაც მთელი ზაფხული ლაპარაკობდნენ, ზღვის პირას იდგა. იმაზე უკეთესს ვერც ერთ კუნძულზე და ვერც ერთ შხერზე ვერ ნახავდით, ქოხს ნაძვის დაძენძილი ტოტები ფარადვა. ისე, ნამდვილ სახლივით იყო აშენებული, ფიცრებს შორის დარჩენილი ჭუჭრუტანები ხავსით დაეტენათ, სახურავზე ბალახმორეული ბელტები ეწყო. ასეთიც უნდა იყოს ნამდვილი ქოხი. ოჰ, რა კარგ დროს იპოვეს, მალე ღვართქაფი დაატყდა თავს კუნძულს. ისინი კი ისხდნენ ქოხში და ნაძვის ტოტებს შუა ხედავდნენ, როგორი გაშმაგებით შოლტავდა წვიმა ფიორდსა და სანაპირო კლდეებს.

_ ჩვენ სულ მშრალები ვსხედვართ, _ თქვა კმაყოფილმა ჩორვენმა, _ დიდ მადლობას ვეტყვი ფრედის და ტედის, შინ რომ დავბრუნდებით.

_ შინ ვეღარასოდეს დავბრუნდებით, _ მიუგო პელემ. საოცარია, მაგრამ შიში არ უგრძვნია. იმიტომ, რომ კოკისპირულ წვიმაში ქოხში ყოფნა უფრო საინტერესოა, ვიდრე მეთევზის ნაცნობ ფარდულში. თანაც ნუგეშად ბოცვერი ჰყავდა. პელემ ყუთს ახადა და თავის საუნჯეს მიეფერა.

_ ხომ არ გეშინია? _ ჰკითხა ალერსით. _ ნურაფრის შეგეშინდება, მე შენთანა ვარ.

ჩორვენს სახე უბრწყინავდა აღტაცებისაგან. რა იქნება, შინ რომ დაბრუნდებიან და ტედის და ფრედის საიდუმლო ქოხებზე მოესაუბრებიან! ის წინასწარ ტკბებოდა მომავალი შეხვედრის სიამოვნებისაგან და ერთი წუთითაც არ ფიქრობდა, ამ კუნძულზე დავრჩებით სამუდამოდო. საერთოდ, აღარაფრის ეშინოდა, ჭექა-ქუხილმა უკვე გადაიარა და მალე წვიმაც შეწყდა. «ამ ქოხში თამაში შეიძლება», _ გაიფიქრა ჩორვენმა.

მაგალითად, ვითომ გემი დაიღუპა და ისინი ზღვამ დაუსახლებელ კუნძულზე გამორიყა რობინზონივით, რომელზედაც ფრედი უამბობდა. იმასაც ზუსტად ასეთი ქოხი ჰქონდა. პელე პარასკევა იქნებოდა, რობინზონი ვინ უნდა ყოფილიყო, ამას დიდი მარჩიელობა არ სჭირდებოდა. მაგრამ ჩორვენს მარტო რობინზონობა კი არ უნდოდა, მას სურდა ყოფილიყო ისეთი რობინზონი, რომელსაც ექნებოდა მწიფე მარწყვით სავსე პატარა ბაღი. იგი ხედავად, რამდენი მწიფე მარწყვი ღუოდა წითლად ქოხის წინ აბიბინებულ ბალახში. მისი პარასკევა სხვა ადამიანებს რომ ჰგვანებოდა, ქოხის ახლოს მიყუდებულ ტედის ძველ ანკესს აიღებდა და ზღვაში ქორჭილებს დაიჭერდა.

_ როცა გემი დაიღუპება და უკაცრიელ კუნძულზე გაგრიყავს, სულ უნდა ჭამო და ჭამო, _ აუხსნა ჩორვენმა პელეს.

პელემ კი გამოუცხადა, შიმშილით რომ მოვკვდე, მაინც არ დავტანჯავ ჭიაყელებს, არც დღეს და არც არასოდესო.

_ მაშ, მარწყვი გვეყოფა, _ უთხრა ჩორვენმა და ქოხიდან სველ ბალახზე გამოვიდა.

პელემ აიყვანა თავისი ბოცვერი და ზღვისკენ წავიდა. არა, ქორჭილების დაჭერა არც უფიქრია, კუნძულიდან თავის დაღწევა უნდა ეცადა. ქოხში ძველი გაზეთი იპოვა. ნაპირზე რომ დადგეს და ქანცის გაწყვეტამდე აქნიოს, იქნებ დიდი კუნძულიდან შეამჩნიონ, ან ძია იანსონმა ან ძია კნუტემ, სულ ერთია. პელე მანამ აფრიალებდა გაზეთს, სანამ ხელები არ გაუშეშდა. სულ უშედეგოდ. ისინი კვლავ დაღუპული გემის მგზავრები იყვნენ, დიდ კუნძულზე არავინ ჩანდა.

საათზე მეტი გავიდა. ძია იანსონმა, ალბათ, უკვე გადაიყვანა ბორანი უკან, სალტკროკაზე, რასაკვირველია, ჯავრობს. სახლშიც უეჭველად გაუწყრებიან, როცა გაიგებენ, ჩორვენი და პელე დაუკითხავად შევიდნენ ზღვაში და სადღაც დაიკარგნენო.

ცუდი ფიქრები ეხვეოდა პელეს. მაგრა მას ბოცვერი ჰყავდა, მისი ნუგეში, და სიხარული უმშვიდებდა გულს.

ღრუბლებიდან მზე გამოცურდა და ლურჯ ფიორდში კვლავ აბრჭყვიალდა წყალი. ნაპირთან დიდ ქვაზე ჩამომჯდარ პელეს გულში ჩაეხუტებინა ბოცვერი. უცებ ფიქრმა გაუელვა თავში: ბოცვერს აუცილებლად უნდა დავარქვა სახელიო.

_ არ შეიძლება უბრალოდ «ბოცვერი» გერქვას, შენ სახელი უნდა გქონდეს, ნამდვილი სახელი!

პელე დიდხან ფიქრობდა, ბოლოს ბოცვერს წყალი მოაპკურა და მონათლა.

_ შენ იოკე გქვია, იოკე მელკერსონიმ, დაიმახსოვრე!

რაღაცნაირიად სასიამოვნოა სახელიანი ბოცვერის ყოლა. ის ჩვეუბლებრივი გატიკნილი ბოცვერი კი აღარ იქნება, არამედ განსაკუთრებული, სახელი, იოკე, ერქმევა. პელემ შეამოწმა, როგორ ჟღერდა სახელი.

_ იოკე, ჩემო პატარა იოკე!

ამ დროს რობინზონმა დაუძახა თავის პარასკევას და ისიც მაშინვე წვიდა პატრონთან. რობინზონმა შაქრის ყუთი გადააბრუნა, ზედ მინის ქილით კლდის დუმა შემოდგა და მწვანე ფოთლებზე მარწყვი დააწყო. აი, ეს მოახერხა მდედრობითი სქესის რობინზონმა, მარწყვი თანაბრად გაუყო თავის მსახურს.

როცა ჭამა მოათავეს, ჩორვენმა განაცხადა:

_ ძალიან გემრიელად მივირთვით! ახლა კი შინ წავიდეთ!

პელეს კინაღამ გული მოუვიდა. რატომ ამბობს ჩორვენი ასეთ სისულელეს, ხო იცის, რომ აქედან ვერსად წავლენ?!

_ ვინ თქვა, ვერ წავალთო? _ შეედავა ჩორვენი, _ აი, მოტორს მივუყენებ კარჭაპს და... ბოცმან, ჩემთან!

პელემ იცოდა, რომ ბოცმანისთანა ძაღლი მეორე არ იყო მსოფლიოში. მთელი ზაფხული გვერდიდან არ მოშორებია, ყოველდღე ეთამაშებოდა, აღმერთებდა და მის აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ბოცმანის ოინებს უყურებდა. ბოცმანს შეეძლო დამალობანას თამაში, საქანელას გაქანება, დამალული ნივთების პოვნა, ჩანთის ტარება, ხოლო ერთხელ წანწალიდან ფიორდში ჩავარდნილი სტინაც კი ამოიყვანა

წყლიდან. მაგრამ ყველაზე მოულოდნელი რამ ახლა ჩაიდინა. ოჰ, ნეტავ მამა და მალინი აქ ყოფილიყვნენ და ენახათ ეს სურათი: _ საყელურზე თოკჩაბმული ბოცმანი მიცურავდა დიდი კუნძულისაკენ და მიასრილებდა კარჭაპს. ჩორვენსა და პელეს ხელიც არ გაუნძრევიათ, ისე ისხდნენ, როგორც პრინცი და პრინცესა. რა გასაოცარი ძაღლია! თუმცა, ჩორვენი ამაში არაჩვეულებრივს ვერაფერს ხედავდა. რაც შეეხება პელეს, იჯდა კარჭაპში ბოცმანის სიყვარულით სავსე და ლამის გული გახეთქოდა აღტაცებისაგან.

_ ადამიანზე ჭკვიანია, _ თქვა პელემ. მაგრამ იმავე წუთს რაღაც დაინახა წყალზე და გაოცებისაგან შეჰყვირა:

_ შეხედე, ნიჩბები!

მართლაც, ნიჩბებს წყნარად აქანავებდა ტალღები კლდოვან კუნძულთან.

_ ბედი გვქონია! _ გაუხარდა ჩორვენს, როცა ნიჩბები დაიჭირეს. _ კნუტე გაგვიბრაზდებოდა, უნიჩბებოდ რომ მივსულიყავით.

უცებ ჩორვენი ისე მოიღრუბლა, გეგონებოდა, ისევ ჭექა-ქუხილისა შეეშინდაო.

_ იცი, კიდევ ვინ ბრაზობს ჩვენზე? _ ჰკითხა პელეს. _ ძია იანსონი.

ჩორვენმა იცოდა მისი ფიცხი ხასიათი. იგი ხომ იანსონს ისევე კარგად იცნობდა, როგორც შხერების დანარჩენ მცხოვრებლებს. განრისხებული ძია იანსონი პირიდან ცეცხლსა ყრიდა ხოლმე და ჩორვენს არ უნდოდა ასეთ დროს თვალში მოხვედროდა.

_ ძია აინსონმა, ალბათ, კარგა ხანია, სალტკროკისაკენ გასწია, _ უთხრა პელემ.

ისინი დიდი კუნძულის ნავმისადგომთან მიცურდნენ. ჩორვენმა ბოცმანს თოკი მოხსნა და კარჭაპი ნაპირთან მიაბა. ბოცმანმა ტანი შეიბერტყა და ჩორვენს ჭკვიანი, ოდნავ ნაღვლიანი თვალებით შეხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა:

«კიდევ რას ისურვებ, ჩემო პატარა ბზიკო?»

ჩორვენმა ბოცმანს თავზე ხელები მოხვია და მეგობარს თვალებში ჩახედა.

_ ბოცმან, შენ ჩემი საძაგელი ძაღლი ხარ!

ნაპრიზე არავინ ჩანდა, არც კნუტე, არც ძია იანსონი. ძროხების ბორანი ისევ ნავსაბმელთან იდგა, მაშასადამე, ძია იანსონი უკან არ მობრუნებულა, ალბათ, გონდაკარგული დარბოდა ნაპირზე და მათ ეძებდა.

ბავშვები იდგნენ და საშინლად უბედურებად თვლიდნენ თავს. უცებ დაინახეს, რომ ესტერმანის კარ-მიდამოდან ვიღაც თავქვე დაეშვა. ძია იანსონი იყო. წარმოგიდგენიათ, რა სწრაფად შესძლებია სირბილი! ჩორვენმა შიშით აახამხამა თვალები: რას შეგვახურებს?!

ნავმისადგომთან რომ მიირბინა, ძია იანსონი ისე იყო აქოშინებული, ძლივს ლაპარაკობდა.

_ საცოდავებო, მე მიცდით? ეს რა დამემართა! მაგრამ ჯერ მესერი უნდა შემეკეთებინა, მერე წვიმა წამოვიდა და ცოტა ხნით ესტერმანებთან შევიარე, ჩავრჩია კია. თქვე საწყლებო, დიდი ხანია მიცდით?

_ არც ისე, _ უთხრა ჩორვენმა, _ რა სალაპარაკოა!

ოთხი საათის მუშაობის შემდეგ კმაყოფილმა მელკერმა საბეჭდ მანქანას ფუტლარი დააფარა და მაგიდიდან ქაღალდები აკრიფა. სწორედ მაშინ გამოჩნდა ფანჯარაში პელე.

_ აი, პელეც მოვიდა და რძე მოიტანა, _ თქვა მელკერმა, _ რა შეუმჩნევლად გაირბინა დრომ.

მელკერი შეცდა. პელეს რძე არ მოუტანია, ბიდონი კვლავ იანსონის ბოსელთან ეგდო. პელემ სხვა რამე მოიტანა. მელკერი ჯერჯერობით ვერ ხედავდა, რას მალავდა ფანჯრის ქვეშ.

_ მამა, შენ მეუბნებოდი, მალე მხეცი გეყოლებაო, ხომ?

მელკერმა თავი დაუქნია.

_ ჰო, ჰო, აუცილებლად რამეს მოვიფიქრებთ.

მაშინ პელემ თავისი ბოცვერი მელკერსონის წინ დასვა მაგიდაზე. ბოცვერმა შიშით ააბარტყუნა თათები და მელკერის ქაღალდები მიფანტ-მოფანტა.

_ ამაზე რას იტყვი? _ ჰკითხა პელემ.

პელემ და ჩორვენმა იოკე მალინს რომ მიუყვანეს სანახავად, მასაც გამოუჩნდა სათქმელი:

_ პელე, გენაცვალე, ერთ კვირაში ქალაქში მივდივართ. რა უნდა ვუყოთ იოკეს?

ბავშვებმა მალინი დაამშვიდეს, ამაზე ნუ შეწუხდებიო. ძია იანსონი დაპირდა პელეს, იოკეს მე მოვუვლი, ჩემს ბოსელში მეყოლება მომავალ ზაფხულამდე, სანამ არ ჩამოხვალო.

ეს იყო უბედნიერესი საათი პელეს ცხოვრებაში. ბიჭი ამაყობდა თავისი ბოცვერით და ისე დადიოდა, თითქოს მისი დღეობა ყოფილიყოს. მაგრამ უფრო გამხიარულდა, როცა სამზარეულოში შეთქმულთა ოთხეული შემოვარდა. მათაც მოუნდათ ბოცვერის ნახვა. ჩორვენს ცოტა შეეხარბა კიდეც პელესი. _ ნეტა მეც მყავდეს ბოცვერიო, _ ინატრა.

_ გინდა პატარა ნაჭერი? _ შესთავაზა პელემ. _ უკანა თათი შენი იყოს.

_ სად იშოვე? _ დაინტერესდა იუხანი.

ეტყობოდა, მასაც მოუნდა ბოცვერი.

_ ერთ ადგილას... სადაც შემთხვევით მოვხვდი, _ მიუგო პელემ.

კნუტე ესტერმანისა და იფნის კუნძულელ რულეს გარდა არავინ იცოდა მათი კარჭაპით გასეირნების ამბავი და პელემ და ჩორვენმა გონივრულად გადაწყვიტეს, არც არავისთვის გაემხილათ. თუმცა ეს გადაწყვეტილება მათთვის მძიმე იყო. ჩორვენი ხომ ვერაფერს ეტყოდა ტედის და ფრედის საიდუმლო ქოხზე, თუმცა მასზე ლაპარაკი წარმოუდგენელ სიამოვნებას მიანიჭებდა.

ის ფეხმორთხმით იჯდა შეშის ყუთზე დურგლისეულ ისახლის სამზარეულოში და აკვირდებოდა ბოცვერის გარშემო აფუსფუსებულ შეთქმულთა ოთხეულს. პელე ძალიან იყო გართული თავისი საზრუნავით, თორემ შეამჩნევდა, რა სახიფათოდ აენთო თვალები ჩორვენს, და ეგებ შეეჩერებინა.

_ ოჰო-ჰო-ჰო, რა საქმეებია, _ შორიდან მოუარა ჩორვენმა. _ ყველაფერი საიდუმლოდ უნდა შეინახო.

_ რა გინდა მაგითი თქვა? _ ჰკითხა ტედიმ.

ჩორვენმა მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

_ სულ აღარ დადიხართ თქვენს ქოხში?

შეთქმულთა ოთხეულმა ერთმანეთს გადახედა _ ქოხი, მართლაც, მთლად გადაავიწყდათ. ახლა ისინი დაღუპული ხომალდის ნამსხვრევებს უტრიალებდნენ კაჭკაჭების კონცხთან. ქოხი ვიღას ახსოვდა! იუხანმა ამისი ახსნა დაუწყო ჩორვენს.

_ ის მაინც გვითხარით, სადა გაქვთ ეგ ქოხი? _ ჰკითხა ჩორვენმა.

ფრედიმ კვლავ მტკიცედ უპასუხა, ეს ქოხი სამუდამოდ საიდუმლო დარჩება ყველასთვის, ვისაც თორმეტი წელი არ შესრულებია და ჩვენი კლუბის წევრი არ არისო.

ჩორვენმა თავი დაუქნია.

_ მართალია, მართალი. ყველაფერი საიდუმლოდ უნდა შეინახო!

მერე ისე მიაჩერდა ფანჯარას, თითქოს სადღაც შორს, შორს იყურებაო.

_ ახლა იმდენი მარწყვია. ნეტა ბუტბუტა კუნძულზე თუ მწიფს მარწყვი? _ თქვა მიამიტად.

შეთქმულთა ოთხეულმა სწრაფად გადახედა ერთმანეთს, თვალებში შეშფოთებამ გაუელვათ. რასაკვირველია, ისინიც შეცადნენ არაფერი შემჩნეოდათ, მაგრამ ჩორვენს რას

გაოაპარებდი! ჰოდა, ესეც საკმარისი აღმოჩნდა, იმ დღის არაჩვეულებრივად კმაყოფილი დარჩენილიყო.

პელე კი თავისი ბოცვერის გარდა ვერაფერს ხედავდა, დღეს, ალბათ, ჩორვენისათვის ვეღარც მოიცლიდა, თანაც შინ წასვლის დრო იყო.

სიოდერმანის სახლთან ჩორვენმა სტინა დაინახა, თოჯინას ახალი ეტლით დაასეირნებდა. ასეთ ძვირფას საჩუქრებს იმათთვის ყიდულობენ, ვისი დედებიც სტოკჰოლმში მებუფეტეებად მუშაობენ.

_ ლუვისას გასასეირნებლად გამოხვედი? შეიძლება ცოტა მოგეშველო?

სტინას სახე გაუბრწყინდა, მეგობარი რომ დაინახა.

_ აჰა, გაასეირნე!

ჩორვენმა ჩამოართვა ეტლი და ნავმისადგომზე წინ და უკან დაუწყო ტარება. ბოლოში რომ გავიდა, თოჯინა ხელში აყვანა.

_ პაწაწინა ლუვისა, გინდა გაიხედ-გამოიხედო? _ უთხრა და მოაჯირზე ხიმიჯნებისაკენ ზურგშექცევით შემოსვა.

_ არა, პაწაწინა ლუვისა, _ თქვა შეშფოთებულმა სტინამ და თოჯინას ხელი სტაცა, _ ხო იცი, რომ პატარების ნავსადგომზე ყოფნა არ შეიძლება?

მაგრამ ჩორვენმა დაამშვიდა:

_ შეიძლება, როგორც არ შეიძლება, ოღონდ დედასთან ერთად. ჰო, ანდა დეიდა ჩორვენთან ერთად. ორივესთან შეიძლება.

«საოცარია, მაგრამ ზაფხული ყოველთვის ძალიან მალე გადის!»

«საოცარია, მაგრამ ზაფხული ყოველთვის ძალიან მალე გადის», _ წერდა მალინი თავის დღიურში.

მელკერსონებმაც გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ სალტკროკაზე მათმა პირველმა ზაფხულმა გაირბინა და შინ დაბრუნების დრო დადგა.

_ რა წარმოუდგენელი უაზრობაა, _ ჯავრობდა ნიკლასი, _ რატო უნდა იწყებოდეს სკოლაში მეცადინეობა სწორედ შუა არდადეგების დროს? მამა, არ შეგიძლია მისწერო სასკოლო უწყებას და სთხოვო, ერთხელ და სამუდამოდ გაანებონ თავი ამ სისულელეს?

მელკერმა თავი გაიქნია.

_ სასწკოლო უწყება ურყევია თავის გადაწყვეტილებაში. ასე რომ, დამორჩილების მეტი არაფერი დაგვრჩენია.

«სულ ახალხან ჩამოვედით, _ წერდა მალინი დღიურში, _ და, სამწუხაროდ, უკვე ყველაფერ უნდა გავშორდეთ. პელე თავის ბოცვერსა და მარწყვიან მდელოებს, იუხანი და ნიკლასი _ თავიანთ ქოხებს, ანკესებს, კლდეებს, საიდანაც ასე მარჯვედ ხტებოდნენ წყალში, ჩაძირული გემის ნამსხვრევებს; მამა _ განთიადის გამჭვირვალე ყურეს, კარჭაპსა და დურგლისეულ კარ-მიდამოს. მე? მე რას ვშორდები? ზაფხულის ბიბინა მდელოებს, ვაშლის ამწვანებულ ხეებს, შეგულებულ სოკოიან ადგილებს, შეუმჩნეველ, განმარტოებულ ბილიკებს ტყეში, საღამოს სიმყუდროვეს... აღარ მომიწევს საღამოს სახლის კართანაზე ჯდომა და ირმის ნახტომით ტკბობა, ყურის მუქ წყნარ ზედაპირზე რომ ირეკლება. ვეღარ ვიბანავებ ღამით, როცა ცას ვარსკვლავთა ციმციმი ანათებს, ვეღარ დავიძინებ სხვენზე ტალღების მონანავე ხმაზე. ძალიან მწყდება გული ახლა ადამიანები, ყველა, ვინც ჩვენი მეგობარი გახდა, როგორ მომენატრება!

გამოსათხოვებლად დიდ ლხინს გავმართავთ, ეს მამამ მოიფიქრა. ახლა იმაზე ვიმტვრევ თავს, სუფრაზე გემრიელი რა მივიტანო. პირველად, ალბათ, მელკერის რეცეპტით დამზადებული ქორჭილა, მერე შებოლილი სალაკა და სოკოს ომლეტი, შეიძლება მადის მომგვრელი პატარ-პატარა გუფთებიც მივართვა. ბოლოს კი ნაღების ტორტსა და ყავას შევექცევით...»

მელკერს უსაზღვროდ ახარებდა მომავალი დღესასწაული. უნდოდა ნადიმის დასასრულს შუშხუნები გაეშვა და ეს ყოფილიყო ზაფხულის «ბოლო აკორდი», როგორც თვითონ ამბობდა. მაგრამ მალინი არ დაეთანხმა, კარგად ახსოვდა, რითაც დამთავრდა კიბოს ჭერის დღესასწაული. მაშინ მელკერმა მოახერხა ყველა პეტარდის ერთბაშად აფეთქებდა.

_ ზაფხულსი ბოლო აკორდი, რა თქმა უნდა, ცუდი არაა, _ თქვა მალინმა. _ ოღონდ არავითარი ფოერვერკი აღარ გვექნება. ჯერ ძველი ჭრილობები მოშუშდეს.

ნაღების ტორტი უფრო მშვიდი «ზაფხულის აკორდიაო», გადაწყვიტა მალინმა და დურგლისეულ კარ-მიდამოში აგვისტოს თბილ კვირა დღეს მიართვა სტუმრებს. მაშინ ფიორდი სარკესავით ელავდა და ყველაფერი «ზესაზაფხულო» იყო, ასე ამტკიცებდა ნიკლასი.

პელე, ჩორვენი და სტინა ისხდნენ დურგლისეული სახლის კართანაზე და მალინი ტორტით უმასპინძლდებოდათ, სანამ მაგრად არ გაიეკნენ. პელემ სიამოვნებით შეჭამა ტორტი, თუმცა, მელკერისა არ იყოს, მაინც იმას ფიქრობდა, ფეიერვერკი უფრო საინტერესო იქნებოდაო.

_ მამა რომ აფეთქებულიყო? თმა დაეწვებოდა და ჰაერის ტალღა კურდღლის შხერისაკენ გასტყორცნიდა, მერე? _ თქვა მალინმა. _ ნუთუ ტორტი არ მოგეწონათ?

_ მალინ, იცი, რა მხეცური რამეა, _ უთხრა ჩორვენმა, _ პირში თავისთავად დნება.

_ ოი, ოი, ოი _ თავი უკმაყოფილოდ გააქნია მალინმა, _ უფრო გამიხარდებოდა, უბრალოდ რომ გეთქვა, გემერიელიაო.

_ არა-ა, მაშინ რა გამოვა, რომ კრაწუნა კვერებზე გეუბნები, _ მიუგო ჩორვენმა.

სიოდერმანმა სამი ფინჯანი ყავა დალია, თუმცა ყავის მერე მუცელი უბუყბუყებდა ხოლმე. რა ვქნა, მალინი მტოვებს და რამით ხომ უნდა დავიმშვიდო გული, _ ამბობდა გულდაწყვეტილი.

_ ეგ რომ მიშველიდეს, მთელ როფს დავლევდი, _ ჩაიდუდუნა ბიორნმა და მალინს ფინჯანი გაუწოდა. ძალზე ნაღვლიანი თვალები ჰქონდა ბიორნს და მალინი ცდილობდა, მისკენ არ გაეხედა.

_ საერთოდ, მოაგარაკეებთან სხვანაირად გვემართება ხოლმე, _ თქვა ნისემ, _ ვხარობთ მათი ჩამოსვლით, მაგრამ უფრო მეტად _ წასვლით. მელკერსონების გარეშე კი დურგლისეული კარ-მიდამო ნამდვილად ცოდოა.

_ აუცილებლად ჩამოხვალთ მომავალ ზაფხულ, ამას თქმა არ უნდა, _ თქვა მერტამ.

მელკერს უეცარმა ფიქრმა გაუელვა თავში:

_ რა მოხდება, შობას რომ აქ შევხვდეთ? ხა-ხა-ხა! ვინაა ყველაზე წინდახედული კაცი, თუ არა მელკერ მელკერსონი! მე ხომ ყოველი შემთხვევისათვის სახლი მთელი წლით ვიქირავე.

ბავშვები აყიჟინდნენ, მალინი მერტასა და ნისეს მიუბრუნდა.

_ გამოვა რამე? ნუთუ შეიძლება დურგლისეულ სახლში ზამთრის საშინელ ყინვაში ცხოვრება?

_ როგორ არ შეიძლება, სახლს შუა ოქტომბრიდან თუ გავათბობთ, _ უპასუხა ნისემ.

მელკერმა მაშინვე განაცხადა, არაფერი საჭიროა არაა, სახლი უსარგებლოდ იდგეს, როცა მთელი წლის ქირაა გადახდილი. თუ გსურს, სრულად მიიღო ის სიამოვნება, რაც შენი ფულით უდაოდ გეკუთვნის, შობის დღესასწაულს დრუგლისეულ კარ-მიდამოში

შეხვდი, თუნდაც ყველაფერი შენი ყურების მოყინვით დამთავრდესო. მან ჩორვენი ხელში აიტაცა და ოთახში დატრიალდა.

_ ჰეი-ჰოპ-ლა, ჰეი-ჰოპ-ლა! შობის წინა დღეს დილამდე ვიცეკვებთ, _ მღეროდა მელკერი. _ მარტო მაშინ კი არა, ახლაც, განშორების ჟამს. გავა რამდენიმე თვე და კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

_ დაე, ყველას მხიარული სახეები გქონდეთ... გესმის, ბოცმან? _ უყვირა ძაღლს, იმიტომ, რომ იგი ჩვეულებრივზე ნაღვლიანად იცქირებოდა.

_ მალინ, მიეცი დარჩენილი ტორტის ნაჭერი, იქნებ ცოტა გამხიარულდეს!

ბოცმანმა ტორტი ისეთივე ნაღვლიანი სახით შეჭამა.

_ თუმცა ფიქრობს, ძალიან მხეცური ტორტიაო, მე ხომ ვიცი, _ განაცხადა ჩორვენმა.

პელე კართანაზე იჯდა და თავი ხელებზე ჩამოედო. ისიც ბოცმანივით მოღრუბლულიყო. ყველაფერი თავდება: ნაღების ტორტი, ზაფხული და იქნებ სიცოცხლეც. ვინ იცის!

საოცარია, მაგრამ ტორიტს პატარა ნაჭერი მაინც გადარჩათ შეუჭმელი. ნადიმის შემდეგ მაგიდიდან ტორტის ლანგრის აღება დავიწყდათ ბზიკების გასახარად. «ბედნიერები, _ ფიქრობდა პელე, _ ესენი აქ დარჩებია. პატარა ბზიკებს ხომ არა სჭირდებათ ქალაქში გამგზავრება და სკოლაში სიარული. სამოთხე მაგათ ცხოვრებას ჰქვია».

ტორტის ნაჭერი ბზიკებს მაინც არ ერგოთ. ჩორვენმა მაშინვე გაყარა ისინი. მართალია, მანამდე სამი ნაჭერი შეჭამა, მაგრამ ეს მარციპანის წითელი ვარდით მორთული ნაჭერი უფრო გემრიელი ჩანდა. ჩორვენს პირზე ნერწყვი მოადგა და მიიხედ-მოიხედა, იქნებ მალინი დავინახოო. უკითხავად არაფრის აღება არ უყვარდა. მაგრამ მალინი ბიორნთან ერთად სადღაც გაქრა. არც ძია მელკერი ჩანდა. მეტი ვისთვის უნდა ეკითხა? არა და, შესაძლოა, ყოველ წუთას ვინმე მოსულიყო, დაენახა ტორტის ნაჭერი და სულს წაეძლია. უნდა ეჩქარა. ჩორვენმა შეტყუპებულ ხელისგულები მკერდთან მიიდო და ვედრებით წარმოთქვა:

_ ღმერთო, შეიძლება ავიღო ტორტის ნაჭერი? _ მერე თვითონვე უპასუხა ისეთი დაბალი ბანით, როგორც შეძლო.

_ ჭამე, შეგერგოს!

და ტორტიც გათავდა! დღესასწაულიც გათავდა! ზაფხულიც გათავდა! განა ასე არაა?

არა, ზაფხული არ გასულა იმის გამო, რომ მელკერსონები კუძულიდან გაემგზავრნენ. დადგა სექტემბრის თბილი დღეები, ძველებურად ზუზუნებდნენ ბზიკები, ფარფატებდნენ პეპლები. მერე მოვიდა ოქტომბერი, წყნარი და მთის ბროლივით გამჭვირვალე. მეთევზეთა ფარდულები ნავმისადომთან ისე ნათლად ირეკლებოდნენ წყალში, ვერ გაარჩევი, რომელი იყო ფარდული და რომელი მისი გამოსახულება. მაგრამ ჩორვენს არ ეშლებოდა და ბოცმანს ასწავლიდა:

_ შეხედე, წყალში რომ ყირამალა დგას, ისიც ფარდულებია, ოღონდ ალებისა, გაიგე? ისინი ხან შიგ შეცურდებიან, ხან გამოცურდებიან და ასე თამაშობენ მთელი დღე.

ხოლო იმ ფარდულებში, რომლებიც ყირამალა არ იდგა, ჩორვენი დამალობანას ეთამაშებოდა ბოცმანს. უიმისოდ სულ მარტოდმარტო იგრძნობდა თავს. ტედი და ფრედი ყოველდღე სკოლაში დადიოდნენ, პელე და სტინა კი შორს, შორს, სტოკჰოლმში ცხოვრობდნენ. ჩორვენი იქ არასოდეს ყოფილა და არ იცოდა, როგორი იყო. სამაგიეროდ, ჰყავდა ბოცმანი, თანაც, როგორც უფროსებში მარტო მყოფ მოზარდს შეეფერებოდა, ყოველდღე ისეთ არაჩვეულებრივსა და საოცარ თამაშებს იგონებდა, მოსაწყენად სად ეცალა?

შემოდგომის ბურუსი ყოველდრიურად სქელდებოდა სალტკროკისა და მისი მცხოვრებლების თავზე. აქა-იქ ფანჯრებიდან ღამღამობით გამოკრთოდა შუქი _ სინათლის შუქურები კუპრივით ბნელ ღამეში. ამ შორეულ კუნძულებზე ცხოვრებას ცოტანი გაბედავდნენ. ხოლო როცა კუნძულზე სიბნელე ჩამოწვებოდა, სახლების გარშემო ბობოქრობდა შემოდგომის შტომები და ტალღები გაშმაგებით ეხეთქებოდნენ ნავმისადგომსა და მეთევზეთა ფარდულებს, ზოგიერთი ჩაფიქრდებოდა კიდეც, ღირს კია ადამიანმა იცხოვროს ასე შორს ზღვაშიო, თუმცა თითოეულმა იცოდა, რომ ცხოვრება მხოლოდ აქ შეეძლო და მეტი არსად.

გემი ქალაქიდან კუნძულზე ახლა მხოლოდ კვირაში ერთხელ მოდიოდა. აღარ მოჰყავდა აღარც მოაგარაკენი და აღაც მგზავრები, გემზე მხოლოდ მეზღვაურები იყვნენ, მაგრამ ნისე გრანკვისტი საქონელს კვლავინდებურად იღებდა. ძველებურად გამოდიდოა ნავმისადგომზე გემის შესახვედრად. ჩორვენი ბოცმანთან ერთად ყოველთვის გვერდით ედგა, ყოველგვარ ამინდში, თუმცა გემი ზოგჯერ უკუნ სიბნელეში მიადგებოდა ხოლმე ნაპირს და არც პელე ეგულებოდა გემბანზე.

მაგრამ პელე წერილებს გზავნიდა. იგი უკვე სტოკჰოლმის სკოლაში დადიოდა და შეეძლო ბეჭდური ასოების წერა. თუმცა წერილს ჩორვენს კი არა, იოკეს სწერდა. ფრედი

რომ წერილს წაუკითხავდა, ჩორვენი მიდიოდა იანსონის ბოსელში იოკესთან და უყვებოდა ყველაფერს, რაც წერილში ეწერა.

«ჩემო იოკე, _ წერდა პელე, _ გაძელი როგორმე, გაძელი. მე ჩქარა ჩამოვალ!»

ერთ დილას, ჩორვენს რომ გამოეღვიძა, გუშინდელი გუბეები გაყინული დახვდა. დიდხანს ერთობოდა ეზოში, ქუსლით ამტვრევდა ყინულის ქერქს. მეორე დღეს ყინული გამაგრდა: ყინვამ მოუჭირა და იმ ღამეს ფიორდიც გაიყინა.

_ არასდროს შეუკრავს ყინულს ზღვა ასე ადრე, _ უკვირდა მერტას.

ყინულებში ყინულმჭრელი მოიკვლევდა გზას. მთელი ათი საათი ამსხვრევდა თოშს, სანამ შხერებს მოაღწევდა.

და აი, დადგა შობის წინა დღე. გრანკვისტების დუქნის ვიტრინაში საშობაო გნომები გამოჩნდა. კუნძულების მცხოვრებნი დახლთან ჩოჩქოლებდნენ, დღესასწაულისათვის ყიდულობდნენ მზეზე გამოყვანილ ვირთევზას, საშობაო ლორის ბარკალს, ყავას და ნაძვის ხის სანთლებს.

ტედის და ფრედის არდადეგები დაეწყოთ და დუქანში ეხმარებოდნენ მამას. ჩორვენი ყველას ფეხებში ებლანდებოდა და შესჩიოდა:

_ რაღა დარჩა შობამდე, მე კი ჯერ ვერ ვისწავლე ყურების ამოძრავება.

ბოლო ხანებში ჩორვენი ხშირად დადიოდა სიოდერმანთან და იმან ჩააგონა, საშობაო გნომს ყველას ის ურჩევნია, ვინც ყურების ამოძრავება იცისო... ეს სულ ადვილიაო, არწმუნებდა სიოდერმანი. თვითონ მართლაც რომ დახელოვნებული იყო, მაგრამ სტოკჰოლმში მიდიოდა შობის სტინასთან გასატარებლად და წუხდა, რა გვეშველება, შობას გნომი მოვა და სალტკროკაზე ყურებს ვერავინ აამოძრავებსო.

_ შენ უნდა შემცვალო, _ უთხრა ჩოვერნს.

შობამდე სამი დღით ადრე ყინულში გაჭრილი არხით კუნძულს მიუახლოვდა ყინულმოდებული გემი «სალტკროკა I», რომლის გემბანზეც მოაჯირთან მელკერსონები იდგნენ და ცდილობდნენ თოვლ-ჭყაპსა და ზამთრის ბინდში თავიანთი ზაფხულის კუნძული დაენახათ. ახლა მათ კუნძული თეთრი და წყნარი დახვდათ, თოვლით დაფარული და ყინულით შებოჭილი, ზამთრის შესაფერისად ლამაზი და საოცრად უცხო, მეთევზეთა ფარდულების დათოვლილი სახურავებითა და უკაცრიელი ნავსაბმელებით, სადაც ტალღებზე აღარ ქანაობდნენ ნაპირზე მიბმული ნავები და მოტობოტები. ნუთუ ეს მათი კუნძულია? ძნელი საცნობი გამხდარა.

მაგრამ, აი, შეჭირხლულ ვაშლის ხეებს შორის დურგლისეული სახლი დაინახეს; მისი საკვამურიდან ბოლქვა-ბოლქვად ამოდიოდა კვამლი. მელკერს ცრემლი მოადგა თვალზე:

_ ასე მგონია, შინ დავბრუნდით!

ზედ არხთან, ყინულზე, ნისე გრანკვისტი იდგა. მელკერსონების შესახვედრად ფინური ციგით მოქროდნენ ტედი და ფრედი. მაშინვე მოსრიალდა იანსონის მარხილი, რომელშიც სიოდერმანი იჯდა. წინ თვით ძია იანსონი დაბრძანებულიყო, უკან, მარხილის კავზე ჩორვენი იყო შემოსკუპებული. მელკერსონებმა ეჟვნების ნაზი ჟღარუნიც გაიგონეს და პელემ იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული. დგებოდა შობა და თავის იოკეს ნახავდა. ბოცმანი კი... ბოცმანი უკვე მორბოდა ყინულზე კუდის ქნევით. პელეს სახე გაუბრწყინდა. ჩორვენსაც ვეღარ ამჩნევდა, თუმცა ის ხელებს უქნევდა და ეძახდა. პელეს თვალში ბოცმანს დაეჩრდილა ყველა და ყველაფერი.

_ რა სხვანაირია აქაურობა, _ უკვირდათ იუხანსა და ნიკლასს. მაგრამ ამას ტედისა და ფრედიზე არ ამბობდნენ, ისინი ძველებურად ხმაურობდნენ, ყვიროდნენ, ყვავებივით ჩხაოდნენ. საბედნიეროდ, სულ არ შეცვლილიყვნენ. სხვა მხრივ, ბიჭები სრულიად სხვა სამყაროში მოხვდნენ. ნიკლასსა და იუხანს ვერ წარმოედგინათ, რომ ადამიანებს შეეძლოთ ამ ყინულის უდაბნოში ცხოვრება, ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილებსა და განდგომილებს. აქაური მშვენიერი ზამთარი მათთვის იყო საოცრად უჩვეულო, რომელიც ათასნაირ ფათერაკსა და გართობას ჰპირდებოდა.

გემი ახლა გაუნძრევლად იდგა არხში, ნავმისადგომთან მოსვლაც არ შეეძლო. ნაპირზე მოსახვედრად ტრაპით ყინულზე უნდა ჩასულიყავი.

_ როგორც იქნა, მოვაღწიეთ ჩრდილოეთ პოლუსს! _ წამოიძახა იუხანმა. _ ექსპედიციის მონაწილენი ნაპირზე გადმოდიან.

ის პირველი ჩამოვიდა ყინულზე, დანარჩენებიც უკან მიჰყვნენ. უცებ ბიორნი დაინახეს, ყინულში გაჭრილ არხზე გადებულ მეორე ტრაპზე გადმოდიოდა. ის ყანყალა და სახიფათო ბოგა იყო. ამ ბოგათი გადმოდიდნენ ხოლმე ნორსუნდის მცხოვრებლები სალტკროკაზე. ეტყობოდა, დღეს ბიორნს სალტკროკაზე მეტად საჭირო საქმე ჰქონდა.

_ შენ რაღაცმ მოგიყვანა, მოხდა რამე? _ ეშმაკურად ჰკითხა ძია სიოდერმანმა.

ბიორნს არ უპასუხია, მან მალინი დაინახა.

_ ჰეი-ჰოპლა, ჰეი-ჰოპლა! შობას ცეკვით გავათენებთ! _ ამღერებულმა მელკერმა ჩორვენს დაავლო ხელი, მაგრამ ის გაუსხლტა _ პელესთან ერთად უნდოდა წასვლა და ამიტომ უნდა ეშურა.

პელე ისე ჩქარობდა, რომ მხოლოდ ბოცმანთან მოასწრო მისალმება. მერე გაგორდა ყინულზე ნავმისადგომამდე და ქუჩაში უკან მოუხედავად მოკურცხლა. ჩორვენი ვეღარ ეწეოდა. გაჯავრებულმა დაუყვირა, მომიცადეო, მაგრამ იმასღა მოჰკრა თვალი, როგორ გაუჩინარდა ბინდში მისი ნაქსოვი ქუდის მოხტუნავე ფუნჯი.

თუმცა ჩორვენმა იცოდა, სად უნდა ეძებნა პელე.

_ იოკე, საყვარელო იოკე! ხედავ, დავბრუნდი, _ ჩურჩულებდა პელე.

როცა ჩორვეი იანსონის ბოსელში შევიდა, პელე უკან ჩახვეოდა ბოცვერს და სიბნელეში თითქმის არ ჩანდა. ჩორვენს კარგად ესმოდა, როგორ ეფერებოდა ჩურჩულით, თითქოს იოკე ადამიანი ყოფილიყოს.

_ პელე, აბა გამოიცანი, რისი გაკეთება ვიცი, _ სწრფად ჰკითხა ჩორვენმა. _ ყურებს ვამოძრავებ, მიყურე!

მაგრამ პელე არ უსმენდა, ისევ თავის იოკეს ესაუბრებოდა. ჩორვენმა სამჯერ გაუმეორა ერთი და იგივე და ძლივს მიიქცია მისი ყურადღება.

_ კარგი, მაჩვენე, _ უთხრა პელემ ბოლოს.

ჩორვენი დადგა ფანჯარასთან, საიდანაც ძუნწი შუქი გამოკრთოდა, და თავისი უნარის გამოჩენას შეეცადა. ძალიან ცდილობდა, ათასნაირად იმანჭებოდა, მერე კი ჰკითხა იმედიანად:

_ გამომდის?

_ არაა, _ გააგრძელა პელემ.

პელე ვერც მიხვდა, რაში სჭირდებოდა ჩორვენს ყურების ამოძრავება. ჩორვენმა აუხსნა: საშობაო გნომს ყველას ის ურჩევნია, ვისაც ეს შეუძლიაო. პელე ახითხითდა: ჯერ ერთი, არავითარი გნომი არ არსებობს, მეორეც, ის ადამიანები, რომლებიც ყურებს ამოძრავებენ, გნომს სრულიადაც არ უყვარს იმაზე მეტად, ვინც ეს არ იცის. ასე რომ, სჯობდა უფრო სასარგებლო რამ გესწავლა, მაგალითად, სტვენაო. აი, პელეს შეეძლო სტვენა. მან უფრო მაგრად მიიხუტა იოკე და მისთვის დაუსტვინა:

«ნაძვის ხეზე აინთო თვალციმციმა სანთლები!»

პელე ჩორვენისთვისაც უსტვენდა, ძალაუნებურად ისიც ხომ უსმენდა!

პელეს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რა ჩაიდინა, როცა თქვა, საშობაო გნოი არ არსებობსო. ჩორვენის ბავშვური რწმენა დაიმსხვრა. ნუთუ გნომი მართლა არ არის?! ახლოვდებოდა შობა და უფრო და უფრო ღელავდა ჩორვენი. იქნებ პელე მართალია? შობის წინა დილას საუზმეზე ფაფა მიუტანეს. ჩორვენს ისე ჰქონდა დაკარგული გნომის არსებობის იმედი და რწმენა, რომ ლამის თავიდანაც ამოიგდო. მაგრამ ამით გუნება არ გაოკეთებია. რაღა შობაა! გნომი აღარ მოვა... თანაც ფაფაა საუზმეზე. მან ზიზღით მისწია თეფში გვერზე.

_ ჭამე, ჩემო ბზიკო, ჭამე! _ ალერსიანად უთხრა მერტამ, რომელიც ვერ მიხვედრილიყო, რატომ ჩაუმუქდა თვალები ჩორვენს. _ ასეთი ფაფა გნომს ყველაფერს ურჩევნია.

_ ჩემიც მიეცი! _ უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ჩორვენმა. იგი ბრაზობდა გნომზე, რომელიც თითქოს არც არსებობდა, ის კი უნდოდა, მისი გულისთვის ფაფაც ეშამათ და ყურებიც ემოძრავებინათ. _ ჰოდა, _ თქვა წყენით, _ შენი აზრით, ფაფის ჭამისა და გნომზე ზღაპრების მოსმენის გარდა ბავშვებს სხვა საქმე არა აქვთ?

ნისემ გუმანი აიღო, საქმე ცუდად არისო. ჩორვენს ყოველთვის სახეზე ატყობდა, რაც აწუხებდა. ამიტომ, როცა ჩორვენმა თვალებში შეხედა და პირდაპირ ჰკითხა: არიან თუ არა ამ ქვეყანზე გნომებიო, _ მიხვდა, შობა მის გოგოს არ გაახარებდა, თუ გულახდილად ეტყოდა: «არა, ისინი მხოლოდ ზღაპრებში არიანო».

ნისეც ადგა და ჩორვენს ბებიას ნაქონი ხის საფაფე აჩვენა. თურმე ბებია შობა ღამეს პირამდე ავსებდა ფაფით და სახლის უკან დგამდა გნომისათვის.

_ რა იქნება, ჩვენც ეგრე ვქნათ, _ შესთავაზა ნისემ. _ მოდი, შიგ შენი წილი ფაფა ჩავასხათ და გნომს დავუტოვოთ!

ჩორვენი ისე გაიბადრა, გეგონებოდა, საშობაო სანთლები აინთო მთელ მის არსებაშიო. თუ დიდ ბებიასაც სჯეროდა, მაშ, რაღა საეჭვოა გნომების არსებობა. მაინც რა კარგია, რომ გნომები არსებობენ და ჩუმად მოიპარებიან სახლთან შობის წინა ღამეს. ისიც კარგია, ფაფა რომ უყვართ, შენი ფაფაც შეიძლება შეატყუო. ისევ ყველაფერი მოგვარდა და ეს ამბავი პელეს უნდა უამბოს.

ისინი ერთმანეთს მხოლოდ შებინდებისას შეხვდნენ, როცა მოყინულ დურგლისეულ ნავსაბმელზე სალტკროკელები შეიკრიბნენ და უყურებდნენ, როგორ მოქროდა მათკენ ქარახვეტის სქელ საბურველში გახვეული გნომის მარხილი. კოფოზე ნამდვილზე ნამდვილ იგნომი იჯდა და გზას ჩირაღდნით ანათებდა. მართალია, მარხილი

და ცხენი იანსონისა იყო, მაგრა ხო მსეია გნომს ენათხოვრა, მით უმეტტეს, რომ ამდენი საჩუქარი ჰქონდა მოსატანი.

მართალი გითხრათ, პელესაც ენა ჩაუვარდა გაოცებისაგან. თვალებდაჭყეტილი აქეთ-იქით იყურებოდა და მაგრად ეკვროდა მამას. გნომმა ბოგაზე საშობაო საჩუქრებით სავსე ორი ტომარა გადმოაგდო, ერთი _ მელკერსონებისათვის, მეორე _ გრანკვისტებისათვის. ეს ისე ყოჩაღად და მოხერხებულად გააკეთა, როგორვ მეზღვაურებმა იციან ნავმისადგომებზე რომ ტვირთავენ შხერებში ჩამოტანილ საქონელს. მერე მარხილი სიბნელეში გაუჩინარდა.

პელე იდგა და ფიქრობდა, ნეტა არის თუ არა ბოლოს და ბოლოს ეს გნომიო, რომ უცებ შეამჩნია, იუხანი სიცილით თვალს როგორ უკრავდა ნიკლასს. კინაღამ გაჯავრდა პელე. უყურე, რა ადვილად გასაცურებელი ბიჭი ვგონივარო!

მაგრამ, არის გნომი თუ არა, იმას მაინც არაფერი სჯობს, რომ დგახარ სიბნელეში, უსმენ ეჟვნების ჟღარუნს და ხედავ, როგორ უჩინარდება ანთებული ჩირაღდანი ფიორდის სიღრმეში. თანაც თუ საშობაო საჩუქრებით სავსე ტომარაც მოგართვეს.

ზამთრის ამ დღეებში საოცრად ბედნიერად გრძნობდა პელე თავს. მალინი აკვირდებობდა, როგორ დადიოდა სიხარულით გაბრწყინებული და ერთ საღამოს, როცა მარტო დარჩნენ სამზარეულოში, ჰკითხა, ასე რა გიხარიაო. პელემ დივანზე ფეხი მოირთხა და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მალინს გაუმხილა, რაც ახარებდა:

_ მაგალითად... _ დაიწყო პელემ, _ დილით ადრიანად ადგომა და ღამით დათოვლილი ბილიკის გაკვალვა ჭისა და შეშის სარდაფისაკენ. ქათქათა თოვლზე ფრინველთა ნაფეხურების გარჩევა. საშობაოდ ჭვავის ძნების მიმაგრება ვაშლის ხეებზე ბეღურების, სტვენიებისა და წიწკანების დასაპურებლად. საშობაო ნაძვის ხე, რომელიც თვითონ ჩამოვიტანე ტყიდან. შინ დაბრუნება ბინდისას თხილამურებით დიდხანს სეირნობის შემდეგ, კართანაზე თოვლის შებერტყვა, სამზარეულოში აგუზგუზებულ იღუმელის დანახვა და მისი ათინათისაგან ოთახში დაბუდებული სიმყუდროვე. ადრიანად გაღვიძება, როცა ფანჯრებს იქით ჯერ კიდევ ბნელა, მამა კი ღუმელს აჩაღებს. ლოგინში წოლა და ყურება, როგორ ედება ცეცხლი შეშას. საღამოობით ქარის მკერდით გარღვევა და სიბნელის ცოტა, სულ ერთი ბეწო შიში. ყინულზე ფინური ციგებით არხამდე სრიალი და შიშით გულის აფრიალება. სამზარეულოში, აი, როგორც ახლა, მალინთან ერთად ჯდომა და ქაქანი. მარციპანიანი ფუნთუშების ჭამა და რძის სმა მშვიდად და

უშიშრად. კიდევ იანსონის ბოსელში შეძრომა და გულთბილი საუბარი. საუბარი იოკესთან, რაც ყველაზე სასიამოვნოა!

_ გაიგე, წუხელის მელამ კიდევ რომ მოპარა ქათამი იანსონს? _ ჰკიტხა პელემ მალინს.

პელეს ეშინოდა იმ მელიასი. ორი საღამო ზედიზედ პარავდა ქათმებს იანსონს. ჰოდა, ვინც ქათამს იპარავს, ის არც ბოცვერს დააკლებს ხელს. ეს ფიქრი ტანჯავდა პელეს. მელია ყველგან შეიპარება. ნამდვილად იმან შეჭამა ჩორვენის საშობაო ფაფა, თუმცა იამს გნომის მირთმეული ჰგონია.

_ შენ რას ფიქრობ, მალინ? _ ჰკითხა პელემ.

_ შეიძლება გნომმა შეჭამა, შეიძლება _ მელამ! _ უპასუხა მალინმა.

პელეს იმ ღამეს თავისი ბოცვერის დარდით დიდხანს არ დაეძინა. მართალია, ბოცვერი ხბოს ბაკში ცხოვრობდა, მაგრამ მელიები საშინლად ეშმაკები არიან. ვინ იცის, რას მოიმოქმედებენ, როცა შიმშილით კუჭამწვრები ქათამზე ან ბოცვერზე სანადიროდ გამოვლენ.

«მელიები უნდა დახოცო», _ გაიფიქრა პელემ. მანამდე ასეთი სასტიკი არასოდეს ყოფილა. ახლა კი ლოგინში იწვა და თვალწინ ედგა, როგორ მიიპარებოდა სოროდან გამომძვრალი მელა თოვლიან ბილიკზე იანსონის ბოსლისაკენ. პელეს შიშით ოფლმა დაასხა და მთელი ღამე წრიალებდა ლოგინში.

მეორე დილას შემთხვევით ბიორნს შეხვდა. ის ტყიდან ბრუნდებოდა და ხელში სულ ცოტა ხნის მოკლული კურდღელი ეჭირა... პელემ თვალები დახუჭა, რომ არაფერი დაენახა. საწყალი კურდღელი! რატომ საძაგელი მელა არ მოკლა მის მაგიერ? ძია იანსონსაც გაუხარდებოდა. ბიორნი დაეთანხმა ბიჭს, როცა გაიგო, რაც მომხდარიყო.

_ მოიცა, გავაცხებინებ სულს იმ გაიძვერას. იანსონს გადაეცი, რომ ამაღამვე შევეცდები.

_ როდის წავალთ სანადიროს? _ აენთო პელე.

_ წავალთო? _ შეეკითხა ბიორნი. _ შენ არსადაც არ წახვალ, სახლში დარჩები, ლოგინში ჩაწვები და დაიძინებ.

_ არაფერიც, _ უპასუხა პელემ.

მაგრამ ეს ბიორნს კი არ უთხრა, არამედ ცოტა ხნის მერე იოკეს. მასთან საუბარი გამოუთქმელ სიამოვნებას იმიტომაც ანიჭებდა, რომ ბოცვერი არასოდეს ეკამათებოდა.

_ არ შეგეშინდეს, იოკე, ღამით თუ სროლის ხმა გაიგონო, _ ეუბნებოდა პელე. _ მე შენთან ვიქნები, ეჭვიც არ შეგეპაროს.

პელემ შეასრულა დაპირება, თუმცა ბევრი იწვალა, სიტყვა რომ არ გაეტეხა. ის დიდხანს, დიდხანს იწვა ლოგინში და თვალებს ახამხამებდა, მოძალებულ ძილს ებრძოდა, სანამ უფროსმა ძმებმა არ დაიძინეს. მერე კი ფრთხილად მიიპარებოდა სამზარეულოდან ქუჩაში გასაძრომად, იმ დროს, როცა მამა და მალინი საერთო ოთახში ბუხართან ისხდნენ, ხოლო სამზარეულოს კარი ღია იყო. ძალიან გასაოცარია, მისი ფეხის ხმა როგორ ვერ გაიგონეს.

მერე... მერე გამოვიდა ქუჩაში და მარტოდმარტო გაიქცა მთვარით განათებულ დათოვლილ ბილიკზე. ძლივს გაბედა და ბნელ ბოსელთან მივიდა, თუმცა ადრინდებულად მისანდო აღარ ეჩვენებოდა. შეძვრა ჩუმად შიგ, ისე რომ ბიორნს არ დაენახა, და აკანკალებული, ხელების ცეცებით მივიდა იოკესთან: «ჩემო ძვირფასო იოკე ხედავ, მოვედი».

ღამით ბოსელი რაღაც განსაკუთრებული ჩანს. სიჩუმეა, ძროხებს სძინავთ, მხოლოდ ხანდახან ისმის რაღაცნაირი ხმები: ხან ძროხის კისერზე შებმული ზანზალაკი აჟღარუნდება, როცა ძილში უნებლიეთ გააქნევს თავს, ხან დაფეთებულ იქათამი აკრიახდება, თითქოს მელა დაესიზმრა, ხან ბიორნი ტენის თოფს და სამერცხულთან უსტვენს წყნარად. აი, ფანჯარაში შეიჭყიტა მთვარემ და იატაკზე გაიწელა მთვარის ბილიკი. ბილიკი გადაჭრა იანსონის კატამ და ჩაიძირა სიბნელეში, საიდანაც მხოლოდ მისი ყვითლად მოკიაფე თვალებიღა ჩანს. საწყალი თაგვები, ცუდი დღე დაადგებათ ამაღამ! საწყალი იოკე! რა ეშვებოდა, პელე რომ არ მოსულიყო და მელიასაგან არ დაეფარა. პელემ უფრო მაგრად მიიკრა იოკე მკერდზე და სიამოვნებისაგან გაინაბა, ისე თბილი და ფაფუკი იყო ბოცვერი. ზის პელე და ფიქრობს, ნეტა რამდენ ხანს მომიწევს ლოდინი, შეიძლება მელა სწორედ ამ წუთას გამოდის თავის სოროდან და იანსონის ბილიკისაკენ მიიპარებაო.

აი, სწორედ ამ დროს მელკერი ბიჭებთან ავიდა, რომელიმემ საბანი ხომ არ გადაიხადაო, და პელეს საწოლი ცარიელი არ დახვდა?! მის მაგიერ ზედ პატარა ბარათი იდო, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა:

წავედი იანსონის მელიებზე სანადიროდ.

მელკერმა მალინს მიუტანა წერილი.

_ შეხედე ერთი, ვინ მისცა პელეს იანსონის მელიებზე სანადიროდ წასვლის ნება?

_ არავინ. ამას პელე არ იზამდა, _ გადაჭრით განაცხადა მალინმა.

ხბოს ბაკში თბილ ბოცვერთან ჩახუტებულ ჯდომა ძილის მომგვრელია. პელესაც კინაღამ ჩაეძინა, მაგრა უეცრად შეკრთა. გაიგონა, როგორ შემართა ბიორნმა ჩახმახი, მას მთვარის შუქზე სამერცხულთან ხედავს, ხედავს, როგორ ასწია თოფი და დაუმიზნა. აი, ახლა... მინდორზე გამოირბენს მელა და მოკვდება, დასრულდება მისი სიცოცხლე, არასოდეს დაბრუნდება თავის სოროში და ეს ყველაფერი პელეს ბრალი იქნება!

პელემ ყვირილით დააგდო ბოცვერი და ბიორნისაკენ გაიქცა.

_ არა არა, არ ესროლო!

ბიორნი გაცეცხლდა.

_ აქ რას აკეთებ? აბა, შინ მოუსვი, ხელს ნუ მისლი ნადირობაში!

_ ნუ იზამ! _ ყვირის პელე და ჯიუტად ებღაუჭება ფეხზე, _ არ გაბედო! მელიებსაც უნდათ სიცოცხლე!

ამაღამ მელია არ მოკვდება პელეს გამო. მთვარის შუქზე მელა არა ჩანს, სამაგიეროდ, მალინი მოსრიალებს თხილამურებზე. ბიორნს მიწისფერი ედება. წარმოგიდგენიათ, პელეს რომ ხელი არ შეეშალა, რა მოხდებოდა?!

_ რა კარგია, რომ მოხვედი, _ უთხრა პელემ დას, როცა ისევ საწოლში ჩაწვა. მერე დაპირდა, აღარასოდეს ვინადირებ ღამით მელიებზეო. მალინმა კი დაამშვიდა, ვერც ერთი მელა ვერ შეჭამს იოკეს, სანამ შემორაგულ ბაკში ზისო.

მაგრამ პელემ მაინც ვერ დაიძინა, აღელვებული წრიალებდა ლოგინში. მელიის შიშზე ნაკლებად არ აწამებდა ერთი აკვიატებული ფიქრი.

_ მალინ, _ დაუძახა ბოლოს, _ ხომ არ გაყვებ იბიორნს ცოლად?

მალინმა სიცილით აკოცა ლოყაზე.

_ არა, არ გავყვები. მელია ვერ მისწვდება იოკეს, ბიორნი კი მალინს, სანამ ჩვენ ყველანი, ერთად, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ.

მეორე დღეს პელეს გადაავიწყდა თავის შიში. გრანკვისტების წანწალის გვერდით ყინულზე მარხილი გამოათრიეს. ყოველწლიურად, ფიორდი გაიყინებოდა თუ არა, ნისეს მარხილი გამოჰქონდა. მანამდე ამას მამამისი შვრებოდა, იმიტომ, რომ სალტკროკაზე ზამთარში მარხილებით ათადან-ბაბადან სრიალებდნენ.

_ რატომ არ უნდა გავაგრძელოთ ასეთი მხიარული ჩვეულება? _ თქვა ნისემ.

მელკერიც მაშინვე დაეთანხმა. მარხილით ბავშვებზე მეტი სიამოვნებით ისრიალა, სადილობისას კი ყველანი ლოყააწითლებულები დაბრუნდნენ შინ და მაიონეზმოსხმულ მოხარშულ ვირთევზას შეექცნენ.

_ დილით ყინულქვეშ ვირთევზაზე ვითევზავე, ნასადილევს ფინური მარხილით ვისრიალე, ამას რა სჯობს! იმას მაინც გრძნობ, რომ ცოცხალი ხარ, _ თქვა მელკერმა, როცა ყველანი სამზარეულოს მაგიდას შემოუსხდნენ.

_ მარტო იყავი სათევზაოდ? _ ჰკითხა იუხანმა.

_ არა, ნისე გრანკვისთან ერთად, _ მიუგო მელკერმა.

_ მერე, ბევრი თევზი დაიჭირეთ? _ დაინტერესდა ნიკლასი.

_ ათი ცალი მაინც იყო, _ მიუგო მელკერმა. _ მე მოგნი, გვარიანი თევზაობაა.

_ შენ რამდენი დაიჭირე? _ არ მოეშვა იუხანი.

_ თანაბრად გავიყავით, _ მოკლედ მოუჭრა მელკერმა. _ მაინც რა კარგია მარხილით სრიალი, არა? _ გაიმეორა ისევ.

იუხანი არა და არ ანებებდა თავს:

_ არა, შენ თვითონ რამდენი დაიჭირე?

მელკერმა უკმაყოფილოდ შეხედა. სიმართლე თუ გინდათ, ნისემ ცხრა დაიჭირა, მან კი მხოლოდ ერთი, ისიც პატარა, ნამლევა და უდღეური, მაგრამ ამის გამხელას არ აპირებდა.

_ იქნებ არც ერთი არ დაგიჭერია? _ ჰკითხა ახლა ნიკლასმა. მელკერმა ამოიოხრა. მერე თავისი მომხიბლავი ღიმილით გაიღმა და თევზებში ჩაკარგულ იმ უდღეურ ვირთევზაზე ანიშნა:

_ აგე, ის!

ყველამ თანაგრძნობით შეხედა თევზსაც და მელკერსაც. მელკერმა იხტიბარი არ გაიტეხა... მეთევზის იღბალი, თქვენ თუ კიდევ გწამთ, სრულაიდ აუხსნელი რამაა და თევზაობის ცოდნასთან არაფერი აქვს საერთო, _ უთხრა შვილებს.

_ ზოგჯერ სწყალობს ადამიანს ბედი, ზოგჯერ არა. ერთ ზამთარს, ამ რამდენიმე წლის წინათ, მახსოვს მე და ერთი ჩემი ძველი მეგობარი ვთევზაობდით ვირთევზაზე. მე ოცდაექვსი თევზი დავიჭირე, იმან კი, როგორ გგონიათ, რამდენი? არც ერთი!

_ ვინ იყო ის ძველი მეგობარი? _ ჰკითხა იუხანმა.

მელკერმა ცერად გადახედა.

_ შენ რა, სპორტული ინტერესის გამო მეკითხები? _ თქვა და შუბლშეჭმუხნული ღრმად ჩაფიქრდა.

_ ჰოო, რა ერქვა?.. წარმოგიდგენიათ, სახელი მართლა ვერ მომიგონებია.

_ ჰმ, ჰმ, _ ჩაიცინა პელემ, _ რატომ სახელსაც არ გამოიგონებ.

_ არა გრცხვენია, შვილო@! _ საყვედურით გააქნია თავი მელკერმა. _ ნუ გავიწყდება, რომ საკუთარ მამას ელაპარაკები.

პელე კისერზე ჩამოეკიდა.

_ არც მავიწყდება...

მალინი მამას გამოექომაგა:

_ არაფერი არაა გასაკვირი, რომ თავისი ძველი მეგობრის სახელი ვერ მოუგონებია. არ იცით, რა მოსდის ხოლმე მამას? _ ახსოვს, რომ რაღაც დაავიწყდა, მაგრამ რა, არაფრით აგონდება.

_ არა გრცხვენია, შვილო! _ ახლა მალინს უსაყვედურა მელკერმა.

* * *

ზამთრობით მოკლე დღეები იცის, ადრე ღამდება. საღამოობით ყველანი თბილ სამზარეულოში ისხდნენ ხოლმე. იმაზე თბილი ადგილი ხომ მთელ სახლში არ მოიძებნებოდა.

ცივი ღამეები იდგა. ბიჭები სხვენზე იწვნენ, თავიანთ ოთახში, ფანელის პიჟამებსა და შალის ჯემპრებში ჩათბუნებულები. მელკერი გვარიანად მოეწყო სამზარეულოს გვერდითა პატარა ოთახში.

მალინმა კი გამოაცხადა: _ სხვენზე ორი ოთახის გათბობა ძნელიაო, _ და სამზარეულოში გადაბარგდა.

მოსწონდა კიდეც იქ ცხოვრება, ოღონდ ჩიოდა, _ ერთითაა ცუდი _ დროზე ვერასოდეს დაიძინებო.

მართლაც, ყველა სამზარეულოში იყრიდა თავს. იქ მიდიოდნენ ენის მოსაფხანად და ყავის დასალევად ნისე და მერტა. იქ ეთამაშებოდნენ ტედი და ფრედი ბანქოს ნიკლასსა და იუხანს, იქ ხატავდნენ პელე და ჩორვენი, იქვე, კუთხეში, ეძინა ბოცმანს. იქ უჯდა თავის საქარგავს მალინი, იქ მღეროდა, ოხუნჯობდა და იყო ერთ ამბავში მელკერი.

გარეთ ძალიან ციოდა. მქრალი ვარსკვლავები უღონოდ ციმციმებდნენ გაყინული ფიორდების თავზე. კედლებიც ჭახჭახებდა სიცივისაგან. რა კარგი იყო თბილ

სამზარეულოში! პელე ღუმელში ცეცხლს უკეთებდა და სიხარულისაგან იღიმებოდა. აი, ასე უნდა ცხოვრება. ყველანი ერთად იყვნენ, ერთად ისხდნენ თბილად, მღეროდნენ, თან ლაქლაქებდნენ. მაგრამ მერე შეუმჩნევლად იწყებდა ყვინთვას, საუბარი ზუზუნად ესმოდა და ბარბაც-ბარბაცით ძლივს აღწევდა საწოლამდე.

თითქმის მთელ თავისუფალ დროს პელე იანსონის ბაკში ატარებდა, მაგრამ მარტო იოკესთან კი არ იყო, ძია იანსონს ეხმარებოდა ბაგის დასუფთავებაში. როცა შინ ბრუნდებოდა, ნაკელით ისე საშინლად ყარდა, აღარავინ ეკარებოდა. მალინი იძულებული გახდა, იანსონის ბაკში სასიარულოდ საგანგებოდ ორი ძველი სათხილამურო შარვალი და დამოკლებული ქურთუკი გამოენახა, ოღონდ როგორც კი ზღურბლს გადმოაბიჯებდა, პელეს მაშინვე უნდა გაეხადა:

_ წასვლის წინ კი, მე მგონი, დავწვავ, _ თქვა მალინმა.

_ არა-ა, ქალქში წამოვიღებ, _ მოულოდნელად ცხარედ შეეკამათა პელე.

მალინი შეეცადა, გადაეფიქრებინა ეს სისულელე. მაშინ, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა პელემ აუხსნა, რას აპირებდა.

_ ამ შარვლებს და ქურთუკებს ცალკე კარადაში შევინახავ და, როცა იოკე ძალიან მომენატრება, მივალ და დავყნოსავ.

ჩორვენი რამდენჯერმე იყო პელესთან ერთად ძია იანსონის ბაკში, მაგრამ იქ სიარული მალე მობეზრდა.

_ სულ ძროხები და ძროხები, მეტი არაფერი არაა, იქ რა მინდა, რა!

სულ სხვა იყო თხილამურებით სრიალი. საშობაოდ თხილამურები აჩუქეს და ახლა მიბობღავდა ბექობზე. თუ დაეცემოდა, სხვის დაუხმარებლად ვეღარ დგებოდა, თოვლში ჩაფლული ზურგზე გადაბრუნებული ხოჭოსავით აფართხალებდა ფეხებს, სანამ ტედი და ფრედი არ მიირბენდნენ და ისევ თხილამურებზე არ დააყენებდნენ. მაგრამ ახლა იშვიათად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე ახლომახლო. უმეტესად იუხანთან და ნიკლასთან ერთად დაქროდნენ და ისევ გასაიდუმლოებულნი იყვნენ. თოვლის საიდუმლო ციხესიმაგრეც ჰქონდათ, მაგრამ კაჭკაჭების ყურეში მოხვედრილ ყველა თვალხილულს შეეძლო მისი დანახვა. იქ იკარგებოდა ისინი მთელი დღეები. ხანდახან ესეც ბეზრდებოდათ და სხვა კუნძულებზე შორეულ სათხილამურო ლაშქრობებში მიდიოდნენ, ან ყინულქვეშ სალაკას იჭერდნენ სიოდერმანთან ერთად, რომელიც იფიცებოდა, ქალაქში აღარ წავალ, ყოველ შემთხვევაში, კარგა ხანს მაინცო.

ყველა თავისი საქმით იყო გართული და ჩორვენი კვლავ მარტოდმარტო თამაშობდა საყვარელ ბოცმანთან. ერთხელ, ჭახჭახა ყინვაში, როცა ცის თაღი ყინულის მომწვანო საფარივით დასწოლოდა სალტკროკას და დურგლისეულ კარ-მიდამოში მდგარი კუნელი გათეთრებულიყო ჭირხლისგან, მალინი თხილამურებით სეირნობიდან ბრუნდებოდა. უცებ გორაკზე, სიოდერმანის სახლის უკან, ატირებული ჩორვენი დაინახა. ჩვეულებრივ, ჩორვენი მხოლოდ გაბრაზებულ გულზე ტიროდა, ახლა კი სიმწრისაგან ტიროდა. ტიროდა იმიტომ, რომ ფეხები დააზრა, რამდენიმე საათი მარტოდმარტო ფართხალებდა თოვლში, სანამ არ იგრძნო, სულ გავშეშდი სიცივისგანო. ტიროდა იმიტომაც, რომ სიოდერმანის კარი დაკეტილი დახვდა, არც დურგლისეულ კარ-მიდამოში იყო ვინმე. ტედის და ფრედის დაავიწყდათ ნორტელიეში წასულ დედას და მამას რომ დაპირდნენ, სანამ დაბრუნდებით, ჩორვენს ჩვენ მივხედავთო.

ჰოდა, ჩორვენმა როგორც კი მალინი დაინახა, აღრიალდა, აქმადე ყელში ბურთივით გაჩხერილი ცრელები თვალებიდან გადმოეფრქვა. რა საშინელი, ცივი და უნდო შეიძლება მოეჩვენოს ცხოვრება პატარა გოგოს!

_ როგორც იქნა, მოხვედი, მალინ! რა კარგია!

მალინმა ხელში აიტანა ჩორვენი და დურგლისეული კარ-მიდამოსაკენ წაიყვანა. თან დაჰღიღინებდა:

ჩემო საწყარლო გოგონი,
ვხედავ, თანდათან ფითრდები.
თვალებში ცრემლი გიბრწყინავს
და გაგთოშია თითები.

მერე, როცა სამზარეულოში შევიდნენ, ჩორვენი გაოცდა, მალინი უცნაურად, წარმოუდგენლად იქცევაო, და ჰკითხა:

_ შეიძლება დღისით-მზისით ლოგინში ჩაწოლა?

_ რა თქმა უნდა, თუ თოვლში გაყინულ პატარებს გინდა ფეხები გაუთბო, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებ, _ ძლივს დააჯერა მალინმა.

მოკუნტულები, ერთმანეთს მიკრულები იწვნენ ორივენი დივანზე და ოთხ საათს თოვლში ნაფართხალები ჩორვენი ისე გათბა და დამშვიდდა, თავის სამოთხეში ეგონა. მალე თვალებიც კი გაუბრწყინდა.

_ მე გამთოშია თითები, არა? _ ჰკითხა მალინს. მალინი ვითომ სიცივისაგან აკანკალდა და თავი დაუქნია. რაც მართალია, მართალია, დაფიცება შეიძლება, ამ დივანზე ასეთი გაყინული ფეხებით ჯერ არავინ წოლილა.

ჩორვენს ძალიან მოეწონა მალინის გამოგონება და დროდადრო ჩაიცინებდა ხოლმე. ასეთი რამ არასოდეს შემთხვევია.

_ მაშ შეიძლება დEღისით-მზისით ლოგინში წოლა? _ ისევ გაუმეორა მალინს.

თუ «თვალებში ცრემლი გიბრწყინავს და გაგთოშია თითები», მაშინ შეიძლება, _ წაუმღერა მალინმა.

ჩორვენმა დაამთქნარა.

_ ფუი, ნუ მღერი ამ ნაღვლიან სიმღერას, _ ჩაიბუტბუტა წყნარად, _ ისეთი სიმღერა მიმღერე, ფეხის თითებიც რომ გამითბოს. მალინს გაეცინა.

_ ფეხის თითებიც რომ გაგითბოს?

დივნიდან მოჩანდა ყინულით მოხატული ფანჯრები და ფერდაკარგული ზამთრის მზე, ცივად რომ აშუქებდა კუნელის შეჭირხლულ ტოტებს. მალე ის ჩავა და სალტკროკას სიბნელისა და ყინვის ტყვეობაში დატოვებს. ჰო, არსებობს სიმღერა, რომლისგანაც თითებს სითბო დაუბრუნდება.

...გაზაფხულდა, გაზაფხულდა...

გუგუს იძახის გუგული...

_ ამღერდა მალინი.

მას უცებ საოცრად მოუნდა, მალე მოსულიყო ზაფხული. სიმღერა აღარ შეეძლო და აღარც იყო საჭირო _ ჩორვენს ღრამდ ეძინა.

აქედან მომშორდით თქვენი მოჯადოებული პრინცებიანად!

ზაფხულის ერთ დღეს ჩორვენი გემის ნავმისადგომიდან ზღვაში ჩავარდა. მანამდე ღრმად იყო დარწმუნებული, რამდენიმე წუთი ცურვა არ გამიჭირდებაო, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. თუმცა ხეირიანად შეშინებაც ვერ მოასწრო, ბოცმანმა ნაპირზე გამოიყვანა. ნისემ რომ მოირბინა, ჩორვენი უკვე ნავმისადგომზე იდგა და თმას იწურავდა.

_ სადაა შენი მაშველი სარტყელი? _ დაუცაცხანა ნისემ.

_ იცი რა, მამა, როცა ბოცმანი ჩემთანაა, მაშველი სარყტელი არცა მჭირდება, _ უპასუხა ჩორვენმა, ძაღლს ყელზე ხელები შემოხვია და სველი თავით მიეხუტა.

_ ბოცმან, ბოცმან, ჩემო სამაგელო ძაღლო, _ უთხრა ალერსიანად.

ბოცმანმა სერიოზულად შეხედა და, თუ მართალს ამბობენ, ადამიანივით შეუძლია ფიქრი, მაშინ, ალბათ, გაიფიქრა: «ოჰ, შე ბზიკო, ეს რაა, შენთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ, თუ დაგჭირდება».

ბოცმანის ალერსით გული რომ იჯერა, ჩორვენი აკისკისდა:

_ იცი რა, მამა...

მაგრამ ნისემ ლაპარაკი არ აცალა.

_ არავითარი «იცი რა» არ გამაგონო! მოუსვი სახლში და ტანსაცმელი გამოიცვალე.

_ ჰო, წავალ, მარტო იმისი თქმა მინდოდა, მე სამჯერ ჩავვარდი ზღვაში... სტინა კი მხოლოდ ორჯერ-მეთქი!

მთლად გალუმპული ჩორვენი გამარჯვებულივით თავაწეული წავიდა სახლისაკენ, რომ სტინასთან თავი მოეწონებინა. ფლატიან ნაპირზე, თავისი სახლის მახლობლად, სიოდერმანი ნავს ფისავდა, ზღვაში გასასვლელად თადარიგს იჭერდა. მთელი სალტკროკა დიდ საგაზაფხულო ფუსფუსს მოეცვა. ყინულისაგან თავდახსნილი ზღვა ლაღად მოაგორებდა ტალღებს, ამიტომ უნდა ეჩქარათ, ნავები დროზე გაემზადებინათ. ჰაერში ფისისა და საღებავის სუნი ტრიალებდა, მთელი კუნძული კვამლს დაეფარა _ შარშანდელ ფოთლებს წვავდნენ, კარ-მიდამოებშიც გაზაფხულს ხვდებოდნენ.

მაგრამ ყველაფერს ზღვის მლაშე სუნი ფარავდა. ზურგით გაზაფხულის მზეს მიფიცხებული სიოდერმანი ხშირად ყნოსავდა ჰაერს. ნავი საცაა მზად იქნებოდა და ისიც კმაყოფილი იყო. ოღონდ თავი წამოსტკივდა _ მის გვერდით, ლოდზე, სტინა იჯდა და ზღაპრებს უყვებოდა. საწყალი სიოდერმანი ვერაფრით ვერ ხვდებოდა, რომელი პრინცი იქცა ტახად და რომელი _ არწივად. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, შვილიშვილი რომ დროდადრო ამოწმებდა, ბაბუაჩემმა ყველაფერი გაიგო თუ ვერაო: სტინა შეცდომებს ვერ ურიგდებოდა!

_ აბა, გამოიცანი, ვინ უფრო მეტად მოაჯადოვეს? _ ეკითხებოდა უნდობლად. ამ დროს ზღვიდან ამოსული ალივით სველი ჩორვენი დაუდგა წინ.

_ აბა, გამოიცანი, ვინ ჩავარდა ზღვაში? _ უთხრა ამაყად.

სტინა ხმაამოუღებლად მიაჩერდა. აქამდე ვერც წარმოიდგენდა, ეს სატრაბახო თუ იყო. ახლა კი ჩორვენის მოზეიმე სახეს რომ შეხედა, თუმცა შეყოყმანდა, მაინც ჰკითხა:

_ შენ თვითონ გამოიცანი, ვინ ჩავარდება ზღვაში... კვირას...

_ ყოველ შემთხვევაში, შენ არა! _ დაუტია სიოდერმანმა, _ თორემ უკან, სტოკჰოლმში, მელკერსონებს გავატან შენს თავს.

სტინა სტოკჰოლმიდან მელკერსონებმა ჩამოიყვანეს, გაზაფხულზე რამდენიმე დღით რომ ესტუმრნენ კუნძულს. მელკერი უწინდებურად ფიქრობდა, რატომ უნდა იდგეს ამხელა სახლი უსარგებლოდ, მით უმეტეს, თუ ქირა წინასწარ გაქვს გადახდილიო და, რაც მთავარია, კუნძული გაზაფხულობით იყო ყველაზე ლამაზი, როცა მწვანედ იფოთლებოდა არყის ხეები და მთელი სალტკროკა თეთრი და ცისფერი ენძელებით მოხატულ ხალიჩას ჰგავდა.

_ ღმერთო, რარიგ მიყვარს შვედური გაზაფხული! _ ხშირად ამბობდა მელკერი. _ ცივია და სადა, მაგრამ ისეთი მშვენიერი, რომ ვუცქერი, გული მეკუმშება ხოლმე.

გაზაფხულის სიცივე ჩორვენმაც იგრძნო, ისე გაიყინა, ერთი სული ჰქონდა, შინ მისულიყო და მშრალი ტანსაცმელი ჩაეცვა. დურგლისეულ კარ-მიდამოს რო მჩაუარა, ძია მელკერი დაინახა, ნავში იჯდა და ძველ მოტორს უკირკიტებდა. რაკი არ ეჩქარებოდა, ჩორვენი შეჩერდა.

მელკერს ჩორვენთან საუბარს არაფერი ერჩია.

_ უკეთეს გასართობს კაცი ვერ ინატრებს, _ საიდუმლოდ ეუბნებოდა მალინს. _ გული მწყდება, რომ არ გესმის, რა საოცრად ემასლაათობთ. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ერთმანეთს პირში ვეუბნებით სიმართლეს!

და ახლაც, სანამ მელკერი ნავის მოტორს ეჯაჯგურებოდა, თავისებურად გულიანად წაისაუბრეს. რა თქმა უნდა, დასანანი იყომ, რომ მალინი არ უსმენდა მათ მხიარულსა და საინტერესო მასლაათს.

_ ძია მელკერ, იცი, ზღვაში ჩავვარდი, _ მიახარა ჩორვენმა.

პასუხად რაღაც გაუგებარი ბუტბუტი გაისმა. მელკერი მთელი ძალით ექაჩებოდა დინამიკის შნურს, ეტყობა, დიდი ხანია წვალობდა, სახე წამოჭარხლებოდა და თმა გაწეწოდა.

_ ეჰ, ძია მელკერ, ფხა გაკლია, ფხა! _ განუცხადა ჩორვენმა.

მელკერმა ალერსიანად გაუღიმა ნავმისადგომთან მდგარ ჩორვენს.

_ მაშ, ფხა მაკლია, არა?!

_ ჰო, შნურს მაგრა უნდა ჩაავლო ხელი და მოსწიო, უთხრა ჩორვენმა და ხელი ელვისებურად დაატრიალა, უჩვენა აი, ასე უნდაო.

_ ხელის ჩავლებას გიჩვენებ, თუ სახლში არ მოუსვი, _ გააფრთხილა მელკერმა.

ჩორვენს თვალების ხამხამიც კი აუტყდა ასეთი უმადურობისაგან.

_ მეგონა, გაგიხარდებოდა, ჩორვენი მეხმარებაო.

მელკერი ისევ თავის მოტორს მიუბრუნდა.

_ დიდი მადლობა, ისე მიხარია... ისე... ისე... _ იმეორებდა მელკერი და ყოველი სიტყვის თქმაზე შნურს ქაჩავდა.

დაწყევლილმა მოტორმა რამდენჯერმე ჩაიფრუტუნა, «ფუჰ, ფუჰო», და ჩაქრა. ჩორვენმა თავი გადააქნია.

_ ძია მელკერ, ყველაფერი გეხერხება, ყველაფერი, მოტორებისა კი არაფერი გაგეგება. მაცალე, გაჩვენო!

_ გასწი აქედან, გინდა, ისევ ზღვაში ჩავარდი, გინდა, პელეს ეთამაშე... ოღონდ მომშორდი!

ჩორვენი ძალიან განაწყენდა.

_ კარგი, წავალ და ვითამაშებ პელესთან, მაგრამ ჯერ ტანსაცმელი უნდა გამოვიცვალო, გაიგე?!

მელკერმა მოწონებით დაუქნია თავი:

_ კი, ბატონო, გამოიცვალე! ყველაფერი ჩაიცვი, რაცა გაქვს! სამი წყვილი უკან შესაკრავი ლიფის ჩაცმაც არ დაგავიწყდეს.

_ ლიფი ჩავიცვა? _ ჩაეკითხა ჩორვენი. _ რაო, ქვის ხანაში ხომ არ ვცხოვრობთ?!

ასე ამბობდა ხოლმე ტედი, როცა რაიმე ძალზე ძველმოდურზე ლაპარაკობდნენ.

მელკერი აღარ უსმენდა, მოტორმა ისევ ჩაიფუჰფუჰა. მელკერმა ვედრებით შეხედა. ამაოდ. მოტორმა უკანასკნელად ჩაიფრუტუნა და სულ ჩაქრა.

_ ძია მელკერ, იცი, რას გეტყვი, _ მაინც არ მოეშვა ჩორვენი, _ აი, წიგნები შეიძლება გამოგდის, ამ საქმისა კი არაფერი გაგეგება. პელე სადაა?

_ ალბათ, ბოცვერის გალიასთან, _ წაისისინა მელკერმა და ხელები მლოცველივით გადაიჭდო გულზე: _ ღმერთსა ვთხოვ, გალიასთან იყოს და შენც იქ მიბრძანდე.

_ გინდა, რომ ღმერთი ბოცვერის გალიასთან იყოს? _ დაინტერესდა ჩორვენი.

_ ღმერთი კი არა, პელე! _ აყვირდა მელკერი. _ პელე უნდა იყოს ბოცვერის გალიასთან. და კიდევ შენ! პრიველ რიგში, შენ!

_ არა, თვითონ არა თქვი, ღმერთსა ვთხოვ, გალიასთან იყოსო? _ წამოიწყო ჩორვენმა.

გაცეცხლებულმა მელკერმა თვალები ისე დააბრიალა, რომ ჩორვენმა მის დასამშვიდებლად სასწრაფოდ დაამატა: _ ჰო, წავედი, წავედი!

მელკერის ლოცვა შეისმინა ღმერთმა. პელე სწორედ ბოცვერის გალიასთან აღმოჩნდა. ჩორვენიც იქით წავიდა, ტანსაცმელი რომ გამოიცვალა.

საუცხოო გალიაში ცხოვრობდა იოკე.

_ საკუთარი ხელით გააკეთა მელკერმა, _ ტრაბახობდა მელკერი, როცა გალია მოათავა.

პელე მამას ლურსმენბის ჩაჭედებაში ეხმარებოდა, თუმცა მელკერმა გააფრთხილა:

_ თითებზე ჩაქუჩს დაირტყამ და ნახავ მერე.

_ მე რატომ დავირტყამ, თუ ლურსმნებს ჩორვენი დამიჭერს, _ შეეპასუხა პელე.

ასეთ ეშმაკობას კი ვეღარ მოიფიქრებდა მელკერი.

_ რას უბათქუნებ ჩაქუჩს მაგ ცერს! _ ჰკითხა ჩორვენმა მელკერს, როცა მან მეორეჯერ იხეთქა ჩაქუჩი თითზე.

მელკერმა თითი მოიწუწნა და _ შენი ბრალია! ლურსმნებს არ მიჭერ და იმიტომ, _ უპასუხა ჩორვენს.

მართლაც, მშვენიერი გალია გამოვიდა. «როგორ გაუხარდება ბოცვერს, საცხოვრებლად რომ გადმოვა», _ ფიქრობდა პელე. ბედნიერებისაგან გაბრწყინებულმა მოიყვანა იოკე იანსონის ბაკიდან და ახალი გალიის კარის წინ დასვა მიწაზე.

ეს ნაგებობა იასამნის ბუჩქის უკან მყუდრო ადგილას იყო მიმალული. იქ შეეძლო პელეს იოკესთან განმარტოებით მჯდარიყო და ამ ქვეყანაზე ბოცვერის ყველაზე ბედნიერ პატრონად ეგრძნო თავი. გალია იმ ლითონის ბადისაგან შეკრეს, საქათმეს რომ მორჩა. ერთ მხარეს პატარა კარი დააყოლეს თავისი საკეტით. ასე რომ, პელეს შეეძლო, როცა მოესურვებოდა, საკეტი გადაეწია და ბოცვერი ამოეყვანა. გალიის სიღრმეში ყუთი იდგა, წინა მხარეს მრგვალი ნახვრეტი ჰქონდა, ბოცვერი რომ შეეტეოდა იმხელა. ეს იყო იოკეს სახლი.

_ იქ შეხტი ხოლმე, როცა მოწვიმს ან შეგცივდება, _ ურჩევდა ბოცვერს პელე.

ჩორვენი რომ მოვიდა, პელეს ბოცვერი ეჭირა და სწორედ გალიის წინ იჯდა. ორივემ ერთად აჭამა ბოცვერს. მერე პელემ ჩორვენს დარიგება დაუწყო, როგორ მოევლო იოკესათვის, თვითონ რომ ქალაქში გაემგზავრებოდა.

_ იცოდე, არ გაპატიებ, თუ წესიერად არ აჭმევ, _ გააფრთხილა პელემ. _ თან ყურადღებით იყავი, არ გაგექცეს.

თვითონ ყოფილიყო ყურადღებით, სჯობდა. სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, იოკე ხელიდან გაუსხლტა და პირდაპირ იასამნის ბუჩქებში ისკუპა.

პელე და ჩორვენი წამოხტნენ და ბოცვერს დაედევნენ, ბოცმანმაც ერთი დაიწკავწკავა და ბავშვებს მიჰყვა.

_ ეი, ბოცმან, იოკეს არაფერი მოსწიო! _ დაუყვირა შეშინებულმა პელემ.

ასეთი სისულელე ჩორვენს ჯერ არ გაეგონა.

_ ბოცმანი არავის ერჩის, დროა, იცოდე. მაგას ჰგონია, ვთამაშობთ.

პელეს შერცხვა, მაგრამ ბოცმანთან მობოდიშების დრო არ იყო, იოკე უნდა დაეჭირა.

დურგლისეული კარ-მიდამოსუკანა ეზოში მალინი, იუხანი და ნიკლასი ბალიშებს და შალის საბნებს ბერტყავდნენ. იოკემ რომ გაირბინა, იუხანმა შალის საბანი გადააფარა. აფართხალდა გაშმაგებული იოკე, საბანი აბობქრებულ ზღვასავით აიტალღა. ბოლოს და ბოლოს, მან ტყვეობიდან თავი ისევ დაიხსნა და სკუპ-სკუპით სახლს მიეფარა. მხოლოდ სტინამ შეძლო მისი დაჭერა. ის თავის ყორან კალესთან ერთად კართანაზე იჯდა და, როცა ბოცვერმა ჩაუქროლა, მარჯვედ სტაცა ხელი. ამასობაში აქოშინებულმა პელემ და ჩორვენმაც მოირბინეს.

_ უჰ, რა კარგია, რომ დაიჭირე, _ შვებით ამოისუნთქა პელემ და სტინას გვერდით მიუჯდა. იოკე კალთაში ეწვინა და ისეთი სინაზით დასცქეროდა, როგორც დედა თავის პირმშოს.

_ მაინც რა სასიამოვნოა საკუთარი მხეცის ყოლა, _ თქვა ბოლოს.

მართალიაო, დაეთანხმნენ სტინა და ჩორვენი.

_ ყველაზე კარგი ყორნის ყოლაა, _ არწმუნებდათ სტინა, მერე კი მოზეიმე კილოთი დაამატა: _ იცით, უკვე ისწავლა...

_ რა ისწავლა? _ ჰკითხა ჩორვენმა.

_ «მომშორდი აქედანო», მე ვასწავლე.

როგორც ჩანდა, პელემ და ჩორვენმა არ დაუჯერეს და სტინა გაჯავრდა.

_ მოიცადეთ, თქვენი ყურით გაიგებთ! კალე, უთხარი ამათ, «მომშორდით აქედან»- თქო.

ყორანს თავი გვერდზე გადაეხარა და ჯიუტად დუმდა. სტინა რომ აღარ და აღარ მოეშვა, მოკლედ და უკმაყოფილოდ დაიჩხავლა რამდენჯერმე. რაღაც საოცარი წარმოსახვის უნარი უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ეს ჩხავილი ლაპარაკად მოჩვენებოდა. სწორედ ასეთი წარმოსახვა ჰქონდა სტინას.

_ გაიგონეთ?! _ იკითხა აღტაცებულმა.

ჩორვენი და პელე ახარხარდნენ, ხოლო სტინამ იდუმალი სახით დააქნია თავი.

_ იცით, რას ვფიქრობ? მე მგონია, კალე მოჯადოებულ პრინცია, ლაპარაკი შეუძლია, ხომ ხედავთ.

_ თქვა რა! _ აღშფოტდა პელე. _ სად გინახავს პრინცი «მომშორდი აქედანო», ამბობდეს?

_ როგორ არ მინახავს, აი, ეს პრინცი ამბობს, _ ყორანზე მიუთითა სტინამ.

იმ ზღაპარში ახალხან ბაბუას რომ უყვებოდა, სამი მოჯადოებული პრინცი მაინც იყო, ერთი გარეულ ტახად იქცა, მეორე _ ზვიგენად, მესამე _ არწივად. ჰოდა, რატომ არ შეიძლებოდა, ყორანიც მოჯადოებული პრინცი ყოფილიყო?

_ არაფერიც, მოჯადოებულ პრინცები მარტო ბაყაყები არიან ხოლმე, _ ირწმუნებოდა ჩორვენი.

_ ეგრე გგონია, ხომ? _ დამცინავად ჰკითხა სტინამ.

_ ჰო, ფრედიმ წამიკითხა ზღაპარი პრინცესაზე, რომელმაც ბაყაყს აკოცა. ტკაც, დაიძახა ტყავმა და პრინცესას წინ პრინცი გაჩნდა.

_ ერთი მეც უნდა ვსინჯო, _ ფიქრიანად თქვა სტინამ.

პელე კართანზე იჯდა და ჩუმ-ჩუმად იცინოდა.

_ მერე რად გინდა ის მოჯადოებული პრინცი? _ ჰკითხა სტინას.

_ მალინს გაჰყვება. _ უპასუხა სტინამ.

«უჰ, რა კარგია», _ თავში გაუელვა ჩორვენს და წამოიძახა:

_ ჰოდა, მალინი აღარ იქნება სულ მთლად მარტოკა, ქმარს შეირთავს.

სხვა რა უნდა ეთქვათ გოგოებს, რომ პელე ასე გამწარებულიყო.

_ აქედან მომშორდით თქვენი მოჯადოებული პრინცებიანად, _ იყვირა გულმოსულმა. _ წავიდეთ, იოკე!

ჩორვენი და სტინა დიდხანს გასცქეროდნენ მიმავალ პელეს.

_ ცხადია, არ უნდა, მალინმა ოდესმე ქმარი შეირთოს, _ თქვა ჩორვენმა. _ ალბათ, იმიტომ, რომ დედა არა ჰყავს.

სტინა მაშინვე დასერიოზულდა და შუბლი მრავალმნიშვნელოვნად შეჭმუხნა.

_ რატომ მოუკვდა დედა? _ ჰკითხა ჩორვენს.

ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ჩორვენი ჩაფიქრდა, არ იცოდა, რატომ კვდებოდა ადამიანი.

_ იქნებ ისეა, როგორც იმ სიმღერაში, აი, შენც რომ იცი, _ თქვა ბოლოს, _ ჰო, შეიძლება ისეა.

და ჩორვენი ამღერდა:

ქვეყნიერება, საწუთრო, მართლაც,
კუნძული არის ჭმუნვა-სევდისა.
სიკვდილმა მანამ დამისაკუთრა,
ვიდრე სიცოცხლით ტკბობა მეღირსა.

_ ეჰ, რა ნაღვლიანი სიმღერაა, _ ამოიოხრა სტინამ.

* * *

პელემ იოკე გალიაში შესვა და მარტოდმარტომ მშვენივრად გაატარა საღამო. ჯერ თხრილს უტრიალა. მას ხომ ძალიან უყვარდა თხრილები, განსაკუთრებით გაზაფხულზე. რას არ ნახავდი შიგ: მწერებს, სხვადასხვანაირ მცენარეებს! ყველაზე საინტერესო ზედ გადახტომა იყო. მით უმეტეს, თუ ერთი სკუპით გადაახტებოდი. პელეს ეს ზოგჯერ არ გამოსდიოდა და საღამოთი შინ თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოთხუპნული მივიდა.

მელკერი იმ დროს დურგლისეული კარ-მიდამოს ეზოში იჯდა. მაგიდაზე გაშლილი მოტორი ედო. იმედოვნებდა «ფუჰ, ფუჰის» ფრუტუნს მაინც მოვაშლევინებო. მეტი არაფერი უნდოდა და ეგონა, კარგად გაწმენდა უშველისო. მაგრამ, საოცარია, ყველა პატარა ქანჩი და ხრახნი სწორედ მაშინ ქრებოდა, როცა საჭირო იყო. ჯავრობდა მელკერი, მაგრამ რას ჯავრობდა.

_ ყლაპავთ ამ ქანჩებს, თუ რას უშვრებით? _ ეკითხებოდა ნიკლასს და იუხანს, რომლებიც მაგიდას არ სცილდებოდნენ და მის მუშაობას ადევნებდნენ თვალს. რამდენჯერმე რომ ასე ტყუილად დასდო ბიჭებს ბრალი, იუხანმა ნიკლასს უთხრა:

_ წამო, დავიძინოთ, მამა იჯდეს და თავისი ქანჩები თვითონ ღეჭოს.

როგორც ბიჭები იქაურობას მოშორდნენ, მელკერმა ყველაფერი იპოვა, რასაც ეძებდა.

_ აი, მალინ, ამ პაწაწკინტელას ვეძებდი, _ მიახარა მალინს.

სამზარეულოში მთლად ამოლაფული, დაღლილ პელე შევიდა მძიმე-მძიმედ. _ მე კი, აი, ამას, _ თქვა მალინმა, _ მაგრამ რასა ჰგავხარ, პელე?

იმ საღამოს დრუგლისეული კარ-მიდამოს სამზარეულოში მარტო მოტორს კი არ წმენდნენ. მალინმა გამოათრია უზარმაზარი ვარცლი, ჩასვა შიგ პელე და ჯაგრისით ძლივს გადააცილა ტალახი.

_ ყურებს მაინც გაანებე თავი, _ წაიბუზღუნა პელემ. _ შაბათს დავიბანე!

მალინი უმტკიცებდა, ასეთი ჭუჭყიანი ყურებით ყოფნა ყოვლად შეუძლებელიაო.

_ დილით ეგებ დეიდა მერტამ შემოირბინოს ყავის დასალევად და შენი ყურები რომ დაინახოს...

_ «ეგებო», იძახი, _ სიტყვა გააწყვეტინა პელემ. _ მოვუცადოთ, ეგებ არც მოვიდეს.

მალინი სიცილით მიუბრუნდა მელკერს:

_ როგორ გგონია, ყველა ბიჭი ასეთი უსუფთაოა? ნეტა შენც ასეთი იყავი პატარაობისას?

მელკერი თავის ქანჩებს ატრიალებდა ხელში, თან კმაყოფილი ღიღინებდა:

_ ფხიანი კაცი ვარ, ფხიანი... ჩორვენი თავიდან მომწყდეს. მე და უსუფთაო? _ გაოცდა მელკერი. _ არა, რამდენადაც მახსოვს, ძალიან პიწკი ბიჭი ვიყავი.

პელემ მეოცნებე თვალებით ახედა მამას.

_ ცხადია, პიწკი იყავი.

_ რატომაა ცხადი? _ გაუკვირდა მელკერს.

_ ყველაფერში სამაგალითო იყავი და იმიტომ. დამჯერე იყავი, კარგ ნიშნებს იღებდი, არასოდეს ცრუობდი, არავის ატყუებდი.

_ მართლა? ეგ მე ვთქვი? _ გულიანად გაეცინა მელკერს. _ ესე იგი, სიბერეში ცოტა ტყუილები გავურიე.

პელემ წყალი შეაშხეფა.

_ მოიცა, პელე, სამზარეულოს ნუ წუწავ, _ შეაჩერა მალინმა.

_ მამა რომ გაწუწა, არაფერია, ხომ, _ აღშფოთდა მელკერი.

_ აბა, რა, _ მშვიდდ უთხრა პელემ.

დიდ პირსახოცში გახვეულ პელე მალინს კალთაში უჯდა. უცებ გაახსენდა, რა სისულელეს ბოდავდა სტინა მოჯადოებულ პრინცზე, რომელიც ვითომ მალინს უნდა შეერთო. მან გამომცდელად შეხედა დას: ვაითუ, მართლა ღელავს, სულ მთლად მარტოკა, უქმროდ რომაა, როგორც ჩორვენმა ბრძანა.

ამჯერად მელკერსონები ის-ის იყო კუნძულზე ჩამოვიდნენ, რომ ახალი დიდი ამბავი ამცნეს. ბიორნმა თევზისშხერელი გოგონა დანიშნაო.

პელე შიშით შეეკითხა მალინს, ხომ არ გეწყინაო.

მალინმა სიცილით უპასუხა:

_ არა, ძალიან კარგი ქნა. ვურჩიე კიდეც, შობას რომ ვიყავით ჩამოსულები.

ასე თქვა მალინმა, მაგრამ პელე მაინც ვერ ხვდებოდა, მოსწონდა თუ არა სულ უქმროდ ყოფნა.

_ ესეც ასე, მოტორი თავად მელკერმა გაწმინდა, _ გამოაცხადა მელკერმა და ბოლო ქანჩი ჩახრახნა. ხოლო მერე ამღერდა: _ მოტორი მშვენივრად იმუშავებს, ამას ახლავე გიჩვენებთ.

მან მოტორის მუშაობის ჩვენება პელეს საბანაო ვარცლში მოიწადინა. ყველაფერი, როგროც მელკერი ვარაუდობდა, იმგვარად მოხდა. მოტორი ისე გადასარევად ამუშავდა, რომ მთელი წყალი სამზარეულოს კედლებს შეასხა, მანამდე კი იქვე ჩაჩოქილი მელკერი გაწუწა.

_ ფრრ, _ ჩაიფრუტუნა მელკერმა და სწრაფად დაუმატა: _ მალინ, ნუ გეშინია, მე მოვწმენდ იატაკს.

მალინი არწმუენბდა, რას ამბობ, ძალიან მადლობელი ვარ. წარმოგიდგენია, რა ბედი მაქვს! მთელი სამზარეულო ერთბაშად მოირეცხა. იატაკის მოწმენდას კი თავადაც შევძლებ, ოღონდ ჯერ პელე ლოგინში ჩაწვესო.

_ გცივა? _ ჰკითხა მალინმა აძაგძაგებულ პელეს.

_ მცივა, გამოქვაბულის ბინადარივით მცივა, _ უპასუხა პელემ და ლოგინში ჩაწვა, მაგრამ მაინც კანკალებდა, _ ეტყობა, ძალიან დიდხანს ანიავებდა ქვეშაგებს, უჰ, რა სიცივეა!

_ ჰო, გეყოფა, _ ძილში ჩაიბუტბუტა ნიკლასმა.

პელე წყნარად იწვა თავის ვიწრო საწოლში და ცდილობდა, ცოტათი მაინც შემთბარიყო.

_ ოჰ, ჩემი ბუზღუზა ბოცვერი მყავდეს აქ, ალბათ, როგორი თბილია, _ ოცნებობდა პელე.

იუხანმა თავი ასწია:

_ რაო, გუზგუზაო, ხომ არ გაგიჟდი?! ბუხარიც ხომ არ გინდა ლოგინში ჩაგიდგან.

_ მე იოკეზე ვთქვი, ჩემს ბოცვერზე.

_ ბოცვერზე? ჰო, მაგას შენ მოიფიქრებდი, სხვა ვერავინ, _ ჩაიფრუტუნა ნიკლასმა, თავი ბალიშზე მიდო და ისევ დაიძინა.

პელეს ძილი არა და არ ეკარებოდა. იოკეზე ისე წუხდა, რა დააძინებდა. დარდობდა, ვაითუ ღამით ყინვა იქნეს და გათოშოს თავის გალიაშიო. თვითონ კი უკვე გათბა. ნამდვილი უპატიოსნობაა, ბოცვრები ერთი ბღუჯა თივით მოფენილ პაარა, ცივ ყუთებში რომ არიან შეჭუჭკულები.

პელე იწვა და ოხრავდა. საშინლად იტანჯებოდა. ბოლოს და ბოლოს, ვეღარ მოითმინა, საწოლიდან წამოხტა და ფანჯრიდან გადაძვრა. მელკერს კედელზე მიყუდებულ იდარჩენოდა კიბე და იმას ჩაჰყვა. გაზაფხულის გრილი საღამო იდგა. სიცივისაგან აკანკალებული პელე პირდაპირ ბოცვერის გალიისაკენ გაექანა. იგი არავი სდაუნახავს, არც იქით წასული, არც უკან რომ მიიპარებოდა გულში ჩაკრული იოკეთი. სულ არავის დაუნახავს, საღამოთი სალტკროკას დასაზვერად ასუნსულებული მელიის გარდა.

მაგრამ იოკეს მოსალოდნელი მადლიერება არ გამოუჩენია იმის გამო, რომ პელემ გალიიდან გამოიყვანა. პირიქით, გამწარებული აფართხალდა, ლოგინში მიპირებს ეწვენასო. საწოლში წოლა ბოცვერის საქმე არააო, ფიქრობდა იოკე, ამიტომ ხელიდან გაუსხლტა და გვერდზე გადახტა.

მელკერი და მალინი ქვევით, საერთო ოთახში ისხდნენ. უეცრად ბიჭების ოთახიდან საშინელი კივილი მოესმათ. ზევით აცვივდნენ, რა მოხდაო, და გულგახეთქილი ნიკლასი დაინახეს. ნიკლასი ლოგინში წამომჯდარიყო და შეშინებული ძაგძაგებდა.

_ აქ მოჩენებებია! რაღაც საზიზღარი, ბანჯგვიანი მოჩვეენბა მეძგერა! _ ირწმუნებოდა ნიკლასი.

მელკერმა გასამხნევებლად მხარზე ხელი მოუთათუნა.

_ ალბათ, კოშმარში იყავი. ასეთ დროს ეშმაკები ელანდება ადამიანს. ეგ არაერია, ნუ გეშინია.

_ საზიზღარი მოჩვენება პირდაპირ სახეში მეძგერა! _ ჩაიბურტყუნა ნიკლასმა.

პელეს საბნის ქვეშ გულში მაგრად ჩაეკრა მოჩვენება, რომელიც მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა ტყვეობიდან თავის დასახსნელად. როცა ყველამ დაიძინა, პელე ისევ გამოვიდა სიბნელეში და იოკე გალიაში ჩასვა.

_ შენი ლოგინში ჩაწვენა ნამდვილად არ შეიძლება, _ უთხრა აღშფოთებით, _ ახლა კი დავრწმუნდი, შენ ბუხარი კი არა, ყველაფერი გაჯობებდა.

მალე სალტკროკაზე გაზაფხულის ახალი დღე გათენდა. დღე, რომელსაც არავინ დაივიწყებს. იმიტომ, რომ იმ დღეს კუნძულზე მუზესი გამოჩნდა. მის გამოჩენას კი ათასი

ამბავი მოჰყვა თან. მუზესი ერთი პატარა სელაპი იყო. კალე ვესტერმანის ბადეში გაება და ვესტერმანმა სალტკროკაზე მიიყვანა. იცოდა, თეთრბოლოიანი ყურბები არ ინდობენ ფარას ჩამორჩენილ პატარა სელაპებს.

_ ვესტერმანი პირველი შფოთისთავია ამ ჩვენს კუნძულზე, _ ამბობდა ხოლმე მერტა.

დუქანში, სადაც სალტკროკელები იყრიდნენ თავს, რამდენჯერმე კინაღამ ჩხუბი ატყდა. კითხვაც არ უნდოდა: დარწმუნებით შეიძლებოდა თქმა, ვესტერმანია მოთავეო. დიდი მოუსვენარი კაცი იყო.

_ ჩხუბობს, ბუზღუნებს, არ ისვენებს, _ ამბოდა მისი ცოლი და, თუ ვინმე ყურს დაუგდებდა, უმატებდა: _ ჭკუა გამოელია, ჭკუა.

ვესტერმანი თევზაობდა და ნადირობდა, სხვას გულს ვერაფერს უდებდა. სახლი და პატარა ნაკვეთი ჰქონდა და იმასაც ცოლი უვლიდა. ეს არც ისე იოლი იყო, ამიტომ ხშირად ბუზღუნებდა ქალი. ცუდად მიდიოდა ვესტერმანის საქმეები. როცა ძალიან გაუჭირდებოდა, ნისეს მიადგებოდა ხოლმე. მაგრამ ბოლო ხანებში აღარც ნისე უმართავდა ხელს. არ ეწადა, ფული ესესხებინა ადამიანისათვის, რომელიც დროზე არასოდეს აბრუნებდა ვალს.

ერთ დილას ჩორვენი ნავსაბმელზე იდგა. ამ დროს შხერებიდან ვესტერმანი დაბრუნდა და ფეხებთან ბრაზით ასისინებული სელაპი დაუსვა. აღტაცებულ ჩორვენი აყვირდა. სელაპი შავი, წყალინი თვალებით მიშტერებოდა. ასეთი ლამაზი რამ ჩორვენს თავის სიცოცხლეში არ ენახა.

_ ოჰ, რა მშვენიერია! _ წამოიძახა ჩორვენმა. _ შეიძლება მოვეფერო?

_ მე რა მენაღვლება! _ უთხრა ვესტერმანმა.

და უცებ გაუგონარი რაღაც თქვა.

_ სულ შენი იყოს, თუ გინდა.

ჩორვენი თვალდაჭყეტილი მისჩერებოდა.

_ რა თქვი?

_ შეიძლება იყოს-მეთქი. დედა და მამა თუ ნებას დაგრთავენ. მეც გავთავისუფლდები, გამოკვებე და გყავდეს შენთან, სანამ წამოიზრდება. ერთი სიტყვით, სანამ მისგან რამე ხეირი არ იქნება.

ჩორვენს სული შეუგუბდა ბედნიერებისაგან. ვესტერმანი არასოდეს ჰყვარებია, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ პირდაპირ აღმერთებდა.

_ ოჰ! _ ამის თქმაღა მოახერხა გახარებულმა, გამალებული ფიქრობდა, რითი შეიძლება მადლობა გადავუხადო ასეთი არნახული გულუხვობისთვისო.

_ გინდა რამე მოგიქარგო? _ ჰკითხა გულის ფანცქალით.

აბა ვესტერმანმა რა იცოდა, რომ ჩორვენი მზად იყო, მისთვის ისეთი რამ გაეკთებინა, რაც ჭირივით ეზარებოდა. ამიტომ უხეშად უპასუხა:

_ ჰმ, ძალიან მჭირდება შენი ნაქარგი! წაიყვანე, წაიყვანე, თორემ ცოლს ვერ დავენახვები!

ვესტერმანი წავიდა, თავგზადაბნეული ჩორვენი კი ნავმისადგომზე დარჩა.

_ გაგიჟება შეიძლება, _ თქვა გაოცებულმა. _ ბოცმან, ხედავ, სელაპი გვაჩუქეს.

ბოცმანმა დაყნოსა სელაპი. მართალია, ასეთი უცნაური არასოდეს არაფერი ენახა, მაგრამ, რადგან ჩორვენს უნდოდა, მზად იყო დამეგობრებოდა მის პატარა მხეცს, წანწალაზე გაწოლილი ავად რო უსისინებდა.

_ არ შეაშინო1 _ გააგდო ბოცმანი ჩორვენმა. მერე კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აღრიალდა: _ აქეთ, აქეთ წამოდით! ყველანი მოდით! გაგიჟება შეიძლება... სელაპი მაჩუქეს, სელაპი!

ნავმისადგომზე პირველი პელე მივარდა. ბიჭი მთლად აკანკალდა, სელაპი რომ დაინახა, თან სასწაული ამბავი გაიგონა, ჩორვენს ლეგაწინწკლებიანი პატარა სელაპი აჩუქესო. სელაპი, რომელიც ბრაზობდა, ღრიალებდა და თავის უცნაურ მორგვებზე მობობღავდა. ასეთი რამეც ხდება ცხოვრებაში: ზოგ-ზოგებს სელაპებს აჩუქებენ ხოლმე.

_ ოჰ, რა ბედნიერი ხარ! _ გულის სიღრმიდან აღმოხდა პელეს.

_ ჰო, გაგიჟება შეიძლება, ისე მწყალობს ყოველთვის ბედი!

ახლა დედა და მამა უნდა დაერწმუნებინა, სელაპის სახლში ყოლა ძალიან კარგიაო.

ნელ-ნელა ყველანი ნავსაბმელზე მოგროვდნენ და გაოცებულები ათვალიერებდნენ სელაპს.

_ მალე სალტკროკაზე ზოოპარკს გავხსნით, _ თქვა მელკერმა, _ ჩემდა თავად, ვეცდები, იაფად რამდენიმე ბეჰემოთი შევიძინო.

მერტა ხელებს ასავსავებდა, სელაპს სახლში არაფრით არ შევიყვანო. ნისეც ყოყმანობდა. ჩორვენს უხსნიდა, დიდ ტვირთს იდებ თავზე, ძნელი იქნება მაგისი გამოკვება. რძე ხბოს რომ უნდა, იმდენი დასჭირდება, წამოიზრდება და კილოგრამობით სალაკას ჩაყლაპავსო...

_ სალაკას ჩვენ ვუშოვით ხოლმე, _ დაპირდათ სტინა, _ არა, ბაბუ?

ჩორვენმა საყვედურით შეხედა მშობლებს.

_ სელაპ მე მაჩუქეს და ჩემთვის შვილივითაა, ნუთუ ეს არ გესმით?

ტედი და ფრედიც კვერს უკრავდნენ.

_ ბავშვი როცა იბადება, ხომ არ ამბობენ, ბევრ რძეს დალევსო, ანდა ძნელია მისი გაზრდაო, _ თქვა ტედიმ.

გოგონები ეხვეწებოდნენ და ეხვეწებოდნენ დედას. მათ იუხანი, ნიკლასი და პელეც წაეშველათ. სამივენი პირდებოდნენ, სელაპს გუბურას გავუკეთებთ, სადაც დღისით იცურავებს ხოლმეო. ნაპირზე ნავების ფარდულის უკან კლდეში ღრმა ნაპრალი იყო, ის რომ ზღვის წყლით აევსოთ, ისეთი მშვენიერი აუზი გამოვიდოდა, უკეთესს ვერ ინატრებდი.

_ ფარდულში კი დაიძინებს, _ თქვა ფრედიმ.

_ არავის არ შეაწუხებს, _ ევედრებოდნენ ბავშვები.

დროდადრო სელაპი უმწეოდ წამოიკივლებდა ხოლმე. უცებ სტინას სახე გაუნათდა:

_ გესმით? «დედაო» იძახის.

_ მე ვარ ამისი დედა, _ სელაპი ხელში აიყვანა ჩორვენმა. ეტყობა, სელაპს ეს მოეწონა, დრუნჩით სახეზე ელამუნებოდა და ულვაშებს ისე უღიტინებდა, ჩორვენს სიცილი აუტყდა.

_ ვიცი, ამ ჩვენს სელაპს, რაც უნდა დავარქვა, _ თქვა ჩოვენმა, _ მუზესი![8] ეს ხომ ვესტერმანმა ისევე იპოვა, როგორც ფარაონის ქალიშვილმა მუზესი. გახსოვს, ფრედი?

_ ვერ წარმოვიდგენ, რომ ფარაონის ქალიშვილი ვესტერმანს რამეთი ჰგავდა, _ გაეცინა მელკერს, _ მაგრამ მუზესი მართლა ლამაზი სახელია.

ბოლოს, როცა ყველამ როგორღაც ჩათვალა, მუზესი რჩებაო, მერტამაც დაყარა ფარ-ხმალი.

_ კარგი, გყავდეს შენთან, სანამ წამოიზრდება და საკვების შოვნას შეძლებს, _ უთხრა ჩორვენს.

გაიხარეს ბავშვებმა.

_ იცით, რას გეტყვით, _ თქვა ჩაფიქრებულმა სტინამ, _ მე მგონია, მუზესი ზღვის სიღრმიდან ამოსული მოჯადოებული პრინცია.

---

[8] მუზესი (შვედ.) _ მოსე. ბიბლიური ლეგენდის თანახმად, მოსე წინასწარმეტყველი ბავშვობაში ლერწმის კალათით ნილოსის ტალღებს გაატანეს. იგი ფარაონის ქალიშვილმა იპოვა და აღზარდა.

_ აქედან მომშორდი შენი მოჯადოებული პრინცებიანად! _ გაცეცხლდა პელე, _ პრინცი მუზესი ბრძანდება, არა?!

წანწალაზე ჩორვენი იჯდა და კალთაში მუზესი ეწვინა. ეფერებოდა გოგო თავის სელაპს, ის კი ცხვირს ხელზე ჰკრავდა და, როცა ულვაშებს ხელისგულზე უღიტინებდა, ჩორვენს თავშეუკავებელი სიცილი უვარდებოდა. ჩორვენს გვერდით ბოცმანი ედგა და უყურებდა. ასე შესცქეროდა დიდხანს თავისი ერთგული, ნაღვლიანი თვალებით. ანაზდად მკვეთრად შემობრუნდა და იქაურობას ძუნძულით გაეცალა.

ამ გაზაფხულზე ჩორვენს ბევრი საზრუნავი ჰქონდა _ იოკეს და მუზესს უვლიდა. პელე წერილს წერილზე აგზავნიდა ქალაქიდან და აფიცებდა, ჩემს ბოცვერს კარგად მოუარეო.

«რაც შეიძლება მეტი ბაბუაწვერას ფოთოლი აჭამე», _ წერდა პელე. ჩორვენი სტინას შესჩიოდა:

_ ბაბუაწვერას ბევრი ფოთოლი აჭამეო! ადვილი სათქმელია! ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეტი ღორმუცელა ბოცვერი.

ესაა, რომ იოკე თვინიერი მხეცი მაინც იყო და წყლისა და ბაბუაწვერას ფოთლების მეტს არაფერს თხოულობდა. არც არასოდეს ღრიალებდა, თუ მარტოს დატოვებდნენ. ყველგან არ დაბობღავდა, არც სუფრას ათრევდა იატაკზე, არც ქვაბს აპირქვევბდა და არც მამას უხევდა გაზეთებს. მუზესი კი არაფერზე იხევდა უკან, სწორედ ის მუზესი, რომელსაც დღისით გუბურაში უნდა ეცურა, ღამე კი ნავების ფარდულში გაეტარებინა. მაგრა აბა, რა ექნა, თუ არც გუბურა უნდოდა და არც ნავების ფარდული. საითაც ჩორვენი მიდიოდა, ისიც იქით მიჰყვებოდა. განა ჩორვეი არ იყო მისი დედა? განა ის არ ასმევდა ბოთლით თევზის ქონშერეულ გემრიელ თბილ რძეს? ჰოდა, მაშინ ერთად უნდა ყოფილიყვნენ. მუზესი აღშფოთებულ ღრიალებდა, როცა საღამოობით ფარდულში კეტავდნენ. ერთხელ კი, როცა სულ გაშმაგდა და გადაირია, ჩორვენმა თავის ოთახში წაიყვანა, კიდევ კარგი, დედა იასონის ცოლთან იყო წასული საკერავად და ვერ დაუშლიდა.

ბოცმანს ჩორვენის საწოლთან დაგებულ პატარა ნოხზე ეძინა. ლეკვობიდან იქ იყო ძილს მიჩვეული. ახლა გამოჩნდა მუზესი, დაიწყო ბობღვა იატაკზე და ჩორვენმა უთხრა:

_ ბოცმან, დღეს ტედისთან და ფრედისთან დაიძინე.

ბოცმანმა უცბად ვერ იაზრა, რას ეუბნებოდა ჩორვენი. მხოლოდ მაშინ მიხვდა ყველაფერს, საყელურში რომ ჩაავლო ხელი და თავისი ოთახიდან გაიყვანა.

_ მარტო ამაღამ, კარგი, ბოცმან? _ მოუბოდიშა ჩორვენმა.

მაგრამ იმ ღამეს მუზესს მოეწონა ჩორვენის ოთახში მშვიდად ძილი და აღარ მოისურვა ნავების ძველ ფარდულში ცხოვრება.

მეორე საღამოს, ჩორვენმა რომ ფარდულში ჩაკეტა, ისეთი ყვირილი მორთო, ლამის მთელ სალტკროკას ესმოდა.

_ ხალხი იფიქრებს, აწვალებენ და ცემით კლავენო, _ თქვა ტედიმ, _ სჯობს ისევ ჩორვენთან დაიძინოს.

მერტა ერთ ხანს უარობდა, მერე კი დაჰყვა მათ ნებას. ძნელი იყო არ დაეთმო პატარა ერთგული სელაპისათვის, რომელიც ისე უცქეროდა თავისი ჭკვიანი და მშვენიერი თვალებით, თითქოს ყველაფერს ხვდებაო.

იმ ღამეს ბოცმანი თვითონვე წავიდა და დაწვა ტედის და ფრედის ოთახში. მომდევნო დღეებშიც ასე გაგრძელდა. აღარც უკან დასდევდა ჩორვენს, შეიძლება ეშინოდა, მუზესს არ დავადგა ფეხიო. ასე იყო თუ ისე, მთელი დღეები დუქნის კართანაზე იწვა წყნარად, თათებში თავჩამალული, გეგონებოდა, სძინავსო. მხოლოდ იმისათვის თუ აწევდა ქუთუთოს, დუქანში ვინ შემოვიდა, დავინახოო.

_ ჩემო საძაგელო ძაღლო, როგორი ძილისგუდა გახდი, _ ეუბნებოდა ჩორვენი და თავზე ხელს უთათუნებდა. ახლა მას სულ აღარ ეცალა: ან ბაბუაწვერას ფოთლების მოსატანად მიდიოდა ან მუზესის რძის შესათბობად. ცხოველების მოვლა ძნელი იყო, თუმცა ხანდახან სტინაც ეხმარებოდა.

_ შენ რა გიჭირს რა, ერთი კალე გყავს და ეგაა, _ ეუბნებოდა სტინას, _ მე რა ვქნა, რო ორს უნდა მოვუარო, მესამე კიდევ ბოცმანია.

სტინა ვერაფერს ხედავდა შესაშურს იმაში, რომ მარტო ყორანი კალე ჰყავდა. კალეს ხომ ბოთლით ვერ დაალევინებდა რძეს, როგორც ჩორვენი _ მუზესს. რა ბედნიერია ჩორვენი! სტინა ეხმარებოდა ჩორვენს იოკესთვის ბაბუაწვერას ფოთლების დაკრეფაში და გულში იმედს არ ჰკარგავდა: სამაგიეროს გადამიხდის და ერთხელ მაინც მომცემს ნებას მუზესს ბოთლით რძე დავალევინოო. მაგრამ ჩორვენი მაგრად იდგა თავისაზე _ მუზესს მხოლოდ მე უნდა ვაჭამოო.

_ თორემ საჭმელს პირს არ დააკარებს, _ არწმუნებდა ჩორვენი.

რა უნდა ექნა სტინას? მორჩილად იჯდა და უცქეროდა, როგორ ჭამდა მუზესი. თუმცა ერთი სული ჰქონდა, ბოთლი ჩორვენისათვის გამოეტაცა. დალევდა თუ არა მერე მუზესი რძეს, ამას აღარ დაეძებდა.

ერთ მშვენიერ დღეს სტინასაც გაუღიმა ბედმა. ბაბუამისს რამდენიმე ცხვარი ჰყავდა. ვესტერმანს ცოტა ქირას უხდიდა და თავის პატარა ფარას მის საძოვარზე აბალახებდა. ახლა დოლი იყო და სტინა ყოველდღე აცილებდა ცხვრების დასახედად მიმავალ ბაბუას.

_ ბიშ, ბიშ, _ უძახდა სიოდერმანი ცხვრებს, _ მოდით, გადაგთვალოთ და ვნახოთ ერთი, ხომ არ გავმდიდრდი.

ერთმა შიშაქმა მართლა ყველაფერი გააკეთა პატრონის გასამდიდრებლად და იმ ფარეხში, ავდარში შესაფარებლად თავისი ხელით რომ ააგო სიოდერმანმა, სამი ბატკანი ერთად მოიგო.

_ სამივეს ვერ გაზრდის, რძე არ ეყოფა, _ შეწუხდა სიოდერმანი, _ ერთ-ერთი ხელზე თუ არ გამოვზარდეთ, დაიღუპება.

სიოდერმანი მართალი გამოდგა. რამდენიმე დღე ზედიზედ მიდიოდა საძოვარზე სტინასთან ერთად და ხედავდა, როგორ ილეოდა ყველაზე პატარა ბატკანი, რომელსაც ღონე არ ჰყოფნიდა, იმ ორს შებრძოლებოდა დედის ძუძუსათვის.

_ ასე არ შეიძლება, ბოთლით უნდა ვასვათ რძე, _ თქვა ბოლოს სიოდერმანმა.

სტინა შეხტა და შებზრიალდა. ზოგჯერ მოულოდნელი და აუხდენელი ოცნებაც სრულდება თურმე. იგი მაშინვე დუქანში გაიქცა, თან ბაბუას მიათრევდა. «ნეტა ასე რას ჩქარობს, ბატკანი ხო მჯერ არა კვდება», _ ფიქრობდა სიოდერმანი. სტინას თხოვნით მან ზუსტად ისეთი ბოთლი იყიდა, მუზესისათვის რომ ჰქონდა ჩორვენს. ოცნებამორეულმა სტინამ გაიღიმა, რას დააღებს პირს ჩორვენი!

ჩორვენი მუზესს აჭმევდა, სტინამ რძით სავსე ბოთლით რომ მიირბინა.

_ რას დაგაქვს ეგ ბოთლი? _ ჰკითხა გაჯავრებულმა ჩორვენმა.

მუზესს მეორე ბოთლიც ჰქონდა. იმით რძეს მაშინ ასმევდა, როცა ძალიან შიოდა. ახლა ჩორვენმა იფიქრა, სტინამ ითავხედა და ნებადაურთველად მოიტანაო.

_ მუზესი მაძღარია, _ უთხრა სტინას, _ მეტი აღარ უნდა.

_ მერე მე რა, _ ტუჩი აიბზუა სტინამ, _ ჩემი საზრუნავიც მყოფნის.

გაკვირვებულმა ჩორვენმა თვალები ჭყიტა.

_ რა საზრუნავი გაგიჩნდა?

_ უნდა წავიდე და ტუტისენს ვაჭამო, _ განუცხადა სტინამ საქმიანად.

ჩორვენმა ენაზე იკბინა.

_ ტუტისენი ვინღაა? _ ჰკითხა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ.

მაგრამ როგორც კი სტინამ ყველაფერი აუხსნა, მეგობართან ერთად მაშინვე ვესტერმანის საძოვრისაკენ მოკურცხლა და სიამოვნებით მმიეხმარა _ ბატკანს ბოთლით რძე დაალევინა. თუმცა სტინასაც მოუწია ბოთლის ხელში დაჭერა.

ტუტისენი მალე მუზესივით მოშინარუდა. სტინა დღეში რამდენჯერმე დადიოდა საძოვარზე და რძეს ასმევდა. ზოგჯერ ბაკიდანაც გამოუშვებდა და სასეირნოდ მიჰყავდა. ბატკანი ისევე ერთგულად მისდევდა ფეხდაფეხ სტინას, როგორც მუზესი მიბობღავდა ჩორვენის კვალდაკვალ.

_ ნამდვილი ცირკია, _ თქვა ერთხელ ნისე გრანკვისტმა, დუქანის კართანაზე რომ გამოვიდა და მოსეირნე სტინა და ჩორვენი დაინახა, რომელთაც უკან ტუტისენი და მუზესი მიჰყვებოდათ.

ნისე დაიხარა და ბოცმანს მიეფერა:

_ შენ როგორა ხარ, ბოცმან, წევხარ აქ და დარდბო, მათ რომ ვერ ეთამაშები, არა?

ერთხელ კართანაზე ჩამომსხდარი გოგოები მუზესს და ტუტისენს აჭმევდნენ და დაობდნენ, რომელი უკეთესიაო.

_ სელაპი, ხომ იცი, სელაპია, _ თქვა ჩორვენმა.

რაც მართალია, მართალია. სტინას ამის უარყოფა არ შეეძლო.

_ სამაგიეროდ, ბატკასნი უფრო საყვარელია, _ თქვა სტინამ, მერე დაუმატა: _ მე მგონია, ტუტისენი და მუზესი ორივე მოჯადოებული პრინცია.

_ ჰმ, რამდენჯერ გითხარი, მოჯადოებული პრინცები მარტო ბაყაყები არიან-მეთქი, _ ტუჩი აუბზუა ჩორვენმა.

_ ჰო, მასე ამბობდი, _ დაემოწმა სტინა.

ორივენი ჩუმად ისხდნენ და თავთავიანთ საფიქრალს მისცემოდნენ. აბა, ვესტერმანის საძოვარზე გაჩენილი ჩვეულებრივი ბატკანი პრინცი რანაირად იქნებოდა. მუზესი კი, მეთევზის ბადეს მოყოლილი მუზესი, შეიძლებოდა პრინცი ყოფილიყო. სულ ისეა, როგორც ზღაპარშია ხოლმე.

_ მაინც მგონია, რომ მუზესი ზღვის მეფის შვილია და ბოროტმა ფერიამ მოაჯადოვა, _ თქვა სტინამ.

_ არა, არა, მუზესი ჩემი შვილია, _ მკერდზე მიიხუტა სელაპი ჩორვენმა.

ბოცმანმა თავი ასწია და სტინას და ჩორვენს შეხედა. და თუ მართალს ამბობდნენ, ადამიანივით შეუძლია ფიქრიო, მაშინ, ალბათ, პელესავით იფიქრა: «აქედან მომშორდით თქვენი მოჯადოებულ პრინცებიანად!».

ნუთუ მალინს ქმრის შერთვა არ უნდა?

«ჩვენი სახლის გარშემო ისევ აყვავდა ჩვენი ვაშლის ხეები, _ წერდა მალინი თავის დღიურში. _ ნაზი ვარდისფერი ყვავილებით ავსებენ ისინი დურგლისეულ კარ-მიდამოს და ჩვენი ჭისკენ გაკვალულ ბილიკზე თოვლის ფიფქივით ფარფატელა ყვავილის ფურცლებს აფენენ.

ჩვენი ვაშლის ხეები, ჩვენი სახლი, ჩვენი ჭა-მეთქი, ვამბობ, რა მშვენიერია!

თუმცა ჩვენი აქ არაფერია, მაინც მომწონს ამაზე ოცნება... საოცრად სასიამოვნოა ეს ოცნება და იმიტომ. ერთი წლის წინათ დურგლისეული კარ-მიდამო სულაც არ მენახა. ახლა კი მშობლიური სახლი მგონია. ო, მხიარულო დურგალო! რო იცოდე, ამ სახლის აშენებისათვის როგორ მიყვარხარ. რა თქმა უნდა, თუ შენი ხელით ააშენე, კიდევ იმისთვის მიყვარხარ, რომ ეს ვაშლის ხეები დარგე. იმისთვისაც, აქ ცხოვრება რომ შეგვიძლია და კიდევ იმიტომ, რომ ზაფხულია. თუმცა ის შენ არ მოგყვანია».

_ როგორაა, მამა, საქმე? _ ჰკითხა მამას მალინმა. _ შენ ამჯერადაც იყოჩაღე და ხელშეკრულება მთელი წლით დადე?

_ ჯერ არა, _ უპასუხა მელკერმა, _ მატსონს ველოდები, დღეს-ხვალ მოვალო, დამპირდა.

მატსონის მოლოდინში მელკერსონები კარ-მიდამოს ზაფხულისათვის ამზადებდნენ. ხვეტავდნენ შარშანდელ ფოთლებს, ბერტყავდნენ პატარა ნოხებს, ამზეურებდნენ ბალიშებსა და საბნებს, ხეხავდნენ იატაკს, წმენდნენ ფანჯრებს და ზედ სუფთა ფარდებს კიდებდნენ. ნიკლასმა ქურა გააპრიალა, იუხანმა სამზარეულოს სკამები შეღება ცისფრად, მელკერმა კი ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე გააკეთა წიგნების თარო და ზედ ნაირ-ნაირი წიგნები დაალაგა. შეთეთრებული ღუმელის ზემოთ ქალაქიდან ჩამოტანილი სურათები ჩამოჰკიდეს, სამზარეულოს დივანზე რომ ბალიში იდო, იმას მალინმა ჩითის წითელზოლებიანი პირი გადააკრა. მხოლოდ პელე დადიოდა უსაქმოდ და

იქაურობის მზერით ტკბებოდა. ყველაზე გამოუსადეგარი და ძველი ავეჯი ფარდულში დაალაგეს, სადაც პელემ პაწაწინა ოთახი მოიწყო. დაე, ძველმა ავეჯმა იცოდეს, რომ რაღაცაში ჯერ კიდევ გამოსადეგია. თან წვიმიან ამინდში პელე იქვე აპირებდა იოკესთან ერთად დალოდებოდა გამოდარებას.

_ ესეც თავისებური შემოქმედებაა, _ თქვა მალინმა თავის საზაფხულოდ მორთულ სახლში რომ მიმოიხედა. _ ახლა ყვავილები უნდა მოვიტანოთ და მეტი არაფერი უნდა.

მალინმა ფარდულში ძველი თიხის ქილები მონახა, რომლებშიც დურგლის მხიარულ იცოლი წითელი მოცვის ნაყენს იყანხავდა. მტვერი მოაცილა და შიგ იასამნისა და აყვავილებული მაჟალოს ტოტები ჩააწყო. მერე იანსონის საძოვარზე წავიდა, სადაც უხვად ჰყვაოდა შროშანა და მთელი კონა ყვავილები დაკრიფა. შინ დაბრუნებისას ჩორვენს და სტინას შეხვდა, ქაქან-ქაქანით მოდიოდნენ არყის ხეებს შუა. მალინი რომ დაინახეს, გაჩუმდნენ და სიყვარულით და აღტაცებით შეაცქერდნენ. ეს ხომ მათი მალინია, ასეთი ლამაზი და მშვენიერი შროშანის თაიგულით ხელში.

_ პატარძალსა ჰგავს! _ თქვა ჩორვენმა.

სტინას თვალები აუციმციმდა, თავში კი დიდი ხნის ნალოლიავებმა აზრმა გაუელვა.

_ არ თხოვდები, მალინ?

ჩორვენი ახარხარდა:

_ გათხოვება რაღა არის?

_ ქმარს რომ ირთავენ, ისაა. _ ყოყმანით უპასუხა სტინამ.

მალინმა მათ დარწმუნება დაუწყო, თავის დროზე ცუდი არ იქნება გათხოვება, ჯერჯერობით კი ძალიან ახალგაზრდა ვარო.

ჩორვენი მიაშტერდა, თითქოს ყურებს არ უჯერებსო.

_ ძალიან ახალგაზრდა ხარ? შენა, მალინ?! ახალგაზრდა კი არა, ისეთი ბებერი ხარ, გაგიჟება შეიძლება!

მალინს სიცილი აუტყდა.

_ ჯერ მოსაწონი ადამიანი უნდა გამოჩნდე, გაიგეთ, ახლა?

სტინა და ჩორვენი დაეთანხმნენ, მოსაწონი სასიძოები სალტკროკაზე ნამდვილად ჭირსო.

_ კი მაგრამ, მოჯადოებული პრინცის შერთვა ხომ შეგიძლია, _ ეხვეწებოდა სტინა.

_ არის მერე სადმე? _ ჰკითხა მალინმა.

_ თხრილებში რამდენიც გინდა, იმდენია, _ უპასუხა სტინამ. _ ჩორვენი ამბობს, ყველა ბაყაყი მოჯადოებული პრინციაო.

ჩორვენმა თავი დაუქნია.

_ აკოცებ და _ ტკაც! _ პრინცი შენს წინ გაჩნდება!

_ ეს მართლაც იოლი ჩანს, _ დაეთანხმა მალინი. _ ვეცდები, ერთი მაინც ვიშოვო.

ჩორვენმა ისევ დაუქნია თავი.

_ ჰო, ეცადე... ვიდრე გვიან არაა. პირადად მე მანამ შევირთავ ქმარს, სანამ კუდიან ბებრუხანად ვიქცევი, აღარც თავის თავს რომ არგია და აღარც სხვას.

_ მოჯადოებულ პრინცს შეირთავ? _ ჰკითხა მალინმა.

_ არა-ა, წყალსადენის ოსტატს. მამა ამბობს, ახლანდელ დროში ყველაზე მეტ ფულს შოულობენო.

სტინამ საჩქაროდ დაუმოწმა, ჰო, კარგია, კარგი და მეც წყალსადენის ოსტატს შევირთავო.

_ იმიტომ, რომ ყველაფერი ჩორვენივით მინდა გავაკეთო.

_ ჰო, ის წყალსადენის ოსტატები არ მოიწყენენ თქვენთან, _ უთხრა მალინმა და დურგლისეული კარ-მიდამოსკენ გასწია. _ თუ მოჯადოებული პრინცი შეგხვდათ, უთხარით, თავისი დაფეხვილი ფეხებით შინისაკენ წახანხალდა-თქო.

ჩორვენმა და სტინამ ხელი ხელს ჩაჰკიდეს და ხტუნვა-ხტუნვით უკან დაედევნენ, თან მთელი ხმით მღეროდნენ:

დედა დამპირდა ფეხსაცმელს
(რითა ვარ სხვაზე ნაკლები),
თუ ყოველ დილა-საღამოს
არსად არ დავიკარგები.

გოგოებმა გადაწყვიტეს, ჩვენც შროშანებს დავკრეფთო, მაგრამ ხელის განძრევაც ვერ მოასწრეს, რომ სასწაული მოხდა: მალინისათვის მოჯადოებულ პრინცი იპოვეს. წარმოგიდგენიათ, ნამდვილი ბაყაყი იპოვეს. ბაყაყი ჩაფიქრებული იჯდა თხრილის ნაპირას.

_ ალბათ, მალინს დარაჯობდა, _ თქვა ჩორვენმა, თვალს რომ ვერ აშორებდა მის ხელისგულებში აფართხალებულ პატარა ბაყაყს. _ ჩქარა წავიდეთ, მალინი მოვნახოთ და აკოცოს ბარემ.

მაგრამ მალინი სადღაც გაქრა. გოგოებმა დრუგლისეულ კარ-მიდამოშიც კი მიირბინეს. ძია მელკერმა ამბავი დაახვედრათ, სიოდერმანთან თევზის საყიდლადაა წასულიო.

_ აბა, ჩვენსა წავიდეთ! _ შეეპატიჟა ჩორვენს სტინა.

სამწუხაროდ, მალინი არც სიოდერმანთან აღმოჩნდა. სალაკა ეყიდა და გამობრუნებულიყო.

_ დავსხდეთ ნავმისადგომზე და დაველოდოთ. არ მოვა და თავის თავს დააბრალოს. მომბეზრდა ამ ბაყაყის ყურება, _ გადაწყვიტა ჩორვენმა.

როგორც გამოირკვა, ბაყაყსაც არანაკლებ მობეზრებოდა ჩორვენის მუჭებში წრიალი. როგორც კი გოგონამ ოდნავ გაშალა ხელები, სტინასაც დავანახებო, სკუპო... და ნავმისადგომისაკენ გადახტა. ალბათ, წყალშიც მოადენდა ტყაპანს, სტინას რომ ჰაერშივე არ დაეჭირა.

ამ დროს ნავსაბმელს იალქნიანი ნავი მოადგა, ზედ არავინ ჩანდა _ არც ბორტზე და არც არსად. მზე აცხუნებდა. ჩორვენს დასცხა და მოსწყინდა: იჯექი აქ და ელოდე! მოთმინება დიდხანს აღარ ეყო და მალე იპოვა კიდევაც გამოსავალი.

_ იცი რა, _ უთხრა სტინას, _ მოდი, ჩვენ თვითონ ვაკოცოთ ამ ბაყაყს და მორჩა! მაინც პრინცად გადაიქცევა, გესმის?! ავდგეთ და მალინს წავუყვანოთ. მერე თვითონაც ეცადოს.

სტინას გონივრული ეჩვენა ჩორვენის ნათქვამი. მართალია, დიდად სასიამოვნო არაა ბაყაყის კოცნა, მაგრამ რას არ იზამ, მალინისათვის! მტლაშამტლუში ბაყაყსაც არ ეჭაშნიკებოდა, აფართხალდა, გადახტომას ცდილობდა, მაგრამ ჩორვენს მაგრად ეჭირა ხელში.

სტინამ ამოიხვნეშა და თვალები აახამხამა.

_ მოდი, აკოცე! _ უბრძანა ჩორვენმა.

სტინამაც გაუგონა. აკოცა ბაყაყს, მაგრამ უბედური ცხოველი პრინცად გადაქცევას არ აპირებდა.

_ უჰ, შე გლახა! ახლა მე ვსინჯავ! _ თქვა ჩორვენმა.

ჩორვენმა უფრო მხურვალედ აკოცა. არც მას გამოუვიდა არაფერი, ხელებში ისევ გაშმაგებული ბაყაყი უფართხალებდა.

_ სულელი, _ გაჯავრდა ჩორვენი, _ არ უნდა პრინცად გადაქცევა. მაშინ აქედან მოშორდი!

მან ბაყაყი ნავმისადგომზე დასვა. მოულოდნელი თავისუფლებით გახარებულმა ბაყაყმა წანწალიდან პირდაპირ იალქნიან ნავში ისკუპა, ტყაპ!

აბა, თქვას ვინმემ, ბაყაყები მოჯადოებული პრინცები არ არიანო.

ტყაპ! და მაშინვე არ გაჩნდა პრინცი?! ზუსტად როგორც ზღაპარში ხდება ხოლმე. ის ჯიხურიდან ამოძვრა, ნავმისადგომზე გადმოხტა და პაწაწინა ლეკვით ხელში ჩორვენისა და სტინას წინ წარსდგა.

ჩორვენი და სტინა თვალებდაჭყეტლები მისჩერებოდნენ სამოსით პრინცს არა ჰგავდა: სრულიად ჩვეულებრივი ქურთუკი, ჩვეულებრივი სვიტერი და ჩვეულებრივი ლურჯი შარვალი ეცვა. სხვა მხრივ კი, ნამდვილი პრინცი იყო _ ცისფერთვალა და ოქროსქოჩრიანი. ერთი სიტყვით, მთლად მალინის ესაფერი!

_ მეგონა, თავზე გვირგვინი მაინც ედგმებოდა, _ წაიჩურჩულა გულდაწყვეტილმა სტინამ.

ჩორვენს პრინცისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე აუხსნა:

_ ალბათ, კვირაობით ატარებს. უჰ, როგორ გაუხარდება იალინს!

ჩორვენს უცებ პელე გაახსენდა. ის არ მოუწონებთ ამ ამბავს. რას გაჯავრდება, როცა გაიგებს, სტინამ და ჩორვენმა უშოვეს მალინს პრინციო. უცებ გაიხედეს და _ გორაკიდან პირდაპირ მათკენ პელე არ მოქრის, უკან კი მალინი მოსდევს. ჩორვენს ჟრუანტელმა დაუარა ტანში და სტინას ჩასჩურჩულა:

_ ვაი, რა მოხდება!

ორივემ თვალები ჭყიტა. ყოველდღე ხომ ვერ ნახავ მალინისა და პრინცის შეხვედრას.

პრინცს თვალში მოუვიდა მალინი, მაშინვე შეეტყო. ისე შესცქეროდა, როგორც არნახულ სასწაულს და ხმას ვერ იღებდა აღტაცებისაგან. სტინამ და ჩორვენმა ისეთი კმაყოფილი სახით გადახედეს ერთმანეთს, გეგონებოდა, მათი დამსახურებაა, მალინი ასეთი სანდომიანი, ოქროსფერთმიანი რო არის, ასე რო უხდება კაბაო.

მაგრამ, აი, პრინცმა გადაწყვიტა რაღაც ეთქვა მალინისათვის.

_ ახლა შეირთეო, ეტყვის!

მაგრამ პრინცი ფრთხილობდა:

_ სალტკროკაზე დუქნიაო, მითხრეს. იქნებ თქვენ იცით, საითაა?.. _ ჰკითხა მალინს.

როგორ არა, მალინმა იცოდა, სად იყო დუქანი და ახლა სწორედ იქ მიდიოდა. თუ სურდა, შეეძლო მისთვის გზა ესწავლებინა.

_ მანამდე ლეკვს ყურს მე ვუგდებ, _ შესთავაზა უცნობს პელემ.

რა თქმა უნდა, მოჯადოებული პრინცი სხვაა და ლამაზლეკვიანი მოჯადოებულ პრინცი სულ სხვა. ასეთ პრინცს კიდევ შეიძლება შეურიგდეს კაცი. თან პელემ ხომ არ იცოდა, რომ მოჯადოებული პრინცი იყო.

_ ჩვეულებრივი ბიჭი ჰგონია, _ წასჩურჩულა ჩორვენმა სტინას. _ არ ვუთხრათ, რა ჩავიდინეთ.

ისინი მაინც ფიქრობდნენ, ცოტათი ვუღალატეთ პელესო. ჩორვენი დამნაშავესავით უცქეროდა პელეს, მაგრამ ის ვერაფერს ამჩნევდა, მხოლოდ და მხოლოდ პატარა ყავისფერ ლეკვს ხედავდა.

_ რა ჰქვია? _ სწრაფად იკითხა პელემ.

_ ამას იუმ-იუმი, _ უპასუხა პრინცმა, _ მე კი პეტერ მალმი. ბოლო სიტყვები მალინის გასაგონად იყო ნათქვამი.

_ პეტერი მქვიაო... დახე ერთი, ამასაც მოუნახავს რა პრინცის სახელი, _ ჩუმად ჩაილაპარაკა ჩორვენმა და სტინას ხელი ჩასჭიდა. _ წამო, გავყვეთ, ვნახოთ, რა გამოვა!

პრინცმა ლეკვი პელეს მიაბარა.

_ აბა, შენ იცი, კარგად მოუარე იუმ-იუმს, _ სთხოვა ალერსიანად.

პელემ ხმის ამოღება ვერ მოასწრო, რომ მის მაგიერ მალინმა უპასუხა:

_ მაგაზე მე ვდებ თავს, რომ კარგად მოუვლის.

და მალინი წავიდა თავის პრინცთან ერთად. ჩორვენი და სტინა ხითხით-ხითხითით გაედევნენ დუქანში, სადაც, თავისდა გასაოცრად, დაინახეს, რომ პრინცი მერტასაგან ნახევარ კილო ძეხვს ყიდულობდა.

_ ნუთუ პრინცი ძეხვს შეჭამს? _ განცვიფრდა სტინა.

_ არა-ა, გოჭებისთვის ენდომება, თავის ციხე-კოშკში რომ ჰყავს, _ დაამშვიდა ჩორვენმა.

ბავშვები ცდილობდნენ მალინთან ახლოს მდგარიყვნენ, რომ სიტყვა არ გამოპარვოდათ. პრინცი ნაბიჯითაც არ სცილდებოდა მალინს.

ორივემ კიდევ დიდხანს იბორიალა დუქანთან, თან ენაგაუჩერებლივ ქაქანებდნენ. პეტერმა უამბო, დიდ კუნძულზე ესტერმანისაგან საზაფხულო პატარა სახლი დავიქირავე, ახლა კიდევ ეს იალქნიანი ნავი, რომ ყურეში გავისეირნო ხოლმეო. ჰო, ისიც უთხრა, სალტკროკაზე ისეთი მშვენიერი დუქანი გქონიათ, კიდევ მოვალო.

_ მშვენიერი დუქანი გქონიათო, რა ვიცინე! _ უთხრა ჩორვენმა სტინას. _ და მშვენიერი მალინი გვყოლია, არა?

ბოლოს მალინი აჩქარდა, შინ უნდა წავიდეო. აღარც პრინცი დარჩა. უკან-უკან მიდიოდა რომ დიდხანს ეცქირა მალინისათვის, თან ქაღალდის ჩანთას იქნევდა ყვირილით:

_ წავედი ჩემი სურსათ-სანოვაგით, მაგრამ მალე ჩამოვალ, მადას არ ვუჩივი და საჭმელი დიდხანს არ მეყოფა. ძალიან გთხოვ, ნავმისადგომზე დამხვდი, დღევანდელივით მშვენიერი!

_ გაიგონე, რა თქვა? _ წაიჩურჩულა ჩორვენმა, _ აი, ასე იტყუებიან პრინცები.

_ ჭაში ერთი ბაყაყი კიდევ მოგვემატა, _ უყვებოდა პელე დას, დასაძინებლად რომ წვებოდა. _ პეტერის იალქნიან ნავზე ვნახე და მითხრა, წაიყვანე, ბაყაყები ვერ იტანენ ზღვაზე ცურვასო. ეს იმას ჩემზე ნაკლებად არა სცოდნია. პელე ლოგინში გასწორდა და ცხარედ განაგრძო: იმ პეტერს ჩემსავით უყვარს ცხოველები. მეცნიერია, სულ ცხოველებს დასტრიალებს თავს და ყველაფერი იცის მათზე. მეც პეტერისნაირი ვიქნები, როცა გავიზრდები.

პელემ, რომელიც მანამდე ამბობდა, არაფერიც არ მინდა გამოვიდეო, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ არსებობს ნამდვილი პროფესია მათთვის, ვისაც სურს, ცხოველებზე ყველაფერი იცოდეს. თითქოს უკუნი სიბნელიდან მზით გაჩახჩახებულ მინდორში გაოვიდა. იმიტომ, რომ შვიდი წლის პელე უკვე დარდობდა თავის მომავალზე. რა ეშველება, როცა გაიზრდება? რა გზას დაადგება? ახლა ყველაფერი ნათელი გახდა და პელეს გულზე მოეშვა.

_ იცი, პეტერს რა საინტერესო სამუშაო აქვს, _ უყვებოდა პელე მალინს. _ აბა, გამოიცანი რა გააკეთა? სელაპებს პატარა რადიოგადამცემები მიაკრა, უნდა გაიგოს, რანაირად იქცევიან წყალქვეშ, საით მიცურავენ და ასეთი რამეები. კარგია, არა? _ და უეცრად ყელზე შემოეჭდო. _ ოჰ, მალინ, ერთი ძაღლი მომცა. იოკესთან ყოფნა ძალიან საინტერესოა, მაგრამ ის სულ გალიაში ზის... აი, იუმ-იუმისთანა ლეკვი რომ მყავდეს, უკან დამიწყებდა დევნას.

_ მეც მინდოდა, ძაღლი გყოლოდა, _ უთხრა მალინმა, _ მაგრამ რას იზამ, ჯერჯერობით უნდა მოითმინო. კიდევ კარგი, იოკე რომ გყავს.

_ კიდევ ბოცმანი, ტუტისენი და მუზესი, _ დაუმატა პელემ.

პელე ძველებურად ფიქრობდა ბოცმანისთანა ძაღლი მეორე არაა მსოფლიოშიო. ჰოდა, ამჯერად რომ კუნძულზე ჩამოვიდა, ბოცმანი მხიარული ყეფით შეეგება. თავის მხრივ, ბოცმანიც იმ აზრისა იყო, პელე ყველაზე კარგი ბიჭია ამ ქვეყანაზეაო, და ყველგან თან დაჰყვებოდა. ხანდახან ბოცმანს მუზესი შეუერთდებოდა, ზოგჯერ კი ტუტისენიც აედევნებოდათ, მაშინ პელე ნამდვილი მხეცების მომთვინიერებელივით მოიჯგიმებოდა, ვითომ მე ვარ, რაცა ვარო. ეს რომ ჩორვენმა დაინახა, გუნება გაუფუჭდა. იმიტომ კი არა, მუზესი ასდევნებიაო, ბოცმანზე დაწყდა გული. მივიდა, ბოცმანს კისერზე შემოხვია ხელები და მასთან ერთად დატრიალდა, თან ეუბნებოდა:

_ ოჰ, ჩემო საძაგელო ძაღლო!

ბოცმანი კი ისე შესცქეროდა, თითქოს ფიქრობდა: «ოჰ, შე ბზიკო, შენა, მეტი არც არაფერი მინდაო», და მაშინვე ჩამოშორდა პელეს, რომ ისევ ჩორვენისათვის ედია კვალდაკვალ. ასე იყო მანამ სანამ მუზესი არ მიბობღდა და მათ შუა არ ჩაეჩხირა.

მუზესმა სულ დაკარგა სინდისი. ზოგჯერ ჩორვენს თავსაც აბეზრებდა. ერთ საღამოს ჩორვენმა სისულელე ჩაიდინა, მუზესი თავისთან დაიწვინა. ის დღე იყო და ის დღე, თავის ყუთში ძილი აღარ ისურვა, სულ ჩორვენის ფეხრთით ცდილობდა დაწოლას, ჩამოაგდებდა ძირს ჩორვენი, მუზესი ისევ ჯიუტად მიძვრებოდა მაღლა, ისევ ჰკრავდა ჩორვენი წიხლს და ასე დაუსრულებლად.

_ მთელ ღამეს ტლინკაობაში ვატარებთ, _ ჩიოდა ჩორვნეი.

დედა უკმაყოფილოდ აქნევდა თავს:

_ არა, სელაპი სახლში არ უნდა შემოგვეყვანა!

ახლა მუზესს მოსწონდა თავის გუბურაში ცურვა. მას მერე კი, რაც იუხანმა, ნიკლასმა, ტედიმ და ფრედიმ გუბურას მესერი შემოავლეს, ჩორვენს მისი შიგ ჩაკეტვაც შეეძლო, თუ მარტო, კუდში ადევნებული სელაპის გარეშე სურდა ყფნა.

მაგრამ მუზესი კვლავ უამრავ დროს ართმევდა და დიდ ყურადღებასა და სიყვარულს სთხოვდა. როცა ჩორვენი და სელაპი თამაშობდნენ, ბოცმანი იქაურობას შორდებოდა და დუქნის კართანასთან წვებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ახლომახლო პელე არა ჩანდა და კიდევ მაშინ, როცა პელე ნავმისადგომზე იჯდა და იუმ-იუმს ეთამაშებოდა... ეს კი ძალიან ხშირად ხდებოდა.

თუ დიდ კუნძულზე ცხოვრობ და ძალიან გიყვარს ძეხვი, ძალაუნებურად ივლი სალტკროკაზე. ივლი თითქმის ყოველდღე, იმიტომ, რომ დუქანი იქაა. ხოლო თუ თან პაწაწინა ყავისფერ ლეკვს წაყვან, ნავსაბმელთან მიცურებისთანავე შენთან პელე მელკერსონი გაჩნდება და გთხოვს, იუმ-იუმს ვეთამაშებიო. ხოლო როდესაც პელე მელკერსონი ლეკვს ეთამაშება, ხალიხით პასუხობს შეკითხვებზე და ვერც ამჩნევს, რას სჩადის.

შეიძლება, მაგალითად, ჰკითხო: «სადაა დღეს მალინი?» და გიპასუხებს: «შინ, კართანაზე ზის და სალაკას წელავს».

ანდა: «ტედისთან და ფრედისთან ერთად კაჭკაჭების ყურეში საბანაოდ წავიდა». ან არადა; «მგონი, დუქანშია».

როდესაც ყველაფერს გაიგებ, რაც გაინტერესებდა, შენს ლეკვს, რა თქმა უნდა, პელე მელკერსონს დაუტოვებ მოსავლელად და გზას ადგები. გზაზე სრულიად შემთხვევით ხვდები მალინს და ყოველ შეხვედრაზე ცოტა უკეთ ეცნობი, ცოტა უკეთ ეცნობი და ცოტა მეტად გიყვარდება. მეტად გიყვარდებაო? განა ეს შესაძლებელია? განა დანახვისთანავე არ დაიპყრო შენი გული? შენ არ იყავი, იმავ წამს რომ გაიფიქრე: ან ეს, ან არავინ!

ერთხელ, ხუთშაბათ დღეს, იმ დაუვიწყარ ხუთშაბათს, პეტერ მალმმა მალინი სალტკროკის დუქანში იპოვა. მაგრამ მარტო მალინი კი არა, სელაპიც ნახა. იატაკზე დაბობღავდა პატარა სელაპი და ორ პატარა გოგონას ეთამაშებოდა.

მაშ, პელე მელკერსონი არ ტრაბახობდა, როცა არწმუნებდა, სალტკროკაზე მოშინაურებული სელაპი გვყავსო.

დუქანი ხალხით იყო სავსე და მუზესი ძალზე მხიარულობდა. ყველას შარვლის ტოტზე ეტანებოდა. განსაკუთრებით ჩორვენის შარვალს გადაეკიდა. გოგო სიცილ-კისკისით აყრიდა ტლიკნებს.

_ მომცილდი, მუზეს, თორემ დედა იტყვის, გარეთ გამოსაშვები არააო.

_ სელაპი შენია? _ ღიმილით ჰკითხა პეტერმა.

_ მაშ ვისი იქნება! _ უპასუხა ჩორვენმა.

_ არ გაყიდი?

_ არაფრის გულისათვის არ გავყიდი, _ უთხრა ჩორვენმა. _ შენ რაღაში გჭირდება?

_ მე კი არა, ჩემს ინსტიტუტს სჭირდება.

_ სტიტუტს, _ გაიმეორა ჩორვენმა, _ ისე, არა უშავს სიტყვებს ხმარობენ ეს პრინცები.

_ მე ვთქვი, ზოოლოგიურ ინსტიტუტს სჭირდება-მეთქი. იქ ვმუშაობ, _ აუხსნა პრინცმა.

მაგრამ ჩორვენმა მაინც ვერაფერი გაიგო.

_ ვმუშაობო, _ ეუბნებოდა მერე სტინას და თან პეტერს აჯავრებდა, _ ისეთ რამეს იტყვიან, ყურში არ გაიგონება. პრინცები არ მუშაობენ. მალინისათვის თვალის ახვევა უნდა, ვითომ ჩვეულებრივი ბიჭია.

პეტერმა მუზესს ხელი გადაუსვა.

_ რა კარგია ამასთან თამაში, _ უთხრა ბავშვებს და მუზესს მანამ ეთამაშა, სანამ დუქნიდან წასვლის რო არ მოვიდა _ მალინს უკვე ეყიდა, რაც სურდა.

_ ჩაი რომც არ დამალევინო, კალათას მაინც მიგატანინებ შინ, _ გაეხუმრა პეტერი.

_ რას ვიზამ, დაგალევინებ, _ დაეთანხმა მალინი, _ უსაზღვროდ კეთილი ვარ. ოღონდ შინამდე მიმაცილე. ძალიან მძიმე კალათაა!

ამ დროს დუქნიდან კალე ვესტერმანი გამოვიდა და პეტერი თავისთან მიიხმო.

_ ეი, კარგო კაცო, შეიძლება ორიოდე სიტყვა გითხრა?

უხეში, გამომწვევი ხმა რომ გაიგონა, პეტერი შებრუნდა. მის წინ ჯმუხი, გაგარეულებულ იერის კაცი იდგა.

_ რა გნებავთ? _ გაკვირვებით ჰკითხა პეტერმა.

ვესტერმანმა პეტერი გვერდით გაიყვანა, მალინს რომ ვერ გაეგონა მათი ლაპარაკი.

_ აი, დუქანში გავიგონე, სელაპის ყიდვა გდომებია, _ შემპარავად დაიწყო ვესტერმანმა. _ თუ მართლა გინდა, ის სელაპი ჩემია. შხერებში ვიპოვე. რამდენს მომცემ, რომ მოგყიდო?

ვესტერმანი კიდევ უფრო ახლოს მივიდა პეტერთან და პირფერულად მიაჩერდა თვალებში. პეტერმა ერთბაშად უკან დაიხია. ახლა მას არავითარი სავაჭრო გარიგება არ აინტერესებდა. საერთოდ არაფერი არ აინტერესებდა მალინის გარდა, ამიტომ სწრაფად უპასუხა:

_ ჰო, შეიძლება ორასი მოგცე... მაგრამ ფასზე მე ვერ მოგირიგდები. თან ჯერ ისაა გასარკვევი, ვინაა სინამდვილეში სელაპის პატრონი.

_ ხომ გითხარი, მე ვარ-მეთქი! _ მიაძახა ვესტერმანმა. _ მე, მე ვარ!

იგივე გაუმეორა ვესტერმანმა ჩორვენს, როცა ის სტინასთან ერთად დუქნიდან გამოვიდა. გოგონების უკან მუზესი მობობღავდა.

_ მოიცა ერთი, რა გითხრა, ჩემი სელაპი უნდა დამიბრუნო, _ უთხრა ვესტერმანმა.

ჩორვენი გაოცებული შეჰყურებდა.

_ შენი სელაპი? ვერ გამიგია, რას ამბობ?

უხერხულობა რომ დაეფარა, ვესტერმანმა ლაზათიანად გააპურჭყა.

_ რას ვამბობ და რაც გაიგონე. ეთამაშე სელაპს და გეყოფა. სელაპი ჩემია და მისი გაყიდვა გადავწყვიტე.

_ მუზესი უნდა გაყიდო, ხომ არ გაგიჟდი? _ აყვირდა ჩორვენი.

ვესტერმანმა ახსნა დაუწყო: ხომ გაგაფრთხილე, სელაპ მანამ გყავდეს, სანამ წამოიზრდება და მისგან რაიმე ხეირი იქნება-მეთქი?

_ დაიკარგე ერთი, სულ ტყუილებს ამბობ! _ შეუყვირა ჩორვენმა. _ შენ არ მითხარი, სულ შენი იყოსო? მითხარი! ხომ მართალია?

შეიძლება თავისი ხარბი და ძუნწი სულის სიღრმეში ვესტერმანს შერცხვა კიდეც, ამიტომ უფრო ჯიქურ შეუტია.

_ ეგღა მაკლია, შენა გკითხო ნებართვა, შეიძლება ჩემი საკუთარი სელაპი გავყიდო-მეთქი? უნდა გავყიდო, მორჩა და გათავდა. ფული მეტისმეტად მჭირდება და, თუ ჭკუაზე არ მოხვალ, მამაშენს მოველაპარაკები.

_ მაგას უშენოდაც ვიზამ, _ მწარედ ტიროდა ჩორვენი.

_ ცუდი ხარ, ცუდი, _ გაჩხიკული ფეხი ვესტერმანს მოუქნია სტინამ.

წასვლისას ვესტერმანი დაემუქრათ.

_ მაცალეთ, მოველაპარაკები ნისეს.

ჩორვენი ლამის დაახრჩო ბრაზმა.

_ არაფრის გულისთვის არ მოგცემ მუზესს, არაფრის გულისთვის, _ ყვიროდა და გარბოდა, _ წამო, სტინა, პელე მოვნახოთ!

ჩორვენი დედას და მამას ახლავე ვერაფრით ვერ მოელაპარაკებოდა: დუქანში ხალხი ირეოდა. ჩორვენმა იცოდა, გასაჭირში მხოლოდ პელეს შეიძლებოდა მინდობოდა. დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინა, რა საფრთხე ელოდათ.

ეს საშინელი ამბავი რომ გაიგონა, პელემ პირქუშად გადააქნია თავი, _ მამაშენთან ლაპარაკი არაფერს გიშველის, ხომ ვერ დაამტკიცებ, რომ ვესტგერმანმა მუზესი სულ გაჩუქა. ძია ნისემ რა უნდა ქნას?

საუბარში სტინა ჩაერია.

_ მაშინ წავიდეთ და მერტას ვკითხოთ.

მაგრამ პელემ ისევ გაიქნია თავი.

_ მარტო ერთი გამოსავალია, მუზესი იქ უნდა დავმალოთ, სადაც ვესტერმანი ვერასგზით ვერ მიაგნებს.

_ მაგალითად, სად დავმალოთ? _ ჰკითხა ჩორვენმა.

პელემ ცოტა ხანს იფიქრა და უცებ თავში მშვენირი აზრი მოუვიდა:

_ მოდით, მკვდარ ყურეში დავმალოთ.

ჩორვენმა აღტაცებით შეხედა.

_ პელე, იცი, რას გეტყვი, _ უთხრა თვალებგაბრწყინებულმა, _ შენზე უკეთ ვერავინ მოფიქრებდა.

პელე მართალი იყო, აშკარად მართალი იყო. დედას და მამას ამ საქმეში ჩარევა საჭირო არაა. თუ ვესტერმანი მათთან მივა და ჰკითხავს, მუზესი სად არისო, სინდისდამშვიდებულებმა შეუძლიათ უპასუხონ:

_ ჩვენ არაფერი ვიცით, თვითონ ეძებეო!

მისი მოძებნა კი ვესტერმანს გაუჭირდება, ძალიან გაუჭირდება!

ძველად, შეიძლება ასეული წლების წინ, სალტკროკაზე დაბა ახლადნელ ადგილას კი არა, კუნძულის დასავლეთ ნაპირზე, ყურეთან იყო გაშენებული... უწინდელი დაბიდან ნავების ფარდულების გარდა აღარაფერი დარჩენილიყო, პატარა ყურე ძველისძველი, დრო-ჟამისაგან ჩაშავებული ფარდულებით იყო გარშემორტყმული. ოდესღაც ამ ყურის ნავმისადგომებთან მეთევზეთა ნავები და იალქნიანი შხუნები იდგა და მუყაითი მეთევზეები, ახლანდელი სალტკროკელების მამა-პაპანი, შიშველ სანაპირო კლდეებზე ფენდნენ ბადეებს გასაშრობად. ახლა კი აღარც ნავები იყო და აღარც შხუნები, გარდა ერთი მიტოვებული შხუნისა, ყურეში რომ ეპოვა თავისი უკანასკნელი ნავსაყუდელი.

«მკვდარი ყურე» _ ასე ეძახდნენ მას ბავშვები. ყურე, მართლაც, მდუმარე და მკვდარი გეგონებოდა. სიჩუმე სუფევდა იმ ადგილებში, ამიტომ პელე მარტოდმარტო სეირნობის დროს ხშირად მოინახულებდა ხოლმე იქაურობას. მზით გამთბარი ფარდულის კედელზე მიყრდნობილს შეეძლო საათობით მჯდარიყო ნაპირთან და ეცქირა, როგორ დაფრინავდნენ ნემსიყლაპიები წანწალას ზემოთ ანდა ეთვალა წყალზე რგოლები, როცა რომელიმე ქორჭილა ნავარდისას ააჭავლებდა ზღვის სარკისებურ ზედაპირს.

პელე მკვდარ ყურეში მიდიოდა, როცა უნდოდა წყნარი ოცნება და განმარტოება. მაგრამ ზოგიერთს იქაური სიმყუდროვე ავბედითი, არაამქვეყნიური ეჩვენებოდა.

ადამიანს შეიძლება ჰგონებოდა, რომ მიტოვებული ფარდულების ბინდით მოცულ კუთხე-კუნჭულებში საშინელი საიდუმლოება იმალებაო.

იშვიათად თუ გაივლიდა ვინმე მკვდარი ყურისაკენ, ასე რომ, იქ არავინ დაუწყებს მუზესს ძებნას. მკვდარი ყურეს ფარდულებში საიმედოდ იქნება დამალული.

ჩორვენს ჰქონდა პატარა ხელურემი, რომელშიც მუზესს სვამდა, თუ შორს აპირებდა წასვლას, ან არ ყოფნიდან მოთმინება მისი ბობღვისათვის ეცადა. ახლა სწორედ გრძელ გზა ჰქონდათ გასავლელი, ამიტომ მუზესი თავის საძინებელ ყუთთან ერთად ხელურემში ჩააბარგეს. იქვე ჩადეს სალაკას მარაგი, სტინამ რომ ბაბუას გამოსთხოვა.

საიდუმლო შეთქმულთა ოთხეული ბურთს თამაშობდა დურგლისეული კარ-მიდამოს უკან. როცა ეს პროცესია დაინახა, ტედიმ ჩორვენს დაუძახა:

_ საით გაგიწევიათ?

_ ცოტას გავისეირნებთ, _ უპასუხა ჩორვენმა. _ არა, ბოცმან, შენ შინ დარჩი, _ უთხრა ძაღლს, რომელმაც მაშინვე მასთან მიირბინა, მეც თან გავყვებიო.

ბოცმანმა გაიგონა «გავისეირნებთო», ეს კი ჩვეულებრივ ტყეებსა და მინდვრებში დიდხანს ხეტიალს ნიშნავდა და მას არ შეეძლო ამაზე უარი ეთქვა.

ჩორვენმა რომ უბრძანა, შინ დარჩიო, ადგილზე გაქვავდა. დიდხანს იდგა და გასცქეროდა მიმავალ ჩორვენს, პელეს, სტინას და ხელურემში მოკალათებულ მუზესს, მერე კი შებრუნდა, უკან გაძუნძულდა, თავის ჩვეულ ადგილას, კართანაზე დაწვა და თავი თათებში ჩარგო, გეგონებოდა, სძინავსო.

მკვდარი ყურესაკენ ბალახმორეული ძველი თემშარა მიიკლაკნებოდა. დაახლოებით შუა გზაზე ვესტერმანის სახლი იდგა. სხვა გზით შემოვლა ხელურმიანად ძნელი იყო, ამიტომ მუზესიანად მისი ეზოს წინ მოუხდათ გავლა. სასიამოვნო არ იყო, მაგრამ რა უნდა ექნათ?

_ თუ დაგვინახა, ვეღარაფერი გვიშველის, _ თქვა ჩორვენმა, როცა ვესტერმანის კუტიკარს მიუახლოვდნენ, _ მაშინვე წაგვართმევს მუზესს. კორა, ჭირიმე, გაჩუმდი რა! _ შეეხვეწა ვესტერმანის სანადირო ძაღლს, მესერთან მომდგარი რომ ყეფდა. ისღა აკლდათ, ვესტერმანი გამოსულიყო გასაგებად, კორა ვის უყეფსო.

_ ჰო, მაშინ ვეღარაფერი გვიშველის! _ გაიმეორა სტინამ.

მაგრამ ვესტერმანი არ გამოჩენილა. ბავშვებისაკენ ზურგით იდგა მისი ცოლი და თოკზე თეთრეულს ფენდა. კეფაზე კი, მათდა საბედნიეროდ, თვალები არა ჰქონდა. მათ

ვესტერმანის საძოვარსაც ჩაუარეს, სადაც სტინას ბაბუა თავის ცხვრებს აბალახებდა. სტინამ ტუტისენს დაუძახა. ბატკანმა მაშინვე მიირბინა, ეგონა რამე უნდა მაჭამოსო.

_ არაფერი მაქვს, უბრალოდ, მინდოდა მოგსალმებოდი და მენახე, როგორა ხარ, _ უთხრა სტინამ.

რაც შეეხება მუზესს, ისიც მშვენივრად იყო. მთელი გზა მკვდარი ყურესკენ ძალიან კმაყოფილმა იმგზავრა, ფიქრობდა, სასეირნოდ წამომიყვანესო. მაგრამ როცა მოულოდნელად თავის ყუთიანად რომელიღაც სულიად უცხო ფარდულში მოამწყვიდეს, მიხვდა, სასიკეთო არაფერია ჩემს თავსო და, რადგან უდრტვინველად არ უყვარდა ბედს დამორჩილება, აყვირდა. მისი გაავებულ ყვირილი შემზარავად გაისმა ამ უკაცრიელ, მიყრუებულ არემარეში.

_ მუზეს, ისე ღრიალებ, მთელ კუნძულზე ისმის, _ უსაყვედურა პელემ.

ისინი ბნელ სარდაფში გარს შემოუცუცქდნენ სელაპს და თაფლავდნენ, შენთვის ასე სჯობს და მოითმინეო.

_ ცოტა ხანს დაგტოვებთ, გესმის, ძალიან ცოტა ხანს, _ ეუბნებოდა ჩორვენი, _ მერე ყველაფერი როგორმე მოგვარდება და შენც შინ დაბრუნდები.

როგორ მოგვარდებოდა ყველაფერი, ვერ იტყოდა, მაგრამ ჩორვენმა იცოდა: ჩვეულებრივად, ყოველგვარ სიძნელეს ბოლოს და ბოლოს მოევლება ხოლმე და ამჯერადაც ამისი იმედი ჰქონდა.

მუზესმა სალაკით პირი გამოიტენა და თანდათან მიწყნარდა თავის ყუთში.

_ უკეთესი ფარდული არც გინახავს, _ არწმუნებდა ჩორვენი, _ აქ გვარიანად იქნები.

_ თუმცა აქ ყოფნა საშინელებაა, _ ხმის კანკალით დაუმატა ჩორვენის ნათქვამს სტინამ. _ მე მგონია აქაურობა მოჩვენებებითაა სავსე.

ნავის ფარდულში ოდნავ გამოკრთოდა უცნაური, მკრთალი შუქი და აშფოთებდა გოგონას. მაგრამ დამსკდარი კედლების ჭუჭრუტანებიდან მზის სხივები ატანდა და წყლის ნელი ხმაურიც ისმოდა.

_ ცოტა ხანს გარეთ გავალ, _ თქვა სტინამ და მძიმე კარი გამოაღო, რომელიც საზარლად აჭრიალდა დაჟანგულ ანჯამებზე.

სტინა გავიდა და სადღაც გაუჩინარდა.

სტინა თუ ფარდულში ვერა სძლებდა, პელე, პირიქით, საოცარ სიამოვნებას განიცდიდა და თავს როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდა.

_ უჰ, რა იქნებოდა, მეც აქ მეცხოვროა, _ თქვა, როცა თვალი შეავლო კუთხეში მიყრილ ძველაძვულას, ფარდულის უკანასკნელ მეპატრონეს რომ დაეტოვებინა. რა არ ეყარა: სიძველისაგან გაშავებულ დაგლეჯილი სათევზაო ბადეები და გაცვეთილი ოჩხი, რამდენიმე ფიტული ჩიტებზე სანადიროდ, ძალაყინები, სახაპელები, ნიჩბები და ხის ვარცლები. დაჟანგული ღუზა და ხისკავებიანი ადამისდროინდელი ფინური მარხილი. უფრო მოშორებით, კუთხეში იდგა ძველებური აკვანი გვერდზე ამოჭრილი წარწერით: «პატარა ანა» და რაღაც თარიღი. პელემ დამარცვლით ჰკითხა: «პატარა ანა», თარიღი კი ვერ გაარჩია.

_ ალბათ, მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პატარა ანა ამ აკვანში იწვა, _ თქვა პელემ.

_ როგორ ფიქრობ, სად იქნება ახლა პატარა ანა? _ ჰკითხა ჩორვენმა.

პელე ჩაფიქრდა. დიდხანს იდგა ძველ აკვანს მიშტერებულ იდა პატარა ანაზე ფიქრობდა.

_ ალბათ, უკვე მოკვდა, _ თქვა ბოლოს ჩუმად.

_ არა... ეგ არ მინდა... ძალიან ნაღვლიანი ამბავია, _ თქვა ჩორვენმა. _ ეჰ-ეჰ, _ ერთი ღრმად ამოიოხრა და ამღერდა:

ქვეყნიერება, საწუთრო, მართლაც,
კუნძული არის ჭმუნვა-სევდისა,
სიკვდილმა მანამ დამისაკუტრა,
ვიდრე სიცოცხლით ტკბობა მეღირსა.

პელემ კარი გამოაღო და მზის გულზე გავარდა. ჩორვენიც აჩქარდა, სწრაფად გამოემშვიდობა მუზესს, დიდი ამბით დაპირდა, ყოველდღე გინახულებ და სალაკასაც მოგიტანო, და პელეს გაედევნა.

ნაშუადღევს მზის სხივებში მდუმარედ თვლემდა მკვდარი ყურე. პელემ ამოიხვნეშა, მერე თითქოს ეშმაკი შეუძვრაო, საზარელი კივილით გაიქცა. მირბოდა ფარდულიდან ფარდულისაკენ, ერთი დახურული ნავმისადგომიდან მეორისაკენ, თითქოს ვინმე მისდევდა. ისე მიხტოდა ნავმისაბმელების დაპალ წანწალებზე და გამოფუტურეებულ ძელებზე, რომ ჩორვენს შეეშინდა კიდეც. ამგრამ უკან არც თვითონ რჩებოდა. დახურული ნავმისადგომების ბინდ-ბუნდში თავ-პირის მტვრევით მირბოდა ყანყალა ცალფიცრებზე,

რომელთა ქვემოთაც შავი წყალი ბრჭყვიალებდა და ეშხაპუნებოდა ხიმინჯებს. პელე გადარეულივით გარბოდა და ხმას არ იღებდა. არც ჩორვენი ამბობდა რამეს, იმიტომ, რომ ეშინოდა, მაგრამ მაინც დაუფიქრებლად მისდევდა უკან.

მერე აქოშინებულები ჩამოსხდნენ მზით გაჩახჩახებულ წანწალაზე და პელემ ჩორვენს ჰკითხა:

_ სტინა სადაა?

ორივეს უცებ გაახსენდა, რომ სტინა კარგა ხანია აღარ დაუნახავთ და ერთად აყვირდნენ:

_ სტინა! სტინა!

პასუხს არავინ აძლევდათ. ადგნენ და ძებნა დაუწყეს. გამალებული ეძებდნენ, თან ეძახოდნენ, მკვდარი ყურეს თავზე ისმოდა გამოძახილი, მერე ნელ-ნელა სადღაც შორს წყდებოდა და ირგვლივ კვლავ შემზარავი სიჩუმე ისადგურებდა.

პელეს გული გაუსკდა. რა მოუვიდა სტინას?

ვაითუ, რომელიმე ნავსაბმელიდან ზღვაში ჩავარდა?.. ან დაიხრჩო? პატარა სტინა და პატარა ანა... ყოველი ადამიანი რომ მოკვდავია, ეს პელემ იცოდა.

_ რატომ ბოცმანი არ წამოვყვანეთ თან? _ ამბობდა თვალცრემლიანი ჩორვენი.

ისინი იდგნენ შიშითა და გულისტკივილით გათანგულები, რომ უეცრად სტინას ხმა შემოესმათ.

_ აბა, თუ მიხვდებით, სადა ვარ?

პელეს და ჩორვენს დიდხანს ფიქრი არ დასჭირვებიათ. მალე დაინახეს ტინა. ძველი შხუნის ანძის «ყვავის ბუდეში»[9] იჯდა. როგორ აძვრა იქ? ჩორვენი საშინლად განრისხდა, გაავებულმა მოიწმინდა ცრემლები და აყვირდა:

_ შე უბედურო, მანდ რას აკეთებ?

_ ვერაფრით ჩამოვდივარ, _ საცოდავად დაიწრიპინა სტინამ.

_ რატომ აბობღდი მაღლა? _ ჰკითხა პელემ.

_ აქედან მინდოდა გადმომეხედა, _ უპასუხა სტინამ.

_ ჰოდა, იჯექი და იყურე ახლა, _ გაჯავრდა ჩორვენი.

რა ბავშვია! ძვრება ანძებზე და ზღვის ცქერით ტკბება. მათ კი ეგონათ ზღვამ ჩაყლაპაო! რა თქმა უნდა, შესანიშნავია, რომ არ დაიხრჩო, მაგრამ ჭკუა უნდა ასწავლონ.

---

[9] ყვავის ბუდე _ პატარა, ნახევრად მრგვალი მოედანი იალქნიანი გემის ანძაზე.

_ არ გესმოდა, როგორ ვყვიროდით?! _ ბრაზიანად ჰკითხა ჩორვენმა. სტინას შერცხვა. ცხადია, ესმოდა, მაგრამ სასაცილო იყო იმის ყურება, როგორ ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ. სტინა, უბრალოდ, დამალობანას თამაშობდა, თუმცა პელემ და ჩორვენმა ეს არ იცოდნენ, ახლა გაიგეს და მხიარულებაც დამთავრდა.

_ ვერაფრით ჩამოვდივარ! _ ისევ იყვირა სტინამ.

ჩორვენმა კუშტად დაუქნია თავი.

_ მართლა? ჰოდა, იჯექი მანდ. როცა მუზესს სალაკას მოვუტანთ, რამდენიმე თევზს ანკესზე წამოვაცვამთ და მოგაწოდებთ.

სტინა ატირდა.

_ რად მინდა თქვენი სალაკა, ქვევით მინდა ჩამოსვლა და ვერ ჩამოვდივარ.

პელეს შეებრალა სტინა და დავეხმარებიო, გადაწყვიტა, თუმცა ძალიან გაუჭირდა. ანძის წვეროზე აძვრომა კი ეადვილა, მაგრამ იქ, ზევით მიხვდა, სტინა არა ხუმრობდა, რომ ამბობდა: ჩამოსვლა მინდა და ვერ ჩამოვდივარო. ქვევით ჩასვლა პელეს ძალ-ღონეს აღემატებოდა. მაგრამ, რა უნდა ექნა, სტინას წელზე მაგრად მოხვია ხელი და თვალდახუჭული ნელ-ნელა ჩამოსრიალდა, თან იფიცებოდა, ჩემს სიცოცხლეში სამზარეულოს მაგიდაზე მაღლა აღარასოდეს ავალო.

სტინამ რომ იგრძნო, ისევ ნავმისაბმელზე ვდგევარო, თავისებურად მხიარულად ატიკტიკდა.

_ ნეტავ, იცოდეთ, რა სანახაობაა ზემოდან! _ ვითომ აქ არაფერიაო, ისე თქვა სტინამ.

პასუხის მაგიერ ჩორვენმა გამანადგურებელი მზერა ესროლა, პელემ კი თქვა:

_ შინ წავიდეთ, სადაცაა ექვსი გახდება.

_ არა, ყოვლად შეუძლებელია, _ შეედავა სტინა. _ ბაბუას დავპირდი, ოთხ საათზე სახლში ვიქნები-მეთქი და ჯერაც აქა ვარ.

_ შენს თავს დააბრალე! _ ნიშნი მოუგო ჩორვენმა.

_ თუმცა ბაბუა ვერც შეამჩნევს: დიდი საქმე, ორი საათი იქით იქნება, თუ აქეთ, _ გული დაიმშვიდა სტინამ, მაგრამ შეცდა.

სიოდერმანი საძოვარზე ნახეს, თავის ბატკნებს პატარა გეჯიდან წყალს ასმევდა, რომ დაინახა სტინა მოცუნცულებსო, ჰკითხა:

_ აბა, ასე როგორ შეიძლება, სად დადიხარ, რას აკეთებ მთელი დღე?

_ ისეთს არაფერს, _ უპასუხა სტინამ.

სიოდერმანი მკაცრი კაცი არ იყო, ამიტომ მხოლოდ თავი გადააქნია. _ მე მგონი, მართლა არაფერი გაგიკეთებია.

ჩორვენი რომ სახლს მიუახლოვდა, ნავმისადგომზე მამა დაინახა და თავქუდმოგლეჯილი მისკენ გაქანდა.

_ ძლივს არ მობრძანდა ეს ჩემი ჩორვენი! _ თქვა ნისემ. _ რას აკეთებდი მთელი დღე?

_ ისეთს არაფერს, _ ზუსტად სტინასავით უპასუხა ჩორვენმა.

მალინსაც ასეთივე პასუხი გასცა პელემ. ის მაშინ შევიდა შინ, როცა მთელი ოჯახი სასადილო მაგიდას უჯდა.

_ არა, ისეთ არაფერს ვაკეთებდი, _ თქვა პელემ.

და არცა ცრუობდა.

შვიდი წლისა ხშირად ვარდები განსაცდელში. ბავშვობის საიდუმლო და მშფოთვარე ქვეყანაში ხშირად დადიხარ უფსკრულის პირას, მაგრამ გოგნია, რომ «ეს ისეთი არაფერია».

მაგიდაზე შემწვარი ისპანახიანი თევზი იდო. პელე მოიღუშა:

_ რაღაც არა მშია! _ უთხრა მალინს.

მაგრამ იუხანმა თითი დაუქნია.

_ აბა, ნუ შეჭამ! ჩვენ ერთმანეთს მხარი უნდა ავუბათ! სადილი ხომ მამამ მოამზადა. მალინი კი იჯდა და თავის ახალ შეიხს ექაქანებოდა.

_ თანაც მთელი სამი საათი, _ დაუმატა ნიკლასმა.

_ კარგით, გეყოფათ, _ თქვა მელკერმა. _ მალინს თავი გაანებეთ.

მაგრამ ნიკლასი არა ჩუმდებოდა:

_ ნეტა მაინც რაზე ლაყბობდნენ მთელი სამი საათი?

_ მტრედებივით ღუღუნებდნენ! _ უკბინა იუხანმა.

მალინმა იუხანს ღიმილით მოუთათუნა მხარზე ხელი.

_ პეტერ სულაც არაა «შეიხი» და არც მტრედებივით ვღუღუნებდით, რაც არ ყოფილა, არ ყოფილა. მაგრამ მეუბნება, კარგი გოგო ხარო. ეგეც თქვენ!

_ რა თქმა უნდა, კარგი ხარ ჩემო მალინ, _ უთხრა მელკერმა. _ ყველა გოგონა ასეთია.

მალინმა თავი გააქნია.

_ პეტერის აზრით, ყველა არ არის კარგი. ის ამბობს, ახლანდელმა გოგონებმა რომ იცოდნენ, რა უხდებათ, ეცდებოდნენ, უფრო კარგები ყოფილიყვნენო.

_ უთხრას მერე, უთხრას, კარგები იყავით, თორემ მოგხვდებათო, _ ჩაურთო ნიკლასმა.

მალინმა შეხედა და სიცილით უთხრა:

_ ნიკლას, როცა წამოიზრდები და გოგოს გაიჩენ, სულ კარგ გუნებაზე გეყოლება. პელე, ჭამე, _ მიუბრუნდა მერე უმცროს ძმას.

პელემ სიყვარულით შეხედა მამას.

_ მართლა შენ მოამზადე სადილი, მამა? რა ყოჩაღი ხარ!

_ ჰო, სრულიად დამოუკიდებლად მოვამზადე, _ განაცხადა მელკერმა და ნამდვილი დიასახლისივით დაპრუწა ტუჩები.

_ მერე ისპანახის მაგიერ სხვა ვერაფერი მოახერხე? _ ჰკითხა პელემ და ცხვირი აიბზუა.

_ იცი რა, შვილო, _ უთხრა მელკერმა. _ ამ ქვეყანაზე არსებობს ნივთიერებები, რომელთაც ვიტამინებს ეძახიან. გაგიგონია? ა, ბ, ც, დ, ერთი სიტყვით, მთელი ანბანია, მათ გარეშე სიცოცხლე არ შეიძლება, გესმის?

_ საინტერესოა, რომელი ვიტამინებია ისპანახში? _ იკითხა ცნობისმოყვარე ნიკლასმა.

მელკერმა ვერაფრით მოიგონა.

პელემ დახედა მწვანე ფაფას თავის თეფშზე და თავი გაიქნია:

_ ჩემი აზრით, ეს ვიტამინები კი არა, ნეხვია.

იუხანს და ნიკლასს სიცილი აუტყდათ, მალინმა კი მკაცრად უთხრა:

_ როგორ ბედავ, პელე?! ასეთი სიტყვები ჩვენს ოჯახში არ გავიგონო!

პელეს ხმა არ მოუღია, მაგრამ ნასადილევს, თავის ბოცვერს ბაბუწვერას ფოთლები რომ მიუტანა, დამრიგებლურად უთხრა:

_ ჭამე, ნეხვი არ გეგონოს, ცარიელი ვიტამინებია, შეგიძლია მენდოო!

პელემ იოკე გალიიდან ამოიყვანა, კალთაში ჩაისვა და დიდხანს იჯდა ასე. უცებ გაიგონა, რომ მალინი კართანაზე გამოვიდა და მამას ისეთი რაღაც უთხრა, პელეს გული გადაუტრიალდა.

_ მამა, მივდივარ, პეტერი მელოდება! პელეს მიხედე, დროზე დაწვეს.

პელემ სწრაფად ჩასვა იოკე გალიაში, წამოხტა და მალინს დაედევნა.

_ შენ შინ არ იქნები და დაწოლის წინ ძილი ნებისას არ მისურვებ? _ ჰკითხა აღელვებულმა.

მალინი ყოყმანით შედგა. პეტერს შვებულება უმთავრდებოდა, ეს მისი უკანასკნელი საღამო იყო შხერებში, მერე შეიძლება ვეღარც შეხვედროდა ვეღარასოდეს. ამიტომ პელეს გულისთვისაც კი არ შეეძლო შინ დარჩენილიყო.

_ შემიძლია ძილი ნებისა ახლავე გისურვო, _ უთხრო ძმას.

_ არაფერიც არ შეგიძლია, _ იწყინა პელემ.

_ როგორ არა, თუ ძალიან მოვინდომებ.

მალინმა მხურვალედ აკოცა შუბლზე, თვალებში, ყურებზე და რბილ წაბლისფერ თმაზე.

_ ძილი ნებისა, ძილი ნებისა, ძილი ნებისა! ხედავ, მაინც მოვახერხე, _ უთხრა ალერსიანად.

პელეს გაეღიმა, მერე კი ხმა გაიმკაცრა:

_ იცოდე, ძალიან არ დააგვიანო შინ დაბრუნება!

პეტერი ნავმისადგომთან იჯდა და მალინს უცდიდა. ბოლოს და ბოლოს, მასაც ეღირსა კოცნა, თუმცა მალინს არ უკოცნია.

სტინას და ჩორვენს სათამაშო ეტლი გამოეტანათ და ლუვისაბეტთან ერთად ძილის წინ სეირნობდნენ.

როცა ჩორვენმა მოჯადოებული პრინცი დაინახა, ბრაზი მოერია. განა ის არაა დამნაშავე, რომ მუზესი მკვდარი ყურეს ნავების ფარდულში იტანჯება მარტოდმარტო? როცა ისა და სტინა ბაყაყის პრინცად გადაქცევას ლამობდნენ, ფიქრადაც არ მოსვლიათ, პრინცი კუნძულზე ხეტიალს და სელაპების შესყიდვას დაიწყებსო.

_ სულელი ხარ, _ უთხრა სტინას, _ თავში როგორ მოგივიდა, აუცილებლად უნდა ვაკოცოთ ბაყაყსო.

_ მე მაბრალებ? _ გაუკვირდა სტინას, _ ეგ თვითონ არ მოიფიქრე?

_ არაფერიც! _ გაცხარდა ჩორვენი.

იგი გამგმირავად უყურებდა პრინცს, რომელიც სტინასთან ერთად უშოვა მალინს. მშვენიერი ბიჭი იყო. ოქროსფერთმიანს ძალიან უხდებოდა მუქი ლურჯი ქურთუკი. თუმცა, რანაირი ბიჭია, ეს თავისი პირადი საქმეა, ორონდ ესაა, რომ მის გამო უსიამოვნებას უსიამოვნება ემატება.

ჩორვენი ჩაფიქრდა. მიჩვეული იყო, ყოველგვარი მდგომარეობიდან ენახა გამოსავალი.

_ რა იქნება, რომ... _ წამოიწყო და შეჩერდა... _ არა, არა, ალბათ, არაფერი გამოვა.

_ რა არ გამოვა? _ ჰკითხა სტინამ.

_ რა და ერთხელ კიდევ რომ ვაკოცოთ. იქნებ, ისევ ბაყაყად იქცეს! ვინ იცის?

პეტერი ნაპირთან იჯდა და ფიქრადაც არ მოსდიოდა, რა საფრტხე ელოდა. ფხიზლად ადევნებდა თვალს დურგლისეულ კარ-მიდამოს, ელოდა, ბოლოს და ბოლოს, როდის გამოვიდოდა მალინი. ამ წუთას მეტი არაფერი აინტერესებდა. ორი პატარა გოგონა, რომელთაც დუქანში ხშირად ხვდებოდა ხოლმე, მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა ნავმისადგომზე მის გვერდით აღმოჩნდნენ.

_ არ გაინძრე და თვალები დახუჭე ერთი წუთით, _ უთხრა იმან, ჩორვენი რომ ერქვა.

პეტერს გაეცინა.

_ რა მოხდა... ეს რა თამაშია?

_ არ გეტყვით, _ მკვახედ უთხრა ჩორვენმა. _ თვალები დახუჭე-მეთქი, ვის ვეუბნები.

პრინცმა მორჩილად დახუჭა თვალები და გოგონებმა ბოღმიანად აკოცეს. ჯერ ჩორვენმა, მერე სტინამ. მერე ორივემ მოკურცხლა. კარგა მანძილით რომ მოშორდნენ, მხოლოდ მაშინ შეჩერდნენ და მოიხედეს.

_ ახია, ჩვენზე! _ თქვა გულმოკლულმა ჩორვენმა.

_ მერე კი პრინცს, რომელსაც არაფრით უნდოდა ისევ ბაყაყად ქცეულიყო, ხმამაღლა დაუყვირა:

_ აქედან მოშორდი!

დიახ, პეტერი მართალს ამბობდა, თანამედროვე ქალიშვილები და გოგონები არ არიან ისეთი კარგები, როგორიც უნდა იყვნენო.

პეტერი გაოცებით გასცქეროდა ორ პატარა ანჩხლ გოგოს, რომ აკოცეს და გაიქცნენ. მაგრა ამ დროს მალინი დაინახა. მოდიოდა ისეთივე მშვენიერი, როგორც ივნისის იმ საღამოს იყო, და პეტერმა წამით თვალები დახუჭა.

_ რატომ ხუჭავ თვალებს? _ ჰკითხა მალინმა და ცხვირზე წკიპურტი გაჰკრა.

პეტერმა თვალი გაახილა და ამოიოხრა:

_ სამხედრო ხრიკია. ვიფიქრე, იქნებ სალტკროკაზე არის ასეთი ჩვეულება: თვალებს დახუჭავ თუ არა, მაშინვე გაკოცებენ.

_ ხომ არ გაგიჟდი? _ გაუკვირდა მალინს...

პეტერმა ვერ მოასწრო წესიერად აეხსნა რაც მოხდა, რომ ნავის ფარდულთან მდგარმა ჩორვენმა მალინს დაუყვირა:

_ მალინ, იცი რა? მაგისგან თავი შორს დაიჭირე! ეგ ადმაიანი კი არა, ბაყაყია, ბაყაყი!

იმ საღამოს ბოცმანი ისევ ჩორვენის საწოლთან დაგებულ თავის პატარა ნოხზე იწვა. როცა უფროსები, ჩვეულებისამებრ, მოვიდნენ ჩორვენთან, რომ ძილი ნებისა ესურვებინათ, მან უამბო, რატომ გაქრა მუზესი და როგორი არამზადაა ის ვესტერმანი.

_ ზუსტად ეგვიპტის ფარაონსა ჰგავს, _ თქვა ჩორვენმა, _ გახსოვს, ფრედი?

_ მუზესი? სად დამალე შენი მუზესი? _ მისი ადგილსამყოფელის გაგება მოისურვეს ტედიმ და ფრედიმ.

_ საიდუმლოა, _ თვალები მოწკურა ჩორვენმა.

ესეც თქვენ, გასაიდუმლოებულო ტედი და ფრედი. მარტო თქვენ არა გაქვთ საიდუმლო.

_ ჩვენი საიდუმლოა, _ თქვა ჩორვენმა, _ და თქვენ ვერასოდეს, ვერასოდეს გაიგებთ, სადა გვყავს დამალული მუზესი.

ნისე შეფიქრიანებული ჩანდა.

_ ვესტერმანთან როგორმე უნდა მოვაგვაროთ საქმე, _ თქვა ნისემ, მერე ბოცმანს ყურის ძირი მოფხანა და დაუმატა: _ ბოცმანი კი გახარებულია, მუზესი რომ აქ არაა.

ჩორვენი საწოლიდან გადმოიხარა და ბოცმანს თვალებში ჩახედა.

_ ჩემო საძაგელო ძაღლო, ახლა დავიძინოთ! _ უთხრა ნაზად.

მაგრამ დიდი ბედნიერებისაგან, ეტყობა, ბოცმანმა მოსვენება დაკარგა. წარამარა იღვიძებდა და ასე, თორმეტი საათისთვის ქუჩაში გასვლაც მოსთხოვა ჩორვენს.

თვალგაუხელად გაუღო ჩორვენმა კარ.

_ რა დაგემართა, ბოცმან, _ წაიდუდუნა ჩუმად, ბარბაც-ბარბაცით მივიდა საწოლამდე და იმ წუთსავე დაეძინა.

ბოცმანი კი სახეტიალოდ წავიდა ივნისის იმ ღამეს, რომელიც თავისი მქრქალი ნათებით აფორიაქებს ადამიანებსაც და ცხოველებსაც. მალინმა დაინახა, როგორ გამოვიდა ბოცმანი შინიდან და ორი საათის ნახეტიალევი როგორ მობრუნდა უკან. თვითონ ამ დროს დურგლისეული კარ-მიდამოს ჭიშკართან იდგა და პეტერს ემშვიდობებოდა. ასეთი გამოთხოვება ხომ შეიძლება ორ საათსაც გაგრძელდეს. პეტერი ირწმუნებოდა, ივნისის

ღამეები საძილედ არ განაწყობს ადამიანს. ისინი ძალიან მოკლეა, ერთმანეთისათვის კი რამდენი რამა გვაქვს სათქმელიო.

_ ჰო, ბევრ გოგოს შევხვედრივარ, _ ეუბნებოდა პეტერი, _ ზოგიერთი მომწონებია კიდეც. მაგრამ შემყვარებოდა ისე ძლიერ, რომ მისი გულისთვი სიკვდილს არ შევშინებოდი... ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა ჩემს ცხოვრებაში.

_ იქნებ ისევ გყვარს ის გოგონა? _ ჰკითხა მალინმა.

_ რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს.

_ დიდი ხანია? _ განაგრძობდა გამოკითხვას მალინი, თუმცა, ეტყობოდა, გულჩამწყდარი იყო.

_ მოიცა, დავთვალო, _ უთხრა პეტერმა, დახედა საათს და წყნარად დაიწყო თვლა. _ მას შემდეგ ზუსტად ათი დღე, თორმეტი საათი და ოცი წუთი გავიდა. ბაც და შემივყარდა. თუ გინდა, წაიკითხე რა ჩავწერე გემის ჟურნალში: «დღეს პეტერი შეხვდა მალინს». მეტი არაფერი წერია და არცაა საჭირო.

მალინს გაეღიმა.

_ მაგრამ, რადგან ასე სწრაფად მოხდა ყველაფერი, იქნებ ძალიან ხანმოკლე იყოს... ბაც... და დამთავრდეს.

პეტერმა სერიოზულად შეხედა.

_ მალინ, მე ერთგული ბიჭი ვარ, შეგიძლია მენდო!

_ ერთგული ბიჭი ხარ? _ ჩაეკითხა მალინი.

ამ დროს შორიდან ძაღლის ყეფა მოისმა.

_ ნეტა რა დაემართა ბოცმანს?

ივნისის ღამეა თუ რაღაცაა, ხომ არ შეიძლება, სულ ჭიშკართან იდგე. ბოლოს მუხლები თავისით გეკეცება. პეტერმა აკოცა მალინს და იგი ნელ-ნელა წავიდა შინისაკენ. პეტერი კი ისევ იდგა და უყურებდა. უცებ მალინი შემობრუნდა.

_ მე მგონი, იმ შენს ჟურნალში შეგიძლია ჩაწერო: «დღეს მალინი შეხვდა პეტერს», _ წყნარად უთხრა მალინმა და ვაშლის ხეებქვეშ გაუჩინარდა.

ივნისის ღამეები საძილედ არ განაწყობს ადამიანს, _ ამბობდა პეტერი. სხვათა შორის, ბევრი ფიქრობს ასე. ის, ვისაც ღამე არ სძინავს და აქეთ-იქით დაეხეტება. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ყველა შინ ბრუნდება. ბოცმანიც სწორედ მაშინ დაბრუნდა უკან, როცა მალინმა უკანასკნელად უსურვა პეტერს ღამე მშვიდობისა და სწორედ მაშინ მიაშურა

იანსონის საძოვარზე მცხოვრებმა მელამ თავის სოროს. სიოდერმანსაც ცუდად სძინავს თეთრ ღამეებში. ახლაც საძოვარზე იყო, ცხვრების დასახედად, და ახლა ტუტისენით ხელში მოდიოდა.

ივნისის ამ ღამეს კიდევ ერთი ვიღაც გამოვარდა შინიდან სასეირნოდ და სახტუნაოდ. იოკე... ოჰ, ნუთუ პელემ კარგად არ ჩაურაზა კარი? საწყალი იოკეც დანავარდობდა მთელი ღამე, ორონდ ის უკან აღარ დაბრუნებულა.

მწუხარება და სიხარულ განუყრელია...

მწუხარება და სიხარული განუყრელია... ზოგჯერ ნაღვლიანი და უსიხარულო დღე დაგიდგება და ისიც მაშინ, როცა სრულიად არ ელოდები.

მეორე დილას სიოდერმანი ადრიანად მივარდა ნისესა და მერტასთან დუქანში. შეფიქრიანებულმა და გულნატკენმა სამწუხარო ამბავი გააგებინა.

_ წუხელ, ჩვეულებისამებრ, ვსეირნობდი. უცებ ძაღლის ყეფა და ცხვრების ბღავილი მომესმა. ისე ბღაოდნენ, იტყოდი, ყელს სჭირანო. მივედი ახლოს _ ცხვრები წინ და უკან დარბია, გეგონება, ვირაცა დასდევთო. საძოვარზე კი, რა გგონიათ, ვინ ვნახე? ბოცმანი! გაცხარებული დარბოდა...

ამას რომ ამბობდა, სიოდერმანს ისეთი სახე ჰქონდა, იფიქრებდი, ქვეყანა ინგრევაო. ნისე გაკვირვებული უყურებდა.

_ ჰოო... მაშ, ვინ ერეკებოდა ცხვრებს აქეთ-იქით?

_ ვერ გაიგე, კაცო? ვინა და ბოცმანი! სახლში წამოვიყვანე ფეხდაკბენილი ტუტისენი.

_ ისეთ სისულელეს იტყვიან, ყურში არ გაიგონებ, _ თქვა მერტამ. _ ბოცმანმა ცხვარი დაგლიჯაო, ამას არაფრით არ დავიჯერებ!

ნისემ თავი გააქნია, რა უნდა უპასუხოს ასეთ უაზრო ბრალდებაზე.

ბოცმანი ყველაზე თვინიერი ძარლია ამ ქვეყანაზე. თავის სიცოცხლეში ტყუილუბრალოდ არავისთვის შეუყეფია, წინ რომ ბავშვი, კატის კნუტი ან ბატკანი დაუსვა, ცუდად თათს არ დააკარებს! ახლა კი ამბობენ, ცხვრებს დაერიაო, არა, ამას ბოცმანი არ იზამდა!

სიოდერმანი მაინც თავისას გაიძახოდა. ამ დროს კარტოფილის საყიდლად დუქანში მალინი მოვიდა, მას ფეხდაფეხ ვესერმანი მოჰყვა. ნისესთან მუზესის თაობაზე სურდა მოლაპარაკება, მაგრამ საამისოდ ვის ეცალა!

_ რა იცი, იქნება კორა იყო, _ თქვა ნისემ, ვესტერმანი რომ დაინახა.

სალტკროკაზე მხოლოდ ორი ძაღლი იყო _ კორა და ბოცმანი.

ვესტერმანმა ღვარძლიანად დაიწყო მტკიცება, ზოგიერთივით კი არა ვარ, ჩემი ძაღლი ჯაჭვითა მყავს დაბმულიო. მალინსაც დამოწმება მოუხდა. მართალია, კორა, ჩვეულებისამებრ, იჯდა თავის ჯიხურის წინ და წკავწკავებდა, როცა გუშინ, საღამოს თერთმეტ საათზე, პეტერთან ერთად ვესტერმანის სახლს ჩავუარეო.

_ თანაც, _ უხალისოდ დაამატა მალინმა, _ წუხელის ბოცმანს ქუჩაში მოვკარი თვალი. შინ როდის დაბრუნდა, ისიც დავინახე, ყეფაც გავიგონე, მისი ყეფა, ჰო, მახსენდება, ასე იყო.

სიოდერმანმა ნაღვლიანად შეხედა ნისეს. ვერაფერი სასიხარულოა ასეთი სამწუხარო ამბების მოტანა.

_ ბოცმანი არასოდეს ყეფს, ეს შენც იცი, ნისე. ხომ გაიგონე, რა ვთქვი: დავინახე, როგორ გამოხტა ცხვრის ფარის შუაგულიდან-მეთქი.

ნისემ კბილები დააღრჭიალა.

_ თუ მართალია, რასაც ამბობ, ერთი გზაღაა დარჩენილი.

მერტა ტიროდა და ცრემლის დამალვასაც არ ცდილობდა: ტიროდა მწარედ და დაუფარავად. შიშით ფიქრობდა კიდევ ერთ პატარა ადამიანზე, რომელსაც გულში ლახვარივით მოხვდებოდა ეს ამბავი. რა უნდა უთხრან ჩორვენს?

ჩორვენი შინ არ იყო. კუნძულზე დარბოდა იოკეს საძებნელად. ბავშვები პელესთან ერთად ეძებდნენ დაკარგულ ბოცვერს. იუხანმა, ნიკლასმა, ტედიმ, ფრედიმ და ჩორვენმა იქაურობა გადაჩხრიკეს... იოკე არსად ჩანდა. პელე გამწარებული ეძებდა, ცრემლად იღვრებოდა და სძულდა თავისი თავი. რატომ კარგად არ ჩაუგდო გუშინ საკეტი, რატომ იჩქარა? რგორ შეიძლება ასე მოიქცე, როცა ბოცვერი გყავს. პელე ტიროდა და ტიროდა. საწყალი იოკე, ნუთუ აღარასოდეს დაბრუნდება?

ბოლოს და ბოლოს, იპოვეს იოკე. პირველად ტედიმ დაინახა. ცხვრების ფარეხისშორიახლოს, თხრილთან, ღვიის ბუჩქის ძირას უსიცოცხლოდ დაგდებულ იდაგლეჯილი ბოცვერი რომ დაიანხა, ტედი მიხვდა, იოკეაო, და დაიყვირა:

_ არა, არა, ეს ყოვლად შეუძლებელია!

ვირაც დადგა მის ზურგს უკან. თავი რომ მოაბრუნა, პელე დაინახა და გულისმგამგმირავად იკივლა:

_ პელე, აქ არ მოხვიდე!

მაგრამ გვიან იყო, პელემ ყველაფერი დანახა.

დაინახა თავისი ბოცვერი.

ყველანი გარს შემოერტყნენ, თუმცა შველა არ შეეძლოთ. არც ერთ მათგანს ჯერ არ შეხვედროდა დიდი მწუხარება და არ იცოდნენ, რა უნდა ექნათ, როცა პელესავით გულდათუთქულ ადამიანს უყურებდნენ.

იუხანს ტირილი აუვარდა.

_ მამას დავუძახებ, _ წაიბუტბუტა და შინისაკენ მოკურცხლა.

მელკერმა რომ პელე დაინახა, მასაც ცრემლი მოადგა თვალებზე.

_ ჩემი საწყალი ბიჭი, _ მხოლოდ ამის თქმაღა მოახერხა შეწუხებულმა.

მერე პელე აიტაცა და დურგლისეულ კარ-მიდამოში მალინთან წაიყვანა. პელე არა ტიროდა; მთლად მოკუნტულიყო, თვალები დაეხუჭა და სახე მამის მკერდში ჩაემალა. ამ ქვეყანაზე აღარაფრის დანახვა არ სურდა.

«სიკვდილმა მანამ დამისაკუთრა, ვიდრე სიცოცხლით ტკბობა მეღირსა»... იოკე, მისი ბოცვერი, მისი ერთადერთი მხეცი რატომ უნდა დაღუპულიყო? პელე პირქვეჩამხობილი, ბალიშში თავჩარგული იწვა ლოგინში. მერე კი ისიც ატირდა, წყნარად, საცოდავად ატირდა. მისმა ტირილმა გული ატკინა მალინს.

იგი გვერდით უჯდა პელეს და თვითონვე გრძნობდა თავის უღონობას.

ეს ბიჭი, ახლა საწოლზე რომ იწვა, ეს გამხდარი და სუსტი ბიწი, ასეთი პატარა, თავს დატეხილი დიდი მწუხარებისათვის, მალინს ყველას ერჩია. საშინელებაა, რომ არაფრით შეუძლია დაეხმაროს და მწუხარება ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს. მალინმა თმაზე გადაუსვა ხელი და ახსნა დაუწყო, რატომ არ შეიძლებოდა რამით შველა.

_ იცი, პელე, ზოგჯერ ადამიანს მწუხარება შეხვდება ხოლმე ცხოვრებაში. მარტო დიდებს კი არა, პატარებსაც. აი, შენსავით პატარა ბავშვმაც უნდა გამოიაროს უბედურება და მოერიოს მწუხარებას. ოღონდ, თვითონ უნდა მოერიო, სხვა ვერავინ გიშველის.

პელე საწოლში წამოჯდა, თვალცრემლიანი, სახეგაფითრებული. მალინს ყელზე შემოეჭდო, მაგრამ ჩაეხუტა და ხრინწიანი ხმით შეევედრა;

_ მალინ, დაიფიცე, რომ არ მოკვდები, სანამ მე დიდი არ გავიზრდები. მალინიც დიდის ამბით დაპირდა და დაიფიცა, ვეცდები, არ მოვკვდებო.

ხოლო მერე დასამშვიდებლად უთხრა:

_ ახალ ბოცვერს გიყიდით, პელე.

ბიჭმა თავი გაიქნია.

_ არა, არასოდეს მეყოლება სხვა ბოცვერი!

კიდევ ერთი პატარა ტიროდა კუნძულზე, პელესავით ჩუმად და უსიტყვოდ კი არა, ისე ცხარედ და ხმამაღლა, მთელ კუნძულს ესმოდა.

_ ყველაფერი ტყუილია, ყველაფერი, _ ყვიროდა ჩორვენი.

ჩორვენი მუშტებმოღერებული მივარდა მამას, ასეთი რამე რატომ მითხარიო.

მას არ უნდა ეთქვა, არ უნდა ეთქვა ასეთი საშინელი სიტყვები... რომ ბოცმანი... არა, არაფრის გულისათვის! უკბინა ტუტისენს და დაგლიჯა იოკეო, თქვა მამამ. ეს არ მოხდებოდა, არა, არა და არა! საწყალი ბოცმანი! წაიყვანს და გაიქცევა შორს, შორს, აღარასოდეს დაბრუნდება უკან. ოღონდ მანამდე ცხვირ-პირს დაუსიებს ყველას, ვინც ასეთი სისულელის თქმას გაბედავს...

გაშმაგებულმა ჩორვენმა ფეხსაცმელები გაიძრო და მიიხედ-მოიხედა, ვის ეთხლიშო თავშიო... არა, მამას არა... ვინმეს, სხვა ვინმეს. შესაფერისი ახლომახლო რომ არავინ აღმოჩნდა, გამწარებულმა ფეხსაცმელები ყვირით ხეთქა კედელს.

_ მე თქვენ გიჩვენებთ! მე თქვენ გიჩვენებთ! _ ყვიროდა საზარლად.

ჩორვენი სულ გადაირია, რომ დაინახა, მამამ ბოცმანი ჯაჭვით დააბაო, და მამას მისდგა.

_ შენი აზრით, მაგის აშვება აღარ შეიძლება, არა?

ნისემ ამოიოხრა.

_ ჩორვენ, ჩემო საწყალო გოგო, _ უთხრა და მის წინ ჩაცუცქდა. ასე ჩაჯდებოდა ხოლმე ყოველთვის, როცა უნდოდა, ჩორვენს კარგად დაეგდო ყური.

_ ჩორვენ, ძალიან გულსატკენი რაღაც უნდა გითხრა.

_ მეტი რაღა მეტკინება!

ნისემ ისევ ამოიოხრა.

_ ჰო, მეც შენზე ნაკლებად არ მიჭირს, მაგრამ შეუძლებელია ისეთი ძაღლის სიცოცხლე, რომელიც ცხვრებს კბენს და ბოცვრებს გლეჯს.

ჩორვენმა უხმოდ შეხედა მამას. პირველად ვერ გაიგონა, თუ ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა, ემრე კი გულსაკლავი ყვირილით სწრაფად გაეცალა იქაურობას.

ჩორვენი საწოლზე დავარდა, თავი ბალიშში ჩარგო და თავის სიცოცხლეში ყველაზე გრძელი და ყველაზე მწარე დღე გამოიარა.

ტედი და ფრედიც ტირილისაგან თვალებდასიებულები დადიოდნენ ოთახებში. ისინი ჩორვენზე ნაკლებად არ დარდობდნენ ამ ამბავს. მაგრამ როცა დაინახეს საწოლზე უძრავად გაშოტილი ჩორვენი, გული ეტკინათ. საწყალი ჩორვენი! ყველაზე მეტად მაინც მას უჭირს! დები გვერდით ჩამოუსხდნენ და ცდილობდნენ ლაპარაკით გაერთოთ, იქნებ მწუხარება ცოტა მაინც გაუნელდესო. მაგრამ ჩორვენს თითქოს არაფერი ესმოდა, მხოლოდ ერთადერთი სიტყვა დასცდა:

_ მომშორდით!

ტედი და ფრედიც მოსცილდნენ თვალცრემლიანები. ნისემ და მერტამაც სცადეს დალაპარაკებოდნენ ჩორვენს, არც მათ გასცა პასუხი. დრო გადიოდა. ჩორვენი ჩუმად და უძრავად იწვა ლოგინში. მერტა წამდაუწუმ აღებდა მისი ოთახის კარს, იქიდან ჩუმი სლუკუნის მეტი არაფერი ისმოდა.

_ მეტი აღარ შემიძლია, _ თქვა ბოლოს, _ წამო, ნისე, ერთხელ კიდევ ვცადოთ, იქნებ დავამშვიდოთ.

მართლაც შეეცადნენ. ყველაფერი სცადეს, რაც მოყვარულმა და სასოწარკვეთილმა გულმა უკარნახათ.

_ ჩორვენ, შვილო, _ ეუბნებოდა მერტა, _ ბებიასთან რომ გაგაგზავნოთ ქალაქში, წახვალ?

პასუხად მხოლოდ სლუკუნი ისმოდა.

_ თუ გინდა, ველოსიპედს გიყიდით, _ უთხრა ნისემ. _ ოღონდ გვითხარი.

კვლავ სლუკუნი და მეტი არაფერი.

_ ჩორვენ, ნუთუ აღარაფერი გინდა? _ ხმა ჩაუწყდა მერტას.

_ მინდა, სიკვდილი მინდა, _ წაიბუტბუტა ჩორვენმა, სწრაფად წამოჯდა ლოგინში და სხაპასხუპით მიაყარა:

_ მე, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. ბოცმანზე არა ვზრუანვდი, სულ მუზესს ვუვლიდი.

მან უკვე ყველაფერზე იფიქრა, ყველაფერზე იფიქრა სასოწარკვეთილმა. ეს ასე უნდა მომხდარყო. თვითონაა დამნაშავე. ბოცმანს არასოდეს არავისთვის მიუყენებია ზიანი. და თუ მართალია, ტიტსენი დაკბინა და იოკე დაგლიჯაო, მხოლოდ იმიტომ ქნა, რომ თვითონ იყო ცუდად, ძალიან ცუდად და აღარ ედარდებოდა...

_ მე ვარ დამნაშავე, მე, _ ქვითინებდა ჩორვენი. _ მე მომკალით. ბოცმანს რას ერჩით!

მერე ისევ ჩარგო თავი ბალიშში, წამით გაახსენდა მკვდარი ყურეს ფარდულში ჩაკეტილი მუზესი, მაგრამ ის თითქოს სულ სხვა სამყაროში ცხოვრობდა და მასზე ფიქრი აღარ შეეძლო. მხოლოდ ერთი საზრუნავი დარჩენოდა _ ბოცმანი. წარმოუდგენელი წუხილით ფიქრობდა ბოცმანზე, ჭიშკართან ჯაჭვით დაბმულ ბოცმანზე. მალე მამა აიღებს თოფს და ტყესი წაიყვანს მოსაკლავად.

_ მომიყვანე ბოცმანი, _ ბალიშიდან თავი არ აუწევია ისე წაიბუტბუტა ჩორვენმა.

ნისე შეწუხებული უცქეროდა.

_ შვილო, იქნებ სჯობს, არა ნახო?

_ ჩქარა მომიყვანე, _ აღრიალდა ჩორვენი.

ტედიმ მოუყვანა ძაღლი და გოგომ ყველა გაყარა ოთახიდან.

_ მარტო მინდა ბოცმანთან დარჩენა.

მარტო რომ დარჩნენ, ჩორვენი ყელზე შემოეჭდო ძაღლს და აქვითინდა.

_ მაპატიე, ჩემო ბოცმან, მაპატიე!

ბოცმანიც უყურებდა თავისი ერთგული თვალებით და ალბათ, ფიქრობდა:

«ოჰ, შე ბიზკო, ვერ გამიგია, აქ რა ხდება. ნუ ხარ ასეთი ნაღვლიანი, ამის ატანა არ შემიძლია». ჩორვენმა თავზე ხელი მოხვია და თვალებში ჩააცქერდა, ცდილობდა მის თვალებში ამოეცნო საშინელი აუხსნელი ამბის სინამდვილე.

_ ეს ტყუილია! ოჰ, ბოცმან, ნეტა ლაპარაკი შეგეძლოს, ხომ ყველაფერს უამბოდი ამათ.

ეჰ, ნეტა მართლა შესძლებოდა ლაპარაკი! ნეტა შესძლებოდა!

მკვდარი ყურეს ნაპირზე ნავის ფარდულში ჩაკეტილი მუზესის ამბავს აღარ იკითხავთ? გაახსენდა ვინმეს? ჰო, როგორ არა, სტინას. თუმცა ისიც ტიროდა, ტუტისენზეც ტიროდა, იოკეზეც და ბოცმანზეც. ერთი სიტყვით, დღეს მთელი სალტკროკა ცრემლად იღვრებოდა. მაგრამ ბაბუამ უთხრა ტუტისენი მალე გამოჯანმრთელდებაო. ჰოდა, მუზესი შიმშილით ხომ არ უნდა მოკვდეს თავს დატეხილი უბედურების გამო.

_ პელე და ჩორვენი წვანან და ტირიან, წუთიც არ ჩერდებიან. ასე რომ, მე უნდა მოვუარო მუზესს, _ თქვა სტინამ და ბაბუას სალაკა მოსთხოვა.

მერე სალაკა კალათში ჩააწყო და გზას გაუდგა. სიოდერნმა კი თავისი საქმე გააგრძელა, ორიოდე წუთი და ვესერმანიც მივიდა, პირიდან ცეცხლს ჰყრიდა, როგორ გაბედა ნისე გრაკვისტმა კორაზე ეჭვის მიტანაო.

_ ცილი დასწამეს ჩემს ძაღლს, _ გაჯავრებული შესჩიოდა სიოდერმანს.

დუქანში მომხდარი ამბის მერე ვესტერმანს ნისესთან სელაპზე დავის ხალისი დაეკარგა. ახლა ისღა დარჩენოდა, ეპოვა სელაპი, ჩუმად წამოეყვანა და საიმედოდ დაემალა, სანამ იმ ღლაპს არ ნახავდა, სელაპებით რომ ვაჭრობს. მაგრამ სადაა ის ოხერ-ტიალი სელაპი? გუბურაში არ არის, საერთოდ, არსად არ ჩანს, თუმცა ვესტერმანი მთელი დილა დაეძებდა.

_ არ იცი, სად გააქრეს სელაპი იმ ცინგლიანებმა? _ ჰკითხა სიოდერნმას, სიოდერმანმა თავი გააქნია.

_ სად გააქრობდნენ. სტინამ ახლახან სალაკა მთხოვა, მუზესს უნდა ვაჭამოო.

სიტყვა არ ჰქონდა სიოდერმანს დამთავრებული, რომ გაახსენდა, რასაც ამბობდა სტინა. ვესტერმანს უნდა სელაპი წაგვართვას და გაყიდოსო.

_ რა გაგიხდა ეგ სელაპი, _ უთხრა ვესტერმანს. _ სულ დაკარგე სირცხვილ-ნამუსი, კაცო!

ვესტერმანმა ერთი შეიკურთხა და წავიდა. გამაბრიყვესო, ფიქრობდა და ყველაზე ჯავრობდა: იმ ცინგლიანებზე, ნისე გრანკვისტზეც, სიოდერმანზეც, ერთი სიტყვით, მთელ კუნძულზე. ეშმაკმა წაიღოს ეს სალტკროკა! იგი სახლისაკენ გაუყვა გზას, უეცრად წინ კალათით მიმავალი სტინა შენიშნა. გამხნევებულმა ნაბიჯს უმატა და გოგოს დაეწია.

_ საით გაგიწევია, პატარა სტინა? _ ჰკითხა შემპარავად, მიხვდა, ეშმაკობის გარეშე არაფერი გამოუვიდოდა.

სტინამ საყვარლად გაუღიმა თავისი უკბილო პირით.

_ ხა-ხა-ხა! ზუსტად რუხი მგელივით მეკითხები.

ვესტერმანი ვერაფერს მიხვდა.

_ რუხი მგელივით? რომელ მგელზე ამბობ?

_ შენ რა, არ იცი წითელქუდას და მგლის ზღაპარი... თუ გინდა, გიამბობ.

ვესტერმანი არც ამ ზღაპრის მოსმენის გუნებაზე იყო და არც სხვისა, მაგრამ რა უნდა ექნა! სტინა ყველაზე თავისნათქვამა მეზღაპრე იყო სალტკროკაზე. ჰოდა, ვესტერმანმა ბოლომდე მოისმინა რუხი მგლისა და წითელქუდას ზღაპარი. მხოლოდ მერე მიეცა სიტყვის თქმის საშუალება.

_ ვისთვის მიგაქვს ეგ სალაკა? _ იკითხა მიამიტად.

_ მუ... _ წამოიწყო სტინამ და მაშინვე გაჩუმდა, გაახსენდა ვის ელაპარკებოდა...

ვესტერმანი მაინც არ ეშვებოდა.

_ რა თქვი, სალაკა ვისთან მიმაქვსო?

_ ბებიაჩემისთვის, _ უყოყმანოდ უპასუხა სტინამ და სიცილით დაუმატა: _ «ბებია რატომ გაქვს ასეთი დიდი პირი?» _ ჰკითხა წითელქუდამ. _ «იმიტომ, რომ ბევრი სალაკა შევჭამოო», _ დაიღუმვლა ბებიამ. ხა, ხა, ხა, ხა! კარგი რამეა, არა ვესტერმან?

მერე თავისი უბადლო კიჭანა კბილები გამოაჩინა, ეშმაკურად გაუღიმა და მოკურცხლა.

მაგრამ სტინა მაინც იმ წითელქუდაზე ნაკლებად გულუბრყვილო არ იყო, მგელს რომ ბებიას ქოხისაკენ ასწავლა გზა. ამიტო უდარდელად გაემართა პირდაპირ მკვდარი ყურესაკენ, ისე, რომ უკან აღარც მოუხედავს. თავი ერთხელ მაინც რომ მოებრუნებინა, შეიძლება თვალი მოეკრა კვალდაკვალ ქურდულად ადევნებულ ვესტერმანისათვის. თუმცა მას დამალვა არცა სჭირდებოდა, სტინაზე უფრო დიდი დოყლაპია ძნელად მოიძებნებოდა, თანაც მუზესთან ძალიან მიეჩქარებოდა.

სტინა რომ კარებში შეძვრა, მუზესმა შეუყვირა და შეუსისინა, მაგრამ სალაკა რომ მიართვეს, მაშინვე გაჩუმდა. სტინა გვერდით ჩამოუჯდა და ეფერებოდა, სანამ მუზესი ჭამდა.

_ გიკვირს არა, მარტო რომ მოვედი? _ ჰკითხა მუზესს. _ მეტს არაფერს გეტყვი, თორემ იდარდებ.

იდარდებო? განა ისედაც არ დარდობდა? მუზესს არ მოსწონდა ნავების ფარდული და არც მარტო დარჩენა სურდა. აი, ახლა სტინა მოვიდა და აღარაფრით აღარ გაუშვებს. კარგად იცოდა, როგორ უნდა დაეტოვებინა. სალაკა რომ მოათავა, მის მუხლებზე აძვრა და გაინაბა. როცა სტინა შეეცადა დაბლა ჩაეგდო, ბრაზიანად ასისინდა, არც იფიქრო დაბლა ჩაგდებაო! თუ მუზესი ამ ფარდულში უნდა იყოს გამოკეთილი, სტინაც იჯდეს მასთან ერთად. სტინას ფეხები დაუბუჟდა და ცოტა შეშფოთდა. რას გაუგებ ამ მუზესს, ვინ იცის, რამდენ ხანს მოინდომებს მის კალთაში ნებივრობას. იქნებ ზაფხულის ბუნიობის დღესასწაულამდე. ასე იჯდეს, მაშინ ხომ ორივე შიმშილით დაიხოცებიან. ეს რომ გაიფიქრა, ველარ მოისვენა და მუზესს სეევედრა.

_ შენი ჭირიმე, ჩადი რა დაბლა!

მაგრამ მუზესს ძირს ჩასვლა არ ნებავდა. სტინა ერთხელ კიდევ შეეცადა მუხლებიდნ გადაეგდო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, მხოლოდ ბრაზით ასისინდა მუზესი.

უცებ სტინამ კალათის ძირზე მიკრული თევზი დაინახა. სწორედ ამან გადაარჩინა. სალაკა კალათიდან ამოიღო და იმ სიმაღლეზე ასწია, რომ მუზესი ვერ შესწვდენოდა, მერე კი მთელი ძალით მოისროლა ფარდულის კუთხეში. იკადრა მუზესმა მისი კალთიდან ჩამოსვლა და თევზისკენ გაბობღდა. უკან დაბრუნებლს სტინას მუხლები აღარ დახვდა, რომ ზედ აცოცებულიყო. უნდა გენახათ, როგორ აღრიალდა გაშმაგებული.

_ კარგად იყავი, მუზეს, კარგად! _ დაუძახა სტინამ და კარი გაიჯახუნა. მერე გარედან გადარაზა და თავისი თავის კმაყოფილი წავიდა. ისე წავიდა, არც მარჯვნის გაუხედავს, არც მარცხნივ, თორემ შენიშნავდა შუკაში ფარდულებს შუა მიმალუ ვესტერმანს.

და თუმცა სტინა წითელქუდასავით მიამიტი იყო, რა ბედნიერებაა, რო მუზესს მაინცდამაინც ახლა მიუტანა სალაკა! კიდევ კარგი, სელაპი ასე დიდხანს ეჯდა მუხლებზე, თორემ ამ დროს ვერ ჩაივლიდა ცხვრის ფარეხთან და ვერ ნახავდა წანწალა მელას, უზამრაზარ, მშიერ მელას, რომელმაც ღამით ვერც ცხვრის კანჭით ჩაიგემრიელა პირი და ვერც ბოცვერის ხორცით, იმიტომ, რომ რომელიღაც ცოფიანმა ძაღლმა ისევ თავის სოროში შეაგდო.

ახლა მელა მთლად გაწანწალებული იყო და ბატკნით აპირებდა შიმშილის მოკვლას, მაგრამ საიდანღაც ადამიანის ყველაზე ავი ნაშიერი გამოტყვრა და ყვირილით არემარე გააყრუა.

გული გაუსკდა მელიას, შეშინებული მესერის ხვრელში გაძვრა, გზაზე გავარდა და ტყის განაპირას მდგარ ნაძვებს შუა გაუჩინარდა. წითლად მოლაპლაპე ელვასავით პირდაპირ ფეხებთან გაურბინა სიოდერმანს, იმის შესამოწმებლად რომ მოდიოდა, ახალი კიდევ რა ჩაიდინა ფარეხში ბოცმანმაო. ელვის სისწრაფით გაქროლილი მელიას დანახვაზე სიოდერმანი გაკვირვებისაგან ადგილზე გაქვავდა.

_ მელია! _ კიოდა სტინა. _ ბაბუ, ნახე მელა?

_ აბა არა! _ უპასუხა სიოდერმანმა. _ ოჰ, ეგ მზაკვარი, ეგა! ამხელა მელია ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. აი, თურმე ვინ დაძრწის ჩემს ფარეხში.

_ შენ კი მიდიხარ და ბოცმანს ცილსა სწამებ, _ უსაყვედურა სტინამ.

_ ჰო, ცილსა ვწამებ, _ კეფა მოიქექა სტინას ბაბუამ. იგი მოხუცი იყო და ისე სწრაფად ვერ აზროვნებდა. არა, ეს როგორ მოხდა? ღამით ბოცმანი ნახა. არასოდეს გაუგონია,

მელიას ცხვრის ფარაზე თავდასხმა გაებედოს. მაგრამ, ეტყობა, აღმოჩნდა ამ ქვეყანაზე ასეთი გაიძვერა. ან იქნებ მელამ და ბოცმანმა პრი შეკრეს და ერთმანეთს ეხმარებიან ცხვრეზე ნადირობაში? არა, ეს შეუძლებელია! და უეცრად სიოდერმანი მიხვდა: მელა დაედევნა ტუტისენს, ბოცმანი კი მელას. ბოცმანმა დაიფარა მისი ცხვრები, აი, რა ქნა! სიოდერმანმა კი მადლობის მაგიერ ტყუილები დასწამა და ახლა, ალბათ... ოჰო, ჰო, ჰო, ჰო! სიოდერმანი აჩქარდა.

_ შენ აქ დარჩი, _ დაუძახა სტინას, _ და თუ მელა დაინახო, იყვირე და იყვირე!

თვითონ კი ნისესთან უნდა გაიქცეს, ჩქარა, ჩქარა! იგი გაიქცა, მოხუცი სიოდერმანი გაიქცა, თუმცა, ვინ იცის, რამდენი წელია, აღარ ურბენია. დუქნამდე ისე მიირბნა, ძლივს ითქვამდა სულს.

_ ნისე შინა ხარ? _ იყვირა შეშფოთებულმა.

კართანაზე ნამტირალევი მერტა გამოვიდა.

_ შინ არაა, ბოცმანი წაიყვანა ტყეში, _ თქვა მერტამ, თვალებზე ხელები აიფარა და სახლში შევარდა.

_ ოჰო, ჰო, ჰო! _ სიოდერმანი იდგა დარეტიანებული, თითქოს ურო დაარტყეს თავშიო, მერე ისევ გაიქცა. კვნესოდა, ოხრავდა, მაგრამ მაინც გარბოდა. მალე მთლად ილაჯი გაუწყდა. რა ქნას? უნდა გაიქცეს, ძალა მოიკრიბოს და დაეწიოს ნისეს, დაგვიანების უფლება არა აქვს.

_ სადა ხარ, ნისე, _ ყვიროდა ღონემიხდილი სიოდერმანი. _ სადა ხარ? არ ისროლო!

უქარო დღე იდგა. ნაძვები და ფიჭვები დუმდნენ. სიოდერმანი შეუსვენებლივ მირბოდა და მირბოდა. უეცრად თოფი გაარდა. ო, რა ხმამაღალი ტყის გამოძახილი გაისმა! სიოდერმანი შეჩერდა, გულზე იტაცა ხელი. დააგვიანდა, ყველაფერი დამთავრდა, ოჰო, ჰო, ჰო! რა დაემართა! ვეღარაოდეს შეხედავს ჩორვენს თვალებში. რა დღე გაუთენდათ! უბედურება თუ გინდა, ესაა! სიოდერმანი ადგილზე გაშეშდა. თვალდახუჭულს ანაზდად ფეხის ხმა მოესმა და თვალები გაახილა. მხარზე თოფგადაკიდებულ ნისე მოდიოდა, გვერდით კი... სიოდერმანს ყბა მოექცა. ნისეს გვერდით ბოცმანი მოსდევდა.

_ ეს შენ... ისროლე? _ მოხუცს ენა დაება. ნისე სასოწარკვეთილი იყურებოდა.

_ ღმერთო მიშველე! არ შემიძლია, სიოდერმან, არ შემიძლია, ისევ იანსონს უნდა ვთხოვო, თოლიებს ნადირობს. წეღან ის ისროდა თოფს.

მწუხარება და სიხარული განუყრელია და ზოგჯერ ყველაფერი წამში შეიძლება შეიცვალოს. ეს რომ მოხდეს, მხოლოდ ისაა საჭირო. სირბილით გულამოვარდნილმა თვალცრემლიანმა მოხუცმა თქვა:

_ ჩემს ფარეხში გაიძვერა მელა დაძრწოდაო.

ნისე სიოდერმანს მოეხვია.

_ შენსავით ჩემს სიცოცხლეში არავის, არც ერთ ადამიანს არ გავუხარებივარ, ჩემო სიოდერმან!

არავინ, სულ არავინ არ დაბრუნებულა ტყიდან თავისი ძაღლით ისეთი გახარებული, როგორც ნისე გრაკვისტი ბრუნდებოდა ბოცმანთან ერთად. და თუმცა ნისე ბედნიერია და უხარია, ღამით არ დაეძინება, სულ ტყეში გატარებულ იმ საშინელ საათს გაიხსენებს, გაიხსენებს ბოცმანის თვალებს, როცა იგი ნაძვებს შუა კაჭართან ჩაყუნცული ელოდა გასროლას. ბოცმანმა იცოდა, რაც ელოდა, მაგრამ ნისეს მაინც მორჩილად, ერთგულად და ნაღვლიანად უყურებდა. იმ ნაღვლიანი მზერის გახსენება ძილს დაუკარგავს ამაღამ ნისეს. ახლა კი სიხარულს ვერ იოკებს და ჩორვენს ეძახის:

_ აქ მოდი, ჩორვენ! მოდი, შე ბზიკო, შენა! უნდა გაგახარო!

პელე, ეს ქვეყანა სევდა-ნაღველის კუნძული როდია

_ მე კი სულ ვტირი და ვტირი, _ უკვირდა ჩორვენს. იგი სამზარეულოში იჯდა იატაკზე და ბოცმანს ეხუტებოდა, ბოცმანი კი ხორცის ფარშს ჭამდა. მას მთელი კილო პირველხარისხოვანი ფარში მიართვეს, ყველა პატიებას სთხოვდა. მთელი ოჯახი გარს შემოხვეოდა ბოცმანს, ეფერებოდა და უყვავებდა. «ყველაფერი შესანიშნავია», _ ფიქრობდა ჩორვენი.

_ წარმოგიდგენიათ, მე კი სულ ვტირი და ვტირი, _ გაიმეორა გაჯავრებულმა ჩორვენმა და ცრემლები მუშტებით მოიწმინდა.

მან პირწმინდად გაიხსენა, რაზეც იმ საშინელ საათებში ფიქრობდა. თურმე ცდებოდა. ბოცმანს ცხვრების დაგლეჯა არც უფიქრია, თუნდაც ძალიან ბევრი ყოფილიყო. იგი ამჯერადაც კარგი ძალივით იქცეოდა. მაგრამ ზოგი რამ ჩორვენმა მაინც სწორად გადაწყვიტა. ამიერიდან ძველებურად მოიქცევა, ისე, როგორც ადრე იყო, სანამ მუზესი მოვიდოდა და ყველაფერს თავდაყირა დააყენებდა.

ჰო, მუზესი! ნეტა როგორაა იმ თავის ფარდულში? უეცრად იოკე გაახსენდა. პელე, საწყალი პელე, რატომ ისიც არ ხარობს ჩორვენთან ერთად? ახლა ყველას უნდა უხაროდეს.

რა თქმა უნდა, პელეს გაუხარდა ბოცმანი რომ დამნაშავე არ აღმოჩნდა. გაუხარდა იმდენად, რამდენადაც სასოწარკვეთილს სიხარული შეეძლო. ის ხომ ბოცმანს თავის ბოცვერზე ნაკლებად არ დარდობდა და დიდი ნუგეში იყო იმის გაგება, იოკე ბოცმანს არ დაუგლეჯიაო.

_ გულზე მომეშვა, ბოცმანი უდანაშაულო რომ გამოდგა, _ უთხრა მელკერს. მერე კი მობრუნდა და ხმაჩამწყდარმა დაამატა: _ თუმცა იოკესთვის სულ ერთი იყო, ალბათ.

ღამით პელეს იოკე დაესიზმრა, ცოცხალი იოკე, რომელმაც მასთან ბაბუაწვერას ფოთლებისათვის მიირბინა. გათენდა და არავითარი იოკე აღარ იყო. მისი გალიაც აღარსად ჩანდა, იუხანმა და ნიკლასმა მოაშორეს იქაურობას, პელემ არ დაინახოსო. ძმებს უყვარდათ პელე და ცდილობდნენ, საჩუქრებით გაეხარებინათ. მათ იახტის პატარა მოდელი აჩუქეს, იუხანმა კი ზედ თავისი ძველი ჯაყვაც დაამატა. პელეს ისე აუჩუყა გული ძმების უსაზღვრო გულკეთილობამ, რომ მადლიერებისაგან აღარ იცოდა რა ექნა. მაგრამ დილა მაინც ნაღვლიანი იყო მისთვის და პელე ფიქრობდა: «ნუთუ მუდამ ასე ვიდარდებ? თუ ასე იქნა, რა გაუძლებს ამ წუხილს მთელი სიცოცხლე».

საღამოს იოკე დაკრძალეს იანსონის საძოვარზე, არყის ხეებს შუა, ყვავილებითა და ბალახით აბიბინებულ პატარა კორდზე.

«აქ განისვენებს იოკე»

პელემ ეს წარწერა თავად მოიფიქრა და მაშინვე ამოჭრა ხის დაფაზე. ახლა მუხლებზე ჩაჩოქილი ამწვანებულ ბელტებს აწყობდა იოკეს საფლავს. ჩორვენი, სტინა და ბოცმანი კი უყურებდნენ. რა თქმა უნდა, იოკე კარგად იქნება: მალე მის საფლავზე აყვავდება ნუში და შავი შაშვები დღევანდელივით უგალობენ ხოლმე ყოველ საღამოს.

ჩორვენს და სტინასაც მოუნდათ სიმღერა: _ დაკრძალვაზე ყოველთვის მღერიან. ბევრჯერ ჩაუფლავთ მიწაში მკვდარი ჩიტები და ყოველთვის ერთსა და იმავე სიმღერას მღეროდნენ.

ამჯერად კი იოკესთვის წამოიწყეს:

«ქვეყნიერება, საწუთრო, მართლაც კუნძული არის ჭმუნვა-სევდისა...»

_ არა, არ გვინდა ეს სიმღერა, _ სწრაფად თქვა ჩორვენმა.

რა დაემართა პელეს? რატომ ტირის? აქამდე არასოდეს უტირია, ახლა ზის ქვაზე მათკენ ზურგშექცეული და ჩუმად სლუკუნებს გულამოსკვნილი. გოგონამ დაბნეულად შეხედა მეგობარს, სტინა კი შეშფოთდა.

_ იქნებ იმიტომ ტირის, რომ ქვეყნიერება, საწუთრო, კუნძული არის ჭმუნვა-სევდისა?

_ განა მართლა ეგრეა! _ თქვა ჩორვენმა და პელეს გასძახა; _ გეყოფა, პელე, ეს ქვეყანა ჭმუნვა-სევდის კუნძული როდია. უბრალოდ, იოკესთვის ვმღეროდით ასე.

ჩორვენს არავის ცრემლების დანახვა არ უნდოდა. პელე როგორმე უნდა გაამხიარულოს. უცებ ჩორვენი მიხვდა, ამისათვის რა უნდა ექნა.

_ პელე, რაღაც უნდა გაჩუქო, ოღონდ პირობა მომეცი, რომ აღარ ინაღვლებ.

_ რა უნდა მაჩუქო? _ პელეს თავი არ მოუბრუნებია, ისე ჰკითხა უხალისოდ.

_ რა და, მუზესი.

ჯერ თვალცრემლიანი ბიჭი შემობრუნდა და უნდობლად მიაჩერდა ჩორვენს.

_ ჰო, სულ შენი იყოს, _ მტკიცედ უთხრა ჩორვენმა.

და პელემ გაიღიმა, პირველად იმ მწარე წუთიდან მოყოლებულ, იოკე რომ დაიკარგა. _ რა კეთილი ხარ, ჩორვენ!

გოგომ თავი დაუქნია.

_ ჰო, კეთილი ვარ, თანაც... მე ბოცმანი მყავს.

სტინამ ჩაიცინა.

_ ახლა ისევ ყველას გვყავს მხეცები: წავიდეთ და ეს ამბავი მუზესსაც ვუთხრათ.

ბავშვები დაეთანხმნენ. მუზესმა უნდა იცოდეს, ვინაა ამიერიდან მისი პატრონი. თანაც, საწყალს, უნდა აჭამონ კიდეც.

_ ნახვამდის, ჩემო იოკე, _ ნაზად თქვა პელემ და ერთხელაც აღარ მობრუნებულა, ისე გაიქცა.

პელე თითქოს გამოცვალესო, უცებ მხიარული, დაუდეგარი და უდარდელი გახდა, ხტუნვა-ხტუნვითა და კუნტრუშით გაირბინა მთელი გზა მკვდარი ყურესაკენ, მერე კი მიწაზე დავარდა და კოტრიალით ჩაგორდა ფერდობზე ნავების ფარდულისაკენ.

_ შენ რა გიხარია, მუზესი რომ შენია? _ ჰკითხა ჩორვენმა.

პელე ცოტათი ჩაფიქრდა.

_ არ ვიცი... შეიძლება. იცი რა, ძალიან ძნელია ნაღვლიანად ყოფნა. ასე დიდხანს ვერაფრით გაძლებ.

_ მოიცა, ნახავ მუზესს და უფრო გაგიხარდება, _ უთხრა ჩორვენმა და ნავის ფარდულის კარი გამოაღო.

შემცბარი ბავშვები ზღრუბლზე შეჩერდნენ და ცარიელ ფარდულს მიაჩერდნენ. მუზესი არსად ჩანდა, გამქრალიყო.

_ გაიპარა, _ გონს მოეგო ჩორვენი.

_ ჰო, გაიპარა და თვითონ ჩაუგდო კარს ურდული, არა? _ წაგესლა პელემ.

მუზესი თავისი ნებით არსად წასულა, ვიღაცამ მოიპარა.

ჩორვენი სტინას მიუბრუნდა.

_ ვინმემ გნახა, გუშინ აქეთ რომ მოდიოდი?

სტინა წუთით ჩაფიქრდა.

_ არა, მე მგონი, არავინ. მხოლოდ ვესტერმანმა მნახა. მაგრამ იმას მარტო წითელქუდას ზღაპრის მოსმენა უნდოდა.

_ შენ ვინ არ გაგაბრყივებს, _ უთხრა ჩორვენმა. _ უჰ, ის ვესტერმანი ნამდვილი ყაჩაღია.

ჩორვენმა ისე აჰკრა ფეხი მუზესის ყუთს, რომ კედელს მიახეთქა.

_ იმას ვუჩვენებ სეირს, ჩამოსახრჩობია ის ქურდი, ისა. _ ყვიროდა გაშმაგებული ჩორვენი.

_ მე ვიცი, რაც უნდა ვქნათ, _ თქვა პელემ. _ ავდეგეთ და იმას კიდევ ჩვენ მოვპაროთ. რაზეც გინდათ დავნაძლევდეთ, ვესტერმანს მუზესი თავის ნავის ფარდულში ჰყავს გამომწყვდეული. და ის ფარდულიც მარტო ურდულითაა ჩაკეტილი.

ჩორვენს ოდნავ მოეშვა გულზე.

_ ამ საღამოსვე... ოღონდ ჯერ ვესტერმანმა დაიძინოს, _ თქვა ფიცხად.

სტინაც გამოცოცხლდა, მაგრამ ერთი რამ ედარდებოდა.

_ რა გვეშველება, ვესტერმანზე ადრე რომ დაგვეძინოს?

_ არ დაგვეძინება, _ მუქარით თქვა ჩორვენმა, _ ბრაზისაგან არ დაგვეძინება.

ეტყობოდა, სტინა ძალიან არა ბრაზობდა, რაკი ვერ შეძლო, ეფხიზლა.

ჩორვენმა და პელემ კი შეძლეს და, რაც ყველაზე გასაოცარია, ვერავინ შეამჩნია შინიდან როგორ გამოიპარნენ.

იმ საღამოს სალტკროკა მელაზე ნადირობდა. ყვეალს დაუძახეს, რომ მელა წამოეგდოთ და სოროდან გამოეძევებინა. ეს, იცოცხლე, მოახერხეს, გაგორებით კი ვერ გააგორეს: მელია კაჭკაჭების კონცხთან რომ მოიმწყვდიეს, მიხვდა, ამათ ველარ

გადავურჩებიო, წყალში შევარდა და გაცურა. ეს ემლა საფრთხიდან თავის დაძვრენას იყო მიჩვეული, ახლა მახლობელ კუნძულამდე დიდი გზა აღარ ედო.

ნისე გრანკვისტმა ტყვია დაადევნა, მაგრამ ააცდინა.

ეს რომ პელემ გაიგო, გაუხარდა.

_ აბა, როგორ! მელიებსაც უნდა სიცოცხლე, მით უმეტეს, რომ კუნძულ ნორსუნდზე არც ბოცვერებია, არც ცხვრები და არც ქათმები.

_ ასე რომ, იქ ხეირს ვერ ნახავს, _ თქვა კმაყოფილმა ჩორვენმა. _ ის არამზადა, ისა, როგორ დაგლიჯა ჩვენი იოკე.

_ ეგრე იმიტომ ქნა, რომ მელიაა, _ აუხსნა პელემ. _ მელიაა და ზნეც მელიისა უნდა ჰქონდეს.

_ ჰო, კარგი, მელიაა, მაგრამ ხომ შეეძლო, თუნდაც, ადამიანივით მოქცეულიყო, _ არაფრით არ უნდოდა მელიის ფსიქოლოგიის გაგება ჩორვენს.

თუმცა... ადამიანივით მოქცეულიყო? მაგალითად, იმ ვესტერმანივით? რითაა ის უკეთესი. წავიდა და საწყალი პატარა სელაპი მოიპარა მხოლოდ იმისთვის, რომ გაყიდოს. არაფერი გამოუვა, ურჩევნია თავი გაანებოს მაგაზე ოცნებას, _ თავისას არ იშლიდა ჩორვენი.

_ ოღონდ, მთავარია, კორა არ აყეფდეს, _ დაამატა ბოლოს.

კორა აყეფდა. რომ დაიანხა, როგორ მიიპარებოდნენ პელე და ჩორვენი, ბალანი აეშალა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აყეფდა. პელემ წინასწარ გაითვალისწინა ეს ამბავი. დფურგლისეულ კარ-მიდამოში იმ დღეს ხორციანი სადილი ჰქონდათ. ჰოდა, გემრიელი ძვლები წამოიღო, აყეფებულ კორას საძაღლესთან თითო-თითოს უგდებდა და ალერსიანად ეხმიანებოდა. ძაღლიც ნელ-ნელა დაჩუმდა. მაგრამ მაინც ეშინოდათ: ვაითუ, ვინმე გამოვიდეს და შეამოწმოს, კორა რად ყეფდაო. ბავშვები დიდხანს იწვნენ კუტიკართან მდგარ იამსამნის ბუჩქის უკან მოკუნტულები და იცდიდნენ. სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ისინი ფრთხილად გამოძვრნენ მდელოზე. მოპირდაპირე მხარეს, კბოდეზე სახლი იდგა, სწორედ ამ სახლის წინ უნდა გაევლოთ, ნავის ფარდულთან რომ ჩასულიყვნენ. სახლში სიბნელეს და სიჩუმეს დაესადგურებინა. ღამეული ცის ნათელი თაღის ქვეშ ქვის ფილაზე შავად და მრისხანედ მოჩანდა სახლის ოთხკუთხედი. ახლომახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

_ მგონი, ძილქუში დაეცათ! _ თქვა კმაყოფილმა ჩორვენმა.

ნაადრევი გამოდგა მისი სიხარული _ უეცრად განათდა ერთი ფანჯარა და ჩორვენმაც სული განაბა. მათ ვესტერმანის ცოლი იმ წუთას დაინახეს, მაგიდაზე ლამფას რომ ანთებდა. ბავშვებს დრო აღარ დაუკარგავთ, გაიქცნენ და ფანჯარასთან, ზედ კედლის ძირას მიწას გაეკრნენ. შეშინებულები იწვნენ და ელოდნენ, ნეტავი ვესტერმანის ცოლმა დაგვინახა, თუ არაო? იქნებ ლამფის ანთებამდე დიდხანს იდგა ფანაჯრასთან, ფარდის იქიდან ეზოში იჭყიტებოდა და თვალი მოჰკრა, როგორ შეცვივდნენ ბავშვები კუტიკარში. ვინდ არჩებოდა შეუმჩნეველი ივნისის ასეთ ნათელ საღამოს ამ მოშიშვლებულ კბოდეზე, სადაც ერთი თავის მოსაფარებელი ბუჩქიც არა ხარობდა.

მაგრამ ვესტრმანის ცოლი გარეთ არ გამოსულა და ბავშვებს გული მოეცათ. ფანჯრსი ქვემოთ მიყუჟულებს ის ვერ დაიანხავდა, თუ, რა თქმა უნდა, ფანჯრიდან საგანგებოდ არ გადმოიხრებოდა და დაბლა არ ჩაიხედავდა. მათ კი იმედი ჰქონდათ, ამას არ იზამსო. თორემ იმას რომ ჩხუბი დაეიწყო, რა ეშველებოდათ, კორასავით ძვლებით ხომ ვერ გააჩუმებდნენ. პელეს და ჩორვენს განძრევისაც ეშინოდათ, ერთმანეთისთვის წაჩურჩულებას ვერ ბედავდნენ, ლამის აღარ სუნთქავდნენ. მეტი არაფერი დარჩენოდათ, ჩუმად უნდა წოლილიყვნენ ყურდაცქვეტილები. მათ ესმოდათ, როგორ დადიოდა ვესტერმანის ცოლი ოთახში. ფანჯარა ყურთამდე იყო გამოღებულ იდა იგი სულ ახლოს იყო. შეეძლოთ, ხელი გადაეწვდინათ რაფაზე და მისალმებოდნენ: «გამარჯობათ თქვენი, გამარჯობათო!» ქალი რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის. და, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, მოულოდნელად კითხვა დაიწყო. ჰო, ხმამაღლა კითხულობდა. ჩორვენმა წაიკვნესა კიდეც ფანჯრის ქვემოთ. გაზეთი «ნორტელიეს მაცნე» ან რამე ასეთი მაინც წაეკითხა, თორემ იწვე მიწაზე მოკუნტული და ისეთ რამეს უსმინო, სიტყვაც რომ არ გესმის, ეს ყოველგვარ ძალ-ღონეს აღემატება.

არც პელეს ესმოდა არაფერი. რატომღაც ბიბლიის ნაწყვეტი ეგონა. მონოტონური გამართულ იკითხვა ისმოდა. პელემ ყური მიუგოდ და უცებ, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, უცნობი სიტყვების კორიანტელში რამდენიმე გამოთქმა გაიგონა და განათდა მისთვის ყველაფერი. ასეთი რამ ადრეც მოსვლია, მაგრამ მაშინ ცალკეულ სიტყვებზე ემართებოდა ხოლმე. ოჰ, რა ლამაზად ჟღერდნენ ისინი!

_ ნუთუ არ მომცემს ფრთებს განთიადი, რომ დავესახლო მე ზღვის კიდეზე... _ კითხულობდა ვესტერმანის ცოლი. მერე ამოიოხრა და კითხვა განაგრძო. პელეს მეტის მოსმენა აღარ უნდოდა. ეს სიტყვები კი არასოდეს დაავიწყდება. მან წყნარად ჩაიბუტბუტა თავისთვის: «ნუთYუ არ მომცემს ფრთებს განთიადი, რომ დავესახლო მე ზღვის კიდეზე...»

განა დურგლისეული კარ-მიდამო ზღვის კიდეზე არაა? აი, იქ გინდა ცხოვრება, იქით მიისწრაფი ქალაქიდან. მას რომ განთიადის ფრთები ჰქონოდა, გადაუვლიდა ყურეებსა და ფიორდებს და იქ მიფრინდებოდა. ო, რა კარგია გადაფრინდე ზღვის კიდეზე მყუდრო სავანეში... დურგლისეულ კარ-მიდამოში.

პელე ფანჯარასთან იწვა, ფიქრებში წასულ იბუტბუტებდა და ვერც გაიგო, როდის ჩაჩუმდა ვესტერმანის ცოლი. ჩორვენმა მუჯლუგუნი გაჰკრა. ახლა რა მოხდება ვესტერმანის ცოლმა ჩააქრო ლამფა და ოთახში სიბნელე ჩამოწვა. უედრად პელემ თავს ზემოთ ვიღაცის სუნთქვა იგრძნო. მაღლა ახედვა ვერ გაბედა მიხვდა ღია ფანჯარასთან ვესტერმანის ცოლი იდგა. ო, რა საშინელია, იწვე ასე მოკუნტული და ელოდე სმენად ქცეული. აი, ახლა შეგვამჩნევს, აი, ახლაო, ეჭვიც არ ეპარებოდა პელეს. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა იგრძნეს, მეტი აღარ შეგვიძლიაო, ფანჯარა ჯახუნით მიიხურა და ორივენი _ პელეც და ჩორვენიც _ შეხტნენ. მერე ყვეალფერი მიჩუმდა. ცოტა ხანს კიდევ იწვნენ და თავიანთ გახშირებულ გულისცემას უსმენდნენ, მერე ცუცქვა-ცუცქვით სწრაფად გაძვრნენ სახლის უკან და ნავების აფრდულისაკენ დაეშვნენ.

_ მუზეს, აქა ხარ? _ წაიჩურჩულა ჩორვენმა.

მუზესი ნამდვილად იქ იყო, იმიტომ, რომ ისე აყვირდა, გეგონება, კლავენო. ჩორვენმა კარი გამოაღო.

სტინა შიშმა აიტანა, მეორე დღეს ამ ამბავს რომ უყვებოდნენ, როგორ ყვიროდა მუზესი, როგორ აჩუმებდნენ, როგორ გამოვარდა ვესტერმანი პერანგის ამარა და როგორ ლანძღავდა მისი ეზოდან გამოსულებს, როგო ყეფდა კორა, ბოლოს როგორ ჩაჩურთეს მუზესი ხოკერში და მასთან ერთად შინისაკენ, დურგლისეული კარ-მიდამოსაკენ როგორ მოკურცხლეს. ვესტერმანი კი იდგა კუტიკართან და იმუქრებოდა:

_ მაცალე, ჩორვენ, გიჩვენებ სეირს!

_ კიდევ კარგი, თქვენთან არ ვიყავი, _ თქვა სტინამ, _ თორემ შიშით მოვკვდებოდი.

იმ ღამეს მუზესს პელეს საწოლის გვერდით, იატაკზე, ეძინა. იუხანი და ნიკლასი გაოცდნენ, მაგრამ არ გაჯავრებულან, დილით ახალი ემზობელი რომ დაინახეს.

_ იძულებული გავხდი, ოთახში შემომეყვანა, შემეშინდა, ვესტერმანმა ისევ არ მოიპაროს-მეთქი, _ აუხსნა ძმებს პელემ. – ახლა მომეხმარეთ, მამა როგორმე დავითანხმოთ.

მამამ, რა თქმა უნდა, ხელად იპოვა გამოსადავებელი.

_ ჩორვენი ნამდვილად კარგად და კეთილშობილურად მოიქცა მუზესი რომ გაჩუქა, _ უთხრა პელეს, _ ოღონდ არ მომწონს, შენ, ჩორვენი და ის ვესტერმანიც განგსტერებივით რომ იქცევით და ღამღამობით ერთმანეთს სელაპებსა პარავთ.

გადაწყვიტეს ერთად მოეფიქრათ რამე. ოჯახი რომ სამზარეულოში საუზმეზე შეიყარა, ესმოდათ, როგორ დაბობღავდა სელაპი მათ თავს ზემოთ ბიჭების ოთახში.

მალინი დიდად არ აღტაცებულა ამ ახალი ბინადრის შემომატებით, მაგრამ პელეს გულისთვის უნდა მოეთმინა. გრძნობდა, პელეს სწორედ ახლა სჭირდებოდა მუზესი. ვესტერმანს მოუწევდა, სურდა თუ არა, შერიგებოდა ამ ამბავს.

_ იმას ხომ ფულის მეტი არაფერი აინტერესებს, _ თქვა იუხანმა, _ არ შეგიძლია მამა, ორასი კრონი მიუგდო და სელაპი პელეს დარჩეს?

_ ერთი შენ თვითონ მიუგდო ეგ ორასი კრონი და მაშინ მიხვდები, როგორია, _ მიუგო მელკერმა, _ მაგრამ პელეს ყველა უნდა დავეხმაროთ. ფულის შოვნა შეიძლება, ოღონდ მოინდომოს კაცმა.

მათაც მოინდომეს. ყველა სალტკროკელმა ბავშვმა მოინდომა მონაწილეობა მიეღო კამპანიაში, რომელსაც მელკერმა «ოპერაცია მუზესი» უწოდა. ეს თამაშს ჰგავდა. მარწყვის კვლების მარგვლა, ჭიდან წყლის თრევა, ნავებიდან წყლის ამოხაპვა, ნავსაბმელზე ფისის წასმა, მოაგარაკეთა Fჩემოდნების თრევა, ახლა უფრო საიტნერსო გახდა. ბავშვებმა იცოდნენ, რომ ყოველი გამომუშავებული ერეთი იზრდებოდა ვესტერმანისაგან მუზესის გამოსასყიდი თანხა.

ვესტერმანმა ჩაიცინა, როცა დუქანში მოსულმა «ოპერაცია მუზესის» ამბავი გაიგო.

_ მე რა მენაღვლება, _ თქვა აგდებულად, _ რას დაგიდევ, ვინ იყიდის სელაპს. მე ჩემი ორასი კრონი მომეცით და ისიც ამ კვირაში, თორემ სხვას მივყიდი.

_ წადი აქედან, ვესტრერმან! _ პირდაპირ მიახალა ჩორვენმა.

ვესტერმანმა ოცდახუთერეიანი მონეტა გადაუგდო ჩორვენს.

_ აჰა, მუზესის ანგარიშში იყოს, გამოგადგებათ! არა მგონია, შაბათამდე ორასი კრონის შეგროვება შეძლოთ. მეტს კი მე არ მოვიცდი!

_ წადი, აქედან, _ ყოველი შემთხვევისათვის გაუმეორა ჩორვენმა. მაგრამ ფულ იაიღო და დახლზე დადგმულ მუზესის ყულაბაში ჩააგდო.

_ არ შეიძლება, ჩორვენ, ასე ლაპარაკი, _ მკაცრად უთხრა ნისემ მერე ვესტერმანს მიუბრუნდა: _ ცუდი კაცი ხარ, ვესტერმან, ცუდი!

პასუხად ვესტერმანმა მხოლოდ ჩაიცინა.

«ოპერაცია მუზესი» გრძელდებოდა. მასში ყოველდღე სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ებმებოდა.

_ შეხედე, მუზეს, შენი გულისთვის როგორი ბებერები დამაჯდა, _ ეუბნებოდა ფრედი, რომელიც შუადღემდე ხალიჩებს ბერტყავდა.

სტინა კი თავისებურად შოულობდა ფულს. ხელში დაფა ეჭირა წარწერით: «ოპერაცია მუზესი» და ეზო-ეზო დადიოდა, მღეროდა, ზღაპრებს ყვებოდა. კუნძულის მცხოვრებნი და მოაგარაკენი ზოგი ხალისით, ზოგი მხოლოდ თავიდან მოსაშორებლად აძლევდნენ ფულს. სტინამ არც მელკერი გამოტოვა. ერთხელ ბაღში გასულ იმელკერი თავის საწერ მანქანას რომ უკაკუნებდა, სტინა წინ აეტუზა და ეუბნება:

_ წყნარად იჯექი, ძია მელკერ, ზღაპარი უნდა გიამბო. ეს ორმოცდაათი ერე ეღირება.

მელკერმა პირის გაღება ვერ მოასწრო, რომ სტინა უკვე სულშეგუბებულ, ჩლიფინით უყვებოდა მოჯადოებული პრინცესის ზღაპარს. მელეკრი რამდენჯერმე ეცადა, შეეწყვეტინებინა ლაპარაკი, მაგრა სტინას კიჭანა ღიმილი ფარ-ხმალს აყრევინებდა. ის ხომ კეთილსინდისიერად ცდილობდა ფულის შოვნას.

წინასწარ მოთხვნილი გასამრჯელო რომ მიიღო, სტინამ წასვლა დააპირა. მელკერმა შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ტყუილად. სტინამ, ეტყობა, რაღაც გადაწყვიტა, უკან მობრუნდა და მელკერს მტკიცედ უთხრა:

_ რამე უნდა გიმღერო, ერთი სიმღერა ოცდახუთი ერე ეღირება.

_ შენი გაჩუმება რამდენიღა ეღირება? _ ჰკითხა სასოწარკვეთილმა მელკერმა.

_ არაფერი გამოგივა, უკვე ვმღერი, _ თქვა სტინამ, თვალები გადაატრიალა და წვრილი ხმით, განცდით ამღერდა. ქალაქში უყურებია ვიღაც მომღერალი ქალისთვის და იმას ბაძავდა.

მუზესი კი ცხოვრობდა თავისი ცხოვრებით. არც არაფერზე ნაღვლობდა და არც «ოპერაცია მუზესი» ედარდებოდა. ნავების ფარდულში მარტოობაში გატარებული საათები აშკარად არ მოუხდა. ძლივს იცნობდით, ისეთი მოუსვენარი, ფიცხი და ავი გახდა. წინანდელზე მეტს ყვიროდა და სისინებდა. ზოგჯერ კი საკბენადაც იწევდა.

_ მუზესი ისეთი ცხოველი არაა, სხვა შინაურ ცხოველებს რომ მერჩივნოს, მაგრამ რას იზამ! _ ამბობდა მალინი ისე, რომ პელეს არ გაეგონა.

პელე მუზეს სიოკეზე ნაკლებად არ აღმერთებდა. როცა მუზესი შეუსისინებდა, ის ნაზად უსვამდა ხელს და ეფერებოდა:

_ საწყალო პატარა მუზეს, რა დაგემართა? არ მოგწონს ჩემთან?

მუზესს აღარსად მოსწონდა ყოფნა. არც ნავების ფარდულში უნდოდა გაჩერება და არც გუბურაში. ყველაზე სიამოვნებით დროს ზღვისპირას ატარებდა, პელეს კი იქ წაყვანა ეშინოდა. ძია ნისემ გააფრთხილა:

_ ბუგურაში გყავდეს, თორემ გაგექცევა.

პელესაც ჩაკეტილი ჰყავდა გუბურაში და ნაღვლიანად ფიქრობდა, რა კარგია, ისეთი ცხოველის ყოლა, შენგან წასვლა რომ არ ენდომებაო. იოკე გაიქცა, თავისდა საუბედუროდ. პელეს იმედი ჰქონდა, მუზესს ეს არ დაემართებაო. საწყალი მუზესი, რატომ გახდა ასეთი მოუსვენარი?

ტუტისენს ფეხი თითქმის მოურჩა, მაგრამ ფარეხში ჯერ არ აბრუნებდნენ. ბატკანი სულ სტინას დასდევდა ფეხდაფეხ, ბოცმანი _ ჩორვენს. მაგრამ ბოცმანს ეს თავისით არ გაუბედავს. ისეთი ძაღლი არ იყო, ვინმეს ძალით ადევნებოდა. მან წყნარად, მშვიდად დაიკავა ჩვეულ ადგილი დუქნის კართანასთან და იწყვა მანამ, სანამ ჩორვენი არ მივიდა და კისერზე არ მოეხვია.

_ არა, ბოცმან, შენ აქ აღარ დაწვები, არასოდეს აღარ დაწვები. ბოცმანიც ადგა, გოგოს გაჰყვა და მას მერე გვერდიდან აღარ მოშორებია.

ჰოდა, დადიოდნენ ჩორვენი და სტინა, უკან თავიანთი ცხოველები მოსდევდათ, ხოლო პელეს არ ჰყავდა არაფერი, უკან რომ გაჰკიდებოდა.

_ თუმცა სელაპი კი გყავს, _ ეუბნებოდა ჩორვენი.

პელე ჩაფიქრდა.

_ მე მგონი, მუზესი არავის არაა, თავისი თავისაა.

მოვიდა შაბათი დღე, როცა ვესტერმანისათვის თავისი ორასი კრონი უნდა მიეცათ.

სალტკროკის დუქანში ერთი ალიაქოთი იდგა, ფული უნდა დაეთვალათ. იქაურობა ხალხით იყო სავსე. ეს ამბავი ხო მთელ კუნძულს აინტერესებდა. სალტკროკელები გროშსაც არ გაიმეტებდნენ ვესერმანისათვის. ჩორვენს აწყენინა, მათ ჩორვენს, აცალოს, აჩვენებენ თვალის სეირს! ასე რომ, ყველა გოგონას მხარეზე იყო.

ვესტერმანმა ეს იცოდა და ამიტომ თავი ჩვეულებრივზე უფრო აგდებულად ეჭირა. დათქმულ დროს ნისეს დუქანში შეალაჯა და დახლთან მივიდა. დახლის იქით ბავშვები ჩამწკრივებულიყვნენ. ყველანი ვესტერმანს მისჩერებოდნენ: მელკერსონებიც და გრანკვისტებიც. ყველაზე გაჯავრებით ჩორვენი უყურებდა. აი, თავხედი! იმ სელაპში

უნდა ფულის გამორთმევა, თვითონვე რომ აჩუქა. ახლა რამდეი ჯაფა დასჭირდა იმ სელაპის გამოზრდას, რამდენი რძე და რამდენი სალაკა!

ვესტერმანი ქვეშ-ქვეშად იცინოდა და ლაზღანდარობდა.

_ რა ალერსიანად მიყურებ, ჩორვენ. როგორ გგონია, დაგრჩება სელაპი?

_ აბა, ვნახოთ, _ თქვა ნისემ და ყულაბა დახლზე დააპირქვავა.

ნისემ რომ ფულის თვლა დაიწყო, დუქანში სიჩუმე ჩამოვარდა. ხმას არავინ იღებდა. მხოლოდ მონეტების წკრიალი და ნისეს ბუტბუტი ისმოდა.

პელე დახლის უკან მარგარინის ყუთზე ჩამოჯდა. რა საშინელი მოსასმენია ამ მონეტების წკრიალი. ვაითუ, ფული არ ეყოთ და საწყლი მუზესი ვესტერმანმა პეტერს მიყიდოს?

უცებ პელეს რაღაც აზრმა გაუელვა და გული ეტკინა. ვინა თქვა, მუზესი პეტერთან უარესად იქნებაო? შეიძლება ზურგზე მიკრული რადიოგადამცემით ზღვაში ცურვა უფრო სასიაოვნოა, ვიდრე სალტკროკაზე ბუგურაში ჭყუმპალაობა. «თუმცა სელაპს რადიოგამდაცემის გარეშე ყოფნა და ზღვაში თანამოძმეებთან ერთად თავისუფლად სრიალი უფრო ესიამოვნება», _ ფიქრობდა პელე.

ფიქრებში ჩაფლულ პელეს უეცრად ძია ნისეს ხმა მოესმა:

_ ას სამოცდაშვიდი კრონი და ოთხმოცი ერე.

იმედგაცრუებულ სალტკროკელებს ოხვრა აღმოხდათ და ყველამ საყვედურით შეხედა ვესტერმანს, თითქოს ის იყო დამნაშავე, ყულაბაში საკმარისი ფულ ირომ არ დაგროვილიყო. ნისე ჯიქურ უყურებდა ვესტერმანს.

_ იქნებ დაგვიკლო?

ვესტერმანმა უტეხად შეხედა ნისეს.

_ შენს დუქანში ევაჭრები ხოლმე მუშტარს?

მოულოდნელად ვესტერმანს წინ ჩორვენი აეტუზა.

_ იცი, რას გეტყვი, ვესტერმან, მე არასოდეს მითხოვია სელაპი. თუ გახსოვს, შენ თვითონ მაჩუქე!

_ ისევ გააბა თავისებური, _ თქვა ვესტერმანმა.

ჩორვენმა ერთი თავით-ფეხამდე შეათვალიერა.

_ იცი, რას გეტყვი, ვესტერმან, ცუდი კაცი ხარ, ძალიან ცუდი.

საუბარში მერტა ჩაერია.

_ არ შეიძლება, ჩორვენ, ეგრე ნუ ამბობ!

_ ჰო, მაგრამ მამაც ასე ამბობს, _ შეედავა ჩორვენი და მთელი დუქანი ახარხარდა.

ვესტერმანი ბრაზით გაწითლდა. რასაც გინდა მოითმენდა, მაგრამ დაცინვას ვერ იტანდა.

_ სელაპი სადაა? უნდა წავიყვანო!

_ მაგაზე არც იოცნებო! _ უთხრა მელკერმა, რომელსაც მანამდე სიტყვა არ წამოსცდენია, _ რაც აკლია, მე დავუმატებ.

ახლა კი აიწყვიტა გაშმაგებულმა ვესტერმანმა.

_ რა მენაღვლება, თუ გინდა გადაიხადე! ოღონდ ჩემდა თავად უკეთეს მუშტარს ვიშოვი!

ამ დროს წარმოუდგენელი რამ მოხდა: იმავ წამს კარი გაიღო და, როგორ გგონიათ, ვინ შემოვიდა? ვინა და სწორედ მუზესის მყიდველი. კარებში პეტერ მალმი იდგა, მათი მალინის პრინცი. მალინმა რომ პრინცი დაინახა, კანკალმა აიტანა. როგორ მოენატრა წასვლისთანავე, განსაკუთრებით კი პელეს წუხილის დღეებში. მალინს ისე ენატრებოდა, რომ ეგონა, სადაც არ უნდა იყოს, უნდა იგრძნოსო. და აი, პეტერი აქაა, პეტერი დაბრუნდა, მაშ, მასაც მონატრებია მალინი.

_ მთლად ამ დუქანში გადმოსახლდი? _ ჰკითხა პეტერმა და მალინს ხელი ჩაჰკიდა.

იგი სიხარულით იყო გაბრწინებული. ძლივს არ იპოვა?! მანამდე კარგა ხანს ტყუილუბრალოდ ეძებდა დურგლისეულ კარ-მიდამოში. მადლობა ღმერთს, ნახა, მალინი აქაა. პეტერს რომ შეხედა, თვალებში სხივი ჩაუდგა და აუციმციმდა. თუმცა მისი პირველი სიტყვები საყვედურივით გაისმა:

_ პეტერ! ნუთუ ასე ძალიან გინდა ამ სელაპის ყიდვა?

პეტერმა პასუხ ვერ მოასწრო, რომ ვესერმანი კმაყოფილი ღიმილით მივიდა მასთან. დაჭყიტონ თვალები ამ სალტკროკელებმა, ნახონ, როგორ აჭახრაკებს საქმეებს კალე ვესტერმანი. ვისაც მოესურვება, იმას მიჰყიდის თავის სელაპს და ნებართვას არავისა ჰკითხავს.

_ სწორედ კარგ დროს მოხვედით, _ უთხრა პეტერს, _ აქ ერთი ხათაბალაა ამ სელაპის გამო, ვყიდი და... მომეცით სამასი კრონი და მოვრჩეთ!

პეტერ მალმმა თავაზიანად გაუღიმა.

_ სამასი კრონი, ცოტა ბევრი არაა სელაპში? სულაც არ მინდა ზედმეტი გადავიხადო!@

ჩორვენმა და სტინამ დამცინავად შეავლეს თვალი. ნეტავი იცოდეს, მასზე რას ფიქრობენ. ოჰ, რატომ აკოცეს იმ ბაყაყს!

_ ჰო, კარგი, ორასად მოგცემთ, _ სწრაფად დაეთანხმა ვესერმანი.

პეტერი კვლავ თავაზიანად იღიმებოდა, ძალზე ზრდილი ყმაწვილი იყო.

_ ჰო, ორასი ძვირი არაა. მაგრამ მე სელაპი არ მჭირდება.

_ არ გჭირდებათ? _ ვესტერმანმა სულელივით დააღო პირი. _ თქვენ თვითონ არ ამბობდით?.. _ წამოიწყო დაბნეულმა.

_ დიდი მადლობა, მაგრამ სელაპი არ მჭირდება, _ უთხრა პეტერმა. _ მით უმეტეს ეს.

რა ამბავი ატყდა სალტკროკის დუქანში! გაცოფებული ვესტერმანი კარს ეცა, ნისემ მიაძახა:

_ წაიღე ეს ფული და ამისი მადლობელი იყავი!

მაგრამ ვესტერმანს ყელში ამოუვიდა სელაპებით ვაჭრობა, თანაც რცხვენოდა კიდეც. იმიტომ კი არა, რო მწუწურაქივით იქცეოდა, არა, სხვები რომ თვლიდნენ წუწურაქად იმას ვერ იტანდა. აღარც ფული უნდოდა, აღარც სელაპი, და საერთოდ, აღარაფერი. ერთადერთი, რაც სურდა, დუქნიდან წასულიყო და სალტკროკელები თვალით აღარ დაენახა.

_ ჩორვენ, გყავდეს ის შენი ქეციანი სელაპი და სუყველა ჯანდაბამდისამც გზა გქონიათ!

ვესტერმანი იქაურობას მოშორდა.

პელე გამოცოცხლდა.

_ არა, ფული უნდა აიღოს, თორემ სელაპი ჩემი არ მეგონება.

მან ხელი სტაცა პატარა პარს, რომელშიც ნისემ ფული ჩაყარა, და ვესტერმანს დაედევნა.

ყველა მოუთმენლად ელოდა პელეს. ისიც მალე დაბრუნდა მთლად სახეაწითლებულ.

_ მაინც აიღო, ფული მჭირდებაო, ასე მითხრა.

მალინმა ნაზად და ალერსიანად მოუთათუნა ლოყაზე ხელი.

_ პელე, სელაპი ახლა შენია.

_ ჰოდა, იქნებ წუთით მაინც მოგვასვენოთ, _ თქვა ტედიმ.

რაც ამ ამბის მერე მოხდა, მალინის დღიურში წერია:

«მუზესი ზღვაში ცურავს. პელემ გაათავისუფლა გუშინ საღამოს. ჩვენ სწორედ იმ დროს მივედით ნავმისადგომზე. ჩვენ, ესე იგი, მამა, პეტერი და მე. პელე, ჩემი საყვარელი ძამიკო, ნავმისადგომზე იდგა და ცრემლებით თვალებაბრჭყვიალებული თავის სელაპს გასცქეროდა შორს, ყურეში ხანდახან რომ გამოკრთოდა ხოლმე ტალღებში.

_ რატომ გაუშვი, პელე, რატომ?.. _ ჰკითხა მამამ.

_ არ მინდა ჩემი მხეცი სულ გაქცევაზე ოცნებობდეს. მუზესი იქაა, სადაც სელაპი უნდა იყოს, _ ყრუს ჩაილაპარაკა პელემ.

ყელში რაღაც ბურთივით მოაწვა, მამამაც რამდენჯერმე გადაყლაპა მოწოლილი ბოღმა. ყველამ ხმა გავიკმინდეთ. ჩორვენი და სტინაც, რა თქმა უნდა, ნავმისადგომზე ყვნენ.

უეცრად ჩორვენი ალაპარაკდა:

_ პელე, იცი რას გეტყვი? შენთვის სელაპი არ უნდა მეჩუქებინა. ხედავ, ისე ცარიელი დარჩი, აღარა გყავს მხეცი.

_ ბზიკებიღა დამრჩნენ, _ უფრო ყრუდ წაილაპარაკა პელემ.

და აი, მაშინ მოხდა, რაც მოხდა. ო, პეტერ, მთელი სიცოცხლე შენი მადლობელი ვიქნები ამისათვის! პეტერმა, აქამდე ჩუმად რომ იდგა და იუმ-იუმი ეჭირა, უცბად თავისებურად დინჯად თქვა:

_ პელეს მარტო ბზიკები რას ეყოფა, მე თუ მკითხავთ, იუმ-იუმიც სჭირდება.

მერე წყნარად მივიდა პალესთან და ლეკვი ხელებში ჩაუსვა.

_ იუმ-იუმი არსად გაგექცევა, _ აღუთქვა ბიჭს.

_ ჰო, ეგ მართლა ბედნიერი იქნება პელეს ხელში. _ დაუმოწმა ჩორვენმა, როცა გაიაზრა, რა მოხდა.

მღელვარებისაგან ფერდაკარგული პელე ხან პეტერს შესცქეროდა სიყვარულით, ხან იუმ-იუმს. მას არ უთქვამს «გმადლობთო», არა, ხმაც არ ამოუღია. მე კი არც მაშინ მესმოდა და ვეღარც ახლა გამიგია, რა დამემართა. მივვარდი პეტერს და ვაკოცე, მერე კიდევ და კიდევ.

როგორც ჩანდა, პეტერს ეს ძალიან მოეწონა.

_ წარმოგიდგენიათ, რა შეძლებია ერთი ბეწო ლეკვს?! _ თქვა დანანებით, _ მცოდნოდა მაინც, მთელ საძაღლეთს წამოვიყვანდი.

ჩორვენი და სტინა თვალებდაჭყეტილი გვიყურებდნენ და მშვენივრად ერთობოდნენ. ეტყობა, მხიარული წარმოდგენა ეგონათ. თუმცა ჩორვენმა გამაფრთხილა:

_ ხშირ-ხშირად ნუ კოცნი, მალინ, რა იცი, რა მოხდება, ღმერთი არ გაუწყრეს და ისევ ბაყაყად არ გადაიქცეს.

პატარებს თავიანთ გოგრებში ხანდახან უცნაური აზრები მოსდით. არ ვიცი, საიდან მოიტანეს, მაგრამ სტინა და ჩორვენი დარწმუნებული არიან, პეტერი ბაყაყების მოჯადოებული პრინცია, რომელიც პირდაპირ თხრილიდან ამოხტაო. სტიანს საწყალი თავი ხომ ამ მოჯადოებულ პრინცებით, კონკიებით, წითელქუდებით და ასეთი რამეებითა აქვს გამოტენილი. ახლაც, რომ დაინახა, მუზესი ფიორდში გაუჩინარდაო, ჩორვენს უთხრა:

_ მუზესი ხომ ზღვის ხელმწიფის შვილია. ჰოდა, ზღვაში ცურავს პრინცი მუზესი.

ჰო, მან შორს, შორს გაცურა. ვიმედოვნებ, რომ პრინცი მუზესი ბედნიერია, რადგან ასე სჯერა პელეს.

_ აი ნახე პრინცი მუზესი თუ არ მოცურდეს ხანდახან და არ მოგინახულოს. ის მოშინაურებული სელაპია და, ალბათ, იშვიათად, მაგრამ მაინც მოინახულებს ხოლმე სალტკროკას, _ ებუნებოდა პეტერი პელეს.

_ კი, თუ ზღვის ხელმწიფე გამოუშვებს. _ თქვა სტინამ.

გამოუშვებს თუ არ გამოუშვებს ზღვის ხელმწიფე მუზესს. ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ პელე ძალიან, ძალიან ბედნიერია.

მეც, მალინიც, ბედნიერი ვარ. ერთ საათში პეტერი კვლავ გაჰყვება «სალტკროკა I»ქალაქში... მაგრამ, ყოველ შემთხვევაში... უკვე ვიცი, რაა სიყვარული! ამისგან შეიძლება მოკვდეს ადამიანი. ნეტა დიდხანს თუ გაგრძელდება ეს სიყვარული? პეტერი ამბობს, ერთგული ბიჭი ვარო, ნეტა მე, მე როგორი გოგო ვარ? როგორ უნდა გავიგო? იმედი მაქვს, ერთგული ვინქები, ერთი რამ კი მტკიცედ მჯერა: პელეს სჭირდება მალინი და ის გვერდით უნდა ჰყავდეს. ამიტომ, რაც არ უნდა მოხდეს, მალინი პელესთან დარჩება. პელესაც უყვარს პეტერი, ჰო, ასეა, სხვაგვარად არ შეიძლება. მაგრამ პელეს, ჩვეულებრივად, ცოტა ეშინია კიდეც. გუშინ საღამოს ბედნიერებისაგან გაბრწყინებული პელე იუმ-იუმთან ერთად ლოგინში რომ იწვა, უცებ მოიღრუბლა, კისერზე ხელები შემომხვია და მკითხა:

_ შენ ხომ მაინც ჩემი ხარ, მალინ?

ჰო, ჩემო პატარა ძამიკო, შენი ვარ, შენი! თუმცა სტინა და ჩორვენი ფიქრობენ, ისეთი ბებრუხანაა, მოჯადოებულ პრინცს კისერზე უნდა ჩამოეკიდოსო, მე მაგას არ ვიზამ, პრინცს შეუძლია რამდენიმე წელი მომიცადოს. ასეც მითხრა, მოგიცდიო.

ივნისის ღამე მუქდება სალტკროკის თავზე. ახლა დავიძინოთ, დილით კი გავიღვიძოთ და ვიყოთ კვლავ ძალზე ბედნიერები. ტრალა-ლა»!

ჩორვენმა სამი კრონი იშოვა

ორშაბათ დილას პელე იუმ-იუმის წკმუტუნმა გამოაღვიძა და ლეკვი თავისთან გადაიყვანა ლოგინში. პელეს თბილ კისერს მიხუტებულმა ლეკვმა ისევ დაიძინა. პელეს კი ძილი აღარ ეკარებოდა. სულელი უნდა იყო, დაიძინო, როცა შეგიძლია იწვე თავით ფეხებამდე ბედნიერი იმის შეგნებისაგან, გვერდით თბილი, რბილი არსება _ იუმ-იუმი მიწევს, ჩემი საკუთარი ძაღლიო. ნუთუ შეიძლება ასეთი უზომო ბედნიერება? უეცრდ პელეს მუზესი გაახსენდა. ცოტა უსინდისობაც კია, ასე ცოტას რომ დარდობს მასზე.

_ აბა, რა ვქნა, _ უხსნიდა მძინარე იუმ-იუმს პელე, _ დამიჯერე, არც ისა დარდობს ჩემზე დიდად. დაცურავს ზღვაში იმ თავის სელაპებთან ერთად და არის მხიარულად და ბედნიერად.

წუთით პელე იოკეზე ჩაფიქრდა და გული მოეწვა. მარტო იოკეს გამო კი არა. მას გაახსენდა, რა ძნელია, როცა ყველა შენს წინააღმდეგ შეკრავს პირს და ქვეყანა «ჭმუნვა-სევდის კუნძული» ხდება. მაგრამ ეს ფიქრი მალე და იოლად მოიცილა. იმიტომ, რომ იუმ-იუმმა გაიღვიძა და ერთი ამბავი ატეხა. დაყნოსა და სახე გაულოკა პელეს, მოქაჩა პიჟამა, აყეფდა, აწკავწკავდა, დაიწყო საწოლზე ხტუნვა. პელე ახარხარდა. ისე ბედნიერად იცინოდა, რომ მალინმა სამზარეულოში გაიგონა და თვალებზე ცრემლი მოადგა. ცოტა ხანს საქმიანობაც კი შეწყვიტა, რომ ამ სიცილით დამტკბარიყო. იცინე, პელე, იცინე, შენს სიცოცხლეში სამხიარულო არ გამოგლეოდეს!

რას არ გპირდება ის დღე, ბიჭის ბედნიერი სიცილითა და საოცრად მშვენიერი ამინდით რომ დაიწყება! აუტანელი იყო წინა კვირა. ქარი ქროდა, წვიმდა, ციოდა. ხოლო დღეს ასეთი გასაოცარი დილა გათენდა. მალინმა სასაუზმოდ სუფრის გაშლა სახლის წინ მდელოზე გადაწყვიტა.

მელკერმაც გაიღვიძა და იცმევდა სამზარეულოზე მიკრულ თავის პატარა ოთახში, თან ხმადაბლა ღიღინებდა

_ ორშაბათ დილა გათენდა... ისე მხი-ა-რუ-ლად ვარ...

_ უხმოზე სიმღერა არ შეიძლება, _ გასძახა მალინმა მამას. _ თორემ საღამოზე ატირდები. არ გაგიგია, ასე ამბობენ...

_ ცრუმორწმუნეობაა და მეტი არაფერი! ეგეთი სისულელეებისა არ მჯერა, _ მოუჭრა მელკერმა და ღიღინ-ღიღინით გავიდა სამზარეულოში.

_ გვეყო ტირილი, გვეყო ღრიალი!

მელკერი მალინს მოეხმარა და სუფრა მწვანე მდელოზე გააშლევინა. მალინი სამზარეულოდან აწოდებდა თეფშებს, ფინჯნებსა და ლამბაქებს, მელკერს კი ბაღში მიჰქონდა. როცა ყველაფერი გაამზადეს, მელკერმა მიიხედ-მოიხედა.

_ ჩემი მშიერი ბიჭები სად არიან?

ორი უფროსი ბიჭი სწორედ ზღივდან ბრუნდებოდა. ისინი ადრე ამდგარიყვნენ და სათევზაოდ წასვლაც მოესწროთ. თევზი, რა თქმა უნდა, არ დაუჭერიათ, მაგრამ დილის მზეზე ქორჭილების მარჩხობთან ჯდომაც კარგი რამეა. ასეთი საათები უქმად არ იკარგება, მადაზე მოდის ადამიანი.

_ ო, მალინ, ვაფლი გამოგიცხვია.

ნიკლასი ერთნაირი სიამოვნებით შესცქეროდა დასაც და ვაფლსაც.

_ ჰო, ამ მშვენიერი დილის სამადლობლად დავაცხვე, ასეთ კარგ დღეს რომ გვპირდება!

მელკერმა მოწონებით დაუქნია თავი.

_ საოცარი დილაა და საოცარი საუზმე. სუფრა მელკერმა გაშალა თავისი ხელით. ვაფლი, ყავა, მაწონი, ტოსტები, ყველი, კარაქი, მურაბა და ბზიკები მოგართვით, კიდევ რა გნებავთ?

_ ბზიკებიც შენი ხელით მოგვართვი? _ ჰკითხა იუხანმა.

_ ისინი, ეშმაკმა წაიღოს, თვითონ მოფრინდნენ. ვხედავ, ამ ზაფხულსაც გაგვტანჯავენ.

მელკერმა მურაბის ქილაზე მიმჯდარი რამდენიმე ბზიკი გააგდო. პელეს მსოფლიოში ყველაზე კარგი ლეკვი რომ სჯდომოდა მუხლებზე, სულ ერთია, მის გულში მაინც ყველა მხეცს და მწერს ეყოფოდა ადგილი, ამიტომ საყვედურით უთხრა:

_ მამა, ჩემს ბზიკებს თავი გაანებე! ჩვენი არ იყოს, მაგათაც უნდათ დურგლისეულ კარ-მიდამოში ცხოვრება. ნუთუ არ გესმის?

მელერს, რა თქმა უნდა, ესმოდა, რა შესანიშნავია დურგლისეულ კარ-მიდაოში ცხოვრება. მარტო მას კი არა, ყველას ესმოდა.

_ მაინც უცნაურია, როგორ მივეჩვიეთ ამ ძველისძველ სახლს, _ თქვა მალინმა.

წითელი კედელი მის ზურგს უკან და, საერთოდ, მთელი დურგლისეული კარ-მიდამო რაღაცნაირ სითბოს ასხივებდნენ. მალინი ამბობდა ეს მზისგან სულაც არააო. მისთვის სახლი ცოცხალი არსება იყო, ერთგული, კეთილმოსურნე და თბილი, რომელმაც თავისი მადლიანი კალთის ქვეშ შეიფარა მელკერსონები.

_ ძველისძველიო?.. არც ისე, _ თქვა მელკერმა, _ ყავრის გარსაკრავები ალაგ-ალაგ დასკდა, მაგრამ თავად სახლი მაგარი მორებისგანაა შეკრული. ჰო, არც სახურავი უვარგა. ჩემი სახლი იყოს, ისე გავაახლებდი, ვეღარავინ იცნობდა.

«ავაშენებდი სახლს ზღვის კიდეზე და ახლად გადავხურავდი, _ გაიფიქრა პელემ, _ უჰ, რა იქნებოდა».

_ ან რა ნაკვეთია! _ წამოიძახა მელკერმა. _ ასეთ ნაკვეთს სხვაგან ვერ ნახავ!

ისინი მიირთმევდნენ თავიანთ ვაფლს, უყურებდნენ თავიანთ ნაკვეთსა და თავიანთ დურგლისეულ კარ-მიდამოს და, გასაოცარიაო, ფიქრობდნენ. ბაღში ყვაოდა და ტკბილ სურნელს აფრქვევდა ჟასმინი, ასკილის ბუჩქები გასაოცრად ნაზ კოკრებს დაეფარა, სადაცაა რომ აიშლებოდნენ, მთელი ნაკვეთი სამოთხის ბაღივით მწვანედ გაფურჩქნილ-შეფოთლილი იყო და ეს ბაღი ნელ-ნელა ეშვებოდა ზღვის ნაპირისაკენ, იქ კი, ნავმისადგომთან, ყვიროდნენ თოლიები. რა თქმა უნდა, გასაოცარი იყო აქაურობა.

_ წარმოგიდგენია, უბრალო დურგალი იყო, სახლი კი ისე დადგა, ვერაფერს შეედავები, _ თქვა მელკერმა. _ ახლა სათავსებს არ იკითხავ? მთელი კარ-მიდამო, თითქოს ჯადოსნური ძალით ამოზრდილა მიწიდან. ასეთი ეზო-ყურესათვის დურგალი მედლით უნდა დაეჯილდოვებინათ.

_ მამა, ჩვენ სულ აქ ვიცხოვრებთ? _ ჰკითხა პელემ. _ ყოველ ზაფხულს-მეთქი, მინდოდა მეკითხა.

_ ჰო, რა თქმა უნდა, _ დაუმოწმა მელკერმა. _ დღეს მატსონი ჩამოვა, დუქანში დამირეკა და გამაფრთხლა. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, ახალ კონტრაქტს მოვაწერთ ხელს.

სანამ მელკერსონები საუზმობდნენ, ჩორვენი ბოცმანთან ერთად სეირნობდა. მერე ნავმისადგომისაკენ წავიდა გედების დასაპურებლად. ყოველ დილას გედების ოჯახი: მამა, დედა და შვიდი ნაცრისფერი პატარა გედი ნაპირთან მოცურდებოდნენ ხოლმე. დღეს, სანამ ჩორვენი გედებს თავის ხელით ხმელ პურს აჭმევდა, ნაპირს უცხო მოტორიანი ნავი მოადგა. შიგ სამი მგზავრი იჯდა. ერთი მათგანი ადრეც ჰყავდა ნანახი. ეს მატსონი ყო. იგი წელიწადში რამდენჯერმე ჩამოდიოდა კუნძულე, მეორე _ მაღალი, ჩასხმული,

საზღვაოქუდიანი კაცი, ნავს რომ მართავდა, სალტკროკაზე არასოდეს ყოფილა, ისევე როგორც მის გვერდით მჯდარი გოგონა.

_ ბაგირი გადმომიგდე! _ ბრძანება გასცა ჩორვენმა და მატსონმაც ესროლა ბაგირი. გოგონამ ნავი ნაპირზე მიაბა.

_ ხედავ, რა ყოჩაღია, _ თქვა საზღვაოქუდიანმა კაცმა, ნაპირზე რომ გადმოხტა. _ კარგი ნასკვი გამოუვიდა.

ჩორვენი ახარხარდა.

_ ნასკვიო! ეს ხო ორმაგი საზღვაო კვანძია!

_ ჰმ, _ ჩაიფრუტუნა იმ კაცმა. _ როდის ისწავლე ასეთი რამეები?

_ არაფერიც არ მისწავლია, თავიდანვე ვიცოდი, _ უპასუხა ჩორვენმა.

კაცმა ჯიბიდან ამოიღო მზინავი ახალთახალი კრონი და გოგოს მიცსცა. ჩორვენმა დახედა ფულს და გაეღიმა:

_ კარგი გასამრჯელო მივიღე ორმაგ საზღვაო კვანძში.

მაგრამ ჩამოსული უკვე აღარ უსმენდა, უბრალოდ ვეღარც ამჩნევდა.

_ გადმოხტი, ლოტა! _ დაუძახა თავის გოგონას და იმანაც ნაპირზე ისკუპა.

ჩორვენს ის გოგო ძალიან მორთულ-მოპრანჭული ეჩვენა ვიწრო ღია ლურჯ შარვალსა და თეთრ ჯემპრში. წაბლისფერი თმები ლამაზად ჰქონდა დავარცხნილი და დაწყობილი. ბედნიერია, თმების ასე გაკეთებას რომ ანებებენ, თუმცა ტედის ხნისა იქნება. ისე კი ცხვირ-პირი ჩამოსტირის, ჩორვენს არც მისალმებია. ხელში პატარა თეთრი პუდელი უჭირავს. ჩორვენმა თვალით ბოცმანი მოძებნა. იქნებ მრავალფეროვნებისათვის იმ პუდელის გაცნობაც მოისურვოს? მაგრა მბოცმანი ნაპირ-ნაპირ კაჭკაჭების ყურესაკენ მიქროდა და ლამის ნახევარი გზა ჰქონდა გავლილი. რა ვუყოთ, თავის თავს დააბრალოს, პუდელს რომ ვერ ნახავს, ეს ლოტა უკვე მიდის თავის ძაღლიანად.

ჩორვენი მიხვდა, მატსონი დურგლისეული კარ-მიდამოსკენ მიიჩქარისო, ოღონდ ვეღარ გაეგო, იმ ორს თან რაღად იათრევდა. თუმცა, რა მისი საქმე იყო! უკან კი მაინც გაჰყვა, იმიტომ, რომ თვითონაც იქ მიდიოდა _ პელე უნდა ენახა.

_ ოჰ, ძლივს გვეღირსა ბატონ მატსონის მობრძანება! _ წამოიძახა მელკერმა, კუტიკარში სტუმრები რომ დაინახა. _ მობრძანდით, მობრძანდით, ახლავე ავალაგებთ მაგიდას და უცებ მოვაწერთ ხელს.

მატსონი დაბალი, ცმუკია, მედიდური კაცი იყო. მისი ზოლიანი კოსტიუმი ძალზე უშნო მოეჩვენა მალინს. თუმცა მარტო სამოსის ბრალი არ უნდა ყოფილიყო, მალინი რომ მისდამი ასე მტრულად განეწყო, ჰო, მისდამი და კიდევ იმ ორისადმი.

მატსონამ თანამგზარები წარუდგინა მელკერს:

_ იცნობდეთ, დირექტორი კარლბერგი და მისი ქალიშვილი... დურგლისეული კარ-მიდამოს ნახვა სურთ.

_ კი ბატონო, _ თქვა მელკერმა, _ ოღონდ რა უნდათ?

მატსონმა აუხსნა, დურგლის ცოლმა ფრუ შიობლუმმა, კარ-მიდამოს გაყიდვა გადაწყვიტა. ხო იცით, უკვე მოხუცდა, მობეზრდა სახლის ასე გაქირავება და ამიტომ...

_ აბა, აბა! ეგეთები არ იყოს! _ შეაწყვეტინა მელერმა. _ თუ არა ვცდები, ეს სახლი ნაქირავები მაქვს და დღეს ახალი ერთწლიანი კონტრაქტი უნდა გავაფორმოთ. ასე არაა, ბატონო მატსონ?

_ სამწუხაროა, მაგრამ არაფერი გამოვა, _ უპასუხა მატსონმა. _ ფრუ შიობლუმმა კარ-მიდამოს გაყიდვა გადაწყვიტა. ამას არაფერი ეშველება! თუ აქ ცხოვრება გსურთ, სიამოვნებით, იყიდეთ! რა თქმა უნდა, თუ დირექტორ კარლბერგზე უკეთეს პირობებს შესთავაზებთ.

მელკერს კანკალი აუვარდა. გრძნობდა, რომ სიშმაგის შეტევბა ეწყებოდა და საცადაა მოახრჩობდა. არა, რა უნდათ, უთენია რომ შემიჭრნენ აქ ეს ორნი და რამდენიმე სიტყვით მოსპეს ყველაფერი, თითქმის ყველაფერი, რითაც ცხოვრობდნენ და ხარობდნენ ისა და მისი შვილები? სულ რამდენიმე წუთის წინ სწორედ ამ ადგილას ისხდნენ წარმოუდგენლად ბედნიერები. ახლა კი ყველაფერი დაიღუპა. «იყიდეთ კარ-მიდამო!» რა დაცინვაა! ღმერთო ჩემო! თავისი ხელფასით მელკერი სახლს კი არა, საძაღლესაც ვერ იყიდს. მთელი წლის ქირას რაღაცნაირად კიდევ ახერხებდა მართლაცდა მთლა დუხეირო კი არაა.

ჰოდა, აიტომ ჰქონდა იმედი მრავალ ბედნიერი წელს გავატარებ დურგლისეულ კარ-მიდამოშიო. ძლივს არა ნახა კუთხე, სადაც მისი შვილები ინავარდებდნენ ზაფხულობით და გამოსცდიდნენ ისეთ ბედნიერ დღეებს, თავის ბიჭობაში რომ ახსოვს მელკერს, და მერე მთელი ცხოვრება მიჰყვება ადამიანს.

მაგრამ აი, მოვიდა ვიღაც კაცი, თქვა რამდენიმე სიტყვა და ყველაფერი დამთავრდა. მელკერი ბავშვებისაკენ გახედვას ვერა ბედავა. უეცრად პელეს აკანკალებული ხმა მოესმა:

_ მამა, შენ ხომ დამპირდი, მუდამ აქ ვიცხოვრებთო!

მელერკმა ძლივს ამოისუნთქა. ოჰ, რას არ ამბობდა. აქ ვიცხოვრებთ მთელი სიცოცხლეო! გვეყო ღრიალიო, ამასაც ამბობდა. ხოლო ამ წუთას სასოწარკვეთისა და უმწეობისაგან ძაღლივით უნდოდა აყმუვლებულიყო. მისგან ორ ნაბიჯზე კუნელის ბუჩქს მიყრდნობოდა მატსონი და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს დღევანდელი დღე ერთი ჩვეულებრივი დღე იყო და სალტკროკაზე თვითონაც ერთი ჩვეულებრივი საქმის გასაჩარხავად ჩამობრძანებულიყო.

_ მაშ, თქვენი აზრით, მე და ჩემი შვილები უნდა ავიბარგოთ აქედან, არა? _ გუდაწყვეტით ჰკითხა მელკერმა.

_ ახლავე არა, მაგრამ თუ დირექტორმა კარლბერგმა ან სხვა სულ ერთია, ვინც იქნება, იყიდა ეს კარ-მიდამო, მაშინ თქვენი აქ ყოფნის ვადა იმ ახალ მეპატრონეს უნდა შეუთანხმოთ.

დირექტორი კარლბერგი თვალს არიდებდა მელკერს და მარტო მატსონს ელაპარაკებოდა, თითქოს მათ მეტი არავინ იყო.

_ დიახ, დიახ, მე მგონი, თუ მოვრიგდებით, ვიყიდი ამ კარ-მიდამოს. სახლი ანგარიშში ჩასაგდები არაა, ეს ერთი შეხედვითაც ჩანს, ასე იქნება თუ ისე, უნდა დაინგრეს. აი, ნაკვეთი კი მართლაც ერთ რამედ ღირს.

მელკერს ბავშვების დრტვინვა მოესმა და კბილები დააღრჭიალა.

საუბარში ლოტა კარლბერგი ჩაერია.

_ ჰო, მამა, საშინელი სახლია. მის მაგიერ კაელს და ანა-გრეტას რომ აქვს, ისეთი ავიშენოთ, ვერანდიანი.

მამამ თავი დაუქნია, თუმცა დარცხვენილი კი ჩანდა. ფიქრობდა, ამაზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევიაო.

ჩორვენიც იმავე აზრისა იყო.

ფუ, ეს ლოტა! ზის დურგლისეული კარ-მიდამოს კართანაზე და თავი იქაურობის ბატონ-პატრონი ჰქონია! ჩორვენმა დოინჯი შემოიყარა და პირდაპირ ცხვირწინ დაუდგა.

_ ლოტა, იცი, რას გეტყვი, თვითონ შენა ხარ ვერანა, თუმცა კაი ვირგლა ხარ!

ლოტა მაშინვე მიხვდა, მტერი გავიჩინეო. ერთი მაინც ყოფილიყო! არა, ყველა ბავშვი, ასე რომ მიშტერებოდა, მისი მტერი იყო. არც მას ჰქონდა არაფერი საწინააღმდეგო. პირიქით, გრძნობდა თავის უპირატესობას და ტკბებოდა. მამამისზე იყო დამოკიდებული, დარჩებოდნენ ეს ბავშვები აქ თუ არა. მათთვის აჯობებდა, ცოტა უფრო თავაზიანადა მოქცეოდნენ. რა საჭიროა, ისე რომ მისჩერებიან, თითქოს ეუბნებიან, აქ ზედმეტი ხარო.

_ ყველას აქვს ნება, სახლი იყიდოს, _ თქვა ლოტამ ქედმაღლურად, ისე რომ არავისთვის მიუმართავს.

_ აბა რა, _ თქვა ტედიმ, _ და ყველას შეუძლია ააშენოს კალე და ანა-გრეტასნაირი ვერანდა. მოწყალება მოიღეთ!

_ ეს დაფეხვილი ქოხმახი კი შეიძლება დაანგრიოთ, _ უთხრა ტედიმ. _ აბა, ერთი გაბედეთ!

ტედიმ და ფრედიმ როგორც კი ყური მოჰკრეს, რაც ხდებოდა დურგლისეულ კარ-მიდამოში, მაშინვე აქეთ გამოქანდნენ. კუნძულზე ამბავი ჯერ მომხდარი არ იყო, რომ რაღაც სასწაულით დუქანში უკვე იგებდნენ. ტედის და ფრედის უნდოდათ მეგობრების გვერდით ყოფილიყვნენ ამ მძიმე წუთებში. ისე რაღა მეგობრები იქნებოდნენ! მათ იუხანი და ნიკლასი არასოდეს ენახათ ასეთი დაღვრემილნი და დანაღვლიანებულნი. ახლა პელე! იგი მაგიდასთან ჩამომჯდარიყო მიტკალივით გაფითრებული. გვერდით მალინი უჯდა. მალინი მოხვეოდა პელეს და არც მას ედო უკეთესი ფერი. ეს ყველაფერი საშინელი და აუტანელი იყო. თანაც ეს მეტიჩარა გოგო რაღაცა ვერანდაზე ბურტყუნებს. აბა, რა გასაკვირია, ტედი და ფრედი რომ გაცოფდნენ.

_ ვერანა რა არის? _ ჰკითხა ჩორვენმა თავის უფროს და უფრო გათვითცნობიერებულ დებს.

_ აბალთ, რამე სულელურია, _ უპასუხა ფრედიმ.

_ მაგასავით ზესულელური, _ ტედიმ ლოტაზე მიათითა.

იმის გაფიქრებაც არ უნდოდათ, რომ ეს გოგო იქნებოდა მათი მეზობელი იუხანის, ნიკლასის, პელეს, მალინისა და ძია მელკერის მაგივრად.

_ ცუდი არ იყო, სახლი შიგნიდანაც გვენახა, _ ბრძანა დირექტორმა კარლბერგმა. მერე კი პირველად მიუბრუნდა მელკერს: _ ნება მოგვეცით, დავათვალიეროთ, ბატონო მელკერსონ, _ სიტყვებს კეთილმოსურნეობა და სიმტკიცე დაატყო კარლბერგმა.

ბატონმა მელკერსონმა ნება დართო. სხვა რა შეეძლო, მიხვდა, მისი საქმე წასული იყო. იგი მიჰყვა მოსულებს. მალინიც ფეხდაფეხ აედევნა. ვერ დატოვებდა მამას ამ წყვილთან _ კარლბერგთან და მატსონთან, დურგლისეულ კარ-მიდამოს წარმთმევას რომ უპირებდნენ. ვერც იმას დაუშვებდა, ვიღაც-ვიღაცებს ცხვირაბზუებულებს ევლოთ მათ სახლში და ყველაფერი, რაც ასე ძალიან უყვარდათ, გაებიაბრუებინათ. რაც არ უნდა იყოს, ეს მათი სახლია. შიგ უნდა იცხოვრო და იბედნიერო. მათ ყველამ ერთად შესძინეს ამ სახლს ზაფხულსი შუქი და ყოველდღიური სილამაზე. მალინმა იცოდა: დურგლისეულმა

სახლმაც მიიღო და შეიყვარა ისინი. ამიტო მგანუყოფელი იყვნენ ეს კარ-მიდამო და მელკერსონები. ახლა კი ვიღაც გადამთიელები მოსულან და მხოლოდ იმას ხედავენ, რომ აქა-იქ, იატაკის ცალფიცრები ყანყალებენ, ჩარჩოები ვერაა მორგებული, ფანჯრებში უბერავს და სახურავიდან რამდენსამე ადგილზე წვიმა ჟონავს. საბრალო ბებერო კარ-მიდამო! მალინი თავს მოვალედ თვლიდა, დაეცვა და დაეფარა აგარაკი. ამიტომ უღებდა კარს დაუპატიჟებელ სტუმრებსა და თავის უმწეო მამას, რომელსაც გასამხნევებლად მალინმა ჩუმად უბიძგა კიდეც. დარცხვენილმა მამამ მადლიერი, დამნაშავე და ნაღვლინი ღიმილით შეხედა. ამის ატანა ლამის აღემატებოდა მალინის ძალ-ღონეს.

ლოტა მათ არ გაჰყვა. თუ მამამისი იყიდდა ამ სახლს, სულ ერთია, დაანგრევდნენ. მას კი სურდა ამ წვრილფეხობასთან დარჩენილიყო და თავისი უპირატესობით დამტკბარიყო. მართალია, ექვსნი იყვნენ, მაგრამ მით უკეტეში, საინტერესოა, შეძლებს ექვსივეს ერთად დამარცხებას? აქამდე ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ასეთი ამბებიდან, რადგან უაღრესად თავდაჯერებული ყო და მტრების შეძენა არ ადარდებდა. პრაქტიკა, მართლაც, კარგი ჰქონდა. თანაც მარტო ხომ არ არის, პუდელიც თანა ჰყავს. მუხეც, მისი არ იყოს, თვლიდა, ლოტა კარლბერგი ფრიად დახვეწილი და გამოჩენილი არსება�ო, და ეს კიდევ უფრო აამაყებდა გოგოს.

ლოტას მუსე ხელში ჰყავდა აყვანილი, პელეს ლეკვს არ ეძგეროსო. ლოტამ ღიღინ-ღიღინით შემოუარა სახლს. თან ისეთი სახე მიიღო, თითქოს იქაურობას ათვალიერებდა, სინამდვილეში კი აინტერესებდა შევძლებ თუ არა, მოთმინებიდან გამოვიყვანო ეს ბავშვები, ასე უსიტყვოდ რომ მზვერავენო. დიდი გამბედაობა იყო საჭირო, ასე არხეინად აევლ-ჩაევლო მათ თვალწინ. ამას რას გაბედავდა, უსაშველოდ თავდაჯერებულ რომ არ ყოფილიყო. ანდა რა საქმე ჰქონდა ამ გლეხუჭებთან!

_ ჩემო პატარა მუსე! _ ეუბნებოდა ძაღლს, _ გინდა ზაფხულობით აქ ცხოვრება, ოღონდ, ამ მინგრეულ-მონგრეულ ქოხში კი არა, ნამდვილ სახლში?

ლოტა სამზარეულოს ფანჯრის დარაბას მისწვდა. სურდა, მუსესთვის ეჩვენებინა ყველაფერი მინჯღრეულ-მონჯღრეულიაო. დარაბა მოსახსნელი იყო. მელკერსონებმა ეს იცოდნენ, ლოტას კი, აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, ამიტომ ბრინჯივით დაიბნა, დარაბა რომ ხელში შერჩა. გულმოდგინედ, მაგრამ ამაოდ ცდილობდა მის ადგილზე მორგებას, ვიდრე ნიკლასმა არ ჩამოართვა და ჩვეული მოძრაობით თავის ადგილს არ მოარგო, თან კბილებში გამოსცრა:

_ შენ კი, ვერ მოგიცდია, სანამ მამაშენი ამ ქოხს იყიდიდეს? მერე მიდი და ანგრიე.

ლოტა ისევ ცხვირაწეული დადიოდა, მაგრამ წეღანდელი ფახი დაჰკარგვოდა. ეს რომ დაეფარა, პელეს გაუბა საუბარი. მასაც ხომ ჰყავდა ძაღლი, ძაღლებზე კი სალაპარაკოს რა გამოლევს.

_ სპანიელია? _ ჰკითხა ლოტამ.

პელემ არ უპასუხა. ვინ ეკითხებოდა, რა ძაღლი ჰყავდა პელეს? თან ისეთი სასოწარკვეთილი იყო, ეს თვითონაც აღარ აინტერესებდა.

_ სპანიელი საყვარელი, მაგრამ არც ისეთი გონიერი ძაღლია, _ განაგრძნობდა ლაყბობას ლოტა, _ პუდელი გაცილებით ჭკვიანია.

პელე ერთხელაც არ გაეპასუხა. ლოტამ იგრძნო, რომ გაასულელეს. ბავშვების დუმილმა ხასიათი წაუხდინა, ამიტომ ჩორვენს მიუბრუნდა:

_ შენ გინდა, არა, პატარა ძაღლი გყავდეს?

ჩორვენი სხვებზე უფრო დაბღვერილი უყურებდა ლოტას, მაგრამ ამ სიტყვებზე გაეღიმა.

_ მე უკვე მყავს ძაღლი, გინდა გაჩვენო?

ლოტამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

_ არა, არა, ძალები ისედაც ბლომადაა, მეშინია, მუსე არ გაბრაზდეს და შენს ძაღლს არ ეცეს.

_ მაშ, ეგ შენი მუსეც ვერანა ყოფილა, _ განუცხადა ჩორვენმა, _ რაზეც გინდა დაგენაძლევები, ჩემს ძაღლს ვერაფერს გაუბედავს.

_ დარწმუნებული ხარ? _ ჰკითხა ლოტამ. _ შენ მუსეს არ იცნობ!

_ ერთ კრონზე დავნაძლევდეთ, _ უთხრა ჩორვენმა და კარლბერგის მიცემული მონეტა ამოიღო.

_ დიდი სიამოვნებით, _ უპასუხა ლოტამ, _ ოღონდ შენს თავს დააბრალე, რაც მოხდეს.

ლოტამ შეამჩნია, რომ ბავშვები რაღაცას ელოდნენ. ეგრე იყოს! თუ ასე მისდით სული ძაღლების ჩხუბზე, მოუწყობს ამ სანახაობას. მართალია, მუსე პატარაა, მაგრამ საშინელი ჩხუბისთავია. ბალანაშლილი უშიშრად ეცემა ხოლმე თავისზე დიდ ძაღლებს. რაღა თქმა უნდა, არც პატარებთან დაიხევს უკან. ტყუილად კი არ თვლიდნენ ქალაქის რისხვად ნორტელიელი ქალები. გუშინ არ იყო, ერთ-ერთმა მათგანმა რომ თქვა, როცა მუზე მის უზარმაზარ ბოქსიორს ეცა, ჯიშიან ძაღლად მოაქვს თავიო. ასე რომ, თუ ამ ღლაპებს ძაღლების ჩხუბის ნახვა უნდათ, სიამოვნებით, მუსე არ შეირცხვენს თავს.

_ შენს ლეკვს მიხედე, _ უთხრა ლოტამ პელეს, _ მე მუსეს ავუშვებ.

და მუეს საყელური ახსნა.

ახლა იმ ძაღლს უცდიდნენ, ვისთანაც მუსეს უნდა ეჩხუბა.

ბოცმანს მშვიდად ეძინა იასამნის ჩრდილში, მაგრამ ჩორვენმა რომ გამოაღვიძა, ფიცხლად წამოხტა და მთელი თავისი სიდიადით გამოჩნდა სახლის კუთხიდან... იქ კი უეცრად მუსეს შეეჯახა...

გაისმა მუსეს ქშუტუნი და მისი პატრონის შემზარავი წივილი. პუდელმა რამდენიმე საშინელი წუთი გამოიარა, სანამ ენაჩავარდნილი მისჩერებოდა მისკენ მიმავალ ურჩხულს. მერე ერტი დაიწკმუტუნა და თეთრი ღრუბლის ქულასავით გაქრა კუტიკარში.

ბოცმანმა გაოცებით გააყოლა თვალი: რამ ააჩქარა ასე? მისალმებოდა მაინც. თავად ბოცმანი, როგორც ზრდილ ძაღლს შეეფერება, მისასალმებლად მიეახლა ლოტას, იმან კი იწივლა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კუნელის ბუჩქისაკენ მოუსვა.

_ წაიყვანე ძაღლი, _ დაზაფულ ხმით წოიდა ლოტა, _ იქით წაიყვანე!

_ რა გაღრიალებს, _ დინჯად უთხრა ჩორვენმა, _ ბოცმანი არავის ერჩის, ვერანა კი არაა.

ბალახებში პირქვეჩამხობილი იუხანი სიცილით იგუდებოდა.

_ ოჰ, ჩორვენ, _ კვნესოდა სულშეგუბებული, _ შენ რა გითხარი!

ჩორვენმა გაოცებით შეხედა იუხანს, მერე ლოტას მიუბრუნდა:

_ ნაზლევი მე მოვიგე! მოიტა ფული!

ლოტა დარწმუნდა, ბოცმანი საშიში ძაღლი არააო, და გამოძვრა საფარიდან. შეცბუნებულსა და დაბოღმილს ამ ბავშვების დანახვაც აღარ უნდოდა. ცხვირჩამოშვებულმა ამოიღო საფულე და ჩორვენს კრონი გაუწოდა.

_ გმადლობთ! _ ჩორვენმა თავი გვერდზე გადახარა და ისე შეხედა ლოტას. _ შენნაირებმა ნაძლევი არ უნდა დადონ, _ განაგრძობდა ჩორვენი, _ მხოლოდ ისეთები უნდა დანაძლევდნენ, როგორებიც მე და ძია მელკერი ვართ.

ლოტა მოუთმენლად შეჰყურებდა სახლის კარებს. მალე გამოვა მამა? ერთი დროზე გაეცალონ აქაურობას!

_ აბა, თუ მიხვდები, რაზე დადო ნაძლევი ერთხელ ძია მელკერმა? _ ჰკითხა ჩორვენმა.

ლოტასთვის ეს სულ ერთი იყო, მაგრამ ამას ჩორვენი არ შეუჩერებია.

_ ის ვიღაც ბიძიას დაენაძლევა, თოთხმეტ დღეს არაფერს შევჭამ და თოთხმეტ ღამეს არ დავიძინებო. ჰო, როგორი ნაძლევია?

_ სულელური ხუმრობაა, _ თქვა ლოტამ, _ ეს ყოვლად შეუძლებელია.

_ ძალიანაც შესაძლებელია! _ ნიშნის მოგებით წამოიძახა ჩორვენმა, _ ძია მელკერს დღე ეძინა და ღამე ჭამდა. ხა-ხა-ხა, რას იტყვი, როგორია ჰა?

_ ოჰ, ჩორვენ, _ კვნესოდა იუხანი.

მაგრამ მაშინვე შეწყვიტა სიცილი. კართანაზე დირექტორი კარლბერგი და მისი თანხლები მატსონი გამოჩდნენ. იუხანმა გაიგონა კარლბერგის წარმოთქმული საბედისწერო სიტყვები. მარტო მან კი არა, ყველამ გაიგონა:

_ თუმცა სახლი გახვრეტილი გროშიც არა ღირს, მაინც ვიყიდ. ამ ნაკვეთთან ერთად, მე მგონი, მაინც სარფიანი საქმეა.

კართანაზე რომ ჩამოვიდა, ჩორვენს დაეჯახა და წააქცია. კარლბერგი გაბრაზდა, ჩორვენმა კი, ვითომ არაფერიო, ისე უთხრა:

_ დირექტორო კარლბერგ! იცი, რა მხიარული ლექსი ვისწავლე? გინდა გითხრა?

კარლბერგმა პასუხის თქმა ვერ მოასწრო, რო ჩორვენმა ჩამოარაკრაკა:

ადამმა, ევამ იქ, სამოთხეში,
დაკლეს მუსქანი ღორი,
ხორცი შეთქვლიფეს თლიანად,
სხვებს კი მიჰყიდეს ქონი.

_ სარფიანი საქმეა, არა? _ ჰკითხა ბოლოს.

დირექტორმა კარლბერგმა გაკვირვებით შეავლო თვალი.

_ არაფერი მესმის! _ უთხრა მან გოგოს. ჯიბეში ხელი ჩაიყო და კრონი ამოიღო. სასიამოვნოა, ამ პატარამ ლექსი რომ წაუკითხა, თანაც უცაბედად წააქცია კიდეც. ახლა ეჩქარებოდა და გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა. ამიტომ ხელში კიდევ ერთი მონეტა ჩაუდო.

_ გმადლობთ, _ უთხრა დირექტორმა, მერე მატსონს მიუბრუნდა და განაგრძო: _ ოღონდ ჯერ ცოლს მოვეთათბირები. კანტორაში ხვალ ოთხი საათისთვის მოვალ, რას იტყვით?

_ ძალიან კარგი, _ უპასუხა მატსონმა.

საღამოს დურგლისეული სახლის სამზარეულოში ისხდნენ ყველანი, მელკერსონებიც და გრანკვისტებიც. ბევრი საღამო გაუტარებიათ აქ ერთად, ასე მდუმარე და მწუხარე კი არასოდეს ყოფილან. ან რა უნდა ეთქვათ? მელკერი დუმდა. მწუხარებით გულგათანგულს კრიჭა შეჰკვროდა. ნისე და მერტა შეშფოთებული მისჩერებოდნენ. სურდათ ეგრძნობინებინათ, რა დიდი იყო მათი მწუხარება და რა ძნელი იქნებოდა მელკერისა და მისი ოჯახის გარეშე ყოფნა. მაგრამ მელკერი ისე იყო გულმოკლული, რომ მათაც იმედი გადაუწყდათ. მდუმარედ ისხდნენ და ნელ-ნელა ინთქმებოდნენ საღამოს ბინდში. რამის საფარქვეშ უფრო ადვილად ეძლეოდნენ მწუხარე ფიქრებს.

«რა უცნაური ზაფხულია», _ ფიქრობდა მალინი. მან გაიხსენა გასული წლის წყნარი, მშვიდი და უშფოთველი ზაფხული. ახლა კი რამდენი რამ მოხდა. ზედგამოჭრილი ამერიკული მთებია! ხან პეტერი და ბედნიერება, ხან ცრემლი და სასოწარკვეთა, ჯერ პელე და იოკე, ახლა _ ეს საშინელი და აუტანელი ამბავი, რომელიც ბოლოს მოუღებს მათ სიხარულს. ო, რა მწარე დასასრულია!

ჩორვენი იატაკზე იწვა ბოცმანის გვერდით, პელე შეშის ყუთს მიყრდნობოდა ზურგით და მუხლებზე იუმ-იუმი ეჯდა. პელეს ჩვეულებრივ დღეებშიც ამერიკულ მთებად ეჩვენებოდა ცხოვრება: ხან გიგანტური ზეაღმაფრენა, ხანაც სიხარულის მწვერვალებიდან მწუხარების უფსკრულებში ვარდნა. ახლა, თუმცა იუმ-იუმი ჰყავდა, უფსკრულის ძირას გრძნობდა თავს. ყველაფერზე ცუდი ის იყო, მამას რომ ასე სასოწარკვეთილს ხედავდა.

პელე ყველაფერს გაუძლებდა, მამის მწუხარების ატანა კი არ შეეძლო, არც მალინის, არც თავისი ძმებისა. ისინი არ უნდა წუხდნენ . პელე ამას ვერ გაუძლებს. რაც გინდა იყოს, ოღონდ ეს ნუ იქნება. იგი ლოყით იუმ-იუმის თბილ და ფუმფულა ბეწვს ეკვროდა და ცდილობდა როგორმე დამშვიდებულიყო. ამაოდ, შვება არსად ჩანდა.

გაავებული ჩორვენი უხმოდ ღვრიდა ცრემლებს. დილას ლოტას ეშარებოდა და ყველაფერს ვერ მიხვდა, ახლა კი გაიგო და ბრაზით გულზე სკდებოდა. პელეც ეცოდებოდა და თავისი თავიც. ასე რატომ არ ინდობენ ერთმანეთს ადამიანები. ჯერ ის ვესტერმანი თქვი, მერე ეს გაბერილი კარლბერგი თავისი სულელი ლოტათი.

აქედან მოწყდნენ ყველანი! რატომ არ ასვენებენ ადამიანებს? გარშემო მხოლოდ მწუხარებაა. საწყალი პელე, ახლა რა აჩუქოს, რომ ცოტათი მაიცნ გაახაროს. სელაპი აღარა ჰყავს. არც სხვა რამ აქვს საჩუქრად.

სწორედ ამ დროს კუთხიდან ფრედის ბურტყუნი შემოესმა:

_ ფული, ფული, ყველაფერს ფული უნდა, რა უსამართლობაა, ყველაფერი მასზე რომაა დამოკიდებული. საზიზღარი კარლბერგი!

უცებ ჩორვენს გონება გაუნათდა: ვინაა უფულო?! მას ხო ჯიბეები ფულითა აქვს სავსე. მთელი სამი კრონი, ჰო, ჰო, მართლა!

_ პელე, მე რაღაცას მოგცემ, _ ჩუმად, ისე რომ სხვას არ გაეგონა, ჩასჩურჩულა ჩორვენმა და მალულად მისცა თავისი სამი კრონი. ცოტა კი ერცვინებოდა: თუმცა სამი კრონი აუარებელი ფული იყო, პელეს წუხილის გასაქარვებლად ისიც არა კმაროდა.

_ რა კეთილ ხარ, ჩორვენ! _ ჩახრინწული ხმით გაეპასუხა პელე.

არც იმას ეგონა, სამი კრონი უშველის ჩვენს გაჭირვებასო, მაგრამ მაინც გულზე მოეფონა, ჩორვენმა რომ აჩუქა.

ღრუბელივით ჩაქუფრული ოთხი შეთქმული კუთხეში მიკუნჭულიყო. სადღა იყო მათი იდუმალება. არა და რა გეგმებს აწყობდნენ ამ ზაფხულისათვის. კვლავ ფიქრობდნენ ქოხის აგებას ბუტბუტა კუნძულზე, უზარმაზარი ტივის შეკვრასაც აპირებდნენ. მთელი კვირით შორეულ კუნძულებზე წასვლა და კარვებში ცხოვრებაც ჰქონდათ გადაწყვეტილი. მოტორიანი ნავის შოვნა უნდოდათ შხერებამდე რომ მიეღწიათ და იქაური გამოქვაბულები ენახათ. კიდევ ბიორნი დაპირდათ, სათევზაოდ წაგიყვანთო. დურგლისეული სახლის სხვენზე თავიანთი საიდუმლო კლუბის მთავარი შტაბის მოწყობაც განიზრახეს. ჯერ კიდევ არ იყო გვიან, იუხანი და ნიკლასი ისევ აქ ცხოვრობდნენ და შეიძლებოდა განზრახული შეესრულებინათ, მაგრამ ხალისი წაუხდათ და ყველაფერს აზრი დაეკარგა.

_ უცნაურია! _ თქვა იუხანმა. _ მე აღარაფერი მსურს.

_ არც მე, _ დაუმატა ნიკლასმა.

ტედიმ და ფრედიმ მხოლოდ ამოიოხრეს.

ჩამოწვა ღამე, დიდი ხანია გრანკვისტები შინ წავიდნენ; ბიჭებსაც ეძინათ. მელკერი და მალინი ისევ სამზარეულოში ისხდნენ. ბნელოდა. კედელზე ძლივსღა არჩევდნენ ფანჯრის ნათელ ოთხკუთხედს და ღუმელის ხვრელიდან გამომკრთალი ცეცხლის ციაგს. მათ ესმოდათ როგორ ტკაცუნებოდა ცეცხლმოდებული გამხმარი შეშა, სხვა არაფერი. მალინს გაახსენდა, პრიველად როგორ აანთო მელკერმა ღუმელში ცეცხლი, ო, რამდენი ხნის წინ იყო ეს ამბავი და რა მხიარულები იყვნენ მაშინ!

მელკერი მთელი საღამო დუმდა. ახლა კი იფეთქა, გზა მისცა დაგუბებულ წუხილს.

_ ვიცი, ხელმოცარული კაცი ვარ. უიღბლო და უხეირო. ჩორვეი მართალია, ფხა მაკლია, ფხა!

_ ნუ იგონებ რაღაცას! _ შეეპასუხა მალინი. _ არაფერი ფხა არ გაკლია, ვინ ვინა და მე ვიცი ეს.

_ არა, არა მაქვს, _ არწმუნებდა ქალიშვილს მელკერი. _ თორემ ასეტი ამბავი ხდება და მთელი საღამო ასე გულხედაკრეფილ ივიჯდებოდი? ხელმოცარული მჯღაბნელი ვარ! ნეტა რა მრჯიდა ამას. არა სჯობდა, ერთი პატარა კანტორა მქონოდა? იქნებ მაშინ გვღირსებოდა ეს სახლ-კარი.

_ არავითარი კანტორის პატრონი არ მჭირდება ოჯახში. არც მე და არც არავის, არ გვინდა ეგეთები, _ განუცხადა მალინმა, _ მარტო შენ გვინდიხარ!

მელკერმა მწარედ ჩაიცინა.

_ მე გინდივართ? რას გიკეთებთ ნეტავ? შვილებს ზაფხულიც ვერ გავატარებინე მშვიდად. მე, რომელსაც ამდენი რამ მსურდა თქვენთვის, რო მინდოდა ამ ცხოვრებაში ყველაფერი მშვენიერი, მხიარული და გასაცარი თქვენთვის მებოძებინა...

მელკერს ხმა აუთრთოლდა და სიტყვის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

_ შენ ყველაფერი გაგვიკეთე, რაც გსურდა, მამა, _ მშვიდად მიუგო მალინმა, _ შენ მოგვეცი ყველაფერი მშვენიერი, მხიარულ და გასაცარი ამ ცხოვრებაში. ეს შენ შეძელი. მხოლოდ შენ! შენ ზრუნავდი ჩვენზე _ ესაა მთავარი, და ჩვენ ამას მუდამ ვგრძნობდით.

მელკერს ტირილი წასკდა. ოჰ, ეს მალინი, არ აატირა კაცი!

_ დიახ, შესტირა მელკერმა, _ მე ვზრუნავდი თქვენზე, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს...

_ ეს ყველაფერია, _ უთხრა მალინმა, _ აღარა მინდა იმის გაგონება, თითქოს მამაჩემი ხელმოცარული და უხეირო კაცია. რაც შეეხება დურგლისეულ აგარაკს, მოხდეს, რაც მოსახდენია...

სახლის ზღვის კიდეზე

მეორე დილას ყველა ერთმა აზრმა გამოაღვიძა _ დღეს, ოთხ საათზე, კარლბერგი წავა ნორტელიეში მატსონთან და დურგლისეულ კარ-მიდამოს იყიდის.

ისინი ჯერ ცდილობდნენ, ისე დაეჭირათ თავი, ვითომც არაფერი მომხდარა და იმდღევანდელი დღეც იყო ჩვეულებრივი დღე ჩვეულებრივი ბზიკებით, მურაბის ვაზას რომ დაბზუიან. საბრალო ბზიკები! პელეს შეეცოდა ისინი.

_ კარლბერგი სახლს რომ აიღებს, ბზიკების ბუდესაც დაანგრევს.

_ ჰო, ეგ ერთადერთი გზაა ბზიკების მოსასპობად, _ მშრალად თქვა მელკერმა, _ აიღებენ სახლს და... არა, რატომ აქამდე ვერ მოვიფიქრეთ!

გრძელი და მომქანცველი დუმილი ჩამოწვა, რომელიც ჩორვენის გამოჩენამ დაარღვია.

_ ძია მელკერ, შენ რა, დაყრუვდი? _ რამდენჯერ უნდა გავიმეორო, ტელეფონზე გეძახიან-მეთქი!

დურგლისეულ კარ-მიდამოში ტელეფონი არ იყო და მელკერს დუქანში ურეკავდნენ ხოლმე. მელკერმა ყავიანი ფინჯანი გვერდზე გასწია, ფეხზე წამოვარდა და გაიქცა. ჩორვენიც უკან მიჰყვა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩორვენი მელკერსონებთან მობრუნდა. ძალიან შეშინებული სახე ჰქონდა.

_ მალინ, სჯობს, შენც წამოხვიე, ეტყობა, რაღაც ახალი უბედურებაა კიდევ. ძია მელკერი მთლად წახდა.

დუქანში მარტო მალინი კი არა იუხანი, ნიკლასი და პელეც გაიქცნენ. მათ საბრალო მამას გარს შემოხვეოდნენ ნისე, მერტა, ტედი და ფრედი. მელკერი აღელვებული იყო, ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა და წყნარად ჩურჩულებდა:

_ ეს შეუძლებელია! ეს შეუძლებელია!

_ მამა, რა მოხდა? _ განწირული ხმით ჰკითხა მალინმა. მას აღარ შეეძლო ახალი გულსატკენი ამბის გადატანა. _ მამა, თქვი, რა მოხდა?

მელკერმა ღრმად ამოიოხრა.

_ ეს-ეს არის... _ ამოღერღა და კვლავ გაჩუმდა, მერე სული მოითქვა და განაგრძო: _ ეს-ეს არის მოხდა სასწაული. არც დაიჯერებთ, ლიტერატურული პრემია მივიღე, ოცდახუთი ათასი კრონი.

გრანკვისტის დუქანში კარგა ხნით ჩამოდგა დუმილი. ყველა გაშტერდა. ჩორვენსღა შემორჩა საღი აზრი.

_ რა მოგცეს?.. აი, ის, რასაც ამბობ, რატომ მოგცეს?

მელკერმა შეხედა და ბედნიერად გაიღიმა.

_ გეტყვი, პატარა ჩორვენ. იმიტომ მომცეს, რომ ნამდვილი ფხა და შემართება მაქვს. დიახ, მხოლოდ იმიტომ.

_ ასე გითხრეს იმათ, ვინც დაგირეკეს?

_ ჰო, რაღაც ამგვარი.

_ მერე, რაღა გაღრიალებს? _ გაოცდა ჩორვენი.

ახლა კი ყველა მიხვდა, ბედნიერი ამბავი მოხდაო.

_ მამა, ახლა მდიდრები ვართ? _ ჰკითხა პელემ.

_ არც ისე, _ უპასუხა მელკერმა, _ მაგრამ ყოველ შემთხვევაში...

უცებ მელკერი დადუმდა. ბავშვებმა შიშით შეხედეს, ისევ არ ატირდესო. ახლა ხომ ბოლო მოეღო ტირილ-ყვირილს.

მელკერი არ ტიროდა. მან იყვირა, ყველასათვის მოულოდნელად იყვირა:

_ გესმით, ეს რას ნიშნავს? შეიძლება დურგლისეულ იკარ-მიდამოს შეძენა შევძლო... თუ უკვე გვიანი არ არის!

თან საათს დახედა... იმ წამსვე გაიგონეს საყვირის ხმა. ზემოთ ნავმისადგომში «სალტკროკა I» ემზადებოდა წასასვლელად.

_ მელკერ, გაიქცეი! _ შესძახა ნისე გრანკვისტმა. _ გაიქეცი!

მელკერი გაიქცა, თან ყვიროდა:

_ წავედით, იუხან, ნიკლას, წავედით! მომიცადეთ, მომიცადეთ! _ შესძახა ახლა გემს.

როცა მელკერი ნაპირთან მივარდა, ტრაპი უკვე გემზე აეტანათ. მაგრამ მას ისეთი შეშლილი სახე ჰქონდა და ისეთი მუდარით იწვდიდა ხელებს, რომ ბოგურაზე მდგარ კაპიტანს გული შეუქანდა სიბრალულით. ტრაპი დაუშვეს და მელკერი გემზე ავარდა. უკან არც მობრუნებულა, ისე იყვირა:

_ წავედით, იუხან, ნიკლას! აბა, მარდად!

როცა გემი საკმაოდ მოსცილდა კუნძულს, მელკერმა მოულოდნელად დაინახა, რომ იუხანისა და ნიკლასის გარდა პელე და ჩორვენიც გამოყოლოდნენ.

_ თქვენ ვიღამ გამოგიშვათ? _ უსაყვედურა მელკერმა. _ ბავშვებს იქ არაფერი ესაქმებათ.

_ ჰმ, ჩვენც შენთან გვინდა, _ უპასუხა ჩორვენმა. _ ასე წელია ნორტელიეში აღარ ვყოფილვარ.

მელკერი მიხვდა, დავა უაზროაო. ბავშვებს ზღვაში ხომ არ გადაყრიდა. რადგან პრემია მიიღო, სიკეთე და კეთილშობლებაც მართებს. თანაც სირბილისგან აქოშინებულს უჭირდა ჩხუბი.

_ შველივით მოვქროდი, _ ძლივს ამოთქვა სუნთქვაშეკრულმა მელკერმა, _ თუმცა ისე ვეღარ, როგორც სკოლაში, ას მეტრს თორმეტ მთელსა და ოთხ მეათედ წამში რომ გავრბოდი.

იუხანმა და ნიკლასმა ერთმანეთს გადახედეს, იუხანმა თავი გააქნია.

_ უცნაურია, მამა, რაც წლები გემატება, შენი სიტყვით, უფრო და უფრო სწრაფად დარბოდი ბიჭობაში.

ის კი, მელკერს ისევ შველივით რომ შეეძლო სირბილი, ძალიან გამოადგა. იცოცხლე, იმ დღეს უწია სირბილმა.

თუ სალტკროკაში ცხოვრობ, კარგა დრო გჭირდება ქალაქ ნორტელიეს რომ მიაღწიო, ჯერ გემით მატერიკზე, ნავსადგურში ჩახვალ, მერე ამ ნავსადგურში დაახლოებით ერთი საათი უნდა იცადო. ბოლოს მოვა ნორტელიეს ავტობუსი. გზაზე ათასჯერ გაჩერდება, თან ისე ნელა დადის, გეგონება, მიღოღავსო, თუმცა განრიგს არ არღვევს. დღის პირველ საათზე ავტობუსი ნორტელიეში უნდა იყოს. და ასეცაა, წუთსაც არ გადააცდენს.

«დაბერდები კაცი ამ გზაზე, _ გაიფიქრა ავტობუსიდან გადმოსვლისას მელკერმა. _ რა არ მოგივა თავში ასე ხანგრძლივად მგზავრობისას. ზიხარ ავტობუსში, სულ უფრო მეტად ღელავ და უსასრულოდ უმეორებ თავს: ტყუილად ნუ ოცნებობ, დურგლისეულ კარ-მიდამოს ვერასოდეს ეღირსები».

მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა. ბავშვებთან ერთად მელკერმა მატსონის კანტორისაკენ მოუსვა. ამ კანტორაში ხდებოდა გარიგებები აგარაკების გაქირავებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვაზე.

მატოსნი კანტორაში არ დახვდათ. იყო მხოლოდ პატარა ფუნჩულა მემანქანე.

კეთილი სახე ჰქონდა. ცოდნით კი, სამწუხაროდ, არაფერი იცოდა.

_ სად არის ბატონი მატსონი? _ ჰკითხა მელკერმა.

_ აბა, რა ვიცი?

_ როდის დაბრუნება?

_ აბა, რა ვიცი?

მემანქანეს დიდი და გლუბრყვილო თვალები ჰქონდა და ნათლად ჩანდა, რომ ამ ქვეყანაზე საერთოდ არაფერი იცოდა. უცებ სარკე ამოიღო და თავის მომრგვალებულ სტანდარტულ პირისახეს დაუწყო თვალიერება. ამან ისე გაიტაცა, თავისდაუნებურად ამეტყველდა.

_ მატსონი წავიდა. ის ხომ სულ ასე დარბის. რა ვიცი, იქნებ მაყვლის საყიდლად წავიდა? ან იქნებ მშენებლობაზეა? ხანდახან ქალაქის სასტუმროშიც ზის და სვამს ხოლმე.

მელკერსონებმა მისგან ვერაფერი გაიგეს და, როგორც შეცვივდნენ, ისევე ფაცხაფუცხით გამოცვივდნენ.

მელკერმა საათს დახედა. მესამე დაიწყო. სად ეძებოს მატსონი? სად შეიძლება იყს ამ მშვენიერი ქალაქში ის უხეირო კაცი? აუცილებლად უნდა იპოვოს და, რაც შეიძლება მალე. მაყვლის საყიდლად წავიდაო... მაყვალს, ალბათ, ბაზარში ყიდულობენ?.. არა რა დროს მაყვალია, ბატონო მატსონ, როცა დურგლისეული კარ-მიდამოს ბედი წყდება!

მელკერი თროთდა მღელვარებისაგან. არ უნდოდა პელე და ჩორვენი თან ეტარებინა. მთელი ესკადრონით ქალაქის ვიწრო ქუჩებში სიარული ძნელი იყო, ამიტომ შმაკობა იხმარა.

_ ნაყინი გინდათ? _ ჰკითხა ბავშვებს.

ამას რაღა კითხვა უნდოდა. მელკერმა კიოსკში ნაყინი იყიდა და ბავშვებს სკვერისაკენ გაუძღვა.

_ აი, აქ დასხედით, _ უთხრა მელკერმა და ძელსკამზე მიუთიტა, _ დასხედით და ჭამეთ ეს ნაყინი, სანამ დავბრუნდებოდეთ.

_ ჭამას რო მოვრჩებით?_ იკითხა ჩორვენმა.

_ მერეც ისხედით.

_ როდემდე? _ ისევ იკითხა ჩორვენმა.

_ სანამ არ დაბერდებით. _ შეუბრალებლად უპასუხა მელკერმა და გავარდა. იუხანი და ნიკლასიც მიჰყვნენ. ჩორვენი და პელე კი ისხდნენ სკვერში და ნაყინს შეექცეოდნენ.

ხანდახან გესიზმრება, რომ დარბიხარ და რაღას ეძებ. ის რაღაც აუცილებლად უნდა იპოვო. უნდა იპოვო მალე, ძალიან მალე. ამით შენი სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი წყდება. დამდუღრულივით აწყდები აქეთ-იქით, შიშისაგან დაზაფრული ეძებ და ეძებ. შიში სულ უფრო გემატება, პოვნით კი, რასაც ეძებ, ვერა პოულობ. მელკერისა და მისი ვაჟიშვლების განცდებიც, მატსონს რომ ეძებდნენ, სწორედ ასეთ სიზმარს ჰგავდა.

მატსონი ბაზარში არ აღმოჩნდა. ჰო, იყო და წავიდაო, _ თქვა ერთმა მოვაჭრე ქალმა. ახლა მშენებლობაზე გაქანდნენ, ქალაქის მეორე ბოლოში. არა, იქ მატსონის სახსენებელიც არსად იყო. იქნებ, მართლა ქალაქის სასტუმროში ზის და სვამს. არა, მისი ლანდი რაა, ისიც არ უნახავთ.

უცებ მელკერმა შუბლზე ხელი იტკიცა.

_ სულელი არა ვარ ახლა? _ იყვირა გამწარებით. _ არ სჯობდა, კანტორაში დავმსხდარიყვით და მოგვეცადა, რას დავქაქანებთ ამ ქალაქში?

აი, სწორედ ამ დროს მათ საშინელი რამ აღმოაჩინეს: _ მელკერის საათი გაჩერებულიყო!

მელკერმა დაინახა, რომ ქალაქის სასტუმროს საათი ხუთის ხუთ წუთს უჩვენებდა, მისი უბედური საათივით ოთხის ნახევარს კი არა. ეს იყო საზარელი წამი.

_ ხო გაფრთხლებდი, მელკერ, შენი სამე არაა ასეთ რამეზე ოცნება-მეთქი. რა დურგლისეული კარ-მიდამოს მყიდველი შენა ხარ, რომელი საათია, ის ვერ გაგიგია ხეირიანად. უკვე გვიანაა, ჩემო ძვირფასო მელკერ. ამ წუთას დირექტორი კარლბერგი კბილებში სიგარაგარჭობილი ზის მატსონის კანტორაში და კმაყოფილი აწკლაპუნებს ტუჩებს.

მელკერმა ისე ცხადად წარმოიდგინა ეს სურათი, კვნესა აღმოხდა. იუხანს და ნიკლასს მამა ძალიან ეცოდებოდათ, მაგრამ ცოფი ერეოდათ მეტისმეტი სიბრაზისაგან. ასეა მუდამ! ერთხელაც არ გაგიმართლებს. სულ დავიდარაბა და უბედურება. იუხანმა კიბლები დაახრჭიალა.

_ იქნებ მანაც დააგვიანა, მამა, ტაქსი დავიქირავოთ!

ისინი ტაქსში ჩასხდნენ და ხუთის ათ წუთზე კანტორას მიადგნენ.

სამწუხაროდ, დირექტორი კარლბერგი ისეთი კაცი არ იყო, საქმეზე დაეგვიანა. მისი საათი კარგად მუშაობდა. ყვეალფერი ისე იყო, როგორც მელკერმა წარმოიდგინა. კმყოფილი დირექტორი კბილებში სიგარაგაჩრილი იჯდა. მელკერმა თავი ვეღარ შეიკავა.

_ მოიცათ! _ შეჰყვირა მან. _ მეც მყიდველი ვარ!

დირექტორმა კარლბერგმა თავაზიანად გაუღიმა:

_ ვგონებ, დაგაგვიანდათ.

სასომიხდილი მელკერი მატსონს შეეხვეწა:

_ ბატონო მატსონ, ნუთუ გული არა გაქვთ? მე და ჩემს შვილებს ხომ ძალიან გვიყვარს დურგლისეული კარ-მიდამო. ნუ იქნებით ასეთი შეუბრალებელი.

მატსონი არ იყო უგულო ადამიანი, მაგრამ ის საქმის კაცი იყო და გრძნობებს აგრე რიგად არ დაგიდევდათ.

_ მაშ, რატო უფრო ადრე არ მოხვედით? ასეთ საქმეს დახვალიება არ უხდება. აქ არ იციდან. ვინც ადრე მოდის, პატრონიც ის ხდება. ძალიან დაგაგვიანდათ, ბატონო მელკერსონ!

««ძალიან დაგაგვიანდათ, ბატონო მელკერსონ!» _ მთელი სიცოცხლე ეს სიტყვები მესმის», _ გაიფიქრა მელკერმა და სასოწარკვეთილმა ახლა დირექტორ კარლბერგს მიმართა:

_ ჩემი შვილების გულისათვის... იქნებ უარი გეთქვათ...

დირექტორი კარლბერგი განაწყენდა.

_ მეც მყავს შვილი, ბატონო მელკერსონ. შვილი მეცა მყავს-მეთქი, გიმეორებთ.

კარლბერგი უცებ მატსონს მიუბრუნდა:

_ წავიდეთ სახლის პატრონთან, ფრუ შიობლუმთან, მინდა კონტრაქტს მოვაწერო ხელი.

ქალბატონ შიობლუმთან? ნუთუ ის მხიარული დურგლის ცოლია? მას ხომ არ ვთხოვო? მატსონი ხომ არაა ყველაფერი? მელკერმა კბილი კბილს დააჭირა. უნდა სცადოს. მართალია, არა სჯეროდა, რომ რამე გამოვიდოდა, მაგრამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს. თუ ეს ბოლო იმედიც განქარდება, მერეც ეყოფა ნგაცდა იმ სიტყვებისა: «ძალიან დაგაგვიანდათ, ბატონო მელკერსონ!».

_ ბიჭებო, წავიდეთ, _ წაიჩურჩულა მელკერმა, _ ჩვენც გავყვეთ ფრუ შიობლუმთან.

«სანამ არ დაბერდებითო», _ უთხრა პელეს და ჩორვენს ძია მელკერმა. რამდენ ხანს უნდა ისხდნენ ამ ძელსკამზე! ჩორვენს არ ეჭაშნიკა ეს ამბავი. არც პელეს. ნაყინი მალე თავდება, დაბერებით კი ნელ-ნელა ბერდებიან... ისინი, კარგა ხანია აქ სხედან და მოშივდათ კიდეც. პელე ისე ღელავდა, ადგილზე ვერ ჩერდებოდა. რატომ აგვიანებს მამა მოსვლას? პელეს ლოდინში მუცელი ასტკივდა, სულ კანკალი დააწყებინა. არც ჩორვენი ჩანდა კმაყოფილი. ნორტელიე ძალიან მხიარული ქალაქია. დედასა და მამასთან ერთად ბევრჯერ ყოფილა აქ და იცოდა, რამდენი რამ იყო საინტერესო და თავშესაქცევი. ახლა კი იჯექი ამ სკამზე მიწებებულივით, თანაც მშიერი და მწყურვალი.

_ ჩვენ რა, ასე უნდა ვისხდეთ, სანამ შიმშილით არ დავწყდებით? _ საწყალდ იკითხა ჩორვენმა.

პელეს რაღაც გაახსენდა და გამოცოცხლდა. მას ხომ ფული აქვს ჯიბეში! მთელი სამი კრონი.

_ თითო ცალ ნაყინს კიდევ ვიყიდი, _ თქვა პელემ.

ასეც ქნა. მიირბინა კიოსკთან და იყიდა ნაყინი. ჯიბეში ორი კრონიღა დარჩა.

ნაყინი სწრაფად იჭმება, დრო კი მიიზლაზნება, მოსვლით არავინ მოდიოდა და პელეს ისევ კანკალი აუტდა.

_ მე მგონია, კარგი იქნება, თითო ნაყინიც რომ ვიყიდო, _ უთხრა ჩორვენს და ისევ გაიქცა კიოსკთან, რის მერეც ჯიბეში ერთდერთი კრონი დარჩა.

დრო გადიოდა, მაინც არავინ ჩანდა. ნაყინი, დიდი ხანია, შეყლაპეს.

_ კიდევ იყიდე! _ ურჩია ჩორვენმა.

პელე თავი გაიქნია.

_ არა, მთლად უფულოდ დარჩენაც არ შეიძლება. ერთი გროში მაინც უნდა დაიტოვო ჯიბეში გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის. პელეს ხშირად ესმოდა ასე რომ ეუბნებოდა მალინი მამას. მართალია, არ იცოდა, რა იყო ეს «გაუთვალისწინებელი ხარჯები», მაგრამ ხვდებოდა, ფული ერთბაშად არ უნდა გამოელია.

ჩორვენმა ამოიოხრა. გადიოდა წუთები და მასაც ეკარგებოდა მოთმინება.

პელეც სულ უფრო და უფრო წუხდა. რა გვეშველება, მამამ რომ ვერ იპოვოს ის საძაგელი მატსონი? ვინ იცის, იქნებ საქმე უკვე სხვაგვარადაა. ვაითუ, მატსონი კარლბერგთან ზის და გახურებული ვაჭრობა აქვს დრუგლსიეულ კარ-მიდამოზე, იმის ნაცვლად, რომ ბაზარში წასულიყო, მაყვალი ეყიდა, ხოლო კანტორაში მობრუებული მამას დურგლისეულ კარ-მიდაოზე გარიგებოდა. შენ კი იჯექი და უცადე... თანაც არც იცი, რა ხდება. ოჰ, რარიგ სძულდა კარლბერგი. და კიდევ ის მატსონი. ნუთუ ფრუ შიობლუმს მოსწონს ეგეთი კაცი რომ განაგებს მის საქმეებს, არა სჯობია, თვითონ ითავოს?

ფრუ შიობლუმი? ის სადღაც აქ, ნორტელიეში ცხოვრობს, ნუთუ მართლა უნდა დურგლისეულ კარ-მიდამოს გაყიდვა?! ალბათ, ჭკუიდან არის გადასული... გვეკითხა მაინც მისთვის. ჰო, რა უშავდა?

_ იცნობ ფრუ შიობლუმს? _ ჰკითხა ჩორვენს.

_ აბა, არ ვიცნობ? ამ ქვეყანაზე ყველა ჩემი ნაცნობია.

_ სად ცხოვრობს?

_ სად ცხოვრობს? _ ჩაეკითხა ჩორვენი, _ ყვითელ სახლში ცხოვრობს, იქვე, შორიახლოს კანფეტების მაღაზიაა, სულ გვერდით კი სათამაშოების მაღაზია.

პელე ჩუმად მიეცა ფიქრებს. მუცელი კიდევ უფრო ასტკივდა. ბოლოს წამოხტა ძელსკამიდან.

_ წამო, ჩორვენ, ფრუ შიობლუმი მოვძებნოტ. უნდა მოველაპარაკო.

გაოცებული ჩორვენი მხიარულად წამოხტა ადგილიდან.

_ ძია მელკერი რას გვეტყვის?

ეს კითხვა პელესაც გაუჩნდა, მაგრამ ახლა არ სურდა ამაზე ფიქრი. მას უნდოდა ფრუ შიობლუმი ეპოვა. მოხუც დეიდებს მოსწონდათ პელე, არაფერი დაშავდება, თუ პელე რამეს შეეკითხება... თუმცა თვითონაც არ იცის, რას ჰკითხავს. იცის მხოლოდ, რომ ასე გულხედაკრეფილი ჯდომა არ შეიძლება.

ჩორვენი დედასთან და მამასთან ერთად ხშირად ყოფილა სტუმრად დეიდა შიობლუმთან, მაგრამ ყვითელი სახლი მაინც ვერ იპოვა. ბოლოს პოლიციელი მონახა და ჰკითხა:

_ სად არის კანფეტების მაღაზია, რომლის გვერდითაც სათამაშოები იყიდება?

_ შენ ყველაფერი ერთად გინდა იყოს თავმოყრილი? _ გაიცინა პოლიციელმა, თუმცა, ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, მიხვდა, რაც სურდა გოგონას, და გზა ასწავლა.

ბავშვები გაიქცნენ პატარა, ვიწრო ქუჩებით და ბოლოს და ბოლოს იპოვესკანფეტების მაღაზია, მთლად სათამაშოების მაღაზიის გვერდით რომ იყო. ჩორვენმა მიმოიხედა.

_ აგე, ისაა! _ უჩვენა თითით, _ იმ ყვითელ სახლში ცხოვრობს დეიდა შიობლუმი.

ზედ ქუჩის პირას დაბალი, ორსართულიანი სახლი იდგა თავისი პატარა ბაღით.

_ შენ დარეკე, _ უთხრა პელემ. თვითონ ვერა ბედავდა.

ჩორვენმა თითი მიაჭირა ღილაკს და კარგა ხანს აღარ აუშვა. მერე იცადეს, დიდხანს იცადეს, კარი არავინ გაუღოთ.

_ შინ არ არის, _ ჩაილაპარაკა პელემ და თავადაც არ იცოდა, სწყენოდა თუ გახარებოდა. ასე, ალბათ, უკეთესია, უცხო ხალხთან საუბარი ხომ ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც...

_ მაშ, რადიო რატომაა ჩართული? _ იკითხა ჩორვენმა და ყური კარს მიადგო. _ ნუთუ არ გესმის, როგორ მღერია: «ეჰ, შოშიების ქოხში შაბათს სიცოცხლე ჩქეფდა...»?

ჩორვენმა ერთხელაც დარეკა და ემრე კარს ბრახუნი აუტეხა.

არავინ გამოეპასუხათ.

_ შინ უნდა იყოს, _ განაცხადა ჩორვენმა, _ წამო, მეორე მხრიდან შემოვუაროთ.

შემოუარეს სახლს. უკანა კედელზე, მეორე სართულის ფანჯარასთან, კიბე მიეყუდებინათ. ღია ფანჯრიდან გაისმოდა რადიოს ხმა. ახლა სრულაიდ გარკვევით გაიგონეს შოშიების ქოხში შაბათს როგორ «ჩქეფდა სიცოცხლე»...

_ დეიდა შიობლუმ! _ დაიყვირა ჩორვენმა.

არავინ გამოეპასუხათ.

_ კბიეზე ავიდეთ და ოთახში შევიხედოთ! _ შესთავაზა ჩორვენმა პელეს.

პელე შეშიდან. ასე სხვის ბინაში შეძრომა, ალბათ, არ შეიძლება. სულ კი არ გაგიჟებულა! ჩორვენს არაფრის გაგონება არ სრუდა. მან კიბისაკენ უბიძგა პელეს და თუცმა ბიჭს მუხლეიბ ეკვეთებოდა, მაღლა აცოცების მეტი აღარაფერი დარჩენოდა.

შუა კიბეზე ინანა, ჩორვენს რად დავუჯერეო, და უკან მობრუნება მოუნდა, მაგრამ გაგიგონია?! უკან ჩორვენი მიცოცავდა, მის გვერდით გაძრომა კი, მართალი გითხრათ, ძნელი საქმე იყო.

_ რას მიღოღავ, ჩქარა! _ ეუბნებოდა ჩორვენი და შეუბრალებლად უბიძგებდა მაღლა.

შეშინებული პელე ისევ ზევით აცოცდა, თან გამწარებული იმაზე ფიქრობდა, რა ეთქვა, ოთახში თუ ვინმე აღმოჩნდებოდა.

ოთახში, რა თქმა უნდა, ვიღაც იყო. ალბათ, დურგლის ცოლი. ფანჯარასთან ზურგშექცევით იჯდა. ერთხანს პელე შეშფოთებით შესცქეროდა მის კეფას, მერე ჩაახველა. ჯერ ჩუმად, მეორედ უფრო ხმამაღლა. მოხუცმა ქალმა შეჰკივლა და შემობრუნდა; პელემ იცნო: ეს ქალი, მართლაც დურგლის ცოლია, ფრუ შიობლუმი, სწორედ ასეთი ჰყავდა წარმოდგენილი. საოცრად მოხუცი იყო, სახედანაოჭებული, ჭაღარათმიანი, მაგრამ არაჩვეულებრივად ცოცხალი თვალები ჰქონდა. პელეს ისე მიაჩერდა, გეგონება, მოჩვენებას უყურებსო.

_ არც ისეთი საშინელი ვარ, როგორიც ვჩანვარ, _ აკანკალებულ იხმით უთხრა პელემ.

დეიდა შიობლუმს გაეცინა.

_ აი, თურმე რა! მაშ არა ხარ ისეთი საშინელი, როგორიც ჩანხარ?

_ არა, სულაც არაა საშინელი, _ დაამშვიდა ჩორვენმა რომელმაც ამ დროს ფანჯარაში შეიჭყიტა. _ გამარჯობათ, დეიდა შიობლუმ!

_ უი, თვალი დამიდგეს, თუ ეს ჩორვენი არ იყოს.

_ განა არ მეტყობა? ეს კი პელეა, დურგლისეულ კარ-მიდამოს ყიდვა უნდა. შეიძლება?

დეიდა შიობლუმმა გულიანად გადაიხარხარა, ერთი შეხედვითაც ეტყობოდა, მხიარული ქალი იყო და ბავშვებს უთხრა:

_ არა ვარ მიჩვეული, საქმეები ფანჯრის იქით ატუზულ ხალხთან გავარიგო. ჯერ ოთახში მობრძანდით.

დეიდა შიობლუმთან საუბარი არც ისე ძნელი აღმოჩნდა, პელეს რომ ეგონა.

_ გშიათ? _ მაშინვე ჰკითხა მოხუცმა ბავშვებს.

წარმოგიდგენიათ რა დიდებული დასაწყისია!

მოხუცმა ისინი დაბლა ჩაიყვანა, სამზარეულოში, და ბუტერბროდებითა და რძით გაუმასპინძლდა. ნაირ-ნაირი ბუტერბროდები იყო: ბუტერბროდები შაშხით, ყველით, ბუტერბროდები ხბოს ხორცითა და კიტრით. მოკლედ, ნამდვილი ლხინი გაიმართა. პელე და ჩორვენი მადიანად სანსლავდნენ ბუტერბროდებს და ზედ რძეს აყოლებდნენ, თანაც მოხუცს მოუყვნენ მატსონის, კარლბერგის, ლოტას, ვესტერმანის, იოკეს, მუზესის, იუმ-იუმისა და, საერთოდ, ყველას ამბავი. უამბეს ყველაფერი, რაც სალტკროკაზე მოხდა.

ჩორვენმა ყველაზე მეტი ლოტაზე იქაქანა.

_ ვერანაა, _ თქვა ზიზღით, _ ნამდვილი სულელი, არა, დეიდა შიობლუმ?

დეიდა შიობლუმი დაეთანხმა, რომ «ვერანის» შენება ყოველ შემთხვევაში სალტკროკაზე, სულელის გარდა, აზრად არავის მოუვა. თანაც დაუმატა; დურგლისეულ იკარ-მიდამოს დანგრევაც სდომებიათ. დანგრევისნაირი სისულელე ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონიაო!

«ბებერებიღა მაკლდა, _ ფიქრობდა მელკერი. _ ერთ დღეში ბებერები, ლიტერატურული პრემია და ჯერ კიდევ, ვინ იცის, რა მელის. ეს უკვე მეტისმეტია!» მაგრამ მაინც გაბედულად მიქროდა წინ იუხანთან და ნიკლასთან ერთად. მატსონი თვალიდან არ უნდა დაეკარგათ. მის უშნო, ზოლებიან კოსტიუმს, როგორც გზის მანათობელ ვარსკვლავს, ისე მისდევდნენ უკან. მან ისინი ტყის ცოცხისა და ჟასმინის ბუჩქებში ჩაფლულ ყვითელ სახლთან მიიყვანა.

მატსონამ ზარის დარეკვაც ვერ მოასწრო, რომ მელკერი მის გვერდით გაჩნდა. ვისა აქვს უფლება, დურგლისეული კარ-მიდამოს მეპატრონესთან საუბარი აუკრძალოს. აბა, ერთი ვინმემ გაბედოს!

დირექტორი კარლბერგი გაბრაზდა:

_ მიბრძანდით, ბატონო მელკერ! თქვენ აქ არაფერი გესაქმებათ.

_ არა მაქვს უფლება ველაპარაკო ფრუ შიობლუმს, თუკი მინდა? _ გაცხარდა მელკერი.

მატსონმა ცივად შეხედა.

_ ვფიქრობ, თავადაც გესით, ბატონო მელკერ, რომ მე ვარ მის საქმეთა რწმუნებული. ნუთუ ფიქრობთ, ფრუ შიობლუმთან საუბარი რამეს მიშველისო.

მელკერმა კარგად იცოდა, საუბარი არ უშველიდა, მაგრამ უნდა სცადოს და, ურჩევნიათ, ხელს ნურავინ შეუშლის.

კარი გაიღო და ზღურბლზე ფრუ შიობლუმი გამოჩნდა. მატსონმა დირექტორი წარუდგინა.

_ დირექტორი კარლბერგი გახლავთ, დურგლისეული კარ-მიდამოს ყიდვა სურს.

მატსონი თითქოს ვერ ამჩნევდა მელკერს. ფრუ შიობლუმი მიესალმა დირექტორს და თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა. მელკერმა თავაზიანად ჩაახველა. ოღონდ შეხედოს შიობლუმმა და იქნებ მიხვდეს, მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი რომ წყდება. მაგრამ ამაოდ, ფრუ შიობლუმი ვერ ამჩნევდა მელკერს. მან მშვდიად, წყნარად მიმართა დირექტორ კარლბერგს:

_ დურგლისეული კარ-მიდამო უკვე გავყიდე.

მისი სიტყვები მეხივით გავარდა. მატოსნი ყეყეჩივით მიაჩერდა ფრუ შიობლუმს:

_ გაყიდეთ?

_ გაყიდეთ? _ ჩაეკითხა კარლბერგი. _ ამით რისი თქმა გსურთ?

მელკერი გაფითრდა. ყველაფერი გათავდა. არავითარი იმედი აღარაა. სულ ერთი არაა, ვინ იყიდა კარ-მიდამო, მისთვის და მისი შვილებისათვის ხომ სამუდამოდ დაკარგულია. ეს ადრევე იცოდა, მაგრამ, საოცარია, ახლა, ვარაუდი რომ გაუმართლდა, ძალიან ეტკინა გული.

იუხანი და ნიკლასი ატირდნენ ჩუმი და მწარე ცრემლებით, თუმცა ცდილობდნენ თავი შეეკავებინათ. საშინელი დაღლილობა დაეუფლათ, ანდა ვის რა დააკლდება მათი ტირილით.

_ ამით რისი თქმა გსურთ? _ ჰკითხა დიასახლისს მატსონმა, როცა ლაპარაკის უნარი დაუბრუნდა. _ მერე ვის მიჰყიდეთ?

_ გამომყევით და ნახავთ, _ თქვა შიობლუმმა და საპარადო შესასვლელის კარი გააღო. _ თქვენც მობრძანდით, _ მიმართა მელკერსა და მის ატირებულ ვაჟებს.

მელკერმა უარის ნიშნად თავი გააქნია! არაფრით არ უნდოდა იმის დანახვა, ვინც დურგლისეული კარ-მიდამო იყიდა. სჯობს, არც იცოდეს, ვინაა. მაგრამ ამ დროს ოთახიდან გაისმა საოცრად ნაცნობი და საყვარელი ხმა:

_ ძია მელკერი ფხიანი კაცია, დამიჯერე, დეიდა შიობლუმ!

ყვითელ სახლში ალიაქოთი ატყდა. დირექტორი კარლბერგი გაცეცხლდა. ღრიალებდა და აღარაფერს ერიდებოდა პირდაპირ სახეში აბოლებდა სიგარას წითლად აფორაჯებულ მატსონს!

_ ამას არ გაპატიებთ, არა! ბატონო მატსონ, ამიხსენით რას ნიშნავს ყოველივე და მერე, საითაც გნებავთ, იქით წაეთრიეთ!

საბრალო მატსონი მთლად მოიკუნტა, თავის უშნოზოლებიან კოსტიუმში მოულოდნელად წყნარ, მორიდებულ კაცუნად იქცა.

_ რას იზამ, _ უპასუხა წყნარად. _ ეს ქალი ბებერ თხასავით ჯიუტია.

ფრუ შიობლუმი მათკენ ზურგით იდგა, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებაზე შემობრუნდა.

_ დიახ, ასეთია, თანაც საკმაოდ კარგი სმენა აქვს.

_ თუ რადიო არ ღრიალებს, _ ჩაურთო ჩორვენმა.

მელკერმა გულში ჩაიკრა პელე.

_ პელე, შვილო, ეს რა გიქნია? რა გიქნია?

_ ბე მივეცი დეიდა შიობლუმს, საქმე რომ უფრო ნაღდი ყოფილიყო. აი, ხელწერილიც მომცა.

_ დიახ და მე ახლა ჯიბის ფულიც მაქვს, _ დაემოწმა დეიდა შიობლუმი, _ შეხედეთ!

მას ხელში მბზინავი კრონი ეკავა.

_ დირექტორო კარლბერგ, _ მიმართა ჩორვენმა, _ ერთი კრონი ორმაგ საზღვაო კვანძში ცოტა ძვირია, მაგრამ მაიცნ დიდ მადლობას მოგახსენებთ.

დირექტორი კარლბერგი შებრუნდა და სიტყვის უთქმელად გავარდა გარეთ. მატსონიც სირბილით დაედევნა.

_ გზა დამილოცნია! _ მიაძახა ჩორვენმა და ყველა დაეთანხმა. იუხანი პელეს მოეფერა.

_ მამაჩემიც არის რა! ბავშვებს იქ არაფერი ესაქმებათო, და აჰა! პელე, ბიჭი ხარ, ნუ იტყვი!

_ ფრუ შიობლუმ, სანამ დავშორდებოდით, მინდოდა, ერთი რამ მეკითხა...

ისინი სამზარეულოში ისხდნენ და ბუტერბროდებს შეექცეოდნენ. ჩვენს სიცოცხლეში ამაზე გემრიელი არაფერი გვიჭამიაო, _ იფიცებოდნენ მელკერიც, იუხანიც და ნიკლასიც. არ ვიცი იმიტომ, რომ დაღლილები იყვნენ, ნაშიმშილევი თუ უზომო სიხარულმა გაამგელათ, ეს კია, გასაოცრად ეგემრიელებოდათ ბუტერბროდები.

_ რა გნებავდათ, გეკითხათ? _ დაინტერესდა ფრუ შიობლუმი.

მელკერმა ცნობისმოყვარეობით შეხედა.

_ დრუგლისეული კარ-მიდამო! რატომ ჰქვია მას ეს სახელი?

_ ჩემი ქმარი დურგალი იყო, განა არ იცოდით?

«ჰო, _ გაიფიქრა მელკერმა, _ ძნელია თქმა, რა არ ვიცი». ხმამაღლა კი მხოლოდ ესა თქვა:

_ დიახ, რა თქმა უნდა, თქვენ იქ ათას ცხრაას რვა წელს გადასახლდით?

_ ათას ცხრაას შვიდ წელს.

მელკერს გაუკვირდა.

_ დარწმუნებული ხართ, რომ ათას ცხრაას რვა წელს არ იყო?

ფრუ შიობლუმს გაეცინა.

_ ჩემი გათხოვების წელი ხომ არ ამერევა?!

«რა მნიშვნელობა აქვს, წელი იქით, წელი აქეთ», _ გაიფიქრა მელკერმა და დააყოლა.

_ შეიძლება კიდევ გკითხოთ? თქვენი მეუღლე, როგორი იყო, მხიარული თუ...

_ ისა? _ გაოცებით იკითხა ფრუ შიობლუმმა. _ იმაზე მხიარულ კაცს არ შევხვედრივარ. რა თქმა უნდა, თუ არა ბრაზობდა ზოგჯერ კი ისიც ბრაზდებოდა ხოლმე, როგორც ჩვენ _ ყველა.

იმ საღამოს მალინმა თავის დღიურში ჩაწერა:

«ზოგჯერ ხდება, რომ ცხვორება ირჩევს ერთ დღეს და ეუბნება:

_ შენ მოგცემ ყველაფერს! შე იქნები ერთი ვარდისფერ დღეთაგანი, მეხსიერებაში მაშინაც კი გაბრწყინებული, როცა ყველა სხვა დღე დავიწყებას მიეცემა.

დღეს ასეთი დღეა, მაგრამ არა ყველასათვის. ბევრს, ალბათ, ცრემლეიბ სდის და გულმოკლული გაიხსენებს მუდა. რა უცნაურია! ჩვენთვის, მელკერსონებისათვის

სალტკროკის დურგლისეული აგარაკიდან, ეს ყველაზე ბედნიერი დღეა ჩვენს ცხოვრებაში».

თვით მელკერი კაჭკაჭების კონცხის კლდეზე იჯდა და წყალში იგრილებდა ნაჯაფ ფეხებს. თევზაობდა. გვერდით პელე და ჩორვენი ესხდნენ და მის თევზაობას უყურებდნენ. იუმ-იუმს პელეს მუხლებზე მოეკალათებინა. ჩორვენს კი ბოცმანი უჯდა გვერდით.

_ ძია მელკერ, სულ არა გაქვს ფხა, _ უთხრა ჩორვენმა. _ ეგრე შენ თევზს ვერ დაიჭერ.

_ არც მინდა, _ გაეპასუხა ოცნებაში წასული მელკერი.

_ აბა აქ რაღას უზიხარ? _ ჰკითხა ჩორვენმა.

ოცნებამორეულმა მელკერმა გამოთქმით წაუკითხა ლექსი:

როს ზღვას ერთვოდა მზე დასავალი,
მას სურდა ხილვა მისი ნათების...

დიახ, მას სურდა ეს! მას ყველაფერი სურდა ეხილა: გაჩახჩახებულ იმზით გაბრჭყვიალებული ზღვის ზედაპირი, თეთრი თოლიები, რუხი კლდეები, ყურეს მეორე ნაპირზე ზღვაში აყირავებული მეთევზეთა ფარდულები, ყვეალფერი, ყველაფერი, რაც ასე ძვირფასი იყო მისთვის. და სურდა თითოეულ მათგანს თავისი ხელით მოფერებოდა.

_ მთელ ღამეს აქ ვიჯდებოდი, მზის ამოსვლამდე, და შევეგებებოდი განთიადს.

_ მალინი არ დაგრთავს ნებას, _ ოცნებიდან გამოაფხიზლა ჩორვენმა.

«განთიადი». მეც მინდა მისი ნახვა, _ გაიფიქრა პელემ. _ «ნუთუ არ მომცემს ფრთებს განტიადი, რომ დავესახლო მე ზღვის კიდეზე...» ღმერთო, რა ბედნიერებაა, რომ ამიერიდან შეეძლებათ იცხოვრონ დურგლისეულ კარ-მიდამოში სალტკროკაზე, მთლად ზღვის კიდეზე!